ლადო ასათიანის
ცხოვრება და პოეზია

წიგნი შეადგინეს, გამოსაცემად მოამზადეს,
ლიტერატურულ-ენათმეცნიერული განხილვები
და კომენტარები დაურთეს
ქეთევან დეკანოზიშვილმა და იზოლდა რუსაძემ.

ქუთაისი
2015

წიგნში წარმოდგენილი სტატიები პროფესორ მიხეილ ალავიძის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. მასში შეტანილი ნაშრომები მკითხველს კიდევ უფრო სიღრმისეულად დაანახებს ქართული პოეზიის დიდოსტატის – ლადო ასათიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

რედაქტორები:

ავთანდილ ნიკოლეიშვილი –
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი

თეიმურაზ ლანჩავა –
მწერალი, საქართველოს მწერალთა
კავშირის იმერეთის განყოფილების
ხელმძღვანელი, საქართველოს
მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

ISBN 978-9941-459-66-5



© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

პროფესორი მიხეილ ალავიძე – ლადო ასათიანის ბიოგრაფი და შემოქმედების მკვლევარი

2016 წლის 24 მაისს სრულდება 100 წელი ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის პროფესორის, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მოღვაწის, ენათმეცნიერისა და ლიტერატურათმცოდნის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ქართული კულტურის მემატიანის, შრომის ვეტერანის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის, მიხეილ ნესტორის ძე ალავიძის დაბადებიდან.

პროფ. მიხეილ ალავიძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი იკვლევდა ლეჩხუმურ დიალექტს. შეადგინა ამ დიალექტის ლექსიკონი. წერდა ეტიმოლოგიურ-გრამატიკულ და ფოლკლორულ ნარკვევებს, აქვეყნებდა სტატიებს ქართველი კლასიკოსების შესახებ. გამოკვლეული აქვს გამოჩენილი ქართველი მწერლების ხიზულებების ენის საკითხები. იყო აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის მემატიანე, წარმოაჩინა კინომცოდნე ვასილ ამაშუკელის ღვაწლი, რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია მიუძღვნა საქართველოს ბუნების ქომაგს – პეტრე ჭაბუკიანს, ამოხსნა ფსევდონიმები და კრიპტონიმები, იღვწოდა დედაენის სიწმინდისათვის, აღნიშნავდა დიდი მეცნიერების საიუბილეო თარიღებს, და ამასთან ერთად, საზოგადოებას აცნობდა თავისი უახლოესი მეგობრის – ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალებს.

ბ-ნი მიხეილ ალავიძე და ლადო ასათიანი თანაკურსელები იყვნენ. სტუდენტობის დროიდან დაწყებული ათი წელი ახლოებდა მიხეილ ალავიძეს ლადო ასათიანთან. ისინი გარკვეული

დროის მანძილზე ერთ ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ლადო ასათიანი მიხეილ ალავიძეს საიდუმლო ფიქრებსაც ანდობდა. ამასთანავე, ორივეს განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა თავისი ადგილის დედის – ლეჩხუმის, იქაური სოფლების, ეკლესიების, მთების, გორაკების, ტყეების, ბილიკების, მინდვრების, ჭალების, სახნავ-სათესი მიწების, საყანეების, ვენახების, მდინარეების, წყაროების, ღელეების, ჰაერისაც კი. ეს კიდევ მეტად აახლოებდა ამ ორ ახალგაზრდას.

ერთ-ერთი თემა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ბ-ნი მიხეილ ალავიძის საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა, ღადოს ბიოგრაფია, მისი შემოქმედება იყო. მას ახსოვდა ბევრი მნიშვნელოვანი რამ, რაც მკითხველს დააინტერესებს და პოეტის ცხოვრებას ნათელს მოჰფენს.

პროფ. მიხეილ ალავიძემ 1960 წლის მარტში პირველი სტატია გამოაქვეყნა ლადო ასათიანის შესახებ და სიცოცხლის ბოლო დღემდე თავის მეგობარზე ზრუნვა არ შეუწერებია. იგი დროდადრო ლადო ასათიანზე გამოკვლეული ახალ-ახალი მასალებით ასაზრდოებდა ქართველ მკითხველს. გამოსაცემად მოამზადა მონოგრაფია „ლადო ასათიანის ცხოვრება და შემოქმედება", რომელშიც მოუთავსებია ყველაფერი, რაც დაუწერია და ქართულ პრესაში გამოუქვეყნებია 1960 წლიდან. ასევე, მოხსენების ან სიტყვის სახით წარმოუთქვამს ლადო ასათიანის იუბილეებზე: ბარდნალაში, თბილისსა და ქუთაისში. ამის შესახებ წერდა კიდევაც: „ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ შეიქმნა დიდძალი ლიტერატურა. მასში შედის და იგულისხმება ჩემი ბეჭდური სტატიებიც, რაც სრულ ხელნაწერ მონოგრაფიად გამზადებული მაქვს და ახლო ხანში გამოიცემა" (მ. ალავიძე).

პროფ. მიხეილ ალავიძეს თავისი მონოგრაფიისათვის სპე-

ციალური ლიტერატურიდან ამოუკრებია და ჩაუწერია სამახსოვრო მოსაზრებები და გამონათქვამები კონკრეტული თემისათვის „ლადო ასათიანი ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შეფასებით". გარდა ამისა, ამ მონოგრაფიისათვის დაურთავს „ლადო ასათიანის პუბლიცისტური წერილები". როგორც პროფ. მიხეილ ალავიძე წერს, ეს მონოგრაფია ხელნაწერის სახით რვა სასტამბო თაბახს შეადგენდა.

მეცნიერს დიდი შრომა აქვს გაწეული ლადო ასათიანის ცხოვრების შესწავლისათვის. მარტო ის რად ღირს, რომ მან შეაგროვა ლადოს ფოტოსურათები, აღნუსხა ყველა ის წერილი და მოგონება, რაც პოეტის შესახებ დაიბეჭდა. თავი მოუყარა იმ გამოუქვეყნებელ და გამოქვეყნებულ ლექსებს, რაც ლადო ასათიანს მიუძღვნეს ქართველმა პოეტებმა.

პროფ. მიხეილ ალავიძემ ლადო ასათიანის ბიოგრაფიიდან გამოიკვლია სხვადასხვა საკითხი, მათ შორის: პოეტის დაბადების თარიღი და ადგილი ქ. ქუთაისში, პოეტის მშობლების (ოჯახის) ადგილსამყოფელი (მისამართები) ქ. ქუთაისსა და ამ ქალაქის გარეთ, პოეტის არასრული საშუალო სკოლის ხანა (როდის და სად სწავლობდა) და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტიდან გარიცხვის ფაქტი (მიზეზის დადგენა და დამნაშავეთა გამჟღავნება).

„ამ საკითხთა შესწავლისათვის მე მოვიპოვე უცნობი საარქივო და მემუარული მასალა. აქ წარმოვადგენ უმთავრეს ბიოგრაფიულ ცნობებს, რასაც დაერთვის ლადოს პოეზიის შემფასებელ მწერალთა და მეცნიერთა სიაც", – წერს მ. ალავიძე (გაზეთი „ახალი ქუთაისი", 1996 წ., 4 ოქტომბერი, გვ. 7, № 90-91 (312-313).

როგორც ჩანს, ეს სტატია ბ-ნ მიხეილ ალავიძეს სიცოცხლეშივე ჰქონდა გაზეთის რედაქციაში მიტანილი და 4 ოქტომბერს, ბ-ნი მიხეილის სამგლოვიარო განცხადებასთან ერთად,

რედაქციამ გარდაცვლილი ავტორის ეს უკანასკნელი სტატიაც დაბეჭდა.

მონოგრაფიის გამოცემამდე, პროფ. მიხეილ ალავიძე 1996 წლის 26 სექტემბერს, მოულოდნელად გარდაიცვალა. ბ-ნი მიხეილის არქივი დაზიანებულია. რაც გადარჩა, ისიც სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. დღითი დღე იზრდება ქართველი ახალგაზრდების ინტერესი ლადო ასათიანის ლექსებისადმი. პროფ. მიხეილ ალავიძის თვალსაზრისი, მის მიერ გამოკვლეული მასალები ძალიან საინტერესო და ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა შემოქმედის ცხოვრებისა და პოეზიის გასაცნობად.

არსებობს მწერალთა და მეცნიერთა გამონათქვამები ლადო ასათიანზე, მაგრამ პოეზიის ოქროპირის – ლადო ასათიანის ცხოვრების ამსახველი მასალების გამოკვლევის საქმეში პროფ. მიხეილ ალავიძე შეუდარებელია. მან ქართველ მკითხველს გააცნო ლადო ასათიანის შემოქმედება, პრესაში რამდენჯერმე აღნიშნა ლადოს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, საზოგადოებრიობის წინაშე წარმოაჩინა ლადოს ძმადნაფიცი.

პროფ. მიხეილ ალავიძე არა მარტო პოეტ ლადო ასათიანის ცხოვრების ისტორიის საკითხებს ეხებოდა, არამედ გულისყურით სწავლობდა მის პოეზიას, ეცნობოდა თითოეული ლექსის ყოველ ტაეპს, ლექსიკურ ერთეულს, რითმას.

პროფ. მიხეილ ალავიძეს ეკუთვნის ლადო ასათიანის პატრიოტულ ლექსებს შორის განსაკუთრებით გამორჩეული „სალაღობოს“ ფილოლოგიური განხილვა. მეცნიერმა შემოგვინახა პროფ. გიორგი ახვლედიანის გონებამახვილური ნააზრევი ასათიანურ პოეტურ ქარაგმაზე „...რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს...“

მეცნიერს დამოწმებული აქვს პროფ. გიორგი ახვლედიანის წერილი: „რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს...“ მეტაფორული ტროპია, რომელშიც „ძველი“ ნიშნავს მოქმედებაში ნამყოფს წინათ.

„ელდა ეცეს " – დაიორთქლოს (ქარქაშში დიდხანს ამოუღებლივ მყოფობის გამო), „ელდა" – ორთქლი; „ხანჯალს ელდა ეცეს" – ხანჯალი გაშიშვლდეს. ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია ლადო ასათიანის პოეზიის შესასწავლად (იხ. გაზ. „ქუთაისი", 1967, 23 ივნისი, №122 (10381).

პროფესორმა მიხეილ ალავიძემ ლადო ასათიანის უახლოესი მეგობრის, ფილოლოგ გიორგი კალანდაძის გამოკვლევის, რაც კონკრეტულად „სალაღობოს" მხატვრულ ანალიზს შეიცავს, დამატება-შესავსებად წარმოადგინა ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის რამდენიმე შენიშვნა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უჩვენა პირველწყაროები – ამ ლექსთან დაკავშირებით გამოთქმული ყველა მნიშვნელოვანი აზრი და აღნუსხა გამოქვეყნების ადგილი და აზრის გამომთქმელი.

გარდა ამისა, ბ-ნმა მიხეილმა გააანალიზა ლექსის რამდენიმე სტრიქონი და დაასახელა ამ გამონათქვამების პირველწყაროები. მიუთითა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გამორჩენილ ლექსიკურ ერთეულზე „გასცვინდება" (გასცვინდა, გასცვენია). „დინამიკური ვნებითი გვარის ზმნის ეს ფორმა ხალხური ნეოლოგიზმია. მგოსანი დაესესხა ცოცხალ მეტყველებას, სადაც გავრცელებულია ფრაზა „ფოთლები გასცვენია" (საროს), თმა გასცვენია (ადამიანს)", – წერს პროფ. მ. ალავიძე. მეცნიერი არ ივიწყებს ლადოს რითმაში მოცემულ ვნებითი გვარის ზმნებს, სტატიკური ზმნის ცნობილ ფორმას „ასვენია" და დინამიკური ზმნის დიალექტურ ფორმას „გასცვენია".

ბ-ნი მიხეილ ალავიძის აზრით, პოეტიკა-ფონეტიკის სპეციალისტი გამოკვლევას დაწერს ორიგინალურ რითმებზე, რომლებიც ლადოს აქვს წარმოდგენილი „სალაღობოში". ასეთებია: გაისარჯოს – დაიხარჯოს, დაგვებეროს – დაგვაბეროს, მოგვიხტება – მოგვიხდება, გასივდება – გაცივდება, გავიცინებ – დავიძინებ... რითმა-ასონანსები: ლამაზი მინდა – გავაზი-

ვითა, მაჩაბელი – ასაფრენი, შაითანთან – დაიშანთა... პრიფ. მიხეილ ალავიძეს მიაჩნია, რომ გენიოს პოეტს შეშურდება ლადო ასათიანის უბადლო რითმა სხვა ლექსიდან, როგორიცაა „შავი ნაბადი – გამინაბავდეს“ და სხვა.

როგორც მეცნიერი წერს, „ხალხური ენა ლადოს ატკბობდა. მას ღრმად სწამდა, რომ უცნობი ნამდვილი ქართული სიტყვები და ბუნებრივი გრამატიკული ფორმები ხალხშია შენახული და მათ ესაჭიროება დაცვა“. „ამიტომ ეტრფოდა ლადო ასათიანი ზეპირმეტყველებას და იკვლევდა მას. ამიტომაც ხალხური კოლორიტის დასაცავად პოეტს ლეჩხუმური დიალექტიდან ამოღებული ბევრი სიტყვა აქვს გამოყენებული ლეჩხუმზე დაწერილი ლექსების ციკლში“, რაც შეისწავლა პროფ. მიხეილ ალავიძემ. პროფესორის სიტყვით, „ლადო ასათიანის პოეტური ენა და სტილი თავისებურია. სპეციალურ შესწავლას მოითხოვს გრამატიკული მოვლენები და ლექსიკა. დიალექტურ ლექსიკას განეკუთვნება ტოპონიმიკური მასალაც“.

ბ-ნმა მიხეილმა იცოდა, რომ ლეჩხუმური ტოპონიმიკა მნიშვნელოვან თავისებურებებს შეიცავს. მას ცალკე შრომა აქვს მიძღვნილი ლეჩხუმურ ტოპონიმიკურ სახელწოდებებზე, სადაც გაანალიზებული აქვს ლეჩხუმური ტოპონიმები წარმოშობისა და ტიპების მიხედვით. ასევე, ცალკე აქვს გამოქვეყნებული სტატია „ლეჩხუმის ტოპონიმია ლადო ასათიანის ერთტომეულიდან“ (1979), რომელიც ჟურნალ „განთიადში“ დაიბეჭდა 1982 წელს (№1, გვ. 179-183). აქ ავტორი მიუთითებს: „ეტიმოლოგიურად ამოვხსენი და ანბანზე გავაწყვე რამდენიმე ტერმინი ლეჩხუმის ტოპონიმიკიდან. ეს ტოპონიმები ლადო ასათიანს მოსწონდა და მასალად აღუნუსხავს უბის წიგნაკში და ლეჩხუმზე დაწერილ ლექსებშიც გამოყენებული აქვს. სვანიზმები და ზანიზმები უხვადაა ლეჩხუმურ დიალექტში (ამ ტერიტორიაზე წინათ სვანები და ზანები ანუ კოლხები ცხოვრობდნენ).“ ბ-ნი მიხეილის

გაანალიზებული ტოპონიმებიდან ჩამოვთვლით რამდენიმეს: ბარდნალა, გუმარეში, დეხვირი, ვარდიგორა, ლაბეჭინა, ლაილაში, ლარჩვალი, ლასურიაში, ლასხანა, ლაჯანა, ლაჯანური, ლეჩხუში, ლეხიდარი, ნამკაშური, ორბელი, ოყურეში, ჟოშხა, რაჩხა, რიონი, ცაგერი, ჭყეპი და სხვა, სულ 40 ტოპონიმი.

ერთ-ერთ სტატიაში მეცნიერი წერს: „ლადო ნიადაგ ამდიდრებდა თავის ლექსიკონს, ქართული ბუნების შესაბამისად აწარმოებდა ახალ სიტყვებს, არჩევდა საუკეთესო უცნობ რითმებს, ზუსტად იცავდა სალიტერატურო ენის ნორმებს. ენის კანონებიდან გადახვევა მის ნაწერებში არ შეინიშნება“.

ბ-ნი მიხეილი ვერ მალავდა თავის დიდ მოწონებასა და სიყვარულს სულითა და გულით პატრიოტი, მეგობარი პოეტის პოეზიისადმი და როგორც ლექტორი, ამ დიდ გრძნობას თავის სტუდენტებსაც გვინერგავდა. პირველად სწორედ ბატონმა მიხეილ ალავიძემ გვაზიარა ლადოს ღვთაებრივ პოეზიას. ის ლექციის დასასრულს ყოველთვის იტოვებდა დროს ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის ლექსებისა და მისი ცხოვრების შესახებ სასაუბროდ.

პროფ. მიხეილ ალავიძემ დიდი ამაგი დასდო „ჭაბუკებად დარჩენილი პოეტების“ და მათ შორის ლადო ასათიანის პიროვნული და შემოქმედებითი ნატურის ფართო საზოგადოებრიობისათვის გაცნობის კეთილშობილურ საქმეს. წლების მანძილზე იგონებდა „პოეზიაზე შეყვარებულს, დედაენაზე ამღერებულს, სანთელივით ანთებულსა და გამქრალს.“ სულ ზეპირად იცოდა, რიდის და სად ან რამდენჯერ გამოიცა ლადოს ლექსთა კრებულები. ერთი სიტყვით, როგორც ლადო ასათიანზე პროფ. მიხეილ ალავიძის მიერ დაწერილი ნარკვევები მოწმობს, ბ-ნი მიხეილის გონებას არ სცილდებოდა „ფიქრები ლადო ასათიანზე“: „კვლავაც ცხადად წარმომიდგება ტანმაღალი და გამხდარი ძმადნაფიცი ნათელი შუბლით და მეტყველი თვალებით,

გულფიცხიც და გულთბილიც, ენაბრგვილიც და ენამახვილიც“. ამიტომაც არის, რომ ყოველი ქართველისათვის თვალსაჩინოა მიხეილ ალავიძის მიერ გაწეული საქმიანობა როგორც ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთგული მკვლევრისა. ამის შესახებ ჯერ კიდევ ამ ორმოციოდე წლის წინათ წერდა აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე. დავიმოწმებთ ამონარიდს ამ სტატიიდან: „საკმარისია მიხეილ ალავიძის მაგალითი. ი აინი ერთად სწავლობდნენ, განუყრელი მეგობრები იყვნენ და არავის გაუკეთებია ლადო ასათიანის ხსოვნისთვის იმდენი არც ადამიანობის, არც დაფასების მხრივ, რამდენიც დღეს უკვე ცნობილმა მეცნიერმა მიხეილ ალავიძემ გააკეთა თავისი საყვარელი მეგობრის შესახებ. მისი ყველა სტატია ერთ წიგნად რომ შეკრა, საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია გამოვა. უნდა ვეცადოთ, რომ ეს მონოგრაფია რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს ცალკე წიგნად. სხვა ავტორი, უფრო ძლიერი, არ მეგულება. მიხეილ ალავიძის სახით ლადოს ჰყავს მისი შემოქმედებისა და ცხოვრების ზუსტად მცოდნე, ენერგიული მკვლევარი-მეცნიერი, თან ცოცხალი მემატიანე“ (ჟურნ. „ცისკარი“, 1972, №12; კრიტიკული ეტიუდები, V, გვ. 48). ეს სტატია სახეშეუცვლელად 1996 წლის 15 იანვარს (№56, 9394) დაიბეჭდა გაზეთ „იმერეთის მოამბეში“.

აკად. გიორგი ჯიბლაძის „სამახსოვრო გულისთქმის“ გამოქვეყნების დროს ჯერ კიდევ ყველაფერი არ ჰქონდა პოეტ ლადო ასათიანის შესახებ შესწავლილი და გამოქვეყნებული პროფ. მიხეილ ალავიძეს. ამ სიტყვების შემდეგ მას გული მოსვენებას არ აძლევდა, სრულყოფილად გამოეკვლია და თავისი სიტყვა ეთქვა სტუდენტობის მეგობარზე. თითქოს აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის სტატიამ ბიძგიც კი მისცა მას, რომ ლადოს ცხოვრების მიმალული დეტალები გამოემზეურებინა.

ვეცნობით რა პროფ. მიხეილ ალავიძის ნარკვევებს, ჩვენი პატივისცემა და სიყვარული ლადო ასათიანის მეგობრის, ჩვენი

ლექტორისა და უფროსი კოლეგისადმი გვინდა გამოვხატოთ იმით, რომ შთამომავლობას შემოვუნახოთ ერთ კრებულად შედგენილი ბ-ნი მიხეილის მიერ შექმნილი და ქართულ პერიოდულ გამოცემებში გაბნეული საგაზეთო და საჟურნალო სტატიები ქართველი ახალგაზრდა შემოქმედის, თითქმის 27 წლის ერის რჩეული პოეტის, პოეზიის ოქროპირის – ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

იზოლდა რუსაძე

„ვინც ჯაჭი იყო და ლექსად იქცა"

(ლადო ასათიანის პერსონოლოგიური პორტრეტისათვის)

ჩვენი თაობა ლადო ასათიანის ლექსებზე გაიზარდა. სტუდენტობის წლებში უფრო ღრმად შევიგრძენით პოეტის შემოქმედება ჩვენი ლექტორების, პროფესორების ქეთევან ძოწენიძისა და მიხეილ ალავიძის მეშვეობით. ქ-ნი ქეთო ლადოს ლექსებიდან მოხმობილი ციტატებით გვარკვევდა ქართული ენის სინტაქსის ურთულეს ლაბირინთებში, ბ-ნი მიშა კი დიალექტოლოგიის ლექციებზე ყოველთვის მოირჩენდა დროის პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სასაუბროდ.

დროის მდინარება ბევრ რაიმეს ცვლის და გადააფასებს, დავიწყების ნისლით ბურავს ერთ დროს კაშკაშა სახელებს. ლ. ასათიანის პოეზიას ასეთი საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება. პოეტზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ლადოს ბევრი ლექსი-შედევრი ქართული პოეზიის ოქროს ფონდშია დაუნჯებული. დღემდე ისწავლება საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ლადოს მხატვრული პოეზია მომავლის პოეზიაა.

ამჯერად ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების უკვდავსაყოფად ჩვენი მასწავლებლის, პროფ. მიხეილ ალავიძის, მიერ გაწეული ღვაწლი. „ისინი მეგობრები იყვნენ, ასაკით თანატოლები, მაგრამ ერთი ნაადრევად ეწვია მარადისობას და ცოცხლად დარჩენილს დაუტოვა მასზე ფიქრი და საზრუნავი, რომ უკვდავეყო მისი სახელი... და იქცა იგი უკვდავებად. ნახევარი საუკუნის შემდეგ მათი სულები კვლავ შეერთდნენ და, ალბათ, დიდად გაიხარეს", – წერდა ბ-ნი მიხეილის შვილიშვილი ეკატერინე იოსელიანი 1996 წლის 7 ნოემბერს გაზეთ „ქუთაისში".

ლადო ასათიანი პოეტთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომლებიც მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე და რომელთაგან, სამწუხაროდ, რამდენიმე მათგანს ხანმოკლე სიცოცხლე არგუნა არსთგამრიგემ. პოეტის ერთ-ერთი ახლო მეგობრისა და ბიოგრაფის, ვისაც შესანიშნავი ლექსი „წარწერა სურათზე" უძღვნა, ნიკა აგიაშვილის თქმით, ისინი „მარად ჭაბუკებად დარჩენილი პოეტების" სახელით შემორჩნენ ქართული მწერლობის ისტორიას. ლ. ასათიანის 1979 წლის კრებულის გამოცემის წინასიტყვაობაში კრიტიკოსი წერს: „ომის დროს ქართველ მწერალთა რიგებს ულმობელმა სიკვდილმა გამოაკლო ლადო ასათიანი, ალიოშა საჯაია, ვასო ლომიძე. თავიანთი ცხოვრების ადრიან გაზაფხულზე დაგვშორდნენ ისინი და ქართულ ლიტერატურაში ჭაბუკებად დარჩნენ მარად. მათი ლექსებიდან ახლაც გვესმის მოზღვავებული გულისძგერა და შეუწყვეტელი სიმღერა. ვაჟკაცური, ომახიანი, სრულიად ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან ლ. ასათიანი. მას მართალაც „არ დასცალდა შთაგონების დავაჟკაცება", მაგრამ, რაც მოასწრო, იმითაც კარგა გვარიანი შემოქმედი დარჩება ყოველთვის" (ლ. ასათიანი, რჩეული, 1997, 8).

თავისი თაობის პოეტთა შორის ლადო გამორჩეულია. მისი პოეზია „მჭვირვალი და უხვად გაჯერებული, წყაროსთვალს ჰგავს, ფსკერზე რომ კენჭები დაეთვლება... ლ. ასათიანი შვილია თავისი ქვეყნის, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი თავისი ქართველი ხალხის" (მ. ლებანიძე, წინასიტყვაობა: ლ. ასათიანი, რჩეული, თბ., 1986, 4).

უპირველესად თვალი მივადევნოთ პოეტის ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრების გზას, რომლის მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული თარიღები ასეთია: დაიბადა 1917 წლის 14 იანვარს ქ. ქუთაისში ინტელექტუალთა ოჯახში. მშობლები ლიდა ცქიტიშვილი და მელქისედექ ასათიანი პედაგოგები გახლდნენ.

მამა 1930-1931 წლებში წყალტუბოს რ-ნის სოფ. ბანოჯის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა. მომავალმა პოეტმა 1928 წელს სოფ. მაღლაკის დაწყებითი სკოლა დაამთავრა. 1931 წელს კი – ქუთაისის საცდელ-საჩვენებელი სკოლა.

1931 წელს ლ. ასათიანის ოჯახი საცხოვრებლად მშობლიურ ბარდნალაში (ცაგერის რაიონი) გადავიდა და ლადოს მშობლებმა იქ გააგრძელეს პედაგოგიური მოღვაწეობა, ამასთანავე, ზრუნავდნენ შვილების განათლებაზედაც. წიგნებისა და ლიტერატურის სიყვარული პოეტს ოჯახიდან მოჰყვებოდა. პოეტის დის, მედეა ასათიანის თქმით, „ჩვენს ოჯახში წიგნი ძალიან ფასობდა და მშობლები მის სიყვარულს ჩვენ ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ. ერთ რამედ ღირდა ბუხრის წინ სახელდახელოდ გაშლილი სუფრები, სადაც ხელადით ჩაიდგმებოდა ღვინო და სტუმარმასპინძელი გათენებამდე საუბრობდა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, სამშობლოს ბედსა და მომავალზე“ (ჟურნ. „გ'ხა“, 2003, № 33, 37).

ბავშვების განათლებაზე, როგორც ლადოს ერთი ლექსიდან ჩანს, გარკვეულ გავლენას ახდენდა ბაბუა, „დიდი გუჯუ ბატონი“. ბუხართან, ცეცხლის პირს, მის მიერ მონათხრობი ძველი ამბები და ზღაპრები შთამბეჭდავ გავლენას ახდენდა მოზარდების ცნობიერებაზე:

„ენამზიანი და ზამთრის გულში
ტკბილი ქართულით მოლაპარაკე,
ჰყვებოდა მშვიდად ბუხრის გუგუნში
საბა-სულხანის იგავ-არაკებს“ (ლ.ასათიანი, 1979, 28).

მეგობრისადმი გაგზავნილ ერთ–ერთ ბარათში ლადო ვიზუალურად წარმოაჩენს მათი ოჯახს კარ-მიდამოს და გარკვეულ იდილიურ წარმოდგენას გვიქმნის: „ჩვენი ოდა შორიდან ქოლგას ჰგავს, ირგვლივ ღობეა, ეზოს წინ სამი ჩინარი დგას. მარცხნივ ჭაა, მარჯვნივ სამზარეულო, უკან ტყე მოჩანს...“

1931 წელს ლადო ასათიანი სასწავლებლად შევიდა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. 1934 წელს სწავლა გააგრძელა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, შემდეგ გადავიდა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, სადაც ლექციებს კითხულობდნენ ქართული ფილოლოგიურიმეცნიერებისკორიფეები. პოეტს განსაკუთრებით ვახტანგ კოტეტიშვილი ჰყვარებია, მოხიბლული ყოფილა მისი ლექციებით. ბ-ნი ვახტანგი ფანდურის აკომპანიმენტით წარმოუდგენდა სტუდენტებს ქართული ფოლკლორის შედევრებს. 1934 წელს ქუთაისში გამოცემული კოტეტიშვილის წიგნიდან „ხალხური პოეზია" ლადოს ბევრი ლექსი ზეპირად სცოდნია. ჰასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია აგრეთვე მეცნიერის ლექციებს: „ალ. პუშკინის პოეტიკა", „ხალხური „ვეფხისტყაოსნის" გენეზისი", „ხალხური სატრფიალო ლირიკა" და სხვა.

სტუდენტობის წლებშივე ლ. ასათიანის სახელი სისხლხორცეულად დაუკავშირდა ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებას. დაუახლოვდა საქალაქო გაზეთის თანამშრომლებს ნიკა აგიაშვილსა და მომავალ აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს. ამ ადამიანებმა თავიანთი საქმიანობით გარკვეული როლი შეასრულეს ლადოს სახელის უკვდავყოფაში.

ლადოს ირგვლივ ქუთაისშივე შეიკრა ახალგაზრდა პოეტთა მეგობრული წრე: გიორგი ნაფეტვარიძე, სევერიან ისიანი, გრიგოლ იმედაძე, ტიტე ქართველიშვილი. „ყმაწვილები ხშირად სტუმრობდნენ ქალაქის ისტორიულ ადგილებს: ბაგრატის ტაძარს, არქიელის გორას, მწვანეყვავილას, გელათს, მოწამეთას... ისინი ეთაყვანებოდნენ გალაკტიონს, დააბიჯებდნენ ქალაქის ქუჩებში და ეშხიანად წარმოთქვამდნენ ლადოს სტრიქონებს. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ თეთრი ხიდის კუთხეში „ცისფერი

კაფეს" გვერდით გურგენას, „შავი მელას", სავაჭრო დუქანში... კუთხეში კასრზე გაწყობილ ღარიბულ პურმარილს შეექცეოდნენ და მთელი ღამე ილხენდნენ" (გ. თათეიშვილი, მოგონება ლ. ასათიანზე: გაზ. „ქუთაისი", 1981, 8.02).

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლ. ასათიანის თანაკურსელი მეგობრები იყვნენ: მიხეილ ალავიძე, შოთა ქურიძე, ქეთევან ძოწენიძე, ნელი დუმბაძე, გიორგი შალამბერიძე, აქვსენტი მიშველაძე... ადამიანები, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების საქმეში. მათგან ლადოს მიმართ შეუფასებელი წვლილი გაიღო მ. ალავიძემ. ნ. აგიაშვილის გადმოცემით, „ლადოს სტუდენტობის ტოლ-ამხანაგებიდან მიშა ალავიძემ ერთერთმა პირველმა გამოაქვეყნა ვრცელი მოგონება. მან მრავალი საინტერესო და ძვირფასი მასალა შეკრიბა და დაბეჭდა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რითაც თავის დროზე ძალზე კარგი საქმე გააკეთა ლ. ასათიანის ბიოგრაფიისათვის. შოთა, ლადო და მიშა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს პედინსტიტუტში, მწერალთა სახლში, რედაქციაში, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, მიშას ოჯახში, ქალაქის კინოთეატრებში, „ცისფერ კაფეში"... (ასათიანი, 1979, 17). თავად ლადოც მრავალთაგან რომ გამოარჩევდა მ. ალავიძეს, კარგად ჩანს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ნ. აგიაშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან: „მენატრება ამხანაგები, სტუდენტობის მეგობრები: რაჟდენ შკუბულიანი, მიშა ალავიძე, შოთა ქურიძე" (ლ. ასათიანი, 1979, 151).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლადოსა და მისი მეგობრებისათვის შთაგონების ერთგვარი სავიზიტო ბარათი გახლდათ „ცისფერი კაფე, სადაც იკრიბებოდნენ და ერთმანეთს სულიერ ტკივილებსა თუ აღმაფრენას უზიარებდნენ. „ცისფერ კაფეში" ისინი თავიანთ ბედ-იღბალს აკვირდებოდნენ." თბილისში

საცხოვრებლად გადასული პოეტი მოგვიანებით იმ ცისფერ კაფეს ხშირად იგონებდა:

„ცისფერ კაფეში... ეს იყო ძველად...
დღემდე იმგვარად დარჩა ის მგონი,
დღემდე მეც მახაოვს გულის დამწველად
ჩაის ვარდები და ჩაის ბოლი" (ლ. ასათიანი, 1979, 59).

პოეტის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვნად მტკივნეულია 1937 წელი. ეს თარიღი ლადოს ოჯახისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა. „შეთითხნილი ბრალდებით" დააპატიმრეს ლადოს დედა ლიდა ცქიტიშვილი და უზბეკეთში გადაასახლეს. თავად ლადო კი „ხალხის მტრის შვილად" შერაცხეს და ინსტიტუტიდან გარიცხეს, თუმცა მავანთა ძალისხმევით, ერთი წლის შემდეგ მოხერხდა სტუდენტად მისი აღდგენა. ყოველივე ამან მტკივნეულად იმოქმედა პოეტის მგრძნობიარე სულზე. ასათიანების საოჯახო არქივში დაცულია ქ-ნი ლიდას წერილი, რომელიც მკითხველისათვის საინტერესო იქნება: „შვილებო, ნეტავი სად ხართ და რას შვებით, გამაგებინა... მექი, აბა, შენ იცი და ბავშვებმა, ყველამ კი მედიკოს მოუარეთ. გავალებთ ყველას, ჯერ პატარაა, ცოდვაა უდედოდ. ერთი სიტყვით, თუ ასე შემიწყობი ხელს, ვიცოცხლებ. ეგებ არ მოვკვდე, იქნებ მაღირსოს ღმერთმა ჩემს მიწაზე დასაფლავება და ავცდე უზბეკეთის მიწაში ძიშვლად ჩაგდებას. რატომ, რისთვის გაგვიმეტა ღმერთმა მე და ჩემი შვილები?!" ლადოს დედას ნატვრა არ აუსრულდა. სამამულო ომის დაწყების წინ წერილები შეწყდა. მოგვიანებით ოჯახმა გაიგო მისი გარდაცვალების შესახებ. ქ-ნი ლიდას რეაბილიტაცია საკმაოდ გვიან, 1998 წლის 8 აპრილს, მოხერხდა.

ოჯახის ასეთმა მძიმე ხვედრმა, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა ლადოს სულიერ განწყობილებასა და ჯანმრთელობაზე. პოეტი ხშირად ნატრობდა „უბრალო ხალათს, დედის ძვირფასი ხელით შეკერილს", თუმცა არ თუ ვერ ახერხ-

ებდა მისი განცდები ღიად, პოეტურად გარდაეთქვა. ამას გარკვეული მიზეზი ჰქონდა. პროფ. რ. ჩხეიძის თქმით, „დედის გადასახლებით გამოწვეული ღრმა და გაუნელებელი ნაღვლი ლადოს ყველაზე სახიერ სილუეტს ამოზიდავს ჩვენ თვალწინ. ამ წუხილის ნატეხები ცალკეულ ლექსებში გამოკრთის, თუმცა შეფარულად, რადგან მონატრების და ცრემლის დაღვრის ნებას სხვაგვარად არ დართავდნენ, არც სიცოცხლეში, არც შემდეგ. პოეტურ კრებულებში კვლავ გაფანტული უნდა ყოფილიყო ეს ტკივილი, რათა გამჭვირვალე ასოციაციები არ გამოეწვია და არც დრამატულ გოდებად აღექვა მკითხველს“ (რ. ჩხეიძე, „დედის აჩრდილი“).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 21-ე საუკუნის ქუთაისში ცხოვრობდა ლადოს მშობლების მეგობარი და პოეტის მასწავლებელი, ას წელს მიტანებული ქალბატონი მარიამ ჯიბაძე, რომელთან ჩაწერილი ინტერვიუ გაზეთში „ჩემი ქუთაისი“ (2003, № 4) გამოაქვეყნა ახალგაზრდა ჟურნალისტმა მაგდა ჩინიჯიშვილმა. საჭიროდ მივიჩნიეთ აღნიშნული ინტერვიუდან რამდენიმე ეპიზოდი ამოგველო. ჟურნალისტი იმასაც მიუთითებს, რომ „ბევრი მოგონება სიბერეს მივიწყების ფერფლით დაუფარავს... და მაინც, მნიშვნელოვანი სახელები მყარად ჩაბეჭდილა ნაოჭებშეპარებულ მეხსიერებაში“. ქ-ნი მარიამის გადმოცემით, „მექი და ლიდა კარგი ხალხი იყო, კარგი შვილები ჰყავდათ. ეს იყო მთავრობამ თავიდანვე აითვალწუნა, თავადიშვილები ხარიო, არ ახარებდნენ, სულ დევნიდნენ, ავეჯი წაართვეს, გააკულაკეს, შავ სიაში შეიყვანეს“... მოხუცი იმასაც იხსენებს, რომ ერთხელ, სოფლის მაღაზიაში „მიტკალი“ მიუღიათ. ადგილობრივ მთავრობას მოსახლეობისათვის დაურიგებია, მარტო ლიდას ოჯახისთვის არ უბოძებიათ. მეგობარს თავისი წილი ქსოვილიდან ცხვირსახოცები შეუკერავს, ამოუქარგავს და ლიდას ხელით ლადოსთვის გაუგზავნია, ჩემგან ჩუქება შერცხვებოდაო.

მ. ჯიაძე საუბრობს ქ-ნი ლიდას დაპატიმრების შესახებაც. მისი თქმით, ლადოს დედა განათლებული, ღვთისნიერი ქალი ყოფილა, საოცრად ჰყვარებიათ მოსწავლეებს, რაც ბევრ კოლეგას ჰურდა, ზოგს კეთილი, ზოგს ბოროტი შურით, თან ხომ შავსიელიც იყო. ერთხელ ხბოს ტყავით ქალამნებამოსხმული მოსულა სკოლაში მისი მოსწავლე ხეცურიანი. კომუნისტებისაგან სისხლგამშრალი დედა მოსწავლეს გახუმრებია: კომუნისტების ტყავისაგან აჰოსხმული ქალამნები ხომ არ გაცვიაო. ხუმრობაზე არავის გასცინებია. რამდენიმე დღეში კი „ოხუნჯი მასწავლებელი" ტყავისჩექმებიან მამაკაცს წაუყვანია და მას შემდეგ აღარავის უნახავს, ხეცურიანს კი ხშირად აჯილდოებდნენ კომუნისტები.

ქ-ნი ლიდას დაპატიმრების შემდეგ ქ-ნი მარიამი კვლავ აგრძელებდა მექის ოჯახთან მეგობრობას, თუმცა ამ ურთიერთობას დიდი სიფრთხილეც ახლდა თანო. იგი განსაკუთრებული სიყვარულით საუბრობს ლადოზე, მე მას ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი, მაგრამ პირიქით მოხდა, ლადომ მე შემაყვარა ქართულიო. იმდენად მოკრძალებული ყმაწვილი იყო, მამასაც კი მორიდებით მოსწერდა: იმდენი ფული გამომიგზავნე, რომ ერთი შავი ჰურის ყიდვა შევძლოო. ასეთივე გრძნობა დასტურდება ლადოს პირადი წერილითაც: „ამ გაზაფხულის პირზე ძალიან ჩამოხეული ვარ, ახლა მივაბარე ფეხსაცმელი და შარვალი, ერთ კვირაში იქნება და თუ მოგიხერხდეს, ვიმეორებ, თუ მოგიხერხდეს, 300 მანეთი გამომიგზავნე, თუ არადა, მე ავიტან ბევრ სირცხვილს"... (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1973, № 143).

1938 წელს ლადო ასათიანმა ქუთაისი დატოვა და საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა. მუშაობა დაიწყო გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში, მაგრამ ქუთაისთან კავშირი არ გაუწყვეტია, კვლავ ბეჭდავდა ლექსებსა და თარგმანებს

ქალაქის გაზეთში. კვლავ იგონებდა „ცისფერ კაფეს“ და ჩაესმოდა მის ყურს „რიონის შრიალი შორი“, მაგრამ დაბერება და ძველ ნაბუდარში დაბრუნება არ დასცალდა“ (ნ. აგიაშვილი, 1979, 19).

ქუთაისს ლადო „ყვავილებით შემორკალულ“ ინდუსტრიულ ქალაქს“ ეძახდა და ამაყობდა, რომ თავისი შემოქმედებითი საქმიანობა აქ დაიწყო:

„მე აქ დავწერე ლექსი პირველი,
ვარდებსაც ესმით ამ გულის ფეთქვა,
ვარ ამ ვარდების გულთამხილველი
და მსურდა მასზე ლექსები მეთქვა“ (ლ. ასათიანი, 1979).

ქუთაისშივე დაიბეჭდა ლადოს პირველი ლექსი 1935 წელს, ხოლო პირველი პოეტური კრებული 1940 წელს გამოქვეყნდა. მეორე წიგნი 1942 წელს დასტამბა გამომცემლობა „ფედერაციამ“.

უკვე მძიმედ ავადმყოფი პოეტი დიდი იმედით ელოდა ორთაბახიანი კრებულის გამოსვლას, რაც კარგად ჩანს ნიკა აგიაშვილისადმი ფრონტზე გაგზავნილი ბარათიდან: „თუ ცოცხალი დაგხვდი, როცა ჩამოხვალ, კაი ლამაზ წიგნს დაგახვედრებ. მგონი, არ იქნება ცუდი, ვინძლო მისმა გამოსვლამ ეს უღიმღამო სიცოცხლე ოდნავ გამიხანგრძლივოს, ესაა ჩემი იმედი“ (ლ. ასათიანი, 1986, 146). სამწუხაროდ, პოეტს ეს იმედიც ჩაუქრა. ხელისუფლებამ, იდეურ-პოლიტიკური თვალთახედვით, წიგნი დაიწუნა და მთელი ტირაჟი განადგურდა. მიზეზად კი უთქვამთ: რა დროს წინაპრებია, ქვეყანა ომის ქარცეცხლშიაო. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი. პოეტის დის, მედეა ასათიანის, გადმოცემით, აღნიშნული ტირაჟიდან ლადოს მხოლოდ შვიდი ცალი ერგო. რედაქციის იმდროინდელ თანამშრომელსა და წიგნის რედაქტორს ქ-ნ მარიკა ჯაფარიძეს „წინაპრების“ ორიგინალი სათუთად შეუნახავს და ლადოს და-

ბადების 60 წლისთავზე ქ-ნი მედეასთვის საჩუქრად გადაუცია ბარდნალის სახლ-მუზეუმში დასადებად. იქ ეს წიგნი დღემდე ინახება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით, სწორედ გადარჩენილი ეგზემპლარების მეშვეობით, მოხერხდა აღნიშნული კრებულის ხელახლა გამოცემა. რ. ჩხეიძის თქმით, „როგორი კანონზომიერიც იყო ამ წიგნის დაწვა, ისევე კანონზომიერი გახლდათ მისი აღდგენა და გამოცემა რამდენიმე წლის შემდეგ. საბედნიეროდ, ისეთი პიროვნებებიც არსებობდნენ, ვინც ავ ბედისწერას არ დაუთმობდნენ ლ. ასათიანის სახელს და ს. ჩიქოვანს საშუალება მიეცა თუ არა, უპირველესად ეს მოიმოქმედა, „წინასპრების“ გამოცემაზე იზრუნა“ (უფრო დაწვრილებით იხილეთ რ. ჩხეიძის „საგა ვახტანგური“: ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2014, № 6, 25).

1940 წელს ლადო ასათიანი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად აირჩიეს. ამ დროიდან პოეტს კიდევ უფრო მოერია მძიმე სენი. მისი ქვეცნობიერება ავი წინათგრძნობით განიმსჭვალა: „მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები, მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“. უბის წიგნაკშიაც ჩაუნიშნავს: „ვიცი, ჩემი სიცოცხლე ხანმოკლე იქნება“ (ლ. ასათიანი, 1986, 127). მიუხედავად ავადმყოფობასთან შეუდრეკელი ბრძოლისა, იგი სასოწარკვეთას მაინც არ ეძლეოდა და დაუშრეტელი ენერგიით იღვწოდა შემოქმედებითი წინსვლისათვის, მხოლოდ დროდადრო დაიჩივლებდა:

„როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო,
როგორ არ მინდა ჩემს სიყმაწვილეს
დააჩნდეს შენი შავი აჩრდილი.
– – – – – – – – – – – –
ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო,
ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს“ (ლ. ასათიანი, 1986, 71).

არადა ბედისწერა ლადოს დღითი დღე აშორებდა წუთისოფელს. ცნობილი პოეტი მ. ლებანიძე წერს: „ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ლადო უეჭველი სიკვდილისაკენ მიექანებოდა, რასაც გრძნობდა კიდეც და ჩქარობდა სათქმელის მოსწრებას. პოეტის სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ყოფნას და იმ წლებში შექმნილი ლექსების პათოსს თუ გავითვალისწინებთ, ეს იყო გმირობა და ლადოს პოეზიის ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს არა მარტო ჭეშმარიტ პოეტთან, არამედ, ამავე დროს, ვაჟკაცთან გვაქვს საქმე“ (ლ. ასათიანი, 1979, 2).

ლადო ასათიანი გარდაიცვალა 1943 წლის 23 ივნისს. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესრულებული 27 წელი. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე. მხოლოდ 1968 წელს, პოეტის 60 წლის საიუბილეოდ, მოხერხდა მისი გადასვენება დიდუბის პანთეონში. ამ მოვლენას პოეტის მეგობარი და თანამოკალმე მ. ლებანიძე ასე გამოეხმაურა:

„აწ ჩავლილია მაღალი კაცი,
სიკვდილის შემდეგ წინ წავდგით ბიჯი,
ორჯერ გავზომეთ საზომით მკაცრით,
დავკმაყოფილდით დიდუბის მიწით“ (ლ. ასათიანი, 1986, 2).

ასეთივე ტრაგიკული ბედის აღმოჩნდა ლადოს უმცროსი ძმა გოგიტა. მას ჯარში სანგრიდან ჩამოყრილი მიწა ფეხზე დაეცა და ტრამვირებული სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლეს. შინ დაბრუნებულს კი სისხლი მოეწამლა, ძვლის ტუბერკულოზი განუვითარდა და ლადოს გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ისიც გამოეთხოვა საწუთროს. განადგურებული ოჯახის თავკაცს – მექი ასათიანს იმედად ქალიშვილი მედეა, ლადოს მეუღლე ანიკო ვაჩნაძე და პოეტის ქალიშვილი, ჩიტუნია მზეწვიას რომ ეძახდა მამა, მანანა დარჩნენ. მექიმ მხნედ გადაიტანა ამდენი ტკივილი და ხანდაზმულ ასაკში 1968 წელს გარდაიცვალა.

ლადო ასათიანი... რაღაც გრძნეული შთაგონება მოჰყვება ამ

სახელს, რომელმაც ბავშვობა გაგვილამაზა და სიყმაწვილეშიც შემოქმედებითი შარავანდედით გადმოგვყვა ისე, რომ დაგვიდასტურა, შემოქმედად ნამდვილად უნდა დაიბადო, თავად ზენამ უნდა გიკურთხოს ჩანგი.

ლადო ასათიანის შემოქმედებითი „ადგილის დედა" ქუთაისია. როგორც ზემოთ მივუთითეთ, მისი პირველი ლექსი აქ დაიბეჭდა, რაც ღვთის ნებით მოხდა და არა შემთხვევით, რათა არ ჩამქრალიყო ის მინავლებული პოეტური ტრადიცია, რომელიც საუკუნის პირველ ოცწლეულში აკაკიმ, გალაკტიონმა და ცისფერყანწელებმა გააღვივეს. იმ დროს, როცა ლადო პოეტურ ასპარეზზე გამოვიდა (XX საუკუნის 30-იანი წლები), ქუთაისის ქუჩებს ჯერ კიდევ აჩნდა მათი ნატერფალები. ლადოს არგუნა განგებამ გაეგრძელებინა თითქმის უკვე მინავლებული შემოქმედებითი ტრადიციები.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ლადო ასათიანის შემოქმედება რუსთაველის პოეტურ ძირებზეა ამოზრდილი. მისი ლექსები გამორჩეული და განსხვავებულია. პროფ. ა. ნიკოლეიშვილის აზრით, „პოეტის შედევრები ანდამატური ძალით გვიზიდავენ თავიანთ სამყაროში. მის პოეზიაში სიტყვას რაღაც იდუმალი, მომნუსხველი ჯადო და ბუხარში გაღვივებული ნაღვერდლის მცხუნვარება აქვს შეძენილი. მისი პოეტური შთაგონება ქართული მიწის ბარაქით საზრდოობს. პოეტის შემოქმედების ანი და ჰოე სამშობლოზე ფიქრი და ოცნებაა. სამშობლო – მისი წარსულისა და დღევანდელობის გმირულ-ჰეროიკული ხილვა, არსებითად განსაზღვრავს ლადოს შემოქმედებითი მიზანსწრაფვის არსს. ამ ხილვას მან სადღესასწაულო განწყობილების ამაღლებული პათეტიკა და ომახიანობა შესძინა. ამ განწყობილების გამოხატვაში ავტორი იმდენ სიწრფელესა და ლირიზმს აქსოვს, რომ მაქსიმალურადაა გამორიც-

ხული ემოციური ზედაპირულობა და შაბლონურობა" (ა. ნიკოლეიშვილი, 2002, 466).

ლადო ასათიანის ნათელი რომანტიკით ნასაზრდოები ტკბილხმოვანი ინტონაციები მკვეთრად თავისთავადია. იგი ქმნის ზუსტ, მელოდიურ და მკაფიო პოეტურ სახეებს. ამასთან ლექსის სტილი და ვერსიფიკაცია ღრმად ტრადიციულია. კვლავ ა. ნიკოლეიშვილს მოვიშველიებთ: „ქართულ პოეზიაში ლადო ასათიანმა მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი მუსიკალური ინტონაცია დაამკვიდრა. სიტყვისა და ფრაზის მისეული მელოდიურობა განუმეორებელ ჟღერადობას გამოსცემს. თავისთავადი პოეტური სილაღითა და სიტყვის გრაციით ლადო მკვეთრად ორიგინალური სახელია ჩვენს ლიტერატურაში. სტილური ინდივიდუალობის განუმეორებელი ტვიფრით აღბეჭდილი მისი ლექსები გულისგულამდე რომ გვწვდებიან და ჟღუანტელით გვავსებენ, ერთხელ კიდევ გვიდასტურებენ ათასგზის ცნობილ ჭეშმარიტებას: „რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს, რომ ლექსი თვითონ ტკივილი არის" (ა. ნიკოლეიშვილი, 2002, 465).

საინტერესოა ჯერ კიდევ ყმაწვილი და თითქმის ბავშვი ლადო როგორ სწვდებოდა შემოქმედების მიუვალ ლაბირინთებს ისე, რომ ჩვენთვის ასე რეალურად შთაეგონებინა შემოქმედებისა და ხელოვნების უზენაესობა. სწორედ გამორჩეულობა და ღვთისაგან ნაბოძები ნიჭი აძლევდა საშუალებას პოეტს, ღრმად და შთამბეჭდავად გარდაეთქვა თავისი აზრი პოეზიისა და ზოგადად ხელოვნებისადმი. ამ მხრივ გამორჩეულია ლექსი „ვაჟა–ფშაველას ნაამბობი". ათობით ხელოვნებათმცოდნე და მეცნიერი რომ დაჯდეს და შეეცადოს ხელოვანის სულის გამომზეურებას მკითხველის წინაშე, ვერაფრით შეძლებს ისე, როგორც ეს ლადომ თავისი ლექსით განგვიმარტა:

„ვინ დამიბედა გზები პოეტის,
ვინ გამიმეტა საბედისწეროდ,

ნუთუ ამქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო?
ნუთუ სხვა რამე ლექსების გარდა
ვერ უშველიდა ტკივილებს ჩემსას,
ან რატომ არის, რომ ყოველ ქალთან
გამიჯნურება მჩვევია ლექსად?" (ლ. ასათიანი, 1986, 56).

ტექსტის პირველივე სტრიქონებიდან ირკვევა ხელოვანისა და ხელოვნების ძალის ალმატებულება ყოველივეზე. ნამდვილი პოეტები ამ გზას თავად არ ირჩევენ, მათ მხოლოდ განგება მოავლენს და ამ განგების ხმას მიჰყავს ისინი მართლაც საბედისწერო და ციცაბო ბილიკებზე, რომელთა გავლაც ხშირად სიცოცხლეს შეიწირავს, მაგრამ ის, რაც არ იწვის, არც ანათებს. ის, რაც სიცოცხლეს არ მოითხოვს საფასოდ, ვერც ვერაფერს გვაძღევს უკვდავსა და მარადიულს, მხოლოდ სიცოცხლის საფასოდ იძლევა დიდ ხელოვნებას არსთგამრიგე (კ. გამსახურდია). ეს რომ ძალიან კარგად იცოდნენ ქართველმა ხელოვანებმა და მათ შორის ლ. ასათიანმაც, საინტერესოდ წარმოჩინდება აღნიშნულ ლექსში. ტექსტში რეალურად იკითხება პოეტისა და ზოგადად პოეზიის დანიშნულების საკითხიც. ჩანს, რომ პოეზიისა და ხელოვნების მითოლგემები საუკუნეების იქითაა ფესვგადგმული და არავინ იცის, სად, როდის და როგორ ამოიფრქვევა თითოეული პოეტისა და ნებისმიერი დარგის ხელოვანის სულსა და ხელოვნებაში.

მოკვდავის თვალისა და გონებისათვის მიუწვდომელია, მაგრამ წინაპართა სახელსა და მათი სისხლის მეხსიერებასთან რომაა დაკავშირებული, ეს უდავოა:

„უმეგობრობა არ მიგლოვია
და არც მელექსე მყავს წინაპარი,
მე ზღაპარი თუ გამიგონია,
ბაბუაჩემის თქმული ზღაპარი" (ლ. ასათიანი, 1986, 56).

განა ცოტას ნიშნავს ის, რომ ბაბუას ზღაპრებმა, ე. ი. სისხლის მეხსიერებამ, რომელშიც კოლექტიური არქეტიპების მარადიული შემოქმედებითი ცეცხლი ანთია, მელექსე წინაპრებზე დიდი საფუძველი შეუქმნეს პოეტის ხედვას. სწორედ ბაბუამ, ე. ი., წინაპართა სისხლმა და არქეტიპებმა შეამეცნებინეს ბუნება პოეტს, დაანახეს, რომ ამ ბუნებისა და სიცოცხლის მარადისობაში აქვს ფესვები გადგმული პოეზიას და ზოგადად ხელოვნებას:

„ბაბუაჩემმა ბუნების კარი
გამილო ოხვრით და სიმძიმილით
და შთამაგონა, რომ ლექსი არის
კაცის და ქვეყნის გულისტკივილი" (იქვე).

სწორედ ლექსი, ეს „კაცის და ქვეყნის გულისტკივილი", მიუძღვის წინ დიდ ხელოვნებას და მარადისობის ლაბირინთებს გვინათებს. პოეტი და ხელოვანი თავისუფალია და ძლიერი მანამ, სანამ ლექსი და ხელოვნება წინამძღვრობს. შემოქმედი ადამიანის სულში მარადიულად ბობოქრობს თავისუფლების ჰიმნი და, სანამ ხელოვნების სამსხვერპლოსკენ მიისწრაფვის მისი სული, ის ძლიერი და თავისუფალია და ამიტომაც ნაღდი ადამიანია. სწორედ ეს აზრია გატარებული შემდეგ სტრიქონებში:

„მიტომ არ მიყვარს მე არტახები
და მიტომ ვგავარ ადამიანად" (იქვე).

ლექსს, მართალია, „ვაჟა-ფშაველას ნაამბობი" ჰქვია, მაგრამ მასში მარტო ამ ბუმბერაზი პოეტის გრძნეული პორტრეტი არ იხატება, მასში მთელი ქართველი პოეტებისა და, არ შევცდები, თუ ვიტყვით, ყველა ქვეყნის ნაღდი და ხალასი პოეტების სულისთქმაც ისმის. ამ ლექსში თავად ლ. ასათიანის სულის მღელვარებაც და უკვდავებაცაა ჩაწნული. პოეტმა კარგად იცის, რომ იგი ქვეყნად მოცალეობისა და განცხრომისათვის არ მოუვლენია არსთგამრიგეს. შემოქმედი მუდამ ხალხშია, მუდამ საზოგადოე-

ბის დრტვინვასა და გულისთქმას აყურადებს. ქვეყნად ყველას აქვს დასვენების დღე, პოეტს კი არა:

„პოეტი ლექსის სტრიქონებს ებრძვის,
უხილავს, ფარულს, ჯერ დაუსტამბავს" (ლ. ასათიანი, 1986, 21).

ყველა ადამიანს, შემოქმედის გარდა, შეუძლია იგემოს ცხოვრების სიამე მაშინ, როცა ხალხი ისვენებს:

„პოეტი მარტო ფიქრობს და
იწვის ლექსის მშვენებით" (იქვე).

მხოლოდ პოეტმა უნდა შეძლოს სხვათა ტკივილი და გულისთქმა საკუთარ სულიერ ქურაში გადაადნოს და ასე ნასათუთევი და ნაფერები ისევ საზოგადოებას დაუბრუნოს ლექსად და სიმღერად:

„ნეტავი იმას, ვინაც მოშაქრა
ლექსის ჯიქანი და ხალხს აწოვა,
მაგრამ ვაი მას, ვინც ისე გაქრა,
რომ მცირე კვალიც კი არ დატოვა.
ნეტავი იმას, ვისაც ჰქონია,
კაცის შუბლი და კაცის სინდისი,
ვისაც მფარველად მუზა ჰყოლია,
უკვდავი იყოს სახელი მისი" (ლ. ასათიანი, 1986, 99).

მიუხედავად იმისა, რომ პოემა „კოლხიდა" ლ. ასათიანს თავად არ მიუსწონდა და გარკვეულ წილად განიცდიდა, რომ აღნიშნული მხატვრული ტექსტით სუსტი რითმებით და პოეტური სახეებით წარსდგა მკითხველის წინაშე, ჩვენ თამამად ვიტყოდით, თუნდაც ზემოთ წარმოდგენილი აზრისათვის შეიძლება მივანიჭოთ „კოლხიდას" შემოქმედებითი ღირებულება და კიდევ ნაწარმოებში გამოხატული მადლიერების გრძნობისათვის, რაც გადმოცემულია ტექსტში ჩართულ სხვაგვარ „იავნანაში", რომელსაც შვილი უმღერის გარდაცვლილ მშობელს:

„ნანა, ნანა, დია ნანა,

სულზე ტკბილო, ჩემო ნანა,
სიკვდილი მას, ვისაც შენი
გახარება დაენანა!
სიმღერებით გამომზარდე,
შემასწავლე ანა-ბანა.
– – – – – – – – –
მიყვებოდი ოქროს ზღაპრებს,
რომ დადგება ოქროს ხანა!
ნანა, ნანა, დია ნანა,
სულზე ტკბილო, ჩემო ნანა!"

ლადო ასათიანის ხანმოკლე სიცოცხლის წლებიდან ბევრ რაღაცას იგონებს მისი თანამედროვე და გულშემატკივარი ნ. აგიაშვილი პოეტისა და მისი მეგობრებისადმი მიძღვნილ წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად". ავტორი გვარწმუნებს, რომ ლადოს მგრძნობიარე სულს ერთ წუთსაც არ უარსებია ამ დალოცვილ მიწაზე პოეტური შთაგონებისა და ლექსის გარეშე. საგულისხმოა, რომ მკითხველი რითმის ჯახირს ვერ ითმენს, რომ „ლექსში ბულბულის ხმაზე რითმა და აზრი ჟღერენ ერთობლივ". იგი მზად იყო პოეტურ შთაგონებას მსხვერპლად შესწიროდა კიდეც:

„დამწვას, დამფერფლოს, რაღას უყურებს,
ნაპერწკალი ხომ დარჩება მაინც".

მხოლოდ ლექსით, სიყვარულითა და სილამაზით იყო მისი ყოფიერება გაჯერებული. მშვენიერებისადმი ტრფიალება და მისთვის არაჩვეულებრივი ძალმოსილებისა და ჟღერადობის მინიჭება იკითხება პოეტის მრავალ ლექსში. თვალს ვავლებთ ლადოს პოეზიას და გონებაში კალეიდოსკოპივით გაირბენს უკვდავი სტრიქონები:

„ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული

და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა!" (ლ. ასათიანი, 1986, 7).

დიახ, ლადო ასათიანი იმ თაობის შვილი იყო, რომელთაც გალაკტიონმა „ოქროს ბიჭები" უწოდა და, რომლებიც „დაავადებულნი" იყვნენ სიკეთის, სილამაზის, სათნოების უკმარისობით. იგი საქართველოს უკიდეგანო წიაღში მარადიული სიკეთისა და მშვენიერების ხმებს ეძებდა და პოულობდა, მარგალიტისებრ მძივებად ასხამდა და პოეზიის საგანძურში ლექსად და სიმღერად აქანდაკებდა.

„დავდივარ იმ ადგილებში, სადაც ნიკალას დაუდგამს ფეხი", – ჩაუნიშნავს უბის წიგნაკში. ფიროსმანის ნაკვალევს ადევნებული პოეტის გულისთქმა კარგა ხანია ქართველთა სანუკვარ ლექსად და სიმღერად იქცა. ის, რომ ნიკალა არაყს დალევდა და მთელ თბილისს დაგიხატავდა, ის, რომ პოეტის ლანდი დღესაც თბილისის ქუჩებში დახეტიალობს და დღესაც ლეგენდად და სიმღერად უბრუნდება თავის საყვარელ ქალაქს, თავისთავად მრავლისმთქმელია. შეუძლებელია, თბილისში ფიროსმანის ქუჩაზე მოხვდეს ადამიანი და ცნობიერებაში ლადოს სტრიქონებმა არ გაიელვოს:

„ყველა ხევსური და ყველა სვანი,
ქართველი ქალი თვალებმაყვალა,
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა.
მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა,
ცოცხალი არვინ არ მიიკარა,
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას!" (ლ. ასათიანი, 1986, 33).

არადა, თავის დროზე როგორ უპირისპირდებოდნენ ნიკალას სახის გაცოცხლებისათვის თანამედროვენი, როგორ მოითხოვდნენ საქართველოს ცასა და მიწაზე, მის არაჩვეულებრივ შემოქმედთა სახეებსა და სიცოცხლეზე ასე შეყვარებული პოეტისაგან მხოლოდ კომუნისტური იდეების ლექსად პროპაგანდას. რევაზ მარგიანისადმი გაგზავნილ წერილში გულნატკენი ლადო მიუთითებს: „ყოველი ჭეშმარიტი კულტურული პოეტი ისე უნდა წერდეს ლექსს, როგორც ნიკო ფიროსმანი წერს თავის სურათებს, თუმცა ფიროსმანი ნასწავლი მხატვარი არ იყო, მაგრამ ნიჭმა გადაწყვიტა ყველაფერი, ნიჭი ქმნის კულტურას. რა თქმა უნდა, უდიდესი ბედნიერებაა, როცა კულტურული პოეტიცა ხარ, ნიჭიერიც და ფიროსმანის სურათების გვარად უბრალო და ცოცხალ ლექსებს ქმნი... მე ვწერ და სხვანაირად რომ ვწერ, ამისი გამოცნობა ჭკვიანს არ გაუჭირდება... მე მართალი კაცი ვარ... ჩემი ლექსების თემა მუდამ საქართველოა, ცრუ პატრიოტიზმი ჩემი საქმე არ არის" (ლ. ასათიანი, 1986, 157). ეს სიტყვები „ვინმე კრიტიკოსის" საპასუხოდაა დაწერილი. ფიროსმანის ლანდსა და სამასი არაგველის ხსოვნას ადევნებული პოეტის სულისა და ლექსის გარდაქმნას რა ძალა შეძლებდა. თვით საშინელმა სენმაც კი ვერ მოდრიკა პოეტის ამაყი და შემოქმედებითი ცეცხლით ანთებული სული. სანთელივით იღვენთებოდა პოეტის სიცოცხლე და ლექსად მაინც საქართველოს, ქართველი ხალხის, ქართული ლექსის სიყვარულით თრთოდა და იტვიფრებოდა, აკი წერდა კიდეც, ჩემი ლექსების თემა მუდამ საქართველოა. დღემდე გაუხუნარია პოეტის სტრიქონები:

„ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია, რა კარგი,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, ნაირფერებით ნაქარგი.
ტკბილია, როგორც რუსთველი, ტკბილია, როგორც აკაკი,
ხალხი, შრომაში გართული, ამღერებული ფანდური,

იადონების გალობა და „იავნანა“ ქართული“

(ლ. ასათიანი, 1986, 12).

ლ. ასათიანის ლექსები ტრადიციული პოეტური სახეებით მეტყველებს. ამიტომ მათში განფენილი სულიერება ქართული ჰეროიკული სულის მარადიული გამოხატულებაა. ეს სული დღესაც ბობოქრობს, დღესაც ისმის მისი შთამბეჭდავი ომახიანი მოწოდება და ქართველთა საგმირო საქმეებისათვის მზაობაზე მიგვანიშნებს:

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს,
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!
– – – – – – – – – – – – – – – – –
დაუკარით და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს!
დაუკარით, რომ ჭაბუკნი დავრჩეთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!“

(ლ. ასათიანი, 1986, 6).

ლექსის უკანასკნელი ორი ტაეპი ლადოსა და მისი მეგობრებისათვის წინათგრძნობისეული აღმოჩნდა. რ. ჩხეიძის თქმით, „არაფის ეგონა, რომ ლადოს ეს სიტყვები ტრაგიკული წინასწარგანჭვრეტა აღმოჩნდებოდა მთელი იმ თაობისათვის, რომელიც ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ იყო შემოკრებილი... მათგან ღადოს უდიდესი მისია დაეკისრა, იგი თაობის ბედისწერის მესიტყვედ დარჩა“.

მაძლიშვილური გრძნობის განცდა, რომლის დედაძარღვი ვაჟკაცობის კულტია, ლ. ასათიანის პოეზიაში საქართველოს გმირულ წარსულს უკავშირდება და მისგან იღებს სათავეს. მ. ლებანიძის თქმით, „ლადოს პოეზიას ასაზრდოებს მშობელი ხალხის ეროვნული სულისკვეთება და გმირული წარსული. ეს

უკანასკნელი კი თითქმის ყველაფერს ჩრდილავს პოეტის არსებაში და თავგანწირული პატრიოტიზმით მსჭვალავს ჯერ პოეტს და მერე მის მკითხველს" (ლ. ასათიანი, 1986, 03). ქართველობისა და მამულიშვილური მოვალეობის გრძნობა თვალნათლივაა გაცხადებული შემდეგ სტრიქონებში:

„რა ვაჟკაცი ხარ და რა ქართველი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე,
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს" (ლ. ასათიანი, 1986, 45).

გნებავთ:

„ჩვენ ვაჟკაცობა თვალნათლივ მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს,
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს" (იქვე, 42).

ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებული აზრის მიხედვით, ყაყაჩოს სიმბოლიკა ლ. ასათიანმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ეს სიფრიფანა, ნაზი, შავწითელი ყვავილი, რომელიც „მინდვრებს, გორაკებს, ფერდობებს ეფინება და ედება" მართლაც გამორჩეულ მეტაფორულ სახედ დამკვიდრდა ჩვენს მწერლობაში. გ. ასათიანის მიხედვით, „ყაყაჩოს შუქი ჩვენს მიწა-წყალზე დაღვრილი მადლის, კდემამოსილებისა და მასთან ერთად რაინდული გზნების სიმბოლო იყო" (გ. ასათიანი, საუკუნის პოეტები, 1988, 439).

ლ. ასათიანის პოეზიაში ყაყაჩოს მეტაფორა უპირველესად თავად პოეტის ფაქიზი სულის გამოხატულება და მშვენიერების სიმბოლოა: „და სხვა დიდება ნუ გვინდა, ყაყაჩომ თუ მოგვანათა ლამაზი ქალის შუქითა." სილამაზესთან, მოკრძალებასა და კდემამოსილებასთან ასოცირდება ეს მხატვრული სახე ლექსში „ყაყაჩო", რომლის ადრესატი ქალი ეთერ სვანიძე თაკის მოგონებებში მიუთითებს, რომ ლადოსა და მის მეგობრებს,

რომლებიც ბევრი საკითხის ირგვლივ ცხარედ კამათობდნენ, ქალის მიმართ განსაკუთრებული მოკრძალებული, მგრძნობიარე დამოკიდებულება, თავიანთი რაინდული კოდექსი ჰქონდათ. აღნიშნულ ლექსში „ყაყაჩო" მკრთალ შემოხედვასა და ლიცლიცში ქალის სათუთ, მორცხვ და მგრძნობიარე ბუნებაზეა აქცენტი გადატანილი:

„წინათ აქ ჯარებს უხმობდნენ,
დაფდაფითა და ბუკითა,
ახლა ყაყაჩო შემომხვდა
ლამაზი ქალის შუქითა.
შემომხვდა, შემომანათა,
ჩინჩხლები შემომაყარა,
ალუჩა ტყემლის შემოსვლა
და გაზაფხული მახარა."

ის ლირიული განწყობილება, რაც ლექსით გვეუფლება, გვარწმუნებს, რომ მგრძნობიარე სული ქალის სილამაზით ყოველთვის აღფრთოვანებულია, იგი ისეთ ნიუანსებს ასახავს ლამაზი ქალის შემეცნებისას, რაც ესოდენ ნიშანდობლივი და შთამბეჭდავია. ლამაზი ქალის შუქით აღფრთოვანებული პოეტი კარგად გრძნობს ქალის განწყობილებას:

„უცხო კაცად რომ შემიცნო,
შერცხვა და თავი დახარა,
სიწითლემ გადაუარა,
ალბათ, იმაზე დაფიქრდა,
მოვეწონეო, თუ არა?!"

ლადო ასათიანი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთაც სწამდათ, რომ ამქვეყნად სიყვარულით ათრთოლებული გული ყველა სიკეთისა და მშვენიერების სათავეა. ამიტომაცაა მისი პოეზია სავსე სიყვარულით გაჯერებული სტრიქონებით. პოეტი საოცარი მეტაფორული სახეებითა და შედარებებით გვიმხელს

ქართული ცისა და მიწის სიყვარულს. შეუძლებელია მკითხველის სულზე ზეგავლენა არ მოახდინოს სტრიქონებმა:

„მე ქალის თმების სურნელის მსგავსად
ვეტრფი მოხნული მიწის ოხშივარს."

პოეტი გვარწმუნებს, რომ სიყვარული მისთვის ცხოვრების ანი და ჰოეა. ამ სიყვარულის გარეშე ქვეყნად საკუთარ თავსაც ვერ შეიგრძნობს კაცი და, თუ ამ სიყვარულითაა გაჯერებული მისი გულისთქმა, ლექსიც მდინარესავით მოედინება:

„ნუ გაფრინდები, ჩემო ოცნებავ,
ნუ გაგიტაცებს თრთოლვა ქალური,
მე შენთვის მინდა ეს საოცრება,
ეს სიჭაბუკე და სიყვარული".

პოეტმა იცის, რომ სიყვარული წარმავალია, მაგრამ ამ წარმავლობაშიც თავისებური სინაზეა. მიუხედავად იმისა, როგორ დასრულდება სიყვარული, ნამდვილი და ხასხასა გრძნობა მაინც შემორჩება პოეტის სულს:

„ვერ დაივიწყებ, ვინც გიყვარს,
შეყვარებული დარჩები."

პოეტი მთელი არსებით, გატაცებით უმღეროდა სიყვარულს, ქალის სილამაზეს. ეს სიმღერები ერში გადავიდა და გახმოვანდა:

„ჩემი ბავშვობის სახლთან
ვხვდებოდი ტურფა ასულს
და შენ მაგონებ ახლა,
იმ სილამაზეს წარსულს."

ლადოს სატრფიალო ლირიკიდან გამორჩეულია ლექსი „აღუბომიდან", სადაც ქალის თვალებით გატაცება მეტად მგრძნობიარედაა გამოხატული:

„რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს,
რამ დამავიწყოს ეს ალუბლები,

იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,
ამ სიყვარულზე ვესაუბრები".

ლ. ასათიანის არსებაში სიყვარული მართლაც ცეცხლივით ბორგავს. ყოველ ჟამს და ლექსშიც ეს ღელვა და განცდა გადმოაქვს, ყველას რომ სულს უთბობს და ამ მარადიული გრძნობის უზენაესობას შეაგრძნობინებს.

ლადო ასათიანის პოეტურ შთაგონებას უხვად ასაზრდოებს დაბადებიდანვე შესისხლხორცებული ქართული ფოლკლორი. შემოქმედი ხშირად შესაფერის პოეტურ და აზრობრივ კონტექსტში მოხდენილად იყენებს ზეპირსიტყვიერებას: სახე-სიმბოლოებს, მითოლოგიურ და ეპიკურ პერსონაჟებს, ანდაზებსა და აფორისტულ შეგონებებს, მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ხალხურ ინტონაციას, რითმებს, რიტმიკას...

მძიმე ავადმყოფ მგოსანს ბავშვობიდან საგზლად გამოყოლილი ამბების მთხზველ-შემსრულებლები ეზმანებოდა:

„როცა ცხელების ალმურში
გაგიჟებამდე მაბოდებს,
რასაც ტივებზე მღეროდნენ,
რასაც წისქვილში ამბობდნენ" (ლ. ასათიანი, 1986).

პოეტს განზრახული ჰქონია, რამდენიმე ხალხური ზღაპარი ლექსად გარდაეთქვა, რასაც ადასტურებს მისი უბის წიგნაკის ჩანაწერი: „უნდა დავწერო ზღაპრები ლექსად. როგორი იქნება გალექსილი „ასფურცელა" და „ირმისა", ორი საუკეთესო ქართული ზღაპარი". იმავე ჩანაწერში ლადო ქართული ხალხური სიმღერების პოლიფონიურ სირთულეზედაც მიუთითებს. „მშვენიერი ხალხური სიმღერები: „ფერად შინდი", „ვახტანგური", „შვიდკაცა", „წინწყარო", „ბროლის ყელსა" და სხვა მეტად ძნელად შესასრულებელი სიმღერებია". ალბათ, ამიტომაც ყოველთვის დიდი სიამოვნებით უსმენდა მათ და ეს სიმღერები მის მგრძნობიარე ბუნებას სხვაგვარი ემოციით მუხტავდა:

„უზარმაზარ ოდაში მუხის ცეცხლი ჩახჩახებს,
ძველი „მრავალჟამიერ" აღებს ყველა გასაღებს"
(ლ. ასათიანი, 1986, 79).

ან კიდევ:

„გაისმა უცებ „ლილე" ამაყი,
მთების ბუნების ჰიმნი სვანური" (იქვე, 40).

პოემაში მრავალფეროვან მასალას იყენებს პოეტი. კოლხეთის ტყის საოცრებანი, მითიური თუ ზღაპრული პერსონაჟები აქ რეალურ გმირებად წარმოჩინდებიან. ნაწარმოებში ყველაზე უფრო ნათლად სახალხო მგოსნის პორტრეტი დაგვიხატა პოეტმა. სწორედ ამ ადამიანებმა გამოატარეს ჩვენი ზეპირსიტყვიერება საუკუნეებს და ჩვენამდე მოიტანეს ერის წარსული:

„უეცრად ხალხის სიმღერამ
გააღო კარი ოდისა,
გზა დაუცალეთ, ოჯახში
ხალხის მგოსანი მოდისა.
გამოჩნდა ხელში ვარდებით
მოხუცი წელგამართული,
შვენოდა თეთრი ჭაღარა
და სატევარი ქართული.
ვარდებით მორთო ოთახი
და ააჟღერა ფანდური."

იქვე, კოლხიდის შემოგარენის ძველი და ახალი ამბების გადმოცემისას, განახლებული და აღორძინებული კუთხის დახასიათების დროს, პოეტი რამდენჯერმე რეფრენის დანიშნულებით ხალხური ზღაპრის პოეტურ ფორმულას იშველიებს:

„ალიართალი, ბალიართალი,
ჩემი ტყუილი, შენი მართალი."

ხალხური მხედრული სალაშქრო სიმღერის სულისკვეთებითა და ჰეროიზმის მძაფრი განცდითაა ნასაზრდოები ლ. ასათიანის

ლექსი-შედევრი „სალაღობო". ტექსტი ძალუმად ეხმიანება კრწანისის ბრძოლას, დრამატულად წარმოგვიდგენს ერეკლე მეფის თავგანწირულ ჭიმართებას და ომის ტრაგიკულ დასასრულს. ტაეპის „დაუკარით და იმღერეთ ისე მაგრად, ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი"... ადრესატია ცნობილი სახალხო მთქმელი, ერეკლე მეფის კარის მგოსანი მაჩაბელა საზანდარი, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად ბრძოლის ველზე სიმღერით ამხნევებდა მეომრებს და რომლებიც, ყველანი, იქვე დაიღუპნენ.

ლექსში პოეტი ჩაურთავს ხალხური საგმირო აფორისტიკის ორ შესანიშნავ ნიმუშს, რომელთაც არა ვარიაციული სახესხვაობით, არამედ პირდაპირ უცვლელად სვამს სტროფებს შორის:

„კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა,
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ეტანება სხვისას".

მეორე:

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისაო,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შევარდნისაო".

ლადოს ერთ ლექსს სათაურად „ხალხური" ჰქვია და ხალხის წიაღიდან გამოსული გმირი ქალის თამარ ვაშლოვანელის ხსოვნას ეძღვნება. ქალისა, რომლის ბიოგრაფიაც კი არ ვიცით, გარდა იმისა, რომ იგი ერეკლეს თანამედროვე და სოფელ ვაშლოვანის მკვიდრი გახლდათ. თამარი ყოფილა საუკეთესო მებრძოლი, მამაკაცებს არ უდებდა ტოლს და დაუღალავად მუსრავდა მტრის ურდოებს. პოეტის აზრით, მისი გმირობა მარადიულია, მისი ხმალი ახლაც ელვარებს და ქართველ მეომრებს მტერთა სარბევად მოუწოდებს:

„გაიფიქრებ და გაგიხარდება,
რომ მისი ხმალი ახლაც კაშკაშებს
და საქართველოს მტრების სარბევად
უხმობს უშიშარ ქართველ ვაჟკაცებს“.

პოეტი კდემამოსილებასთან ერთად ქალის ძლიერებას უსვამს ხაზს და ხალხური ანდაზის პერიფრაზირებითა და პოეტურ ფორმატში გადაყვანით საოცარ მხატვრულ ეფექტს აღწევს:

„ქალმა თუ ერთხელ ხელი გაშალა,
ქალმა თუ მისი არ დაიშალა,
ვერ დააკავებს ჯვარი ლაშარის,
ვერც ცხრა უღელი კამეჩის ძალა."

მართალია, მას უფრო მეტი სინაზე ჰქონდა, ვიდრე კამეჩის ძალ-ღონე, მაგრამ თათრების ურდო მაინც გათელა და „საქართველოს წყვდიად ღამეში გაჰკვესა, როგორც ციცინათელამ“.

ლადოს ლექსებში გვხვდება ტაეპები: „ეჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი“ და „ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე“. ესენი პერიფრაზირებაა ხალხური სტრიქონისა „ნეტავი, ახალგაზრდობავ, ცოტა ხანს მოგიყვანაო“.

ლადოს პოეტურ სულსა და თვალთახედვის არეს არ შორდებოდა ფიქრი მშობლიურ გარემოზე, ხშირად ენატრებოდა ლეჩხუმი, ბარდნალა და მისი შემოგარენი: „ისევ მომინდა ჩემი სოფელი, ხალხურ ლექსებით და საკრავებით“. ამგვარი მონატრების გრძნობითა და სინანულნარევი რომანტიკით აცოცხლებს პოეტი მშობლიური კუთხის ეთნოგრაფიულ კოლორიტს შემდეგ ლექსებში: „ლეჩხუმური შემოდგომის სურათები“, „ბარდნალა“, „ცაგერის ბაზრობა“, „ნამკაშურის წისქვილები“ „სარწყული“ და სხვა.

ქართველი გლეხკაცის სოციო-კულტურული რეალობის აშკარა გამოხატულება – სოფლის წისქვილის პატარა საკრალური სივრცე, ძველთაგანვე უდიდესი სულიერი მისიის მატარებელი,

სადაც ადამიანებს შეხვედრისა და ურთიერთობის საშუალება ჰქონდათ, პოეტისათვის მისტიკური იდუმალებითაა მოცული. აქ შეკრებილი თანასოფლელები არა მხოლოდ თავიანთ სატკივარ-საფიქრალს უზიარებდნენ ერთმანეთს, საქვეყნო ამბებსაც ჰყვებოდნენ და კოლექტიური ცნობიერების შედეგად შექმნილი მხატვრული ტექსტების იმპროვიზირებითაც იწონებდნენ თავს და გალექსება-გაპაექრებით ურთიერთდაჯაბნასაც ცდილობდნენ. ამ ტრადიციებზე გაზრდილ ლ. ასათიანს ხშირად ენატრებოდა მშობლიური ყოფითი გარემო, გულის სიღრმეში დაუნჯებული გუმარეშის მწვანე ჭალებში ჩადგმული წისქვილები და გული მათკენ მიუწევდა:

„თქვენს გაურინდავ ტახტზე გაზრდილი,
თქვენს სანახავად მოვეშურები."

პოეტს სურდა, კვლავ მოესმინა „ძველი ამბები და ზღაპრები ,ღარის წყალივით გადაგდებულნი". მის პოეტურ სულსა და თვალთახედვის არეს არ შორდება წარმოსახვა მითოსური ავსულებისა, რომლებიც, ხალხის თქმით, წისქვილის ღარქვეშ არიან დაბუდებულნი. პოეტი ცდილობს მათი ვიზუალური ხატის წარმოჩენას:

„თქვენი ქაჯები და ალქაჯები,
ია-იების თვალთა ბრიალით,
მთვარიანში რომ დაალაჯებენ,
ბროწეულისფერ თავსაფრიანნი".

მითოსური სიმბოლიკით, წისქვილის ქვის გაჩერება ბედის ბორბლის ტრიალის შეწყვეტის იდენტურია. წისქვილის მითოლოგემა და წინაპართა არქეტიპული სახეები ის მარადიული სქემაა, რომელსაც პოეტი თავისებურად გაიაზრებს, ამიტომ „სარეკელას კაკუნი" და წისქვილის „გამჭვარტლულ ჭერქვეშ შეკრებილ სახლიკაცთა გრგვინვა-გუგუნი" ცხოვრების მარადიულად მდინარე რიტმის უწყვეტი დასტური და წინაპრებთან

სულიერი ჰარმონიზაციის გამოხატულებაა, რაც, თავის მხრივ, პოეტის შთაგონებისა და ესთეტიკურ მისწრაფებათა სათავეა:

„თქვენ, ნისქვილებო, უნეტარესი,
შთაგონებების რომ ხართ სადგური,
თქვენ გუმარეშის მწვანე ჭალებში
ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული.“

ცნობილია ისიც, რომ ლ. ასათიანი ფუნაგორიებისა და ექსპრომტების საუკეთესო ოსტატი იყო. პროფ. მიხეილ ალავიძემ პოეტის აღნიშნული რეპერტუარი ზეპირად იცოდა და ხშირად დეკლამირებდა. საინტერესოა გ. თათეიშვილის უკვე ნახსენები მოგონება, რომელშიც ასეთი ეპიზოდია ჩართული: ერთხელ სოფელ ალპანაში ერთმანეთს შეხვედრიან ცაგერიდან მომავალი ლადო ასათიანი და რაჭიდან მომავალი, შემდეგში ცნობილი ლიტერატორი, სიმონ სხირტლაძე. ორივეს პურმარილი მოჰქონდა, რა თქმა უნდა, ღვინით სავსე ტიკჭორებიც, ერთს ოჯალეშით, მეორეს კი – ხვანჭკარით სავსე. მგზავრებს ერთგან შეუსვენებიათ, ლოდზე ჩამომსხდარან და საუბარი გაუბამთ. ლადოს პაპიროსი გაუბოლებია და ზეცისთვის აუხედავს. სიმონს უკითხავს, ლადო, ცას რას მისჩერებიხარ, რაზე ფიქრობო. ლადოს ერთხანს ხმა არ ამოუღია, მერე პაპიროსის ნამწვავი ნერვიულად მოუსროლია და თანმხლებისათვის მიუმართავს:

„დედიკუნას სიმონიკავ,
პირი მოხსენ ტიკჭორასა,
მოლზე სუფრა გამიშალე,
ამომივსე ღვინით ჭიქა“.

სიმონიკასაც არ დაუყოვნებია და ლექსადვე გაუცია პასუხი:

„შენც გაქვს, ძმაო, ტიკჭორა
და პურმარილი ლეჩხუმური,
დაფაცურდი, გამახარე,
მოიშორე ცხვირზე მური,

ან რიონში გადამაგდე,
ან მაჭამე ხაჭაპური".

ორივეს გასცინებია, მოუხსნიათ ტიკისათვის თავი და შესდგომიან პურობას. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაგრძელდებოდა მათი ლხინი.

სიმონ სხირტლაძე ლადოს მეორე ექსპრომტის ადრესატია. რუსთაველის პროსპექტზე, ერთი ჭადრის ძირში, ხშირად იკრიბებოდნენ პოეტები. სწორედ აქ გამოუთქვამს ლადოს:

„გალმართის და გამოლმართის,
ზემოთის და ქვემოთის,
პოეტები შეკრებილან,
სვიმონიკაც ქვე მოდის".

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, ბოროტმა სენმა სძლია და მიიტაცა ლ. ასათიანის ახალგაზრდობა და სიცოცხლე, მაგრამ სხეული კაცისა მოკვდავია. ის, რაც უკვდავი და ხელუყოფელია სენის, დროისა და ბოროტებისაგან, სულიერი სიცოცხლეა ადამიანისა. ასეთივე მარადიული და უკვდავია ლადოს პოეზია. თავად პოეტიც ხომ ნატრობდა:

„ნეტავი იმას, ვისი ჩონგურის
დღესაც გაისმის სიმების ჟღერა."

როგორც ვიცით, სულიერად ლექსის მწვერვალები დაიპყრო ჯერ კიდევ ჭაბუკმა შემოქმედმა, ჩვენი სულიერი სამშობლოს ციხე-დარბაზები გააფართოვა და მოავარაყა თავისი ხელოვნებითა და მშვენიერებით. უხვად გვისაგზლა მომავლის, სიყვარულისა და სიკეთის მარადისობის მითი და შთაგვაგონა, „რომ ლექსი არის კაცის და ქვეყნის გულისტკივილი".

ქეთევან დეკანოზიშვილი

პროფესორ მიხეილ ალავიძის საგაზეთო წერილები და საჟურნალო სტატიები პოეტ ლადო ასათიანის ცხოვრებისა და პოეზიის შესახებ

ლადო ასათიანი
(ბიოგრაფიულ-მემუარული ნარკვევი)

უფრო თავისუფლად ამოვისუნთქე ახლა, როცა ეს მოგონება აღვადგინე და უკანასკნელ სტრიქონს წერტილი დავუსვი. დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევდა გული, სიტყვა მეთქვა ლადო ასათიანზე, ვისთანაც სტუდენტობის დროიდან დაწყებული ათი წელი მაახლებდა.

ჩვენ მეგობრები ვიყავით და მე მახსოვს ზოგიერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც მკითხველს დააინტერესებს და პოეტის მღელვარე ცხოვრებას კიდევ მეტ ნათელს მოჰფენს. ჩემმა ამხანაგებმა იციან ეს და ბევრჯერ მითხრეს: ლადომ და შენ სტუდენტობა ერთად გაატარეთ (ერთ ჯგუფში სწავლობდით, ერთ ქუჩაზე ცხოვრობდით), ორივე ერთი კუთხიდან (ლეჩხუმიდან) ხართ და ლეჩხუმზე წერდით, შენ მას მესაიდუმლედაც მიაჩნდი, მოსაგონარი დაწერე, ლადოს თავგადასავალი გაგვაცანიო.

მოგონება, როცა ის უახლოეს ადამიანს ეხება, ნაწილობრივ ავტორის ბიოგრაფიულ მასალასაც შეიცავს, ამავე ხასიათისაა ეს ჩემი ნაამბობიც.

ლადო ადრე გამოგვაკლდა. სახსოვრად დამრჩა მხოლოდ მისგან მოძღვნილი პირველი წიგნი, წარწერით: „ძვირფას მეგობარს მიხეილ ნესტორის ძე ალავიძეს ძმური სიყვარულით. ლადო ასათიანი, თბილისი, 1941 წ. მაისი“. ჩემს ბიბლიოთეკაში ინახება ლადოსთან ერთად გადაღებული სამი ფოტოსურათიც.

ლადოს პორტრეტი საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ლ. გუდიაშვილმა მოხაზა მისთვის ჩვეული ოსტატობით, ბიუს-

ტი კი ახალგაზრდა მოქანდაკეებმა ვ. ონიანმა და გ. ოჩიაურმა გამოკვეთეს სხვადასხვა დროს.

ჩვენს ახალგაზრდობას უყვარს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე იმითაც, რომ ისინი ლადოს „სალაღობოს" სცენაზე შესანიშნავად კითხულობენ. „სალაღობოს" აგრეთვე წარმატებით მღერის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. შილდელი.

სპეციალურად ლადო ასათიანის შესახებ დღემდე დაბეჭდილია შემდეგი წერილები და მოგონებები: ნეკროლოგი (1943 წ., გაზ. „ლიტერატურული საქართველო", №15), ალ. საჯაია – ლადო ასათიანი (1944 წ., გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", №23), ს. ჩიქოვანი – ლადო ასათიანი (ლადოს წიგნის 1956 წლის გამოცემა), ვ. კიკნაძე – სიცოცხლის მომღერლები (1956 წ., გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", № 26), ი. ბოცვაძე – ლადო ასათიანი (1958 წ., გაზ. „სტალინელი", № 123), გ. ხუხაშვილი – ლადო ასათიანი (1958 წ., „ლიტერატურული გაზეთი", № 27), თ. კახიძე – ლადო ასათიანის მოსაგონებლად (1958 წ., გაზ. „ახალ. კომუნისტი", № 79), ლადო ასათიანი (1958 წ., რადიო და ტელეგადაცემათა პროგრამა „ლაპარაკობს თბილისი", № 25), ნ. ღვინეფაძე – მართლაც, რა კარგი იყო ბარდნალა! (1959 წ., გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", № 87), რ. ინანიშვილი – ლხინი კახელებთან (1959 წ., „ჟურნ. „ცისკარი", № 11), შ. აფხაიძე – პოეტის ლამაზი ცხოვრება (კრიტიკული წერილები, 1959 წ.), ნ. აგიაშვილი, ამ წიგნის დამწერი (ლადოს ლექსთა კრებულის 1959 წლის გამოცემა), ჭაბუკები დარჩნენ მარად (1960 წლის ჟურნ. „ცისკარი", ნომრები: 5-12, 1961 წ., 1-2); გ. კანკავა – „სამი პოეტი" (1960 წ., ჟურნ. „მნათობი", № 7), შ. ქურიძე– სიცოცხლისა და სიხარულის პოეტი (1960 წ., „ლიტერატურული აჭარა", № 4), მ. მამულაშვილი – ლადოს ექსპრომტები (1961 წ., გაზ.

„თბილისი“, № 5), ვ. ყურაშვილი – აი, როგორ სწამდათ მისი (1961 წ., გაზ. „სტალინელი“, № 102).

ლადოს ხსოვნას მიუძღვნეს ლექსები ჩვენმა პოეტებმა. ესენი არიან: ა. კალანდაძე, კ. ბობოხიძე, ი. ხოშტარია, ვ. ძნელაძე, მ. კაკიტელაშვილი, ლ. სულაბერიძე, მ. ასათიანი, გ. შატბერაშვილი, ა. შენგელია, გ. კალანდაძე, მ. ლებანიძე, მ. გველესიანი, ნ. გურეშიძე, მ. გელოვანი, გ. იმედაძე, შ. შაველაშვილი, ო. შალამბერიძე, ნ. გაბრიჩიძე, ვ. კოტეტიშვილი, ი. არაბული, რ. ამაშუკელი, ა. ბეგაშვილი, ა. ხაიაური, შ. მიქაშავიძე, ა. გელაშვილი, ო. ფირცხალავა, ფ. ჯანაშვილი, ჯ. ინჯია, შ. მგელაძე, ა. ჟორჟოლიანი, შ. ნიჟარაძე. ლადოსადმი მიძღვნილი ლექსების უმეტესობა გამოქვეყნებულია.

1936-1943 წლებში ლადოს ლექსებსა და პოემებს ბეჭდავდნენ შემდეგი გაზეთები და ჟურნალები: „სტალინელი“ (შემდგომ „ინდუსტრიული ქუთაისი“), „ლიტერატურული საქართველო“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ნორჩი ლენინელი“, „მნათობი“, „ჩვენი თაობა“, „პიონერი“, „ოქტომბრელი“. დღემდე, ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, ექვსჯერ (1940, 1944, 1947, 1956, 1958, 1959) გამოქვეყნდა ლადოს წიგნი. გ. ცაგარელმა და ნ. გრებნევმა რუსულ ენაზე თარგმნეს ლადოს ლექსები და პოემები, რომლებიც 1953 წელს ცალკე კრებულად გამოიცა შ. აფხაიძის წინასიტყვაობით.

1938-1940 წლების გაზეთებში („ნორჩი ლენინელი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ინდუსტრიული ქუთაისი“) დაიბეჭდა ლადოს შემდეგი თარგმანები: ვ. ბიანკის მოთხრობა „დათვი“, მ. ივენსენის ლექსი „სიმღერა მებრძოლ ცვლაზე“, ი. კუპალას ლექსი „პატარა მფრინავი“, ვ. მაიაკოვსკის ლექსი „სიმღერა – ელვა“, ტ. შევჩენკოს პოემა „კავკასია“ (პწკარედი თარგმანი ნ. აგიაშვილმა შეასრულა), ო. თუმანიანის ლექსი „ჩემი სიმღერა“ (პწკარედი თარგმანი მ. მამულაშვილმა შეასრულა), ლ. კვიტკოს

პოემა „იავნანა" (ეს ნაწარმოები ცალკეც გამოვიდა ი. გრიშაშვილის რედაქტორობით).

ნ. აგიაშვილმა ახლახან დასტამბა ლადოს მიერ თარგმნილი ინგლისელი პოეტის რობერტ სოუთის ლექსი „ლოდორის ჩანჩქერი".

ლადომ 1937 წელს ქართულ ენაზე გადმოთარგმნა ალ. პუშკინის მოთხრობა „ქარბუქი", რომელიც ლურჯყდიან რვეულში ჰქონდა გადათეთრებული. ლადოს თარგმანი არ გამოქვეყნებულა და მე არ ვიცი, ამჟამად სად ინახება ეს ხელნაწერი. ნ. აგიაშვილმა მაცნობა, რომ ლადოს დარჩა დაუბეჭდავი თარგმანები: ალ. პუშკინის მოთხრობა „სადგურის ზედამხედველი", ლექსები „გამოღვიძება", „ბოშები", „მე და შენ", დ. ბაბინ-სიბირსკის მოთხრობა „ემელია მონადირე", ს. ესენინის ერთ-ერთი ლექსი, ს. მიხალკოვის პოემა „ძია სტეფანე" და ვ. შკლოვსკის ერთ-ერთი მოთხრობის ნაწყვეტი.

1936 წლის გაზ. „სტალინელში" (№ 100), პრესის დღესთან დაკავშირებით, დაიბეჭდა ლადოს წერილი „ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო!" ლადომ 1938 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" (№287) მოათავსა მის მიერ აღმოჩენილი ნინო ორბელიანის უცნობი ლექსი და მას კომენტარი გაუკეთა.

ლადოს მიერ ნაპოვნი აკაკის ლექსი „ნატვრა" ახლახან დაიბეჭდა და მის ისტორიას გვთავაზობს ნ. აგიაშვილი. ნ. აგიაშვილი კერძო ბარათში შემდეგს მწერს: „ნატვრა", რომელსაც ზეპირად წარმოთქვამდა ლადო, მე ვნახე აკაკის ახლანდელი გამოცემის მესამე ტომში, მაგრამ იგი ლადოს ნაპოვნი ავტოგრაფიდან არ დაბეჭდილა. ალბათ, იყო კიდევ სხვაგან სადმე ჩაწერილი ის ლექსი და იქიდან გადაიღეს".

ლადოს აქვს ორი ნარკვევი („ორჯერ დაბადებული", „გმირი ქალი") 1936 წლის ჟურნალ „მშრომელ ქალში" (ნომრები: 1, 4). იგი 1938-1940 წლებში ფსევდონიმებით „ლ. ვარდოშვილი", „ლ.

– ანი" გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე აქვეყნებდა მხატვრულ ნარკვევებს („იმღერეთ, პატარებო, იმღერეთ!", „ზოოპარკში", „მაღაროელი კომკავშირელი", „შავბნელი წარსული", „წინათ და ახლა") და შესანიშნავ ადამიანთა (ეკ. გაბაშვილის, ვ. სკოტის, ნ. ფიროსმანიშვილის, ალ. რადიშჩევის, შ. მღვიმელის, ვ. სარაჯიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ა. აკოფიანის, ი. რეპინის, ჟ. ზანდის, ა. ბარბიუსის, ამუნდსენის, ვ. მაიაკოვსკის, პ. მოროზოვის, ვ. კუიბიშევის და სხვა მწერალმოღვაწეთა) ბიოგრაფიებს.

ლადოს ბობოქარი სული და უნაზესი გრძნობა ჰქონდა. ბედმა მას ყველა სიკეთე როდი უწყალობა. ბუნებამ მისთვის უბადლო ნიჭი არ დაიშურა და ხანგრძლივი სიცოცხლე არ გაიმეტა. ლადო წუთისოფლის იშვიათი სტუმარი იყო.

ქვლავაც ცხადად წარმომიდგება ტანმაღალი და გამხდარი ძმადნაფიცი ნათელი შუბლით და მეტყველი თვალებით, გულფიცხიც და გულთბილიც, ენაბრგვილიც და ენამახვილიც.

ჯიგონებ მახლობელს: პოეზიაზე შეყვარებულს, დედაენაზე ამღერებულს, სანთელივით ანთებულსა და გამქრალს.

ჯაჭკაცობაშიც შესული ლადო ბავშვივით სათუთი და მოსაფერებელი იყო. ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა დღემდე, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, სხვადასხვა დარგის მრავალათასი სპეციალისტი მოამზადა და გამოუშვა. ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა ფართოდ გაითქვა სახელი, მაგრამ მათ შორის ლადო ასათიანს ვერავინ შეედრება. იგი ხომ ნამდვილ სტიქიად მოევლინა ქართულ საბჭოთა პოეზიას. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ყოველთვის იამაყებს იმით, რომ მის კედლებში სწავლობდა და უმაღლესი განათლება მიიღო ლადო ასათიანმა.

ლადო ასათიანის დაბადების ზუსტი თარიღი გამოსარკვევი შეიქნა. ამ საკითხთან დაკავშირებით ქ. ქუთაისის ცენტრალურ

არქივში (ფონდი № 97, სტუდენტის პირადი საქმე № 917) აღმოჩნდა ორი სხვადასხვა დოკუმენტი: ანკეტაში ლადოს დაბადების დროდ აღნიშნულია 1915 წლის 14 იანვარი, ხოლო მეტრიკულ ამონაწერში კი – ამავე წლის 14 სექტემბერი. ეს უკანასკნელი საბუთი გაცემულია ცაგერის რაიონის მიერ 1934 წლის 1 ივლისს ქუთაისის მმაჩის ბიუროს მოწმობის საფუძველზე. ნეკროლოგში (1943 წ.) ლადოს დაბადების თარიღად გამოცხადებული იყო 1917 წ. და დაბადების ადგილად კი – ლეჩხუმი. 1917 წელს ასახელებს შ. აფხაიძეც. პოეტის მამამ, მოხუცმა პედაგოგმა მელქისედექ გუჯუს ძე ასათიანმა (ცხოვრობს სოფ. ბარდნალაში) ახლახან მომაწოდა შემდეგი ცნობა: „შვილი ჩემი ლადო, იგივე ვლადიმერ ასათიანი, დაბადებულია ქალაქ ქუთაისში ნამდვილად 1917 წლის 17 დეკემბერს ძველი სტილით (ახლით 30 დეკემბერს)".

ამავე თარიღს – 1917 წელს ემთხვევა ლადოს ნათქვამი: „თვრამეტ გაზაფხულს მოვესწარი" (ლექსიდან „ქუჩა პალმებში", 1936 წ.), „დღეს საბჭოთა პრესის ოცდამეოთხე გაზაფხულთან ჩემი ცხოვრების მეცხრამეტე გაზაფხულსაც ვზეიმობ" („წერილიდან „ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო", 1936 წ.) და ნ. აგიაშვილის ნავარაუდევი: „ლადო ოცდაექვს წელზე ცოტა მეტი ხნის გარდაიცვალა, ახლა კი 42 წლის იქნებოდა" (ლადოს წიგნის 1959 წლის გამოცემა).

ნ. აგიაშვილი ემყარება ლადოს სიტყვას და კერძოდ მითვლის: „დაბადების თარიღზე შენ რომ წერ, აუცილებლად ის უფრო მართალი იქნება, რადგან მექის ასე დაუდასტურებია, მაგრამ თვით ლადოს ხშირად უთქვამს ჩემთვის: 1917 წლის 14 იანვარს (ძვ. სტილით) დავბადებულვარ, მაინცდამაინც არც ერთ ნინოს არ ვიცნობ, ნინოობა დღეს რომ ვეწვიოო. იგი ამ თარიღს ძველი ბედ-იღბლის კალენდარს უკავშირებდა. მეც ჩემს მოგონებაში ამ 14 იანვარს აღვნიშნავ".

ქ. ქუთაისის მმაჩის ბიუროს არქივში ვიპოვე მეტრიკული მასალა. ლადო მოუნათლავთ ქუთაისის მთავარანგელოსის სახელობის ჯასაფლაოს ეკლესიაში. 1917 წლის საეკლესიო წიგნში შავი მელნით ჩაწერილია – ვლადიმერი, მისი მშობლები: თავადი მელქისედექ გუჯუს ძე ასათიანი და ლიდა ბათლომეს ასული ცქიტიშვილი-ასათიანისა. აქვე დასახელებული არიან ნათლიები: მოქალაქე სერგო ტოტიას ძე მახარაძე და მეუღლე თავად ნიკოლოზ ჩიქოვანისა – ქრისტინე კაციას ასული, მღვდელი ნიკოლოზ მუსერიძე და მედავითნე პარმენ ლომიძე.

დაბადების გრაფაში წელი არ ჩაუწერიათ, აღნიშნულია მხოლოდ 1 იანვარი, მონათვლის გრაფაში კი – 16 იანვარი. დაბადების თარიღი შემდეგ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეუცვლიათ – გადასწორებულია ცისფერი მელნით ასე: „1915 წ., 14 სექტემბერი".

ჩვენ უნდა ვერწმუნოთ საეკლესიო წიგნში დაცულ პირველ ჩანაწერს. შესწორება შემდეგ, ალბათ, მოხდა ყალბი მოწმობისათვის, რომელიც გაუციათ და წარდგენილია პედაგოგიურ ინსტიტუტში (სტუდენტ ვლადიმერ ასათიანის პირად საქმეში ინახება). წესისამებრ, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან 18 წელზე მეტი ასაკის მოქალაქენი. ასეთი საბუთი კი ლადოს უეჭველად დასჭირდებოდა 1934 წელს (მაშინ ის ხომ 17 წლის იყო), როცა პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიტანა განცხადება.

ნაბეჭდი წყაროებით, ლადოს დაბადების თარიღად ცნობილი იყო 1917 წ., რაც სწორია და რისთვისაც საწინააღმდეგო უცნობ დოკუმენტებს იმიტომ ვაქვეყნებ, რომ მომავალში ვინმე მკვლევარი, რომელიც ამ საარქივო მასალებს მონახავს, შესაძლებელია შეცდეს და ამტკიცოს: ლადო 1915 წელს დაბადებულა, ქუთაისის ცენტრალური არქივი და მმაჩის ბიურო მხოლოდ ამ ცნობას ადასტურებენო.

როგორც ჩანს, მამა-შვილის ჩვენებათაგან სინამდვილესთან ახლოსაა ლადოს ცნობა; ამრიგად, ლადო მონათლულია ქუთაისის მთავარანგელოსის ეკლესიაში 1917 წლის 16 იანვარს ძველი სტილით (ახლით 29 იანვარს).

ლადოს ბიძის – შალვა გუჯუს ძე ასათიანის ცნობით, ლადო დაბადებულია ახლანდელ წულუკიძის ქუჩაზე (№58).

ლადომ 1934 წელს წარჩინებით დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და ჩაერიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1934 წელსვე ლადო გადავიდა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე (ქართული სექცია), რომელიც დაასრულა 1938 წელს. ლადოს ჩაბარებული აქვს ყველა სავალდებულო საგანი, გარდა სახელმწიფო გამოცდებისა.

ჩვენ ერთ ჯგუფში (№ 33) ვიყავით. ამ ჯგუფში სწავლობდნენ აწ მეცნიერებათა კანდიდატები: ლ. კიკნაძე, გ. შალამბერიძე, ნ. დუმბაძე, ა. მიშველაძე და ჟურნალისტ-კრიტიკოსი შ. ქურიძე. ლადო ლექციებს სისტემატურად ესწრებოდა და ყურადღებით ისმენდა. ზოგჯერ ავადმყოფობდა მალარიით. უცებ აათრთოლებდა და ლექციასაც ტოვებდა. ინსტიტუტში ლადო ყველას ნიჭიერ შემოქმედად მიაჩნდა.

ლექციებს გვიკითხავდნენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები. ლექტორებს დავასახელებ იმ წოდებათა მიხედვით, რომლებიც მათ ამჟამად აქვთ. ჩვენ გვასწავლიდნენ აკადემიკოსები: კ. კეკელიძე, ვ. თოფურია, გ. ჯიბლაძე, ა. ბოჭორიშვილი, ალ. ბარამიძე; პროფესორები: ს. ყაუხჩიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, მ. ზანდუკელი, მ. გოგიბერიძე, რ. ნათაძე, გ. როგავა. გ. ხავთასი, გ. ბაქრაძე, ს. კაკაბაძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ა. ჩხეიძე, ე. ბურჭულაძე, ალ. ფირცხალაიშვილი, კ. მეძველია; დოცენტები: შ. ძიძიგური, შ. სიხარულიძე, ლ. ციხისთავი, ქს. კვანტრე, გ. ჩაჩანიძე, მ. მენაბდე; უფროსი მასწავლებლები: დ. ჩხეიძე

(დია ჩიანელი), თ. ჭუმბურიძე, ტრ. ჯაფარიძე, მ. აბრამიშვილი, ა. ბრეგვაძე.

ინსტიტუტში მოწვეული იყვნენ აკადემიკოსები: ა. შანიძე, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ნ. ბერძენიშვილი და პროფესორი ს. დანელია. ჩვენ ვესწრებოდით მათს საჯარო მოხსენებებს და აგრეთვე ლექციებსაც, რომლებსაც ისინი სხვადასხვა კურსზე კითხულობდნენ.

ლადო ბევრს მუშაობდა. იგი წიგნებსა და გაზეთებს ყოველდღე იღლიით ატარებდა. ლექსებიდანაც ნათლად ჩანს, ლადოს ფართო განათლება ჰქონდა მიღებული და ჰუმანიტარული დისციპლინებისადმი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა.

ლადო თავდაპირველად სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში იმყოფებოდა, შემდეგ – ყაზბეგის ქუჩაზე (გორაზე) მინადირა ლორთქიფანიძის სახლში (ამჟამად პ. ჩანჩიბაძის ქ. II ჩიხი, № 4), უკანასკნელად კი იდგა ბიძასთან – შალვა გუჯუს ძე ასათიანთან (ჯაფარიძის ქუჩა № 65).

ლადო კარგად გრძნობდა თავს, მაგრამ ბოლოს მოიწყინა. წუხდა, რომ სტუდენტობის წლები თავდებოდა.

1938 წლის ზაფხულზე ლადო სამუშაოდ გადავიდა თბილისში და ბას შემდეგ ქუთაისში არ ჩამოსულა.

ლადო გარდაიცვალა თბილისში 1943 წლის 23 ივნისს და დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ლადო ასათიანი მეორედაც დაიბადა – მისი პოეტური აკვანიც ქუთაისში დაირწა. პოეტიც ამბობს: „მე აქ დავწერე ლექსი პირველიო".

ლადოს დამოკიდებულებას ქუთაისელ ჟურნალისტებსა და მწერლებთან ვრცლად ეხება ნ. აგიაშვილი. იგი ბევრ უცნობ და საინტერესო ფაქტს იგონებს.

ლადო დაახლოებული იყო გაზეთ „სტალინელის" რედაქცი-

ასთან. „სტალინელის“ წამყვანი მუშაკები გ. ჯიბლაძე, ნ. აგიაშვილი და პ. ბახტურიძე მასზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ.

1936 წელს „სტალინელში“ (№45) პირველად გამოქვეყნდა ლადოს ლექსი „თებერვლის დილა“. შემდეგ ამ გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა ლადოს ნაწარმოებები. 1936-1937 წლებში „სტალინელმა“ ჩვიდმეტ ნომერში ლადოს 23 ლექსი მოათავსა. გაზეთს სხვადასხვა დროს ხელს აწერდნენ რედაქტორები: პ. შელეგია და შ. მთვრალაშვილი. მაშინ ქუთაისში ლიტერატურული გაზეთი არ გამოდიოდა და ლადო მხოლოდ „სტალინელში“ თანამშრომლობდა. სტუდენტობის პერიოდში ლადო უკვე ცნობილი ახალგაზრდა პოეტი იყო.

ლადო დიდხანს ფიქრობდა არჩეულ თემაზე. ლექსს ერთბაშად წერდა, მაგრამ ამუშავებდა: შეავსებდა, შეასწორებდა, ცვლიდა, ნაკითხავდა, რამდენჯერმე გადაათეთრებდა. საგაზეთო სასწრაფო მასალის (რაიმე თარიღისადმი ან მომენტისადმი მიძღვნილი ლექსის) შექმნაც ეხერხებოდა. დიდად ემადლიერებოდა რედაქციას, სადაც უმისოდ დედანში ცვლილებები არავის შეჰქონდა. ლექსის ბეჭდვა იტაცებდა და ასულდგმულებდა.

„პირველად გაზეთ „სტალინელის“ ფურცლებზე ვიგრძენი დაბეჭდილი სტრიქონების ეშხი“, – წერს ლადო.

ლადო ჩაება მწერალთა კავშირის მასობრივ საქმიანობაში. იგი ლიტერატურულ საღამოებზე ხშირად გამოდიოდა ლექსის კითხვით. 1936 წელს „სტალინელში“ (№ 268) დაბეჭდილია შემდეგი ქრონიკა: „მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებასთან დაარსდა ფოლკლორის სექცია, რომლის მუშაობის მიზანს წარმოადგენს ხალხური შემოქმედებითი ნიმუშების (ლექსების, ანდაზების, არაკების, ზღაპრების, გამოცანების) შეკრება. სექციაში შედიან: დ. თომაშვილი, მ. ალავიძე, ლ. ასათიანი. სექცია უკვე შეუდგა მუშაობას“.

1936-1937 წლებში ქუთაისშიც ზეიმით აღინიშნა ალ. პუშკინისა და ილია ჭავჭავაძის იუბილეები. ლადომ ამ დროისათვის დაწერა „პუშკინი ჩემთან“, „ილიასადმი“ და „ეძახის“. „პუშკინი ჩემთან“ მან წაიკითხა საიუბილეო საღამოებზე სახელმწიფო თეატრში, პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ფაბრიკა „მკერავში“, ხოლო „ილიასადმი“ კი – პედაგოგიურ ინსტიტუტში, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, მაუდის ფაბრიკასა და სოფ. ოფურჩხეთში. ლადოსთან ერთად მეც ვმონაწილეობდი აღნიშნულ საღაოებში. ჩვენ ერთად გამოვდიოდით.

ლადო მიუახლოვდებოდა კათედრას, ლექსის ხელნაწერს ამოიღებდა უბიდან, წინ დაიდებდა, ხანდახან ზოგიერთ სტრიქონს თვალს მოჰკრავდა და ღექსს ზეპირად ამბობდა. კითხვის დროს ყელს მოიღერებდა და თითქმის მღეროდა. როცა ილიასადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა, მითხრა: სტრიქონში „თუ ეს სიმღერა გულს გწვავს და გთუთქავს“ უკანასკნელი სიტყვები „გულს გწვავს და გთუთქავს“ ნელა მინდა ვთქვა, მაგრამ ვერ ვამბობ კარგად – ვჩქარობ და ენა მებმებაო.

საიუბილეო საღამოებზე სახელმწიფო თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში ალ. პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. დანელია, ხოლო ილია ჭავჭავაძის შესახებ კი – ვ. კოტეტიშვილი.

პუშკინის საღამოზე (1937 წლის 26 თებერვალს) ინსტიტუტის სააქტო დარბაზის (ახლა აქ ფიზიკის ლაბორატორიაა) შესავალში ვიდექით ლადო და მე. შიგ ისეთი სიჩუმე იყო, რომ დერეფანშიც გარკვევით ისმოდა ს. დანელიას სიტყვა. ლადო დროდადრო შემომხედავდა და თავს დააქნევდა იმ დასკვნაზე, რომელსაც მომხსენებელი აკეთებდა. ჩვენ ს. დანელია მაშინ პირველად ვნახეთ.

ინსტიტუტში გამართულ ილიას საღამოზე (1937 წლის 2 ივნისს) ვ. კოტეტიშვილს შეუმჩნეველი არ დარჩენია ხალასი

ნიჭი. მან კმაყოფილება გამოთქვა და ლადოს მოსთხოვა ლექსი. ლადომ ვ. კოტეტიშვილს უსახსოვრა „სტალინელიდან" ამოჭრილი „საგურამოში ხე არის ერთი".

ვ. კოტეტიშვილი ტკბილმოსაგონარია ყველასათვის. მის ლექციაზე უზარმაზარი აუდიტორია აივსებოდა სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებით, კარი ღია იყო. მსმენელთა ნაწილი ფეხზე იდგა. კათედრამდის მხოლოდ ლექტორისათვის მისასვლელი გზა რჩებოდა.

ჰაერში ვაჟკაცური ხმა დაირხეოდა. ვ. კოტეტიშვილი ოქროპირობდა. ზოგჯერ შიგადაშიგ სიმღერასაც წამოიწყებდა და შეწყვეტდა.

ლადოს ხიბლავდა ვ. კოტეტიშვილის სიტყვაც და ნაწარმოებიც. წიგნიდან „ხალხური პოეზია", რომელიც ვ. კოტეტიშვილმა ქუთაისში გამოსცა, ბევრი მარგალიტი ლადომ ზეპირად იცოდა.

ლადოს მოსმენილი ჰქონდა ვ. კოტეტიშვილის საჯარო მოხსენებებიც: „ალ. პუშკინის პოეტიკა" და „ხალხური ვეფხისტყაოსნის გენეზისი".

ლადო ხშირად ესწრებოდა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის სხდომებს. ეს წრე გამოირჩეოდა მთელ ინსტიტუტში. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ენათმეცნიერები: გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, გ. როგავა, შ. ძიძიგური, ს. ჟღენტი.

ლადოს ბევრჯერ უთქვამს: ქართული ენა მე შემასწავლა ვ. თოფურიამ. ოთხი წლის განმავლობაში ვისმენდი მის ლექციებს და, თუ რამე სწორად დამიწერია, ამაში მე ვ. თოფურიას უნდა ვუმადლოდე. ვარლამი ყოველთვის გვანათებდა და გვანათლებდაო.

ლადო ვ. თოფურიას აფასებდა, როგორც შეუდარებელ პედაგოგსა და თავდადებულ მოღვაწეს.

ლადო ნათლად ხედავდა, რომ ვ. თოფურია ახლო იცნობდა თავის მსმენელებს, რომლებსაც დედაენის სიყვარულს უნერგავდა, მეტყველებისა და წერის კულტურას უმაღლებდა. გამოავლენდა ნიჭიერ სტუდენტს, ვისაც კვლევა-ძიების ინტერესს აღუძრავდა და მასზე წიადაგ მზრუნველობდა.

ვ. თოფურია თვალ-ყურს ადევნებდა ლადოს ნაწერებს. მას არ გამოეპარებოდა „სტალინელში" დაბეჭდილი ლადოს ლექსი, რომელსაც აუცილებლად გულდასმით წაიკითხავდა და ავტორს შენიშვნებსა და რჩევა-დარიგებას მისცემდა.

პირველ კურსზე ვიყავით. გ. ახვლედიანმა, რომელიც ზოგად ენათმეცნიერებას გვასწავლიდა, ლექციის დროს გააფრთხილა ლადო. ლადომ შენიშვნა არ მიიღო. წესიერად ვზივარ და ვისმენო. გიორგიმ, როცა მისი გვარი გამოიკითხა, ლმობიერად ჩაილაპარაკა: ვერ ყოფილხარ კაი ასათიანიო.

გავიდა ხანი. ლადოს ლექსები იბეჭდებოდა „სტალინელის" ფურცლებზე. ერთხელ ინსტიტუტის დერეფანში ჩვენ შევხვდით გ. ახვლედიანს და ვესაუბრეთ. გიორგიმ მოფერებით მიმართა ლადოს: შენ, თურმე, კაი ასათიანი ყოფილხარო. მე შენს ლექსებს ვკითხულობ და მომწონს, მერე ორივეს გვითხრა: თქვენ უნდა ასაბელოთ ლეჩხუმი, უნდა დაამტკიცოთ, რომ ვახუშტი ცდება ლეჩხუმელის შეფასებაშიო.

„კაი ასათიანის" მნიშვნელობა შემდეგ შევიტყვე. ლეჩხუმში ასათიანის გვარის კაცს ზოგან თავადის წოდება ჰქონდა, ზოგან – აზნაურისა და ზოგან კი – გლეხისა. ხალხური გამოთქმა „კაი ასათიანი" თავად ასათიანს გულისხმობდა. გ. ახვლედიანის დედა ევგრასტი თავად ასათიანის ასული იყო.

ლადომ მთხოვა ჩამეწერა ტრ. ჯაფარიძის მახვილსიტყვაობანი. მე მხოლოდ ორ ნაკვესს გავიხსენებ.

ტრიფონი ცნობილი მოღვაწე იყო. მას მუზეუმიც ებარა და ინსტიტუტშიც მუშაობდა. როგორც ფართოდ განსწავლულმა

ინტელიგენტმა, იცოდა ისტორია, ლიტერატურა, ფოლკლორი, პედაგოგიკა და ენები. მოსწრებული სიტყვა უყვარდა. ტრიფონი საშუალო ტანის ჩასუქებული კაცი იყო, მაგრამ სწრაფად მოძრაობდა და მგზნებარე ტემპერამენტი ჰქონდა. ლექციის დროს გატაცებით მეტყველებდა. მისი თვალებიც, პირისახეც და მთელი სხეულიც იზიდავდნენ მსმენელს. ყოველნაირ შეკითხვას მიიღებდა და უპასუხებდა. ტრიფონი პალეოგრაფიას გვასწავლიდა. ერთმა სტუდენტმა ჰკითხა მას: რა არისო რეალიზმი, სიმბოლიზმი და ფუტურიზმი. ამ სტუდენტმა იფიქრა: ლექტორი ამ საკითხზე ბევრს ილაპარაკებს და პალეოგრაფიაში მუშაობა აღარ გვექნებაო.

ტრიფონმა მოკლე, ვულგარული, მაგრამ სწორი პასუხი გასცა შეკითხვას. მან თქვა: რეალიზმია მაშინ, როცა მწერალმა იცის, რას წერს და მკითხველმაც იცის, რას კითხულობს; სიმბოლიზმია მაშინ, როცა მწერალმა იცის, რას წერს, მაგრამ მკითხველმა არ იცის, რას კითხულობს; ფუტურიზმია მაშინ, როცა მწერალმა არ იცის, რას წერს და არც მკითხველმა იცის, რას კითხულობს.

მე არ მეგულვება ჩემი ჯგუფის არც ერთი სტუდენტი, რომელსაც ეს ნათქვამი არ ახსოვდეს.

ტრიფონს ლექციაზე გაუთამამდნენ და სთხოვეს: სიყვარულის ახსნა გვასწავლეო. ტრიფონმა თქვა: ისეთი სიყვარული რად მინდა, რომელსაც ახსნა დასჭირდებაო.

ეს მოსწრებული სიტყვა შემდეგს გულისხმობს: წმინდა სიყვარულს ახსნა (დამტკიცება) არ ესაჭიროება. იგი თავისთავად მეტყველებს – სიყვარული ადამიანის მოქმედებაში გამოიხატება.

კ. მეძველია 1937 წელს სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა და საკანდიდატო დისერტაციას ამზადებდა თბილისის უნივერსიტეტში წარსადგენად. რადგან ოფიციალური ოპონენტები კ. კეკელიძე და მ. ზანდუკელი ქუთაისში ჩამოდიოდნენ და

პედაგოგიური ინსტიტუტის საბჭო პროფესორებისაგან შედგებოდა, მისი შრომის დაცვა ქუთაისში მოეწყო. კ. მეძველია წინათ „ნესტორაშვილის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა წერილებს. ლადომ ლექსად გამოთქვა შრომისაგან დაღლა ავტორისა. დისერტანტი ამბობს:

ჯერეთ პოეტი ვიყავი,
გამტეხა ლექსის წერამა,
მერე მკვლევარად მაქცია,
ცხოვრების ბედისწერამა.
არქივში ვზივარ და ვჩიჩქნი,
რა თქვა რომელმა მწერალმა,
დამქანცა, დამაუძლურა
ეტრატებისა ცქერამა.
დისერტაცია დაიცვა
ნესტორაშვილმან კოსტამან.

ლადო თავის გულისთქმას ლექსად გამოხატავდა. იგი, როგორც სტუდენტი, წერითს სამუშაოს (ლექციის კონსპექტი, საშინაო დავალება) იშვიათად ასრულებდა. საჯარო მოხსენება (რეცერატი) ან სიტყვა რომელიმე საკითხზე ლადოს სადმე არ წაუკითხავს.

1935-1938 წლებში ქუთაისში მუდმივი დრამატული დასი არ არსებობდა და გასტროლებს ატარებდნენ სხვა ქალაქების თეატრები და მსახიობთა ჯგუფები.

ლადო 1935 წელს პირველად გაეცნო ნინო ჩხეიძესა და ს. ზაქარიაძეს, რომლებიც კ. კალაძის „ხატიჯეში“ თამაშობდნენ. ამავე წელს ლადომ ნახა ჭიათურის თეატრის სპექტაკლი „ოტელო“ ალ. იმედაშვილის მონაწილეობით.

ლადო პირადად იცნობდა ქუთაისის მკვიდრს იუზა ზარდალიშვილს. იუზა იმ ხანებშიც ჰამლეტისა და ფრანც მოორის როლებს ასრულებდა.

ლადოს მოუსმენია უშანგი ჩხეიძის მიერ წაკითხული მონოლოგი „ურიელ აკოსტადან", ნაწყვეტი უიარაღოს „მამლუქიდან" და ვაჟა-ფშაველას „ბაკური".

ლადოს და მე ხშირად მოგვისმენია დომენტი თომაშვილის ტკბილი საუბარი. დომენტი სოფ. ჭოლევიდან იყო და ოკრიბას კარგად იცნობდა. ერთხელ მან გვითხრა: ოკრიბელისა და ხვლიკის არაკი, ალბათ, გაგიგონიათ, სინამდვილეა. მასში აქაური გლეხკაცის სიღარიბე იგულისხმება. ოკრიბაში მწირია მიწა და გლეხს უჭირს ცხოვრება. სხვები დასცინიან ოკრიბელებს. მათი გაგებით, „ოკრიბელი" საცოდავს, გლახაკს ნიშნავს. ზოგს ეს სახელი ეთაკილებაო.

მაშინ ლადომ თქვა: მე რომ ოკრიბელი ვიყო, არა თუ შერცხვება, არამედ ვიამაყებ კიდეც. ვიტყვი: იცოდეთ, მე ოკრიბელი ვარ და მდიდარი. ოკრიბაშია გელათი და გელათში დავით აღმაშენებელს სძინავს, თამარ მეფეც გელათში დაუკრძალავთ. ყველა კუთხიდან მოჰყავდათ სნეულები მოწამეთაში და დავით და კონსტანტინეს ავედრებდნენ. სოლომონ პირველმა ხრესილის ომში ამოწყვიტა თათრები და იხსნა ამეფო. ქვანახშირიც აქაა და ჩაიც. ვინც ეს იცის, მას „ოკრიბაც" შეუყვარდება. მერე და რა პოეტური სიტყვაა! მეგრელს დაურქმევია. „კირიბი" ნეგრულად ბატკანია, „ოკრიბა" საბატკნე ადგილს ანუ საძოვარს ეწოდება.

გელათი პირველად ტრ. ჯაფარიძემ დაგვათვალიერებინა სტუდენტთა ჯგუფს და მასზე ლექსიც წაგვიკითხა. ლადო წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღივსო. ერთსანს განცალკევდა და ფიქრს მიეცა.

ლადოს უთქვამს ჩემთვის: გორაზე ამოვედი და ძველ ქუთაისშიც გადმოვსახლდი. თეთრამიწაზე ქვის ხანაშიც უცხოვრია ადამიანს. ბაგრატის ტაძართან ვბინადრობ და გელათსა და ხვამლს ვხედავ. ბაგრატის ტაძრის ახლომახლო მიდამოებს

(ქუჩებს) – ე. წ. „არქიელის გორას“ საქართველოს მთების ბუმბერაზ შვილთა ვაჟა – ფშაველასა და ალ. ყაზბეგის სახელებიც ამშვენებენო.

საღამოჟამს ბაგრატის ტაძრის ეზოში დავსხდებოდით. აქ პეტრე ჭაბუკიანი მოგვითხრობდა უცნობ ამბებს. ლადო პეტრეს ადიდებდა. იგი პეტრეს „ბრძენ და უკვდავ მკვლევარს“ უწოდებდა. პეტრეს შთამაგონებელი სიტყვა მომენატრაო, – გაიხსენებდა ხანდახან.

ფანტაზია არ ჰყოფნის მნახველს, წარმოიდგინოს, თუ როგორი გრანდიოზული შენობა იქნებოდა ბაგრატის ტაძარი. ტაძრის ნანგრევებისაგან აგებულია მისივე ეზოს გალავანი, მახლობლად მდებარე სახლები და სკოლა, რომელიც წინათ სასულიერო სემინარია იყო. ტაძარი განუძარცვავს მოსახლეობას. აშკარად ეტყობა, რომ ადამიანს კედლიდან ხელით გამოუცლია და საშენ მასალად წაუღია უზარმაზარი ლოდები.

ლადო ამბობდა: მტერმა რომ დააქცია აქაურობა, ეს არ მიკვირს. მე გული მომდის შინაურებზე, ვინც ნაშთსაც აღარ ტოვებდნენ. ალბათ, ძალა არ შესწევდათ, თორემ მოიტაცებდნენ ჩრდილოეთის კედლის ქვასაც, რომელსაც ტაძრის აშენების თარიღი აზის. ჩანს, ძეგლი სრულიად უპატრონოდ იყო მიტოვებული, გაბრიელ ეპისკოპოსიც არ იცავდა მას.

ლადო ყოველთვის თვალს მიაპყრობდა დასავლეთის კედლის კარნიზს ჩრდილოეთის კუთხეში. აი, ეს ერთადერთი ქვა დარჩენილა ჩვენს მაცნედ – გვეუბნება: კედლის სიმაღლე აქ თავდებაო.

ლექსში „საახალწლო“ პოეტი შეჰხარის ჭირნახულ, ხნიერ და აღორძინებულ ქუთაისს, რომელიც „რიონის პირას შფოთავს“ და სადაც „მხოლოდ ბაგრატის ტაძრის ნანგრევნი გარინდებულან მკვდრულ მყუდროებით“.

სათაფლიას აღტაცებაში მოჰყავდა ლადო. აქ მიღებული შთაბეჭდილება პოეტს ერთ-ერთი შედარებისათვის გამოუყენებია. პოემა „კოლხიდის" შესავალში ვკითხულობთ: „და რომლის კვალიც მიწას აჩნია, ვით ნაფეხური დინოზავრების".

ლადოს აზრით, ქუთაისში პანთეონისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილია ე. წ. წმინდა გიორგის ეკლესიის ეზო, რომელიც ქალაქს თავზე დაჰყურებს. ეს არის ქუთაისის მთაწმინდა. მოცვაწენი აქ უნდა დაკრძალონ. მე ვინატრებ, ამ მიწას მიმაბარონ და ეპიტაფიად მქონდეს ჩემი ლექსი:

„ხშირად მღეროდა ბესიკის ხმაზე,
გმობდა, კიცხავდა ოხერ-ტიალებს,
იყო, ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე,
პოეტი ვინმე მოხეტიალე."

ეს სტროფი ლადოს არ დაუბეჭდავს და მხოლოდ ჩემს მეხსიერებას შერჩა. პოეტს რითმა „ტიალებს – მოხეტიალე" გამოყენებული აქვს ლექსში „პუშკინი ჩემთან".

ლადოს უთქვამს: რაჭველ-ლეჩხუმელთათვის ქუთაისში გორა ყველაზე უფრო მისადგომია საცხოვრებლად და რაჭა-ლეჩხუმთან დასაკავშირებლად. მეც მთის შვილი ვარ და მიყვარს ეს აღმართი. მთა და ბარს ვასწორებ. დღეში ორჯერ ავდივარ და არ ვიღლები. კიბეს 191 საფეხური აქვს. მისი დათვლაც ადვილი არაა. თვლის დროს გზაზე შეგხვდება ნაცნობი, მიესალმები ან გამოელაპარაკები და თვლაც აგერევა.

მე ვიცნობ ლადოს ექვს ფოტოსურათს. აქ წარმოვადგენ მათს აღწერილობას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ქ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში მოიპოვება ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კურსდამთავრებულის ვლადიმერ ასათიანის მცირე ზომის (4X5 სმ) სურათი, რომელიც დამოწმებულია ცაგერის რაიონის მილიციის უფროსის მიერ 1934 წლის 22 ივლისს. ლადო გადაღებულია წელზევით, თეთრ ტანსაც-

მელში და უქუდოდ.

1936 წლის გაზეთ „სტალინელში“ (№ 100) ლადოს წერილთან ერთად მოთავსებული იყო მისი დ. მხეიძისეული სურათიც (ზომა 6X9 სმ). აქ ლადო პროფილშია შავი პიჯაკით და უქუდოდ.

მე მაქვს ლადოს ოთხი ფოტოსურათი. ერთ დღეს ორი ფოტოსურათი (თვითეულის ზომაა 9X12 სმ) გადავიღეთ რიონის პირას. ერთი წითელ ხიდთან. ხიდქვეშ, მდინარის კიდეში, აყუდებულ ვეებერთელა ლოდზე ასულან ს. ისიანი, ლ. სულაბერიძე, ვ. ლორთქიფანიძე და შ. ჟვანია. ლადო ლოდის ძირში ფეხზე გაჩერებულა და ხელს ართმევს ვ. ლორთქიფანიძეს. ლადო უქუდოდაა, თმამოპარსული, შავი ხალათი და შარვალი აცვია, მე მარტო ვდგავარ ქვაზე რიონში.

მეორე სურათში ოქროს ჩარდახთან, ჭადრებქვეშ სხედან: ლადო, ს. ისიანი, გ. ნაფეტვარიძე, შ. ჟვანია, ვ. მუშკუდიანი; ვდგავართ: ლ. სულაბერიძე, ვ. ლორთქიფანიძე და მე. ფონზე ჩანს რიონის ზვირთები და საკონდიტრო ფაბრიკა და ე. წ. „ბესიკ-გაბაშვილის გორა“. შავ ტანსაცმელში გამოწყობილ ლადოს სვანური ქუდი ახურავს, პაპიროსს სწევს და გაზეთს კითხულობს.

ამ სურათებს შეიძლება გავუკეთოთ წარწერა: „ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი“. სურათები გადაღებულია 1936 წლის სექტემბერში. რიონში საცურაოდ აქ დავდიოდით. ლადო ვერ ბანაობდა გაცივების შიშით. ნაპირზე ისვენებდა და ვსაუბრობდით. ამ ჯგუფში ყველა სტუდენტი იყო, გარდა ლ. სულაბერიძისა, რომელიც მაშინ მეორე საშუალო სკოლის მეათე კლასში სწავლობდა.

ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ვსწავლობდით – ს. ისიანი, ვ. ლორთქიფანიძე, შ. ჟვანია (IV კ.), ლადო, მე (III კ.) და გ. ნაფეტვარიძე (II კ). ვ. მუშკუდიანი ისტორიის ფაკულტეტის III კურსზე ირიცხებოდა და მწერალთა კავშირის განყოფილება-

შიც საქმეთა მმართველად მუშაობდა. ვ. მუშკუდიანს (აწ. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს) ჰქონდა ფოტოაპარატი და რიონის პირას გადაღებული სურათები მისი ნახელავია.

მეოთხე კურსის სტუდენტებს ლადოს, შ. ქურიძესა და მე სურათი (ზომა 8X12 სმ) გადაგვიღო დ. მხეიძემ 1938 წლის 16 მაისს. პატარა მაგიდას შემოვსხდომივართ, ლადოს თეთრი შალის შარვალი აცვია და ლურჯ პიჯაკზე დაბნეული აქვს სამკერდე პორტრეტი „შოთა რუსთაველი", თავღიაა და უგალსტუკოდ, ნიდაყვებით დაყრდნობია სკამსა და მაგიდას, რომლებზეც მოწყვეტილივით ჰკიდია მისი ხელები გრძელი და გამხდარი თითებით. წინ (მაგიდაზე) გაუშლია 15 მაისის გაზ. „კომუნისტი" (№109) და პირველ გვერდს კითხულობს. გარკვევით მოჩანს გაზეთში გამოსახული ღერბი და იქვე იკითხება მოწოდება: „ყველანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე!"

ლადო ცალკეა გადაღებული (ზომა 6X9 სმ) ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მესამე გამოშვებაში (ალბომი – 1938 წლის ივნისი, ფოტო ნ. გეგელაშვილისა).

ლადო პროფილშია უქუდოდ, თმაავარცხნილია, ცისფერი თვალებით გასცქერის სივრცეს, გაბუტულივითაა, პირტიტველას საულვაშეზე ქინქლი ამოსვლია, ლურჯ პიჯაკშია, შავ ხალათზე გალსტუკი არ გაუკეთებია.

მხეიძე–მუშკუდიან –გეგელაშვილისეულ ფოტოსურათებში ლადოს თავისებური ბუნების ბევრი დეტალია ოსტატურად დაჭერილი და გაცოცხლებული. ამ მხრივაც აღნიშნულ დოკუმენტებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ლადოს ბიოგრაფიისათვის.

ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით პედაგოგიურ ინსტიტუტში, მწერალთა სახლში, რედაქციაში, სტუდენტთა საცხოვრებელში, ჩემს ოჯახში, ქალაქის ბაღში, კინოთეატრებში, თეატრის

წინ ჭადრებქვეშ და სასტუმრო „გრანდ-ოტელში“, სადაც ნიკა აგიაშვილს ეჭირა ოთახი.

ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ჩვენი მშობლიური კუთხის შესახებ. ვეცნობოდით რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს. მე აქ წარმოვადგენ ამ თემაზე ლადოს მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმულ საინტერესო შეხედულებებს.

მთამ ქართულ მწერლობას ვაჟა-ფშაველა და ალ. ყაზბეგი მისცა. რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს პოეტი არა ჰყავთ. ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, – იტყოდა ლადო, – რომ მწერლები წინათ (მე-19 საუკუნემდე) უფრო ალმოსავლეთ საქართველოდან გამოდიოდნენ. ამას გარდა, ფშავ-ხევსურეთში ყოველ გლეხს ემარჯვება ლექსის გამოთქმა და, როგორც გ. ლეონიძე წერს, ყველა ხევსური დანტეს შეედრებაო. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ ეს კუთხე ვაჟას გენიით ამაყობდეს.

თუმცა რაჭველიც მოლექსეა, გულიანად „ეძღრება და იმღერის“, მაგრამ იგი, ბუნებით მგოსნად გაჩენილი, პოეზიაში უსახელო მესტვირედ დარჩენილა.

ალ. ყაზბეგი ხომ მოთხრობებს წერდა. რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში დავით კლდიაშვილის ან ეგნატე ნინოშვილის ტოლი მაინც რატომ არ დაიბადა? წრფელი გულის, ნათელი გონების, სპეტაკი და მტკიცე გრძნობის ხალხმა პოეტი უნდა წარმოშვას. ულამაზეს კუთხეებს – რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს პოეტი ჰმართებთო.

მეცნიერებისათვის უცნობი კუთხეა რაჭა-ლეჩხუმი. მის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ზეპირმეტყველებას ჯერჯერობით სპეციალურად არავინ შეხებია.

რაჭა-ლეჩხუმი მოელის მეცნიერს. რაჭა-ლეჩხუმის მკვლევარი და რაჭა-ლეჩხუმი ერთმანეთს გაძოაჩენენ.

ხალხური ენა ლადოს ატკბობდა. ლადოს ღრმად სწამდა, რომ უცნობი ნამდვილი ქართული სიტყვები და ბუნებრივი გრამატი-

კუალი ფორმები ხალხშია შენახული და მათ ესაჭიროება დაცვა. ამიტომ იგი ზეპირმეტყველებას გატაცებით ეტრფოდა და იკვლევდა. ლადო ასათიანის პოეზიაში გვხვდება შემდეგი დიალექტური სიტყვები: აბილაური – საზამთრო თეთრი ვაშლის ჯიში; არითვალი – არათვალადი, ულამაზო ადამიანი; არიღი – მზის შუქი, რამეზე დამდგარი; გადაჯეგვა – გადათელვა; გასაგისი – ჯილაგი, მოდგმა; გაფოფრილი – ბუმბულაშლილი, აბურძგნილი; გაჯორკილი – გაჩორკნილი; გვანგვალი – სქელი ქალის კოხტად სიარული; ეშმაკისერთი – ეშმაკზე უფრო ეშმაკი; თარჯი – ნაჭდევი (ჯვარგაწერისახული ნიშანი) ხეზე; თეთრონი – თეთრი ცხენი; თვალისეირი – სანახაობა; კედელ-ყურე – სახლის ხედი შიგნიდან; კოხი – სეტყვა; კურკანტელა – ეკლის ან ეკალღიჭის ნაყოფი; მაღვალაკი – ეშმაკი, ცბიერი ადამიანი; მოროდი – სიმინდის მეორედ გათოხნა; ნალია – სასიმინდე; ნაცოხარი – ნაცოხნი; ოჯალეში – მაღლარი ვენახის ჯიშია; ურიალი – ყლარუნი; სარწყულა – დოქი; სიმინდიანი პური – ხორბლის და სიმინდის ფქვილის ნამცხვარი – მჭადპურა; სოველი – სველი; ქისონი – თაგვისფერი; ქოთქოთი – მოთქმა-გოდება (გადატანით ჩურჩუხი); ყაძახი – კაძახი – გლეხი, ბრგე მამაკაცი; ყინული – საზამთრო წითელი ვაშლის ჯიშია. შედანი – მამაკაცის სახელია; შეშოდეგი – შემოდგომა; შექუჩება – ხალხის თავმოყრა, მოგრიგება (შეჯგუფება); ჩახჩახი – ცეცხლის გიზგიზი; ჩაჯენილი – ჩამჯდარი; ჩინჩხალი – ნაპერწკალი; ცირა – გოგონა; წიფხა – ცაცხვის ან თელის ქერქის ჭურჭელი, ტკეჩით შეკერილი. მასში ათავსებდნენ ორ-სამ კილო ფქვილს, მარილს ან მარცვლეულს. წკვარამი – უფსკრული, წყვდიადი; ხორგო – დიდი საწნახელი.

ეს მასალა, გარდა ზოგიერთი სიტყვისა (არილი, გასაგისი, თეთრონი, ცირა), ლადოს ლეჩხუმური დიალექტიდან აქვს ამოღებული, ფრაზა (ირიბი ნათქვამი) „ყველაფერი ულევად გვაქვს: პური ვარო, ღვინო ვარო“ – ლეჩხუმურ მეტყველე-

ბას ახასიათებს. ბევრი სიტყვა ლეჩუმზე დაწერილი ლექსების ციკლში გვხვდება ხალხური კოლორიტის დასაცავად. მწერლობაში მხოლოდ ლადომ გამოიყენა დიალექტიზმები: ართვალი, ეშმაკისერთი, თვალისეირი, კედელ-ყურე, მაღვალაკი, მოროდი, ნაცოხნარი, სარწყული, სიმინდიანი პური, სოველი, ქისონი, ქოთქოთი, ყინული ვაშლი, შემოდეგი, ჩახჩახი, წიფხა, ხორგო.

ყურადღებას იპყრობს ლადოს ლექსებში აღნიშნული ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანიც. ბარდნალა და ლარჩვალი სოფლებს ჰქვია. ხვამლი მაღალი კლდოვანი მთაა რიონსა და ცხენისწყალს შორის, მური ცხენისწყლის კლდეკარია, სარეწკელა – ცხენისწყლის ხეობა, ნამკაშური – დიდი ღელე, გუმარეში – სახნავი მიწა (საყანური), ვარდიგორა – გორაკი.

ლადო მეხმარებოდა ლეჩხუმური ლექსიკონის შედგენის დროს. იგი ცხენისწყლის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებას კარგად იცნობდა.

ჩემს შრომაში, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნდა, მოთავსებულია ლადოს მიერ მოწოდებული შემდეგი სიტყვები: ბოქოჭია – ჭიანჭველა; გარდამეისათ – მომავალი წლის შემდეგ; კანტი – გამხდარი ადამიანი; კეპილი – ღორის ნაწლავებისაგან დამზადებული ძეხვი, კუპატი; მეჯეში – კოკისპირული წვიმა; ნალისი – პირუტყვის ნაზამთრი ბალანი; პურტყვი – პირუტყვი; სამთიღო – სამამამთილო – ქმრის ოჯახი; სანათლისი – სანათური; ტაფოული – ტაფამწვარი, ერბოკვერცხი; წემბეშო – ტყავი, რითაც ჩოჩიალა ურმის უღელი მიბმულია ფრჩხილებზე (ხელნებზე); წრუხა – მწუხრი, საღამო.

ზოგიერთ მოწინავე პოეტს ბევრი სუსტი ლექსიც აქვს, მაგრამ ლადოზე ეს არ ითქმის. ლადოს ყველა ლექსი კარგია, შესრულებულია მაღალი ოსტატობით. ლადოს პოეზიაში ვერ შევხვდებით ისეთ ლექსს, რომელმაც არ დაგვაინტერესოს. პოეტი გაურბის შაბლონს – ნაცნობ გაცვეთილ სახეს, რითმას თუ

საკაუჭეს. ლადოს ყოველ გამოთქმას დიდი გამომსახველობითი ძალა შესწევს და ყოველთვის გვიტაცებს. შესანიშნავია ლადო, როგორც მხატვარი. შინაარსისა და ფორმის მთლიანობა მისი ნაწარმოების მთავარი ღირსებაა.

ყოველ ლექსს ლადოს ნათელი ფანტაზიის სამყაროში გადაჰყავართ. ყოველი სტრიქონი მუსიკალურია და ნარნარ ხმას გამოსცემს. სიტყვა გულიდან ამოდის. განვიცდით იმასვე, რასაც პოეტი აუღელვებია. წავიკითხავთ ლექსს და არ გვასვენებს, კვლავ ვუბრუნდებით და ზეპირად გვამახსოვრდება.

ოქმის სილალემ და ომახიანმა შეძახილებმა, – წერს ს. ჩიქოვანი,– შექმნეს ლადო ასათიანის თავისებური პოეტური ინტონაცია. ქართულ საბჭოთა პოეზიაში მისი ხმა დამოუკიდებელია და ყველასაგან განსხვავებული.

გასაოცარი ნებისყოფა ლადომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეინარჩუნა. ის ხომ დიდხანს სიკვდილის მოლოდინში იყო და ამაყად დროს სიცოცხლეს უგალობდა.

ლადოს შემოქმედება ცხადად მეტყველებს, რომ პოეტი ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე იყო. ლადოს პოეტური ენა და სტილი თავისებურია. ხალხური ენა ასაზრდოებს ლადოს პოეზიას.

ლადოს თვალსაზრისით, სიტყვა ესთეტიკური მონაცემიცაა. სახელწოდება შერჩეულია გემოვნებით და ბგერითი შემადგენლობით შეეფერება საგანს ან მოქმედება-მდგომარეობას, რომელსაც იგი გამოხატავს. აი, როგორია სიტყვა „ჭლექის" ძალა. „შენ ჰიპოკრატემ ჭლექი გიწოდა და მხოლოდ მაშინ შეშინდი ცოტა". ასეთივე გააზრებული შინაარსი აქვს ცნობილ ანდაზას: „ცეცხლი" კეთილი და პირი არ დამწვაო.

ლადო ნიადაგ ამდიდრებდა თავის ლექსიკონს, ქართულის ბუნების შესაბამისად აწარმოებდა ახალ სიტყვებს (გარიჟრაჟული, განაშუქარი, დაუზრახველი, ნაამბორალი, ნაგრიგალარი,

ნათავთავარი, ნაქოთქოთარი, სამღერეთი, სარკინეთი, საღადრე, შაოსანი, შეუსადარი, შეუშინარი, ჭავლეთი, ბაგეთაფლიანი, ვაშლისფერი, თვალებმაყვალა, თვალხატული, მარტოსული, მტევნებგიშრიანი, მტვერწაყრილი, ნალისფერი, ნამნაპკურები, ოქროსხელიანი, რტოებხნიერი, ტვინამღერებული, ტუჩშეუშრობელი, ყურჭრელი, შიშშეუვალი, ჩალისფერი, ცადმიჭედილი, ძილფხიზლად, ხაბახთუბანი, დაიმკვეხაროს, იმედოვლათე, ნანაობს...), იყენებდა უზმნისწინო ფორმებს (ფერილი, სადარი, მნახველნი, რხეული, რბოდა, ვიდოდნენ...) და არქაიზმებსაც (ამადარი, იქცევისი, რაი, მუნ, განვედ, მარქვით, დაცალეწა...).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ბევრი სიტყვა და ახალი ფორმა დამოწმებულია ლადო ასათიანის პოეზიიდან.

ლადო არჩევდა საუკეთესო უცნობ რითმებს. რითმა – ასონანსები: მგოსნის – ვკოცნი, ჩურჩულობს – ურჯულო, მარაბდა – დაგვიფარავდა, კახელთა – გახედა, ომითა – მომინდა, მოგვიხდება – მოგვიხტება, ანბანად – გამბაბა, და ვენახები დავენახები, ხმლის სისქე – ხიდისკენ, გმირს გმირი – გვირგვინი, შავი ნაბადი – გამინაბავდეს... ავტორის მაღალ ენათმეცნიერულ განათლებას ადასტურებენ: პოეტი ჩინებულად იცნობს ქართული ენის ბგერითს სისტემას.

ლადო სანიმუშოდ იცავდა სალიტერატურო ენის ნორმებს. სალიტერატურო ენის კანონებიდან გადახვევა მის ნაწერებში აქა-იქ შეინიშნება (გაავდარების, ხორბალით, სანამდისინაც, მომშივა, აგციარევი, დაგიხატია...).

ლადოს წიგნის კითხვის დროს ნათლად წარმოგვიდგება, თუ როგორი სიყვარულით უმუშავნია ავტორს ტექსტზე, თუ რა დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიებანი უწარმოებია მას ლექსის სრულყოფისათვის.

ლადო ასათიანი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთა შესახებ ილია ჭავჭავაძემ თქვა: როდესაც ადამიანს სურს შე-

ისტორის ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკრიბავს: რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებასა და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი წყავს ადამიანიო.

ჭეშმარიტად, ლადო ასათიანისებრ რჩეული შვილები უკვდაკყოფენ ერის სახელს. „ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერსა უზამს". ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ცვლილა და მასთან ერთად მარად იცოცხლებს.

დაიბეჭდა ჟურნალ „რიონში" 1961 წელს, № 4, გვ. 91-99.

შენიშვნა:

ჟურნალ „რიონში" დაბეჭდილი მასალა ჯერ კიდევ 1960 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სტალინელის" სამ ნომერში:

1. ცხოვრება ლადო ასათიანისა, 9 მარტი, №49 (7613).

2. ლადო ასათიანის უცნობი დოკუმენტები, 22 მაისი, №101 (7665).

3. ლადო ასათიანის შემოქმედების შესახებ, 31 დეკემბერი, №256 (7820).

გამოცემორების თავიდან აცილების მიზნით აქ ჩამოთვლილი სტატიები ამ წიგნში არ შევიტანეთ.

ლადო ასათიანის ხსოვნას

1962 წლის ქართული კალენდარი აღნიშნავს: 15 იანვარს (უნდა ეწეროს: 14 იანვარს) სრულდება 45 წელი შესანიშნავი საბჭოთა პოეტის ლადო ასათიანის დაბადებიდან (1917 წლიდან). აქვე მოთავსებულია პოეტის პორტრეტი და ლექსი „საქართველოში“.

ამ თარიღთან დაკავშირებით მე მინდა მკითხველს გავაცნო ადგილები (ციტატები) კერძო წერილებიდან, რომლებიც ახლახან გამომიგზავნეს ქართული კულტურის ცნობილმა მოღვაწეებმა. აღნიშნულ წერილთა ავტორები ახალ ცნობებს გვაწვდიან, ლადო ასათიანისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავენ.

1961 წელს ჟურნალ „რიონში“ (№ 4) სრული სახით გამოვაქვეყნე ბიოგრაფიულ-მემუარული ნარკვევი ლადო ასათიანის შესახებ, რომელიც ნაწილ-ნაწილ წინათაც მქონდა დაბეჭდილი ქართული პრესის ფურცლებზე.

„რიონის“ მეოთხე ნომრის გამოსვლისთანავე მივიღე ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის, გამოჩენილი ენათმეცნიერის, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას შემდეგი წერილი:

„გულისყურითა და მოგონებათა მორევში წავიკითხე „ლადო ასათიანი“. კარგი, ძალიან კარგი გიქნიათ, რომ ლადოს ყმაწვილობისა და სტუდენტობის პერიოდი აღგიდგენიათ. ისიც მომეწონა, რომ ტრიფონ ჯაფარიძის, ქუთაისის მეზეუმის დამაარსებლისა და ვახტანგ კოტეტიშვილის, ამ მღელვარე შემოქმედის, ცხოვრების მცირე, მაგრამ ღირსსახსოვარი ეპიზოდები მოგგონებიათ და შიგ ჩაგირთავთ. ვისურვებდი, სერგო ასიანის შესახებაც დაგეწერათ ამხანაგებს.

სიამოვნებითა და სიყვარულით ვკითხულობ ლადოს ლექსებს და ყოველთვის მჭმუნვარება მომიცავს და ოხვრა აღმომხვდება: რა უდროოდ დაიღუპა! ლეჩხუმში გახლდით 1958 წელს. გულმა ვერ მომითმინა და საგანგებოდ წავედი წიფერჩში, მოვინახულე ბარდნალა და ლადოს მამა, კეთილშობილი მოხუცი მელქი და მისი კარ-მიდამო. ო, რაძდენი მოგონება აღმეძრა და რაოდენ მცირე ვთქვი, რომ მაწის გულის დაწყვეტილ სიმებს არ შევსებოდი".

იბეჭდება და უახლოეს ხანში მასობრივი ტირაჟით გამოიცემა მწერალ ნიკა აგიაშვილის წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად!" მკითხველი ამ ნაწარმოებს უკვე იცნობს ჟურნალ „ცისკრის" 1960-1961 წლების ნომრებიდან და მოელის, რომ კიდევ ისიამოვნოს მისი წაკითხვით.

ნიკა აგიაშვილი ნათლად და მიმზიდველად ასახავს წუთისოფლის იშვიათი სტუმრების ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას, გიორგი ნაფეტვარიძის მრავალფეროვან ცხოვრებას. ავტორი ეხება ბევრ უცნობ საყურადღებო ფაქტს საბჭოთა მწერლობის სინამდვილიდან.

ნ. აგიაშვილი დამაჯერებლად ახასიათებს ლადო ასათიანს და წარმოგვიდგენს მის მდიდარ შემოქმედებითს ნიმუშებსაც (უცნობ ლექსებსა და კურძო წერილებს).

ნ. აგიაშვილისა და ჩემი მოგონებები ლადოს შესახებ ერთსა და იმავე პერიოდში დაიწერა. მე სულ სხვა საკითხებს ვაშუქებ. ჩვენი მოგონებები ერთმანეთს ავსებენ და მკითხველს ერთ მთლიან წარმოდგენას უქმნიან პოეტზე. ნ. აგიაშვილსა და მე ხშირი მიწერ-მოწერა გვაქვს. მის მიერ მოწოდებული მრავალი ცნობა გამოვიყენე კიდეც.

აგიაშვილის ერთ-ერთი ვრცელი წერილი ასე იწყება და თავდება: „ჩემო ძმაო და ძველო მეგობარო მიშა! ჩენსავით სიბერე ხომ არ შემოგეპარა, მემუარების წერას რომ შეეგომიხარ. გაიხარე და ყოველთვის ისეთ საამურ გუნებაზე ყოფნას გისურ-

ვებ, როგორც ქუთაისის საქალაქო გაზეთის იმ ნომრის მიღებისას დავდექი. დიდი მადლობა შენ, რომ ჩვენი საწყალი ლადო ასე გულთბილად მოიგონე"... „ძალიან კარგი საქმე გააკეთე, შენი მოგონება აქ ყველამ წაიკითხა და გაუხარდათ. ნუ დავივიწყებთ დაუვიწყარებს! ჩვენგან წასული და უდროოდ დაღუპული ამხანაგები ღირსნი არიან გახსენებისა"...

ცნობილი პოეტი და კრიტიკოსი შალვა აფხაიძე ლადო ასათიანის ნიჭის დიდი დამფასებელია. 1953 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ლადოს ლექსებისა და პოემების კრებული შ. აფხაიძის წინასიტყვაობით. ლადოს გარდაცვალების 15 წლისთავზე (1958 წლის ივნისში) თბილისის მწერალთა სასახლეში შ. აფხაიძემ წაიკითხა მოხსენება. შ. აფხაიძის სტატია ლადოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ჯერ დაიბეჭდა „მნათობში" (№6,1958 წ.), შემდეგ კი – მწერლის წიგნში „კრიტიკული წერილები" (1959 წ.).

ჩემი მასაღებით აღფრთოვანებული შალვა აფხაიძე აი რას წერს: „თქვენი წერილები ლადო ასათიანზე წავიკითხე დიდი სიამოვნებით. ლადო ძალიან მიყვარს, როგორც პოეტი. მის ლექსებს ხშირად ვკითხულობ ხოლმე და ყოველთვის ახალს ვპოულობ მათში. რა ტემპერამენტის, რა პოეტური ფანტაზიის შემოქმედი დავკარგეთ და ისეთი ახალგაზრდა. ახალგაზრდებს შორის არავინ მეგულვება ისეთი ძალის პოეტი, როგორიც ლადო იყო. მის სახელს ყოველთვის მოწიწებით და ღრმა სიყვარულით ვახსენებ. არც ისე ახლო ვიცნობდი. რამდენჯერმე ვინახულე იმ ბინაში ავადმყოფობის დროს და ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ მისი სახე აღბეჭდილიყო ჩემში. ჩემი პატივისცემა, ჩემი სიყვარული მისი პოეზიისადმი ვეცადე გამომეხატა წერილით მასზე. არ ვიცოდი, თუ თქვენი ასეთი ახლობელი იყო. ვიცოდი ნიკა აგიაშვილის, გრ. იმედაძისა და შ. ქურიძის მეგობრობა მასთან. ეს გარემოება საკმარისი იყო, მათაც დიდი პატივისცემით მოვპყრობოდი. ამიერიდან მიგულვეთ თქვენს ასეთივე პატი-

ვისმენდეთ, მით უმეტეს, რომ ლადოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ასეთი შინაარსიანი და თბილად დაწერილი სტატიები გაიოგიქვეს ნებიათ".

ლადო ასათიანია გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად მარად იცოცხლებს.

დაიბეჭდა გაზეთ „ჭუთაისში" 1962 წლის 14 იანვარს, №10 (8087).

ლადო ასათიანის სამშობლოში

17 და 18 თებერვალი არაჩვეულებრივი დღეები იყო ლეჩხუმში, სადაც ზეიმით აღინიშნა ლადო ასათიანის დაბადების 45 წლისთავი.

17 თებერვალს, შაბათს, ცაგერში დილიდანვე დაიწყო მისვლა ხალხმა. ლეჩხუმს ესტუმრნენ დედაქალაქის, ქუთაისის, მეზობელი რაიონებისა და დაბა-ქალაქების წარმომადგენლებიც.

თბილისიდან ჩამოვიდნენ ლადოს და მედეა, მეუღლე ანიკო ვაჩნაძე, ქალიშვილი მანანა და პოეტის სხვა ახლო ნათესავები. საქართველოს მწერალთა კავშირმა თავისი დელეგაცია მოავლინა.

ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისიდან გაემგზავრნენ: საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ს. ფხაკაძე, საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ბურჯანაძე, შ. ჯავახაძე, კ. ირემაძე და სხვ.

საღამოს, რომელიც სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა, დაესწრნენ: ლადოს მამა – ღვაწლმოსილი პედაგოგი მექი ასათიანი, მისი ძმა შალვა, სიძე – დამსახურებული პედაგოგი გერონტი კოპალიანი და სხვა მოყვრები და ახლობლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა მიხეილ ჯინჭველაშვილმა.

მოხსენებაში გაშუქებულ იქნა ლადო ასათიანის ხანმოკლე და მრავალფეროვანი ცხოვრების მთავარი მომენტები და მოკლედ განვიხილე მისი პოეტური შემოქმედება. ენათმეცნიერმა შოთა ძიძიგურმა (ლადოს ყოფილმა მასწავლებელმა), პოეტმა რევაზ

მარგიანმა და მწერალმა ნიკა აგიაშვილმა (ლადოს მეგობრებმა) აუდიტორიას გააცნეს თავიანთი მოგონებანი.

ლადოსადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ პოეტები: მურმან ლებანიძე, ეიმურაზ ჯანგულაშვილი, გიორგი სამხარაძე და ჯანსულ ჩარკვიანი.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ტარიელ საყვარელიძემ წაიკითხა ლადოს ლექსები: „ჩემი ქვეყნია ოქროყანა", „სამშობლო" და „სალაღობო".

საღამოში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებმაც.

პოეტის ბავშვობის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავდა ლადოს თანაკლასელის (ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან) ნინო გიორგობიანის მოგონება.

სიტყვები წარმოთქვეს ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებელმა მაყვალა ყურაშვილმა, ბარდნალის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელმა თინა კოპალიანმა, მოსწავლე მარინა კვირიკაშვილმა და ცაგერის რაიკომის მდივანმა აკაკი ჩიქოვანმა. ზემოთდასახელებულ ამხანაგებთან ერთად სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი ივ. ხაბულიანი, ლენტეხის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ნ. ჯანბერიძე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს რეფერენტი ს. სილაგაძე, მწერლები ვანო წულუკიძე და გივი გოგიჩაიშვილი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

დიდძალი აუდიტორია შეუნელებელი ყურადღებით უსმენდა საღამო-კონცერტის მონაწილეებს. ბევრ მსმენელს თვალებზე სიხარულის ცრემლებიც შევამჩნიეთ. აშკარად იგრძნობოდა ლადო ასათიანის პოეზიის ძალა. ცხადად გამოიხატა ჭეშმარიტი პატრიოტული გრძნობა.

მეორე დღეს ვინახულეთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი (რომელშიც ლადო სწავლობდა), საბაზრო მოედანი. დავათვალიერეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც ძვირფასი ექსპონატები ინახება და მოწყობილია ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ დგას ლადოს ბიუსტი (მოქანდაკე ვახტანგ ონიანის ნამუშევარი), მოიპოვება ლადოს ლექსების გამოცემანი, დაბეჭდილი წერილები და მოგონებები პოეტზე, ფოტოსურათები და სხვანი.

ჩავსხედით ავტომანქანებში და გავემართეთ ბარდნალისაკენ.

მესრით შემოვლებულ ეზოში კოხტად დგას ლეჩხუმური ოდა. წინ შემოგვეგება გულუხვი მასპინძელი მეჭა. სტუმრები გულთბილად მიგვიღეს ლადოს თანასოფლელებმა, მექის კეთილმა მეზობლებმა.

დავათვალიერეთ პოეტის საცხოვრებელი ოთახი. კარადასა და მაგიდებზე აწყვია ლადოსა და მისი საყვარელი მწერლების წიგნები. კედლებზე ჰკიდია გადიდებული ფოტოსურათები და პოეტის ავტოგრაფები. კუთხეში დგას „მამაბაბური სარწყული" („სარწყული" ლეჩხუმში ეწოდება დოქს ან ჯუნგს, რომელსაც ღვინის ან სასმელი წყლის ჭურჭლად იყენებენ).

ლადოს კარ-მიდამოდან ხელისგულივით არის გადაშლილი ცხენისწყლის ხეობა მურისა და სარეწკელას კლდეკართა შორის.

აქ გაატარა ბავშვობა დაუვიწყარმა ლადომ. ამ ლაღ ბუნებაში ამღერდა მისი წრფელი გული. აქ მიღებული შთაბეჭდილებებით აღსავსეა პოეტის შედევრები.

ჩემი ყურადღება მიიპყრო სახარდნედ „გადაბელილმა" რცხილის მრავალწლოვანმა ხეებმა ბარდნალელთა ეზოებში. შოთა ძიძიგურმა უთხრა მეგობრებს: „ბარდნალა" მიღებულია სიტყვისაგან „ბარდი" და ბარდნარს ნიშნავს. ამას ლადოც ამბობს: „ვარდებიანი ბარდნარიო". სიტყვაში ფონეტიკური მოვლენაა

(დისიმილაცია); ლეჩხუმი საენათმეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია მეგრულ „ჩხომთან" (თევზი). მართალია, ამ კუთხეში თევზი საკმაო რაოდენობით ცხოვრობს (აქ ბანკეტებზე ლეჩხუმური კალმახებიც ხომ ამშვენებდნენ სუფრას), მაგრამ მეც შეგონია, რომ მიშა ალავიძე სწორი უნდა იყოს, როცა წერს: ლეჩხუმის ტერიტორიაზე წინათ სვანებს უცხოვრიათ. სვანური სიტყვებია: „ცაგერი", „ჩხუტელი", „დეხვირი", „ლუხვაური", „ლარჩვალი", „ლაძგვერია", „მახურა"... ლე პრეფიქსი სვანურ სახელებს ანარმოებს, „ცხუმი" კი ქართულად რცხილის სვანური ვარიანტია. შესაძლებელია, რომ ეთნიკური სახელი „ლეჩხუმი" წარმომდგარი იყოს სვანური ფორმისაგან „ლეცხუმ", რაც რცხილნარს აღნიშნავს.

ლადო ასათიანის ხსოვნის საღამო დღემდე პირველად მოეწყო ცაგერში, რაც ადგილობრივი პარტიული აქტივის ინიციატივას უნდა მიეწეროს.

ლადო ასათიანის ხსოვნის აღსანიშნავი დღეები ლეჩხუმში უდიდესი გულწრფელობით ჩატარდა. ზეიმი ეროვნული პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცებას ემსახურებოდა. ამ ფაქტს უკვდავი ქართველი ხალხის შთამომავლობა ყოველთვის მადლიერებით გაიხსენებს.

დაიბეჭდა გაზეთ „ჭუთაისში" 1962 წლის 23 თებერვალს, № 38 (9015).

ლადო ასათიანის ბავშვობა

ლადო ასათიანის ხანმოკლე და მრავალფეროვან ცხოვრებას მკითხველი ახლა უკვე თვალსაჩინოდ იცნობს. პოეტის ბიოგრაფიიდან ცარიელ ადგილად იყო დარჩენილი არასრული და სრული საშუალო სკოლის ხანა, რომელიც ლადომ ლეჩხუმში გაატარა. მან ამ პერიოდში გაიცნო და შეიყვარა მშობელი მხარე. ლადომ ლეჩხუმის თემას შემდეგ საუკეთესო ლექსების ციკლიც მიუძღვნა. „ლეჩხუმის ბუნებისა და მოსახლეობის მიმზიდველობა მომხიბლავად აქვს ასახული თავის ლექსებში ნიჭიერ პოეტს ლადო ასათიანს," – წერს ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი აკადემიკოსი ვარლამ თოფურია (ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, 1961, გვ. 483).

ლადოს ცნობილი ბიოგრაფიის დანაკლისს აქსებს ახლადმოპოვებული მემუარული მასალა. ტოლ-მეგობრებისაგან გადმოცემული უცნობი ამბები მნიშვნელოვანია და საინტერესო ლადო ასათიანის პოეზიით გატაცებული მკითხველისათვის.

ლადო ასათიანის ხსოვნის დღეები (1962 წლის 17 და 18 თებერვალი) ლეჩხუმში სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. სიბარულით განვიცდე, როდესაც ტრიბუნასთან აღიმართა ბედაგოგი ნიურა (ნინო) რომანოზის ასული გიორგობიანი. მან სალამოზე ლადოს ბავშვობა იშვიათი დამაჯერებლობით გააცოცხლა. ნიურა და მე ლაილაშის შვიდწლიან სკოლაში ერთად ვსწავლობდით. იგი ჩემზე კბილაა. კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განვიმსჭვალე ნიურასადმი იმის გამო, რომ იგი ლადოს მეგობარიც აღმოჩნდა.

ნიჭიერი პოეტი მურმან ლებანიძე დიდი გრძნობით დაწერილ თავის სტატიაში „45 წლის ლადო ასათიანი" აღნიშნავს: „სიყ-

ვარულით და მადლობით შევსცქეროდით პოეტის ბავშვობის მეგობარს ნ. გიორგობიანს, რომელმაც თვალწინ დაგვიყენა პოეტი მახვილ დეტალებში, ნიშნეულად გვიჩვენა ლადოს ხასიათის თავისებურებები" (1962 წ., „ლიტერატურული გაზეთი", № 9).

ცაგერში ყოფნის დროს ნიურამ დამატებითს კითხვებზეც საკურადღებო პასუხები მომაწოდა.

ხელთ მაქვს ნიურას მიერ დაწერილი „როგორი იყო ლადო" და აგრეთვე 1962 წელს ცაგერის რაიონულ გაზეთში („კომუნიზმის სხივი", № 14) გამოქვეყნებული ნ. ხაბულიანისა და კ. მუშკუდიანის მცირე მოგონებები. ამ მასალის მიხედვით ლადოს ბავშვობა ცხადად წარმოგვიდგება. თითქმის მთლიანად მომყავს სამივე ნაამბობი. ტექსტი გადავამუშავე – შიგ ენობრივ-სტილისტური ხასიათის ცვლილებები შევიტანე.

ნიურა გიორგობიანი მოგვითხრობს: სანეტაროა ჭაბუკობის წლები. განვლილ დრო-ჟამს ბევრი სიხარული და ნაღველი მიჰყვება, მაგრამ მოწაფეობისას ნახული და განცდილი ახლობელი და ტკბილი თანამგზავრია უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

გუშინდელივით ნათლად მახსოვს 1930-1931 სასწავლო წლის დასაწყისი. ცაგერის მაშინდელი პედაგოგიური სასწავლებლის ეზოში ჩვენი რაიონის სოფლებიდან თავი მოეყარათ კომკავშირულ და პიონერულ ფორმებში ჩაცმულ შვიდწლედდამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებიც გულისფანცქალით ათვალიერებდნენ დერეფანში გამოკრულ ახლადჩარიცხულთა სიას.

ერთი ნაწილი სკოლის გარეთ ვრჩებოდით, რადგან რაიონში მხოლოდ ეს ერთადერთი საშუალო სასწავლებელი არსებობდა. თანაკლასელებს ბედმა გაგვიღიმა – ცაგერში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

სწავლამონყურებულნი ვღელავდით, არ ვშორდებოდით სკოლის მიდამოს. ჩვენ შორის იყო ლადო ასათიანიც. იგი სოფლელი ვაჟებისაგან გამოირჩეოდა სინაზით, მაღალი, სუსტი,

ოდნავ ბეჭებმოხრილი სხეულით, უქუდო თავზე მოელვარე ლამაზად გადავარცხნილი თმით, შავი სატინის მაღალსაყელოიანი ცალ მხრამდე შეკრული ხშირღილება ხალათით. ის იშვიათად ლაპარაკობდა, მხოლოდ უსმენდა, აკვირდებოდა ამხანაგების ქცევას, სოფლურ კილოსა და გამოთქმებს. რაც არ მოეწონებოდა, ოდნავი ირონიით ხმამაღლა გაიმეორებდა. ზოგჯერ ოხუნჯობდა კიდეც.

ამ თვისების გამო იგი პირველ ხანებში ღამცინავი, მეტი-ჩარა გვეგონა. სიახლოვემ, გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ლადო კეთილი, პირდაპირი, ალალი ბავშვი იყო.

ლადოს ფიცხი ხასიათი ჰქონდა. მცირე რაჰეზე აენთებოდა. უკმეხ სიტყვას ვერ აიტანდა. ამის მიუხედავად, კრისტალური ბუნებისა იყო.

გოგონებიდან არ მოსწონდა სწავლისა და საქმისადმი გულაცრუებულნი, რომლებსაც მეტი დრო ჩაცმულობასა და თავის გამოჩენაში ეხარჯებოდათ. ხშირად დაცინვით გაიმეორებდა მათს მანერებს და მოგვიწოდებდა: დააყარეთ სიცილიო!

ვაჟებიდან კიცხავდა იმათ, ვისაც თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდათ. ასეთებზე საკუთარ ან რომელიმე მწერლის შესაფერ სტროფს მოიმარჯვებდა, მასწავლებლის კათედრაზე შედგებოდა და მხატვრულად გადმოგვცემდა ან დაფაზე დახატავდა წარწერით, მაგრამ ყველაფერი ეს ისეთნაირად იყო, რომ ამხანაგებს იგი არ სძულდათ. პირიქით, უყვარდათ წრფელი გულით და პატივისცემით ეპყრობოდნენ მას.

ლადოს ეჩარჯვებოდა ლექსით მიემართა თვითეული ამხანაგისათვის, მაგალითად, წყნარი, ტანმორჩილი მეგობრის ისაკ ომანაძის შემოსვლაზე დაიძახებდა: ჩქუმის კოშკავშირელებიდან მოგვევლინა ისაკი, ფეხზე დგომოთ მიესალმეთ, შესადარი ვინ არი! ამხანაგებისადმი იგი იყო გულისხმიერი, სადა. თუ ვინმეს

შენიშნავდა სევდიანს ან სიხარულით აღტაცებულს, შესძახებდა მოხდენილ სიტყვებს და მის ჭირსა და ლხინს გაიზიარებდა.

თავისუფალ დროს იცოდა საუბარი გმირებზე, წინაპრებზე. მოგვიყვებოდა მათს საბრძოლო ეპიზოდებს. იტაცებდა ბუნებაც, მოდუდუნე მდინარეები, ცამდე ატყორცნილი მთები და კლდეები, ტყით დაფარული გორაკები...

როდესაც აგროტექნიკუმის ეზოში ამჟამად არსებულ მარადმწვანე მცენარეებს ვრგავდით, ლადომ ხელისგულზე აღებული ნაძვის ნერგი გვაჩვენა და გვითხრა: ნეტა ამ პაწაწინა არსებას, ის სადღაც სანერგეში იშვა, სკოლის ეზოში დავაჟკაცდება და რამდენი ახალგაზრდის სიყვარულსა და საიდუმლოებას შეინახავს თავისი თვალსარმტაცი წვეროდან გადმომცქერი.

მახსოვს სკოლის პირდაპირ ნაკვეთზე, ამჟამად მე-20 საგზაო უბნის ეზოში, ვაშლებს ვრგავდით. მაშინ ლადომ ამხანაგებს უთხრა: ოლღა! ნუ დაგეზარება ორმოების ამოჭრა, როდესაც ცხგერელი ახალგაზრდები წითლად დაბრონილი ვაშლით პირს ჩაიტკბარუნებენ, დამრგველებს მადლობით მოგვიგონებენ ისე, როგორც ჩვენ ვიგონებთ ჩვენს პაპებსო.

ხშირად იტყოდა სახელდახელოდ შეთხზულ საკუთარ სტროფებს. სკოლის გეერდით, აკაციის რგვის დროს, შედგა ქვაზე, პოეტური გამოთქმითა და ტანის რხევით წარმოთქვა: ჩვენი ღელის „კენჭსარის" ნაკვალევი იშლება, მისი არ შეგვეშინდება, სიმაგრის ფესვი ირგვება.

ლადოს უსაზღვროდ უყვარდა თავისი სოფელი ბარდნალა. მას ახარებდა ტოლ-ამხანაგებთან შეხვედრები.

ერთ შემოდგომას ბარდნალელ ნინა ხაბულიანის ოჯახში მივდიოდით ნინა და მე. თავისი სახლის აივნიდან დაგვინახა ლადომ და გულთბილად მოგვმართა: მეგობრებო, მოუხვიეთ, მაქრითა და ხილით დაგხვდებითო. ლადომ შინ მიგვიწვია, გაგვიმასპინძლდა მოხარშული ცხელი ნედლი ტაროებით, წაბლითა

და მაჭრით. მას უყვარდა სადღეგრძელოს წარმოთქმა ფეხზე ადგომით, ხელგაშლილი და მომავლის იმედიანი შეძახილით. მამაპაპური ოდა იდგა თითქმის მარტოდმარტო ტყეში გაშლილ წალკოტზე. ლადოს კარ-მიდამოდან გავყურებდით სოფლებს, ღელეებს, წისქვილებს, გზებს – ცხენისწყლის ფართო ხეობას.

არ დამავიწყდება ლადო ხელგაშლილი, თავისა და ტანის ქნევით, სახლის წინ მწვანე მდელოზე მდგარი, მამამისი მექი თეფშითა და „სარწყულით" (დოქით) ხელში, ლადოზე შემყურე. ლადოს სიტყვები: გაუმარჯოს ბარდნალას, გაუმარჯოს ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს მომავალს! ჩვენი კისკისი, ლადოს მოხრილი ტანით გამოთქმული მობოდიშება: დედა სკოლიდან არ დაბრუნებულა, მცირედით გისტუმრებთო.

ხშირად გვახსენდება, ლადო ბუნებით პოეტი იყო. ეს ნამდვილად ასეა. სასიქადულოა, რომ ლაღ ბუნებაში, სოფლის მასწავლებლების ოჯახში, მოწინავე ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილს გამოაჩნდა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და ეროვნული პოეზიის უტყუარი ნიშნები.

გმირულ სიმღერაში ჩაუქრა სიცოცხლე 26 წლის ლადოა.

გულში სათუთად შევინახავთ შესანიშნავი პოეტის, სპეტაკი მეგობრისა და მოქალაქის წმინდა სახელს.

ნინო ხაბულიანს ასე ახსოვს ლადო: „ლადო" – ძვირფასია ჩემთვის ეს სახელი. ჩვენ ერთი სოფლიდან – ბარდნალიდან ვიყავით, სწავლის პერიოდში თანაკლასელები. დაუვიწყარია ჩვენი ლადო: ფიზიკურად სუსტი შესახედაობის, ტანმოქნილი, მას მუდამ სუფთაჲდ და ამავე დროს სადად ჩაცმა უყვარდა. იგი კარგი მეგობარი იყო. თანაბრად იცოდა ამხანაგობა, როგორც ვაჟებთან, ისე გოგონებთან.

ლადო ყოველთვის ცდილობდა ამხანაგების მიმართ ყოფილიყო მგრძნობიარე და აღწევდა კიდეც ჰიზანს. იგი დიდი პატივისცემითა და თავაზიანობით იქცეოდა უფროსებისა და

მასწავლებლების ბინაში. ყველა საგანში კარგად სწავლობდა. განსაკუთრებული ტონით იცოდა მასალის მოყოლა ქართული ლიტერატურიდან. მისი დამატკბობელი ხმა თითქმის ახლაც მესმის. გაკვეთილზე ლადოს ყველა სულგანაბული უსმენდა.

სკოლის კედლებშივე დაიწყო ლადომ პატარა ლექსების წერა, რისი ნიჭიც უკვე მერხიდან ჰქონდა. გადაჭრით როდი გვიფიქრია, მაგრამ ჩვენს წრეში ხშირად გვითქვამს, რომ ლადო სახელოვანი პოეტი და მომღერალი დადგებოდა.

და ეს ასეც მოხდა. ახლა, როცა ვიგონებ მის ბავშვობას, მის სახელს, მის ხმას, ეკითხულობ მის ვაჟკაცურ ლექსებს, აღვსილს სამშობლოსადმი, ერისა და მშობლიური ლეჩხუმისადმი პატრიოტული გრძნობით, გული მწყდება, რომ ლადო ჩვენთან აღარ არის.

ვ. მუზკუდიანი შემდეგს აღნიშნავს: ცაგერის სასოფლოსამეურნეო ტექნიკუმი, რომლის დირექტორი იმ დროს მე ვიყავი, ლადო ასათიანმა 1934 წელს დაამთავრა.

სწავლის პერიოდში ლადო გამოირჩეოდა სანიმუშო ყოფაქცევითა და ნიჭით. განსაკუთრებით ქართულ ენასა და ლიტერატურას ეწაფებოდა. სწორიც იყო, რომ მას მასწავლებლები „ღვალის ჩინს" უწინდებდნენ.

ნახსოვს, როცა ლადომ წამიკითხა საკუთარი ლექსები, აღფრთოვანება ვერ დავფარე. ხშირად ვესაუბრებოდი ლადოს ნიჭსა და უნარზე მის აღმზრდელ მამას მექი ასათიანს.

ახლა, როცა ლადო ჩვენთან აღარ არის, გულისტკივილით ვიმეორებ: რამდენის გაკეთებას შეძლებდა, რომ ეცოცხლა.

ცოტა ხანს იცხოვრა ლადომ. სიმღერით გამოჩნდა პოეზიის ცაზე და სიმღერაშივე ჩაუქრა ვარსკვლავი. იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დარჩა ჩვენი ეპოქის საუკეთესო მომღერალი.

აქ წარმოდგენილი სამივე მოგონება ლადო ასათიანის ბიოგრაფიას ახალი ცნობებით ამდიდრებს.

დაბეჭდდა გაზეთ „ქუთაისში" 1963 წლის 15 იანვარს, №10 (9245).

ჩვენი ლადო ასათიანი

(20 წელი გარდაცვალებიდან)

ლადო ასათიანი სამართლიანად აღიარებულია, როგორც სიცოცხლისა და სიხარულის მომღერალი ქართველი საბჭოთა პოეტი. დღემდე ათჯერ გამოიცა ლადოს წიგნი, რაც პოეტის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს. ლადოს ლექსები თარგმნილია რუსულ ენაზე და გამოსულია ცალკე კრებულად.

სპეციალურად ლადო ასათიანის შესახებ გამოქვეყნებულია წერილები, მოგონებები და ლექსები, რომელთა შორის გამოირჩევა ს. ჩიქოვანის „ლადო ასათიანი", შ. ახვლედიანის „პოეტის ლამაზი ცხოვრება", შ. ქურიძის „ლადო ასათიანის პოეზია" და ნ. აგიაშვილის წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად".

ლადო ასათიანის შემოქმედების ძირითადი თემა არის სამშობლო. პოეტი აშუქებს თანადროულობასაც და ისტორიულ სინამდვილესაც. ლ. ასათიანის ცნობილი ნაწარმოებებია: „ჩემი სამშობლო", „ჩემი ქვეყნის ოქროყანა", „ლენინის ტომი", „კალმახები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე", „სალაღობო", „საქართველოში", „ცხრა ძმა ხერხეულიძე", „ქრწანისის ყაყაჩოები", „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი", „აპაპინძა", „ბასიანის ბრძოლა", ლექსები პუშკინზე, ნ. ბარათაშვილზე, ილიაზე, ვაჟაზე, ივ. ჯავახიშვილზე, ნ. ფიროსმანზე. „ლეჩხუმის ბუნებისა და მოსახლეობის მიმზიდველობა მოზრდილავად აქვს ასახული თავის ლექსებში ნიჭიერ პოეტს ლადო ასათიანს," – წერს აკადემიკოსი ვარლამ თოფურია. ამ ციკლიდან აღსანიშნა-

ვია: „ბარდნალა", ლეჩხუმური „შემოდგომის სურათები", „ნამკაშერის წისქვილები", „სარწყული", „ცაგერის ბაზრობა".

ყოველ ლექსს ლადოს ნათელი ფანტაზიის სამყაროში გადაჰყავართ, ყოველი სტრიქონი მუსიკალურია და ნარნარ ხმას გაჰფოსცემს. განიცდით იმასვე, რასაც პოეტი აუღელვებია. ნაიკითხავთ ლექსს და არ გვასვენებს. კვლავ ვუბრუნდებით და ზეპირად გვაბახსოვრდება. „თქმის სილაღემ და ომახიანმა შეძახილებმა, – წერს მგოსანი ს. ჩიქოვანი, – შექმნა ლადო ასათიანის თავისებური პოეტური ინტონაცია. ქართულ საბჭოთა პოეზიაში მისი ხმა დამოუკიდებელია და ყველასაგან განსხვავებული". ლადო ასათიანი მეორედაც დაიბადა – მისი პოეტური აკვანიც ქუთაისში დაირწა. „ორჯერ დაბადებულს კი ერთი სიკვდილი ვერას უზამს". ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად მარად იცოცხლებს.

ლადო ასათიანის გარდაცვალების 20 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოები ქალაქ ქუთაისში ჩატარდება შემოდგომაზე. საღამოები გაიმართება პედაგოგიურ ინსტიტუტში, საშუალო სკოლებსა და სახელმწიფო თეატრში. ამ ზეიმზე მოვლენ საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან მოწვეული სტუმრები. იუბილეს დაესწრებიან და ჩვეულებისამებრ ერთმანეთს შეხვდებიან ლადოს სტუდენტობის პერიოდის თანაკურსელი ამხანაგებიც (პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მესამე გამოშვების შემადგენლობა) თავიანთი 25 წლის შრომითი საქმიანობის შემდეგ.

გაზეთ „ქუთაისისა" და ჟურნალ „რიონის" მკითხველები იცნობენ ჩემს ბიოგრაფიულ-მემუარულ ნარკვევებს ლადო ასათიანის შესახებ. დღევანდელ თარიღთან დაკავშირებით მოპოვებული მაქვს შემდეგი ახალი მასალები:

ლადოს უცნობი ფოტოსურათები

ფოტოსურათებში ლადო ასათიანის თაყვისებური ბუნების ბევრი დეტალია ოსტატურად დაჭერილი და გაცოცხლებული. ამ მხრივაც აღნიშნულ დოკუმენტებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება პოეტის ბიოგრაფიისათვის.

მე მაქვს ლადოს ექვსი ფოტოსურათი. ნ. აგიაშვილის არქივში ინახება სხვა 25-მდე ცალკე და ჯგუფური სურათი, ხოლო ანიკო ვაჩნაძესთან დაცულია დამატებით 6 ახალი სურათი.

ჩემი თხოვნით ნ. აგიაშვილმა მომაწოდა ამ უცნობი 31 სურათის სრული აღწერილობა.

ნ. აგიაშვილისეული მასალა მთლიანად წარმოდგენილი იქნება ნაშრომში „ლიტერატურული ნარკვევები" (ლადო ასათიანი, სევერიან ისიანი), რომელიც მზად მაქვს გამოსაცემად.

აქ შევეხები მხოლოდ ქუთაისურ დოკუმენტებს, რომელთა უმეტესობა დავით მხეიძეს ეკუთვნის, და, აგრეთვე დ. მხეიძის მიერ თბილისში გადაღებულ სამ სურათს.

დ. მხეიძე გამოცდილი ხელოვანია – იმპრესიული გემოვნებისა და ორიგინალური სტილის შემოქმედი. საჭიროა შეეხოს მის ნაწარმოებთა (გამოჩენილი მწერლების, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკთა და სხვა საზოგადო მოღვაწეთა სურათების) ალბომები.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გავეცნოთ ნ. აგიაშვილისეულ აღწერილობას.

1. ლადო და ლეო კიკნაძე. დ. მხეიძის უნდა იყოს, რადგან მანერით ჰგავს მის სხვა ნამუშევრებს. ლადოს აცვია თეთრი პერანგი, წვრილ-წვრილ ზოლებიანი ფართო შავი გალსტუკი ჰკიდია. ლეო წინ ზის. ლადო ისეა ჩამოჯდარი მის უკან, თითქოს ფესზე იდგეს. ხელები არ მოუჩანს. თმა დატკეპნილი და განზე გადაყოფილი აქვს. თვალებს მისებურად „აკიანთებს"

(ანათებს) და ყოჩაღად გამოიყურება. სურათის ზომაა 6X9. უკან ლადოს ხელით აწერია: „გადაღებულია 1936 წლის სექტემბრის 6-ს, ქუთაისს".

2. ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი 1936 წლის სექტემბერში ყოფილი კლასიკური გიმნაზიის ეზოში მდგარი ისტორიული ჭაღარის ქვეშ (9X12). მარცხნიდან მარჯვნივ დგას: მ. ალავიძე, სხედან: ვ. ლორთქიფანიძე, ლ. სულაბერიძე, ლ. ასათიანი, ნახევრად დგას თუ ჩამომჯდარია ს. ისიანი; უკანა რიგში ჭადრის გარშემო ქვიტკირის ზღუდეზე შემდგარან: შ. ჟვანია, ვ. მუშკუდიანი, გ. ნაფეტვარიძე.

3. 1937 წლის შემოდგომაზე ქუთაისის ბაღში (,,ბულვარდში") უცნობი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული სურათი (7X9). სხედან: ლ. კიკნაძე და შ. კოხოძე; დგანან: ნ. აგიაშვილი და ლ. ასათიანი. ლადოს თეთრი პერანგი აცვია, ყელი გადაღეღილი აქვს. ეს „აპაშა" უფროა, ვიდრე „სოროჩკა". თავი პირწმინდად აქვს გაპარსული და სახეზე მოლრუბლულია.

4. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: ლ. კიკნაძე, ლ. ასათიანი, შ. ქურიძე, დგას ბ. ზონენაშვილი. ფოტო დ. მხეიძისაა (9X13). ლადოს შავი ბლუზა აცვია და ზედ შავი პიჯაკი. თმა – ქოჩორი ღამაზადაა გაპარავარცხნილი. ირონიულად იხედება. უკან აწერია: 1938 წ., ქუთაისი.

5. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. სხედან: ლ. კიკნაძე, მ. ტრაპაიძე; დგანან: მ. ბარჯაძე, ლ. ასათიანი, ნელი დუმბაძე. ლადო ისეთივეა, როგორც წინა სურათში: თმაქოჩორა, ხოლო მარტო შავი ბლუზა აცვია და ხელები გულზე აქვს „დამჭყვდეული" (დაკრეფილი). ფოტო დ. მხეიძისაა (9X13). მეორე გვერდზე ლადოს ხელით აწერია: 1938 წ., აპრილი, ქუთაისი.

6. „ჩვენი თაობის“ რედაქციასთან მომუშავე ახალგაზრდა მწერალთა ერთი ჯგუფი „მნათობისა“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციების თანამშრომლებთან. მარცხნიდან მარჯვნივ – პირველ რიგში წვანან: ლადო და მირზა გელოვანი; მეორე რიგში სხედან: დ. ბენაშვილი, ს. აგიაშვილი, გ. კალანდაძე, ერ. ქარელიშვილი, გრ. აბაშიძე; მესამე რიგში დგანან: გივი კაჭახიძე, რ. მარგიანი, ა. შენგელია, ალ. საჯაია, ლ. კიკნაძე, ლ. ავალიანი, ვ. ღლონტიფანიძე, გ. ჯაბუშანური. ეს დიდი სურათი გადაღებულია ლიტფონდის ფოტოატელიეში (კიროვის ქ. № 2-ში) დ. მხეიძის მიერ. ზომა 24-30. დედანი ლიტერატურულ მუზეუმშია გადაცემული. ლადოს აცვია ჩიხაკისფერი შარვალი და შავი ხალათი. წელზე ართყია რკინის ბალთიანი შავი ღვედი, თმა გადაპარსული აქვს. სახე ოდნავ ნაღვლიანი, მაგრამ თავი ვაჟკაცურად უჭირავს. სურათი გადავიღეთ 1939 წლის ოქტომბრის ბოლოს, როცა ლადო და მირზა მობილიზაციით არმიაში გაიწვიეს.

7. ლადო და ანიკო ვაჩნაძე სხედან. წელსწევით გადაღებული სურათია. ფოტო დ. მხეიძისაა (კიროვის ქუჩა № 2-ში 9. XII). ლადო ჩამხდარია – მოკლედ შეკრეჭილი თმით, დაძაბული გამომეტყველებით. სურათს აწერია: სახსოვრად ნიკას ანიკოსა და ლადოსაგან. 1939 წ., 19. XII, თბილისი.

8. ლადო და ნ. აგიაშვილი. ფოტო დ. მხეიძისაა. გადაღებულია 1941 წელს ლენინის მოედანზე № 12-ში (10X14). ორივეს შავ-შავი შარვალ-ხალათი გვაცვია. ამ სურათში ნამდვილი ლადოა. განსაკუთრებით მეტყველია მისი თვალები. ამ ფოტოდან ამოღებული ლადოს სურათი ერთვის მის ლექსთა კრებულის ყველაზე ვრცელ გამოცემას (1956 წ.).

დღემდე მოპოვებული ლადო ასათიანის 37 სურათიდან შესაძლებელია საუკეთესო ფოტოალბომის დამზადება. ეს ალბომი კვლავაც შეივსება და გამდიდრდება პოეტის ტოლ-მეგობრებთან აღმოჩენილი უცნობი მასალებით.

ფოტოკორესპონდენტი „ლადო ასათიანის სამშობლოში“

ლადო ასათიანის დაბადების 45 წლისთავი ზეიმით აღინიშნა ლეჩხუმში 1962 წელს. 17 თებერვალს ცაგერის კულტურის სახლში გაიმართა საიუბილეო საღამო, 18 თებერვალს კი ლადოს მამის, დამსახურებული პედაგოგის, მექი ასათიანის მიპატიჟებით სტუმრები იყვნენ ბარდნალაში. აღნიშნული დღესასწაული გაშუქებულ იქნა ჩვენს პრესაში (იხ. 23 თებერვლის გაზეთი „ქუთაისი“ და „ლიტერატურული გაზეთი“). საიუბილეო დღეებში ფოტოკორესპონდენტმა და კინოოპერატორებმა გადაიღეს მნიშვნელოვანი მომენტები. ამჟამად უკვე არსებობს ალბომი, რომელიც ფოტოკორესპონდენტ ო. ბერეჩიკიძის ნამუშაკევი სურათების კომპლექტს შეიცავს. ერთი საალბომო მასალა გადაეგზავნე ნ. აგიაშვილს. ამრიგად, დამზადებულია ორი ალბომი. თვითეულ ალბომში მოთვსებულია 62 სურათი და მასში სახალხო ზეიმი ცხადად იგრძნობა.

გადაღებულია საიუბილეო სხდომა – პრეზიდიუმიც და დარბაზიც, ყოველი ორატორი ცალ-ცალკე. ბანკეტების მონაწილენი. კულტურის სახლი, სასტუმრო, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ცხენისწყლის კლდეკარი (მურის ხიდთან), საბაზრო მოედანი, ყოფილი აგროტექნიკუმის შენობა, მექი ასათიანის ოდა და ეზო.

სურათებში გამოსახული არიან ძმები მექი და შალვა ასათიანები, ლადოს და მედეა, ლადოს მეუღლე ანიკო ვაჩნაძე და ქალიშვილი მანანა; მწერლები და მეცნიერები: რ. მარგიანი, შ. ძიძიგური, ნ. აგიაშვილი, ვ. წულუკიძე, გ. გოგიჩაიშვილი, მ. ლებანიძე, თ. ჯანცულაშვილი, ჯ. ჩარკვიანი, ს. ფბაკაძე, გ. საბიარაძე, დ. კოპალიანი, მ. ალავიძე, მსახიობი ტ. საყვარელიძე; პარტიული მუშაკები: მ. ჯინჭველაშვილი, ა. ბურჯანაძე, ი. ხაბულიანი, ს. სილაგაძე; პრესის მუშაკები: შ. ჯავახაძე, კ. ირემაძე, სპორტის ოსტატი გ. ყალაბეგიშვილი და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ალბომი საბოლოოდ გადაეცემა მუზეუმს და მასთან ერთად შეინახება ნეგატივების ლენტიც.

ლადოს ხსოვნის ერთი საღამო თბილისში

6 ივნისს ილია ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა ლადოს ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ამ საღამოს შესახებ ნიჭიერმა ჟურნალისტმა და მწერალმა, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორის მოადგილემ ვლადიმერ შავგულიძემ წერილობით მომაწოდა შემდეგი საყურადღებო ცნობები:

ეს კულტურის სახლი თბილისის მედიცინის მუშაკთა კუთვნილებაა და იქ საუკეთესო საზოგადოება იკრიბება. საღამომ ისეთ გულთბილ და ამაღელვებელ ვითარებაში ჩაიარა, რომ ხან მეღიმებოდა და ხან მეტირებოდა. მეღიმებოდა იმიტომ, რომ ლადოს ამდენი თაყვანისმცემელი ვნახე და მეტირებოდა იმიტომ, რომ ამას ყოველივეს ვერ ხედავდა ჩვენი საყვარელი პოეტი, რომელსაც ჯერ მხოლოდ 46 წელიწადი შეუსრულდა. ამ საღამოს შესახებ პატარა ინფორმაციაც გამოვაქვეყნე „სოფლის ცხოვრებაში". „თბილისმაც" დაბეჭდა ქრონიკა. მომხსენებელი ჩვენი ნიკა აგიაშვილი იყო. ბევრი რამ კარგი თქვა, ის, რაც უკვე აქვს დაწერილი თავის წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად". მობსენება მან შთამაგონებლად დაამთავრა. ეს საღამოო,— თქვა, — ლადო ასათიანის ცოცხალი ძეგლია და სასიხარულოა, რომ ჩვენი დროის ამ შესანიშნავი პოეტის ასეთი ცოცხალი ძეგლები მრავლდება. პირდაპირ გულში მომხვდა ნიკას ეს სიტყვები. მართლაც, რაც დრო გადის, ლადო ასათიანის სახელი არა თუ ქრება, არამედ სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ანათებს.

გამოვიდნენ პოეტები: რ. მარგიანი, გ. კალანდაძე, ლ. სულაბერიძე. ლექსები წაიკითხეს იმ კლუბთან არსებული შემოქმედებითი წრის წევრებმაც. ლადო ავალიანმა კარგად ვერ დაიწყო სიტყვა. შემდეგ მითხრა: მოულოდნელად მთხოვეს.

კაბილდიო, და მომზადება ვერ მოვასწარიო. მაგრამ პროზაიკოსი ბაირონიც პროზაიკოსია. ისე კარგად დააბოლოვა სიტყვა, რომ დასაწყისის ნაკლი სულ გამოასწორა. აი, მისი ნათქვამი: ქართული პოეზიის დიდ ტაძარში ლადო ასათიანის პოეზია ანთია, სანამ ქართული პოეზიის ტაძარი იქნება, ამ ტაძარში მუდამ ენთება ლადო ასათიანის პოეზიის წმინდა სანთელიც.

ლადოს პოეზიის შესახებ მიმზიდველად ილაპარაკა დოცენტმა ი. მაისურაძემ.

ლადო ასათიანი ჩვენი დროის ერთ-ერთი ბრწყინკალე პოეტია გალაკტიონის შემდეგ. ეს საღამოც იმითი იყო შესანიშნავი, რომ ასათიანის სახელი ნ. ბარათაშვილისა და გალაკტიონის სახელებთან ერთად ისმოდა. აკადემიკოსმა ანგია ბოჭორიშვილმა ისიც თქვა: მე ძძუსს ჭლექი, რომელმაც იმსხვერპლა ჩვენი შესანიშნავი პოეტი. სხვას ჭლექი ეგოისტად აქცევდა. ასათიანმა კი ძლია მას სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში და ამით უკვდავება დაიმკვიდრაო. აკადემიკოსმა თავისი აზრის შათელსაყოფად ნიცშეს მაგალითიც კი მოიყვანა. ვინ იცის, რამდენჯერ წამიკითხავს „ჩემი ქცეყნის ოქროყანა", მაგრამ, როცა ეს ლექსი სცენაზე ტარიელ საყვარელიძემ წაიკითხა, უნდა გენახათ, რა მოხდა. ატყდა ტაშის გამაყრუებელი გრიალი. მთელი დარბაზი ზანზარებდა. ჭაღიც და იატაკიც ირყეოდა. აი, რა არის ნამდვილი პოეზია, რონელიც, ტიციანის არ იყოს, მეწყერივით მოქარდება და მთლიანად გაგიტანს. კონცერტში მონაწილეობა ძიძიეს ე. გოძიაშვილმა, მ. ნაკაშიძემ, გ. საღარაძემ და სხვებმა. სტუდენტებმა ტარიელ და ავთანდილ ვართაგავებმა ლადოს მეუღლეს და ქალიშვილს მიართვეს თავიანთი ხელით შესრულებული დიდი ფერწერული პორტრეტი. ეს მთელი ამ საღამოს სამდვილი გვირგვინი და ლადოსადმი ახალგაზრდობის დიდი სიყვარულის შესანიშნავი გამოხატულება იყო.

დაბეჭდდა გაზეთ „ქუთაისში" 1963 წლის 23 იანვარს, №122 (9357).

ლადო ასათიანის მოსაგონრად

წელს ქუთაისის სახელმწიფო თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართება ლადო ასათიანის ცხარდაცალების 20 წლისთავის აღსანიშნავი საღამოები. ამ ზეიმს დაეწრებიან საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან მოწვეული სტუმრები, პოეტის ოჯახის წევრები, ნათესავები, მასწავლებლები და ტოლ-მეგობრები.

მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ბაგრატის ტაძრის მახლობლად (სადაც ლადო ცხოვრობდა) მდებარე ერთ–ერთ ქუჩას მიეკუთვნოს ლადო ასათიანის სახელი.

ეს სიტყვა ლადო ასათიანის ნიჭის თაყვანისმცემელთა ცნობისმოყვარეობამ მათმევინა. საკითხი ეხება ლადოს ავტორიტეტს, მისი პოეზიის ძალასა და გამარჯვებას. ვიმედოვნებ, რომ ლადოს ნაცნობები გამიგებენ – ჩემს გულისთქმას დაადასტურებენ.

ლადო ასათიანის გმირული პოეზიით გატაცებულ მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ პოეტი გარეგნობით არ იყო ბრგე და ახოვანი. მალარიით, ნერვიულობითა და „სიმჭლის სენით" შეპყრობილი მისი სხეული ვერ განიკურნა. ნაცნობთა ხსოვნაში ლადო სამუდამოდ დარჩა დაუბერებელი – 27 წლის ტანმაღალი და გამხდარი ჭაბუკის სახით. ფოტოსურათებსა და ბიუსტებშიც ხომ ასეთივე თვალ-ტანადი და დაუბერებული ყრმაა გამოხატული.

არახელსაყრელი ჯანმრთელობისა და მატერიალური მდგომარეობის გამო ლადო მოწინავეთა შორის ვერ იმყოფებოდა.

ანაცვე მიზეზებით მას არ შეეძლო წარჩინებით ესწავლა ინსტიტუტში და ცხოვრების სარბიელზე გამოსვლის შემდეგაც ფართო საზოგადოებრივი საქმიანობა ეწარმოებინა. ლადო მხოლოდ თვითგანვითარებასა და შემოქმედებითს შრომას ეწეოდა.

სუსტ სხეულშიც ხშირად ჯანსაღი სული დგას. ამისი მაგალითები ისტორიაში უამრავია. მაქსიმ გორკი კარგად შენიშნავს: განსაკუთრებით კარგად ჩამრჩა მეხსიერებაში სახე გაძხდარი და ფიზიკურად სუსტი, მაგრამ შემოქმედებითი ენერგიით მძლავრი მწერლის ეგნატე ნინოშვილისა, რომლის ბედის თანამოზიარე აღმოჩნდა ლადოც.

ლადო ასათიანის პოეზია ისე ცხადად გამოხატავს პოეტის სულიერ სიძლიერეს, რომ უცნობ მკითხველს ლადო ფიზიკურადაც ძლიერი წარმოუდგენია. ლადოს პოეზიის ძალა მგოსნის სიცოცხლეში ასე არ იგრძნობოდა. ლადო პირველ ხანებში თანამოკალმეებისგანაც განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა. მის დღევანდელ ავტორიტეტსა და მწერლობაში განკუთვნილ ადგილს წინათ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. ნიჭიერი პროზაიკოსის რ. ინანიშვილის მოთხრობა „ლხინი კახელებთან" (ჟურნ. „ცისკარი", № 11, 1959 წ.) შექმნილია ლადოს სიყვარულით. ნ. აგიაშვილი აღწერს ლადოს კახეთში სტუმრობას 1938 წლის ოქტომბერში („ჭაბუკები დარჩნენ მარად", გვ. 153-162, 1961 წ.).

ამ მწერლებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ნათლად ასახეს ლადოს ხასიათი, მშფოთვარე სული, ლაღი ბუნება. იგულისხმება, რომ ლადოს – ამ სათნო არსებას იდეალად არ ჰქონია ღვინის სმა და დროსტარება. პოეტი იცნობდა ჩვენებურ სტუმარ-მასპინძლობას, უყვარდა ქართული ზნე-ჩვეულება და ერთხელ, შემთხვევით, თვითონაც ჩაება ამგვარ მოლხენაში.

ყველამ გაკვირვებით მკითხა: ნუთუ, მართალია, რომ ლადო იყო წარმოსადეგი ვაჟკაცი, ზორბა, ჯან-ღონით სავსე ადამი-

ანი, მოქეიფე... ჩვენ გაგვიგონია, რომ ლადოს ნაზი აგებულება ჰქონდა და ნიადაგ ავადმყოფობდაო.

ამრიგად, ლადო ასათიანი იყო ფიზიკურად ჯანსაღი და სულიერად ძლიერი. მის ვაჟკაცურ გულს მისივე ვაჟკაცური სიტყვა აცოცხლებს; ლადომ სახელის არაჩვეულებრივი პოპულარობა მხოლოდ თავისი უტყუარი პოეტური ნიჭით მოიპოვა.

დაბეჭდილა გაზეთ „ქუთაისში“ 1963 წლის 19 ნოემბერს, № 226 (9461).

„უკვდავი იყოს სახელი მისი"

20 თებერვალს 15 საათსა და 40 წუთზე საქართველოს რადიომაუწყებლობის კომიტეტი გადასცემს მგზნებარე საბჭოთა პოეტის ლადო ასათიანის ლექსებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ბიულეტენში „ლაპარაკობს თბილისი" (№ 6) დაბეჭდილია სტატიაც.

ამ წერილით მკითხველს გავაცნობ ახალ მასალას, რომელიც შეეხება ლადო ასათიანის მოსაგონარ პირველ საღამოებს ქუთაისში.

1964 წლის 19 და 20 თებერვალს ქუთაისის თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში ფართოდ აღინიშნა ლადო ასათიანის გარდაცვალების 20 წლისთავი. ეს ზეიმი დაუვიწყარია იმით, რომ მას ესწრებოდნენ პოეტის ოჯახის წევრები (ანიკო ვაჩნაძე, მექი, შალვა, მედეა, მარიანა ასათიანები), ნათესავები, მასწავლებლები და თბილისიდან მოწვეული მწერლები (ტოლ-მეგობრები). აქ შეიკრიბნენ საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან მოწვეული ლადოს სტუდენტობის თანაკურსელი ამხანაგები თავიანთი შრომითი საქმიანობის 25 წლისთავზეც. ქუთაისში გამართული პირველი საღამოები ლადო ასათიანის პირად ნაცნობთა საღამოები იყო და ამდენად, გასაგებია, თუ როგორი სითბო და გულწრფელობა დაამშვენებდა ამ შეხვედრებს. ლიტერატურული საღამოების სრული ანგარიში გამოქვეყნებულია (გაზეთი „ქუთაისი", 1964, № 38). სამ ეგზემპლარად დამზადებულია ფოტოალბომიც (ფოტოკორესპონდენტ ბ. მაღლაფერიძის ნახელავი). საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დააარსა ლადო ასათიანის სახელობის ქუჩა. ამ ქუჩაზე მდებარეობს ე. წ. წმინდა გიორგის ეკლესია და ეზო, სადაც დაკრძალულია მამია გურიელი. ეს

ადგილი ახლო მომავალში უფრო კეთილმოწყობილი გახდება, რადგან იგი არის ქუთაისის გადასახედი.

ლადოს თანაკურსელებმა გაიხარეს თავიანთი ძვირფასი მასწავლებლის დეპეშით: „კმაყოფილებით ვიგონებ თქვენთან მუშაობაში გატარებულ წლებს და გეხვევით. გულითადად მოგილოცავთ შეხვედრას და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს. ვნანობ, რომ საშუალება არა მაქვს თქვენთან ყოფნით კიდევ ერთხელ განვიცადო სიამოვნება. თქვენი ვარლამ თოფურია".

წინასწარ კი მწერალი სერგო კლდიაშვილი შემდეგს გვითვლიდა: „ლადო ასათიანის საღამოზე აუცილებლად ჩამოვალ და, თუ ზედმეტი არ ვიქნები, მონაწილეობას მივიღებ. ლადო ძალიან მიყვარს, როგორც პოეტი და მიყვარდა, როგორც ადამიანი. ნუ გამომამაპარებთ მის საღამოს. რამდენიმე დღით ადრე მაცნობეთ".

მოსკოვში ყოფნის გამო საღამოებს ვერ დაესწრო აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, რომელმაც, გარდა იმისა, რომ ლადოს კურსის სტუდენტებთან პირველად დაიწყო ლექციების კითხვა, დიდი მზრუნველობა გაუწია ლადოს ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციაში მოღვაწეობის დროს. გ. ჯიბლაძემ გაასწორა და დაბეჭდა ლადოს პირველი ლექსი „თებერვლის დილა". მისი დახმარებით ლადომ 1936-1937 წლებში 24 ლექსი გამოაქვეყნა. ლადო ასათიანის დაბადების 50 წლისთავისათვის, რომელიც 1967 წელს აღინიშნება, დაიბეჭდება გ. ჯიბლაძის წერილი და მოგონება.

საღამოებზე საინტერესო სიტყვებით, მოგონებებითა და ლექსებით გამოვიდნენ პოეტები და მწერლები: რ. მარგიანი, მ. ასათიანი, კ. გოგიაშვილი, დ. კვიცარიძე, ს. ფხაკაძე, ა. გურჯიძე, ზ. კუხიანიძე, პროფესორი კ. მეძველია. ლიტერატურათმცოდნე ნ. სხირტლაძე, დოცენტები: გ. შალამბერიძე, დ. ბრეგაძე, პედაგოგი დ. კაკიაშვილი... ეს მასალა ჯერჯერობით დაუსტამ-

ბაქია და მას მკითხველი ელოდება (საღამოებში მონაწილეობდნენ მწერლები ნ. აგიაშვილი და გ. სამხარაძე, მაგრამ ეს საყვედური მათ არ შეეხებათ).

ლადოს შესახებ მნიშვნელოვანი მოგონება აქვს მის მასწავლებელს პროფესორ შ. ძიძიგურს; ჟურნალ „ჩვენი თაობის" რედაქტორთან პროფესორ დიმიტრი ბენაშვილთან ინახება ლადოს უცნობი კერძო წერილიც. ბევრი საყურადღებო უცნობი მომენტი ახსოვთ ლადოს ამხანაგებს: მ. ტრაპაიძეს, ლ. კიკნაძეს, ვ. ჭიშვილაძეს, რ. გაბეჩავას, პ. გულუას, ბ. ზონენაშვილს, რ. შკუბულიანს, დ. ჭუჭილეიშვილს, ზ. ხონელიძეს, დ. მეგრელიშვილს, ლ. ბინიაშვილს, ა. იმედაძეს, გ. ყალაბეგიშვილს...

ლადო ასათიანის დამოკიდებულებაზე ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციის კოლექტივთან ვრცლად მოგვითხრობს ნ. აგიაშვილი. ჩემს შრიმებში კი ვეხები ლადოს სტუდენტობის პერიოდს და მის პოეტურ ნაამაგარს. დღემდე არ დაგვისახელებია და ორივე ავტორს უნებლიეთ გამოგვრჩა ჟურნალისტი და ისტორიკოსი გრიგოლ რუხაძე, რომელიც იმჟამად გაზეთის რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა, ლადოსთან დაახლოებული იყო და ბევრი საქმიანი შეხვედრის მოწმეა.

ჟურნალისტ-კრიტიკოსი შოთა ქურიძე თავის წიგნში ღრმა ანალიზს უკეთებს ლადოს პოეზიას. იგი ლადოსთან ძალზე ახლოს იდგა და ამიტომ მისი გამოკვლევა მემუარული მასალითაც უნდა შეივსოს და გამდიდრდეს. შოთა ქურიძე პედაგოგიურ ინსტიტუტში გამოვიდა მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი სიტყვით: დღეს პირველად ვიგრძენი, რომ ადამიანს, შესაძლებელია, ბევრი რამ ჰქონდეს სათქმელი, მაგრამ ვერაფერი ვერ თქვას. პედაგოგიურმა ინსტიტუტმა აღზარდა ლადო ასათიანი და მე ვისურვებ, რომ მას ლადო ასათიანისთანა მრავალი შამუღლიშვილი აღეზარდოს.

ლადოს უცნობი ავტოგრაფები დაცულია ნელი დუმბაძის არქივში. ნელი დუმბაძემ მეგობართა წრეში წაიკითხა ადგილები

ლადოს კერძო წერილებიდან. ამ დოკუმენტების შესახებ მოვუსმინოთ თვით ნელი დუმბაძეს: „შენ მწერდი, რომ გამომეგზავნა ლადოს ნაწერები. მართალია, მე საკმაოდ ბევრი ხელნაწერი მაქვს, მათ შორის არის ლექსები, დღიურები და წერილები. ადრე ნიკა აგიაშვილმა მითხრა და არ გავუგზავნე და იცი რატომ? ვერ შეველიე. ვერც თვითონ ვახერხებ დაწერას, ისე კი გულით მწადია და სათქმელიც ბევრია, მაგრამ არ მინდა დაიჯერო, რომ ჩვენი შესანიშნავი სტუდენტობა, ჩვენი ლადო წარსულს ეკუთვნიან და ვითომ – დროს ვახანგრძლივებ. ყველას გვაქვს სათქმელი ლადოზე და ყველამ უნდა თქვას"...

პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 70 წლისთავზე (1963 წ.) აღნიშნავდა: გალაკტიონზე მოგონებების დაწერა ჯერ კიდევ ნაადრევია. იგი ხომ აგერ გუშინ წავიდა ჩვენგან. მოგონებებს ფასი მაშინ აქვს, როცა მომგონებლები აქა-იქ არიანო შემორჩენილნი.

ამრიგად, ნათქვამია, რომ მოგონება მხატვრებას შვენის და ძვირფასია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მოგონება მხოლოდ მოხუცებულობაში იწერებოდეს და სიზუსტე არ ახასიათებდეს. მოგონილი მოგონება თვალსაჩინოა უზუსტობით. მწერალი ამ ჟანრის ნაწარმოებისათვის ფაქტობრივ მასალებს ახალგაზრდობიდანვე უნდა აგროვებდეს. მაგალითად გამოდგება ნ. აგიაშვილის წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად". მასში შეტანილ საბუთებს ავტორი თავს უყრიდა სიჭაბუკიდანვე, ვიდრე იგი „სამოციანელი" გახდებოდა. დროა გაეხსნათ საგანძური და გამოვამზეუროთ დოკუმენტები. სათქმელს ნუ გადავდებთ სიცოცხლის დასასრულამდე, თაობებს ნუ დაეუკარგავთ იმას, რისი გადაცემაც ჩვენ შეგვიძლია.

სევერიან ისიანის თანაკურსელმა, სევერიანესა და ლადოს პოეზიის დამფასებელმა დოცენტმა ქეთევან ძოწენიძემ შესვედრაზე წარმოთქვა სრფელი გრძნობით გამთბარი შემდეგი სიტყვა:

„გუშინდელი და დღევანდელი საღამოები რარიგ მკრთალიც არ უნდა მოგვეჩვენოს ჩვენ, იგი ლადოს მარად ნედლი პოეზიის დიდი გამომსახველობითი ძალის დასაფასებლად საჭიროცაა და აუცილებელიც. მიშამ ძალიან კარგი ქნა, რომ ლადოს ხსოვნის საღამოზე თავი მოუყარა მის ახლობლებსა და მეგობრებს, რომელთა დიდ ნაწილთან ერთად ლადოს გატარებული ჰქონდა სტუდენტობის მღელვარე, მაგრამ იმედებით და ოცნებებით აღსავსე წლები.

ეს მეგობრები, სხვადასხვა გზაგამოვლილნი, წელთა სვლისაგან ასე თუ ისე შეცვლილნი, აქ, ქუთაისში, ლადოს სიყვარულმა ჩამოიყვანა და არ არის გასაკვირი, რომ ყველა მათგანს უნდა ყველაფერს მისწვდეს, ყველაფერი მოიგონოს, რაც ლადოს ახარებდა, რაც აღონებდა, რაც გონებას უწვრთნიდა და გულს უთბობდა და დიდი პოეტის დავაუკაცებას ხელს უწყობდა.

ისეთი დიდი პოეტის შესახებ, როგორიც ლადო იყო, საჭიროა ვიცოდეთ მისი ცხოვრების ყოველი დეტალი, ამიტომ ამ მოგონებებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. მიშას უნდა ვუმადლოდეთ იმასაც, რომ გაგვაცნო პოეტის ახლობლები – მამა, და, მეუღლე და ქალიშვილი.

ასიამოვნოა, რომ ლადოს ასრულებია ნატვრა და მის მანანას გამოჰყოლია მისი სეხნიას – მანანა ორბელიანის „მარილი და წარბების ეშხი", რაც მთავარია, მამულის სიყვარული, რომ ლადოა მეუღლემ შეუსრულა მას ანდერძი, არ შეარცხვინა თავისი მაჩადილი და წმინდად შეინახა „ბნელ უკუნეთში გადავარდნილი ვაჟკაცის" ხსოვნა.

მე დარწმუნებული ვარ და, მგონი, არ უნდა ვცდებოდე, რომ ლადოზე ნათქვამი ყოველი სიტყვა სათანადო გამოხმაურებას პოულობდა ჩვენში გულში და ჩვენი პატივცემული მასპინძის ტარიელ საყვარელიძის ომახიანად წაკითხულმა ლადოა „არწიყების ასაფრენმა" ლექსმა ხომ მთლიანად შეძრა ჩვენი სული და გული.

რა დასანანია, რომ „ჩემი სამშობლოს“, „სალაღობოს“, „ჩემი ქვეყნის ოქროყანის“, „კრწანისის ყაყაჩოების“ ავტორს ცხოვრების გაზაფხულშივე გაუცივდა სიყვარულით, ცხოვრების ტრფიალით ანთებული ჭაბუკური წრფელი გული. ცხელი გული, მაგრამ დარჩა მისი მარად თვითმყოფი პოეზია, მტკიცედ დამკვიდრდა მისი თავისებური, სხვისი განუმეორებელი პოეტური ხმა, რომელმაც მთელი ძალით განგვაცდევინა ადრე წასული პოეტის ფიქრი და გულისთქმა, ნაღველი და ტკივილი, იმედი და სიყვარული, გაკვირვება და გატაცება.

პოეზიაში სიკვდილთან შეჭიდებულმა ლადომ უკვდავება დაიმკვიდრა და ეს სადღეგრძელოც მისი უკვდავებისა იყოს“.

22 თებერვალს პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბში მოეწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას შეხვედრა ამომრჩევლებთან. არნ. ჩიქობავამ თავისი საანგარიშო მოხსენების დაწყებამდე ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან საუბარში თქვა: ლადო ასათიანის საღამო ჩაგიტარებიათ. ნაჩვენები იყო ტელევიზიით. ინსტიტუტშიც მოგიწყვიათ ასეთი საღამო და აკადემიური სახე მიგიციათ. ცხადია, უკონცერტოდაც კარგი იქნებოდა. ლადო საკუთარი ხმით გამოირჩევა და ამიტომაც დააჩინა კვალი ქართულ პოეზიაში. მას აქვს კარგი ლექსი „ივანე ჯავახიშვილისადმი“. მოაგონდა „კრწანისის ყაყაჩოები“ და დაიწყო: „ჰეი, თქვენ, არაგველებო...“ სახელდახელოდ გაიხსენა პოეტის შთამაგონებელი სტრიქონები: „ჩემი პატარა მანანა ხან გაიცინებს, ხან არა...“ „კამეჩი მყავდა ნიკორა, მომიკვდა, არა იყო რა...“ და თან დაურთო: ასეთი თქმები ნიშანდობლივიაო ლადოსთვის.

ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად მარად იცოცხლებს. „ვისაც მფარველად ბუზა ჰყოლია, უკვდავი იყოს სახელი მისი“.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1966 წლის 19 თებერვალს, №35 (10040).

უკვდავი მესიტყვე

(ლადო ასათიანის დაბადების 50 წლისთავის გამო)

ლადო ასათიანი ქუთაისში დაიბადა. იგი მეორეჯერაც ქუთაისში დაიბადა, როცა თავისი ნიჭიერი კალამი მიუძღვნა მშობელ ერს. „მე აქ დავწერე ლექსი პირველი", – ამბობს ლადო. „ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს". ილია ჭავჭავაძისეული გამოთქმა „ორჯერ დაბადებული" უკვდავი შემოქმედის ეპიტეტია საზოგადოდ.

ლადოს ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო ჩვენს გაზეთში სხვადასხვა დროს რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნე. ისინი ცალკე კრებულად გამოიცემა მომავალში. ახლა კი მკითხველის ყურადღებას ვავამახვილებ ზოგიერთ ახალ ცნობასა და ფაქტზე.

პოეტური ალბომის დამრწევი

ლადო ასათიანის შემოსვლა ქართულ პოეზიაში განუყრელად დაკავშირებულია აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის სახელთან. გ. ჯიბლაძემ გაასწორა და დაბეჭდა ლადოს პირველი ლექსი, აღმოაჩინა ბალასი სიჭი, პრესაში გზა გაუხსნა ლადოს ნაწერებს. გ. ჯიბლაძემ თვალსაჩინო მზრუნველობა გაუწია უდროოდ დაღუპულ ნიჭიერ პოეტებს: სევერიან ისიანს, გიორგი ნავეტვარიძეს გრიგოლ იმედაძეს... პრესის ორგანოებში მოღვაწეობისას მისივე ამაგით დაცალებულია მრავალი მწერალი, რომლებიც ამჟამად ნაყოფიერად იღვწიან თბილისსა და ქუთაისში.

ლადო ასათიანის სახელი, როგორც პოეტისა, ქართველმა მკითხველმა ქუთაისის საქალაქო გაზეთით გაიცნო.

1936 წელს ამ გაზეთში (№ 45) პირველად გამოქვეყნდა ლადოს ლექსი „თებერვლის დილა". გაზეთმა 1936-1937 წლებში პოეტის 23 ლექსი მოათავსა. თავისი აღფრთოვანება და სამადლობელი რედაქციის მიმართ ლადომ გამოთქვა პირველ ლექსნარევ წერილში 1936 წლის 5 მაისს პრესის დღესთან დაკავშირებით. წერილს სათაურად აქვს: „ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო!" ლადო წერს: პირველად ამ გაზეთის ფურცლებზე ვიგრძენი „დაბეჭდილი სტრიქონების ეშხი".

ლადო მეტყოდა: „გამოვიცვლები და სიხარულისაგან ვერ აფრენილი იმ დღეს, როცა ჩემი ლექსია გაზეთში დასტამბული. ამ დღეს მე ველაპარაკები ხალხს და მიყვარს ქუჩაში გავლა. აღტაცებაში მოვდივარ, როცა ვხედავ, რომ მოქალაქე გაშლის გაზეთს და ჩემს ლექსს კითხულობს. თუ ეს გრძნობა არა გაქვს, ლექსს ვერც დაწერო."

ლადო ასათიანის დამოკიდებულებაზე ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციის კოლექტივთან ვრცლად მოგვითხრობს ნიკა აგიაშვილი წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად."

გიორგი ჯიბლაძე ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციაში 1934 წლიდან სამა-მულო ომამდე სხვადასხვა დროს ასრულებდა რედაქციის მდივნის, რედაქტორის მოადგილისა და რედაქტორის მოვალეობას. მისი ღრმაშინაარსიანი გამოკვლევები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ქვეყნდებოდა საქალაქო გაზეთის გარდა ლიტერატურულ ჟურნალებში: „საბჭოთა მწერალი", „სიტყვა და საქმე". 1934 წელს ქუთაისში გამოიცა გიორგი ჯიბლაძის პირველი წიგნი „ლიტერატურული საკითხები". გ. ჯიბლაძემ ქუთაისში დაწერა და 1939 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა".

გიორგი ჯიბლაძემ ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1937 წელს, დაიწყო ლექციების კითხვა (კურსები: თანამედროვე

ქართული ლიტერატურის ისტორია, კრიტიკის ისტორია) პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის № 33 ჯგუფში, რომელშიც სწავლობდნენ: საქართველოს მგზნებარე პოეტი ლადო ასათიანი, ჟურნალისტ-კრიტიკოსი შოთა ქურიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი შალამბერიძე, დოცენტები: ნელი დუმბაძე, ლევან კიკნაძე, აქსენტი მიშველაძე, მიხეილ ალავიძე. ეს ჯგუფი, გიორგი ჯიბლაძის აზრით, პედაგოგიური ინსტიტუტის სახელოვან ისტორიაში ჯერჯერობით რჩება ყველაზე ძლიერ ჯგუფად და ლადო ასათიანი – პირველ კურსდამთავრებულად.

თავისი მშობლიური ქალაქის მშრომელებისადმი გამოგზავნილ საახალწლო მოლოცვაში გ. ჯიბლაძე პირველ იანვარს წერდა: „ქუთაისთან არის დაკავშირებული ჩემი არა მარტო დაბადება, საშუალო სკოლის დამთავრება, სწავლა საყვარელი პედაგოგების დახმარებით, არამედ პრაქტიკული და მეცნიერული მუშაობის შვიდ წელიწადზე მეტი დრო. ქუთაისთან მაკავშირებს დაუვიწყარი მოგონებანი. მათ რა გამოლევს! შევინახოთ სამერმისოდ“.

მკითხველი მოელის გიორგი ჯიბლაძის ნაშრომს, რომელიც ლადო ასათიანის ნახევარსაუკუნოვან სიცოცხლეს მიეძღვნება.

27 გაზაფხულს ვოცნრა

ლადო ასათიანი გარდაიცვალა 27 წლის ასაკში იმჟამად უცნაურნებელი „სიმაღლის სენით“. სამამულო ომი წარმოებდა. ბევრი მეგობარი ვერ დაესწრო ლადოს დაკრძალვას ვაკის სასაფლაოზე.

1943 ნელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 15) დაიბეჭდა მოკლე ნეკროლოგი, რომელსაც ხელს აწერდნენ ქართული სიტყვის დიდოსტატები. ამ მშვენიერ წერილს ჯერჯერობით სპეციალურად არავინ შეხებია. ნეკროლოგში გადაუ-

ჭარბებლად შეფასებულია ლადოს ღვაწლი და მთავარი სიტყვა ნათქვამია.

ჩვენი გაჩოჩენილი მწერლები აღნიშნავენ, რომ ლადო ასათიანს აქვს თავისებური ხმა, რომ ის არის ორიგინალური პოეტი.

ლადოს პოეზია თავიანთ გამოკვლევებში საფუძვლიანად განიხილეს ნ. აგიაშვილმა, შ. აფხაიძემ, შ. რაქვიანმა, შ. ქურიძემ, გ. კანკავამ, გრ. ხერხეულიძემ, მაგრამ მაინც მისი ყველაზე უკეთესი შეფასება მოგვცა ს. ჩიქოვანმა, რომელიც წერს: „თქმის სილაღემ და ომახიანმა შეძახილებმა შექმნეს ლადო ასათიანის თავისებური პოეტური ინტონაცია. მისი ხმა ქართულ საბჭოთა პოეზიაში დამოუკიდებელია და ყველასაგან განსხვავებული".

ლადო საკუთარი ხმით გამოირჩევა და ამიტომაც დააჩინა კვალი ქართულ პოეზიაში, – თქვა კერძო საუბარში აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ.

გავეცნოთ სრულად ამ საყურადღებო ნეკროლოგს.

„ლადო ასათიანი. 23 ივნისს თბილისში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოეტი ლადო ასათიანი. ლადო ასათიანი დაიბადა 1917 წელს მასწავლებლის ოჯახში. ცაგერია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაასრულა 1938 წელს. სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 1936 წელს. პირველსავე ლექსებში მან გამოამჟღავნა უტყუარი პოეტური ნიჭი. 1940 წელს ლადო ასათიანმა გამოსცა რჩეული ლექსების წიგნი. გარდა ლექსებისა, მან დაწერა ორი პოემა „კოლხიდა" და „ბასიანის ბრძოლა".

ლადო ასათიანის ლექსები გამსჭვალულია მძაფრი პოეტური მღელვარებით, ღრმა ლირიზმით და უშუალობით. მისი ლექსების თემა ეხება ქართველი ხალხის გმირულ წარსულსა და დღევანდელობას. ისინი მიმზიდველი პოეტური ფერებით და ღრმა ემო-

ცხოვრობით ასახავენ ჩვენი ხალხის უკეთილშობილეს ნრახვებს. ლადო ასათიანმა თავისი უკვე გამოქვეყნებული ლექსებით გვიჩვენა, რომ მისი სახით იზრდებოდა უაღრესად თავისებური და ძალიან გემოვნების მქონე ქართული სიტყვის ოსტატი. მას ახასიათებდა მხატვრული მეტყველების დახვეწილობა, მშობლიური ბუნების კოლორიტის შეგრძნობა და ინტიმურობა პოეტური თემების დამუშავებისას.

ლადო ასათიანის სახით ახალმა ქართულმა საბჭოთა პოეზიამ დაკარგა ორიგინალური პოეტი, რომლის შემოქმედებითი ძალა ჯერ კიდევ არ იყო სავსებით გამოვლენილი. მისი საუკეთესო პოეტური სტრიქონები მუდამ იცოცხლებენ მისი მეგობრებისა და მკითხველი საზოგადოების ხსოვნაში." გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთათელი, პავლე ინგოროყვა, შალვა აფხაიძე, ლეო ქიაჩელი, აკაკი გაწერელია, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია, ლევან ასათიანი, გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი, ალექსანდრე საჯაია, ილო მოსაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, მიქელ პატარიძე.

ნიკა აგიაშვილის ამდიდარ წიგნს ეს ნეკროლოგიც საჭიროა, შეეშატოს.

ვიმედოვნებთ, რომ ლადო ასათიანის სულიერი ნათესავები ამ ნეკროლოგს არ დაივიწყებენ.

ლადოს საუბრებიდან

მკითხველს გავაცნობ ლადოს ზოგიერთ ნაამბობს, რომლებიც ჩემს ბიოგრაფიულ-მემუარულ ნარკვევში (ჟურნ. „რიონი", № 4, 1961) არ მოიპოვება და მისი გამოქვეყნების შემდეგ გავიხსენე და აღვადგინე.

ასათიანთა საძმობლო კუთხე ლეჩხუმია. ისინი აქ გამრავლებულან და სახლობენ ოც სოფელში (აღვი, ბარდნალა, გაგუ-

ლეჩი, დერჩი, დეხვირი, დღნორისა, ვანი, ზოგიში, ლაბეჭიჯა, ლაილაში, მახაში, მექვენა, ნასპერი, ორხვი, ტვიში, უსახელო, ქვიშარი, ქორენიში, ჭყვიში, ცაგერი).

ლადოს სოფელი „ბარდნალა" ბარდნარს ანუ ბარდებიან ადგილს ნიშნავს. ლადოს სიამოვნებდა, რომ თამარ მეფის ეპოქაში იყო გვარი „ასათისძე", რაც მას ფსევდონიმადაც ჰქონდა. „ასათი" ადამიანის საკუთარი სახელია (არაბული სიტყვაა) და „ლომს" ნიშნავს. არსებობს გვარიც „ასათიშვილი".

ოფიციალურ დოკუმენტებში ყველგან გატარებულია ნათლიის სახელი „ვლადიმერი". მას კი ლექსი ამ სახელით არასოდეს დაუბეჭდავს. „ლადო" შინაურულად ერქვა. „ვლადიმერს" იმიტომაც მოერიდა, რომ იმ დროს თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ასათიანი (მან დისერტაცია დაიცვა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებზე" და შემდეგ კი ცხოვრების ქარტეხილში გაქრა). მკვლევარ ლევან ასათიანისაგან გასარჩევადაც იგი „ლადოს" სრულად წერდა (არ ამოკლებდა).

ლადოს ახარებდა ტოლ-მეგობრებთან შეხვედრები. მოძმეებს გაუმჟღავნებდა საიდუმლოს და მცირე ტკივილსაც არ დაფარავდა. გულღიაობას აფასებდა. შოთა რუსთაველს დაიმოწმებდა: „დიდი ლხინია ჭირთა თქმა". ხალხში გაეცინა და მოსწონდა ანდაზა: მწუხარების გაზიარება მწუხარებას ანელებს, სიხარულის გაზიარება კი სიხარულს აძლიერებსო.

ცნობილ აფორიზმს ან ბრძნულ გამონათქვამს საუბარში ხშირად გაიხსენებდა და თავის ადგილზე მოხდენილად გამოიყენებდა. ლადო აქებდა ჩვენებურ სტუმარმასპინძლობას, ქართულ სუფრას, უკვდავი სადღეგრძელოებით დამშვენებულს. ლხინშიც კარგი სანახავი იყო, ნიადაგ იღიმებოდა და სმენა გამახვილებული ჰქონდა. ვინმეს ნათქვამში დაიჭერდა მახვილ სიტყვას და მას სხვა დროსაც აღტაცებით გაიმეორებდა. ზოგჯერ

ექსპრომტსაც ეტყოდა. ცოტას ჭამდა. ღვინით შეზარხოშდებოდა მხოლოდ. კუზიანი ვაზის შვილის ძალა ლადოს აკვირვებდა. ღვინო გულს გამოაჯენს, ადამიანს ჯავრისაგან გამოთიშავს და ცაამხნევებსო. როცა ავადმყოფობა (გრიპი, მალარია) შეაწუხებდა, იხუმრებდა: ხან ვქეიფობ, ხან კი უქეიფოდ ვარო.

ჯაჭვის ხიდთან, ორივე მხარეზე, წინათ ვიწრო ქუჩები იყო. აქ დიდძალი ხალხი იკრიბებოდა და მიმოსვლა ჭირდა.

-- ჯაჭვის ხიდზე გასვლისას, – ამბობდა ლადო, – გამახსენდება კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოსწრებული ნათქვამი: „სად არეულან გარკვეული და გაურკვეველი ხელობის კაცნი"...

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გიორგი დარისპანაშვილმა ჭიათურის თეატრის გასტროლების დროს ქუთაისის სცენაზეც განასახიერა შამილის (ი. ვაკელის პიესაში) და პლატონ კრეჩეტის (ა. ყორნეიჩუკის პიესაში) როლები. სპექტაკლ „შამილში" ერთგან მღეროდნენ: „შამილი შევიდა მეჩეთში, შამილი მაჰმადიანი"... ლადომ გ. დარისპანიშვილზე შექმნა შემდეგი სახუმრო გარითმული ფრაზა: „შამილი შევიდა მეჩეთში და გამოვიდა კრეჩეტში."

ლადო ასათიანი ახლო იცნობდა საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმს, ჯამოჩენილ ქირურგს გიორგი ანტონის ძე ცეცელოვანს, რომელიც ასათიანების სიძეც იყო და იმ ხანებში ცხაგერში ცხოვრობდა. იგი ბოლოს ქუთაისში გადმოსახლდა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე დისერტაციაც დაიცვა (გარდაიცვალა 1957 წელს). გიორგი გელოვანს გლეხობა თაყვანს სცემდა. იშვიათია ექიმი, რომელიც მისებრ პოპულარული იყოს. გ. გელოვანის სახელი ბავშვობაშიც მქონდა გაგონილი და ლადოც იცნობდა: ლეჩხუმში ხშირად იტყვიან გარდაცვალებულზე: გიორგის რომ მიესწრო, გადაარჩენდაო. სვანი ინატრებს: ოღონდ გიორგიმ გამსინჯოს და მერე აღარ ვჩივი,

რაც მომივაო. ადამიანი რომ გენდობა და ჩიყვს ამოგაჭრევინებაო, მითხარი, როგორი სიყვარული უნდა ჰქონდეს შენიო!

ლადოს უყვარდა ძველი პედაგოგი პანტელეიმონ ბოჭორიშვილი, როგორც ნიჭიერი და თავისებური პიროვნება. პანტ. ბოჭორიშვილი ჩემს სოფელში (საირმეში) მარტოხელად ცხოვრობდა და სახალხო მოლექსეც იყო. ატარებდა ფსევდონიმს „ბოპანი", რომელიც მისი გვარისა და სახელის შემოკლებით არის შეთხზული. ლადო ბოპანს რამდენჯერმე შეხვედრია ცაგერში და მისი სიტყვაც მოუსმენია.

ლადოს გახსოვდა ბოპანის გამოთქმა „უვითართა მავითარი", რაც განუვითარებელთა განმავითარებელს აღნიშნავს.

ლადომ თქვა: მთელი ლეჩხუმი იცობს ბოპანს და მთელმა ლეჩხუმმა იცის, რას ნიშნავს „უვითართა მავითარი".

ლადო მეტყოდა: ბაბუაშენი წყალობა ხუცური ხომ მეჭურჭლეა და ას-ას დორიან („დორა" საწყაო იყო და 7.2 გირვანქა ღვინოს იტევდა) ქვევრებს აკეთებს. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში რაც ჭურებია ჩაფლული, ყველა საირმეში დაუმზადებიათ საირმელებს. „საირმელი არ გეგონო, ჭური მეყუდოს კარზეო", – ხუმრობით უთქვამს მოშაირეს. საირმის თიხა მაღალი ხარისხისაა და ღნდა ვუპატრონოთ. ჩვენებური ღვინო დედის რძესავით შეერგება ადამიანს. რა სჯობია უსახელაურს, ხვანჭკარას, ოჯალეშსა და ტვიშურ ცოლიკაურს!..

ლადო ასათიანის ქუჩა – ქუთაისის გადასახედი

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ლადოს გარდაცვალების 20 წლისთზე ლადოს სახელი მიაკუთვნა ქუჩას, რომელიც ბაგრატის ტაძრის მახლობლადაა. ეს ქუჩა ე. წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოს ჩრდილოეთით აკრავს

და „კიბეებსა“ და „ცაცხვებს“ შორის ნახევარწრედ მშვილდივით მოხრილი არტყია გორას ქედს.

ღვიდი აკაკისა და გალაკტიონის ქუთაისში უქიმერიონის მთას დასავლეთიდან ბაგრატის ტაძრამდე ახლანდელ ქუჩათა და ისტორიულ სამყოფელთა მიხედვით აღმართ-აღმართ მიჰყვებიან მოთა რუსთაველის, ბესიკ გაბაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა–ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და მამია გურიელის ლანდები. ამ ცისარტყელასავით ნათელ ზოლში მოქცეულია ლადო ასათიანის ქუჩაც.

რიონის ორივე მხარეზე გაშენებული მწვანეში ჩაფლული „საყარიდო და სამაისო ქუთაისი“ წარმტაცი სანახავია უქიმერიონის მთიდან, სადაც საამისოდ გამოირჩევა სამი ადგილი: ბაგრატის ტაძრის მიდამო, ლადო ასათიანის ქუჩაზე მდებარე ე. წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზო და ბესიკის პარკი.

სილოვან ხუნდაძეს ეკუთვნის ცნობილი ლექსი „ქუთაისი გორიდან“. მიხეილ ჯავახიშვილი 1932 წელს წერდა: „უცნაური ამბავი დამემართა: უამრავი უცხო ქვეყანა დავიარე და ჩვენი მეორე დედაქალაქი ქუთაისი კი პირველად ვნახე. ბაგრატის ტაძართან ავედი და ქუთაისს იქიდან მოვავლე თვალი. მისი მდებარეობა და იერი მომხიბლავია. ამგვარი ლამაზი საქალაქო პეიზაჟი არსად არ მინახავს“.

ლადო ასათიანის აზრით, პანთეონისათვის ყველაზე შესანიშნავი ადგილია ე. წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზო, რომელიც ქალაქს თავზე დაჰყურებს. ეს არის ქუთაისის მთაწმინდა. მოღვაწენი აქ უნდა დაკრძალონ. მე ვინატრებ, ამ მიწას მიმებარონო. ქუთაისის მთაწმინდიდან გარკვევით მოჩანს გელათი, აჭარა-ახალციხის მთები, ნაქერალა, გორმაღალი, ხვამლი. ასხი. ვისაც აქ ფეხი არ დაუდგამს, ის ნუ იტყვის, ქუთაისი მინახავსო.

წინათ, როცა ბაგრატის ტაძარი სათანადოდ დაცული არ იყო, აქ უფრო ბევრი სტუმარი დადიოდა. ახლა კი სტუმრები მხოლოდ ბაგრატის ტაძარს ეცნობიან.

ე. წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზო ამჟამად წარმოადგენს ნაკრძალს, მაგრამ მაინც სასაფლაოს, სადაც მოღვაწეთაგან განისვენებენ მხოლოდ პოეტი მამია გურიელი და ფრიდრიხ შილერის „ვილჰელმ ტელის" მთარგმნელი მირიან ჭყონია. მოქალაქეთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ნუ მივისაკუთრებთ იმას, რაც არ გვეკუთვნის. ნუ დავანაწილებთ ამ ისედაც პატარა ეზოს და ნუ ავავსებთ ასე უმნიშვნელო ნაგებობებით, გალავნებით.

ე. წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზო მომავალში კეთილმოწყობილი გახდება. იგი მთლიანად გაიწმინდება. აქ განუწყვეტლივ მოვლენ ბაგრატის ტაძრის დამთვალიერებლებიც.

ეს ადგილი ისე დამშვენდება და გალამაზდება, რომ ქალაქის ცენტრში გამვლელი მოქალაქე თვალს ძნელად მოაშორებს წას, ყოველ უცნობს მიიზიდავს ქუთაისის დასანახავად.

მწვანეყვავილაზე არსებობს პანთეონი, მაგრამ მისი აქ გადმოტანა გაუმართლებელია. უმჯობესია მოვაწყოთ ქუთაისის გადასახედი და შევურჩიოთ მას შესაფერისი სახელწოდებაც.

აკაკი წერეთელი წერს ქუთაისზე: „შენი ციხე-გალავანი, ბევრჯერ სისხლით განაბანი"... ეს გალავანი რიონის ნაპირიდან იწყება, ქვის კაპიტალურ კედლად მიჰყვება ალმართს ბაგრატის ტაძრამდე, მერე უხვევს და თავდება თეორამიწასთან, სადაც სტუდენტობის დროს ცხოვრობდა ლადო ასათიანი.

ეს გრანდიოზული კედელი (ქალაქის გალავანი) ბაგრატის ტაძარზე რამდენიმე საუკუნით ადრინდელი ნაგებობაა. საჭიროა მისი მისადგომების გაწმენდა და გამოჩენა იმ, რომ ამ ძეგლსაც მნახველი არასოდეს შემოაკლდეს.

„სიჭაბუკე და ლექსი ერთია“

დღემდე, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ლადოს ლექსია კრებული ათჯერ გამოქვეყნდა, რაც პოეტის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს. ხალხი მღერის „სალაღობოს“. პრესა, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია ფართო აშუქებენ საკითხებს ლადოს ცხოვრებასა და ნაამაგარზე. ორჯერ გამოიცა ნ. აგიაშვილის წიგნი. ღადოს ხსოვნა ზეიმით აღინიშნა სხვადასხვა დროს ცაგერსა და ბარდნალაში, ბოლნისში, თბილისსა და ქუთაისში.

ლადოს დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები გაიმართება თბილისში, ქუთაისში, ცაგერში.

პოეზია ადამიანის სულის თრთოლვაა. პოეტის სული ლექსში ბოძიქრიბს. ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად მარად იცოცხლებს. „ვისაც მფარველად მუზა ჰყოლია, უკვდავი იყოს სახელი მისი!“

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1967 წლის 14 იანვარს, № 10 (10269).

ლადო ასათიანის იუბილე

ლეჩხუმში არაჩვეულებრივი ზეიმით აღინიშნა გამოჩენილი საბჭოთა პოეტის ლადო ასათიანის დაბადების 50 წლისთავი. ლადო ასათიანის პატივსაცემად ცაგერში შეიკრიბნენ ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ცაგერის რაიონის სახელოვანი მამულიშვილები, პოეტის ოჯახის წევრები და ნათესავები.

28 აპრილს კულტურის სახლში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ცაგერის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. სილაგაძემ. მან განაცხადა, რომ ლადო ასათიანის სახელი მიეკუთვნება ბარდნალის რვაწლიან სკოლას, ცაგერის ერთ-ერთ ქუჩას და ცაგერის პარკში დაიდგმება პოეტის ბიუსტი.

მოგონებები წარმოთქვეს ლადო ასათიანის უახლოესმა მეგობრებმა: მწერალმა ნ. აგიაშვილმა, ამ სტრიქონების ავტორმა და დოც. ლ. კიკნაძემ.

ლადო ასათიანის ლექსები წაიკითხეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა თ. თეთრაძემ და გ. მდივანმა, სოლო ლადოსადმი მიძღვნილი ლექსები კი — პოეტებმა: მ. ლებანიძემ და ლ. სულაბერიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორი მ. ჩიქოვანი, მწერლები: ოთ. ჩხეიძე, გ. ხუხაშვილი, ჯ. ჩარკვიანი, პედაგოგები: მ. ყურაშვილი, ნ. ხაბულიანი, ნ. გიორგობიანი, ო. ხეცურიანი, მოსწავლე დ. სილაგაძე და ჟურნალისტი ა. ჩიქოვანი.

აუდიტორია მქუხარე ტაშით შეხვდა აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის შემდეგ დეპეშას: „ცაგერი. საიუბილეო კომისიას. გმადლობთ მიწვევისათვის, მაგრამ ჩემი ჯანმრთელობის მდგო-

ძარეობა ნებას არ მაძლევს, დავესწრო ლეჩხუმის სიამაყის და ქართული პოეზიის მნათობის ლადო ასათიანის დაბადების 50 წლისთავია აღსანიშნავ იუბილეს. ულმობელმა სენმა ადრე შეაწყვეტინა შემოქმედება ბრწყინვალე ნიჭის მქონე ჭაბუკ ლადოს. მას არ დასცალდა გამოეცლინა თავისი დიდი შესაძლებლობის მცირედი ნაწილის მეტი, მაგრამ, რაც დატოვა, იგი თავისთავად ამშვენებს ჩვენს პოეზიას".

საიუბილეო საღამო ჩართული იყო რადიოქსელში და მოისმინეს რაიონის მშრომელებმა.

პოეტის დაბადებას მიეძღვნა საზეიმო შეკრება 29 აპრილს ბარდნალაში. ეს სოფელი გაშენებულია მაღლობზე და გადაჰყურებს ცხენისწყლია ხეობას სარეწკელასა და მურის კლდეკარს შორის.

გაზაფხულის საამო და გამაცოცხლებელი დღე იდგა. მელქისედეკ ასათიანის ეზო აივსო სტუმრებითა და თანასოფლელებით.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ვლ. ხეცურიანმა. მიტინგში მონაწილეობდნენ: პროფესორი მ. ჩიქოვანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ასათიანი, პოეტები: გ. გაჩეჩილაძე, ლ. სულაბერიძე, მ. ღლონტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. თეთრაძე, კოლმეურნე ნ. თუთისანი, პედაგოგი თ. კოპალიანი, მოწაფეები ც. ცხვედიანი და რ. ხაბულიანი. პროფესორმა მ. ჩიქოვანმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: სოფელ ბარდნალას ღირსი ასათიანის პოეზიის შუქი ანათებს. ეს ნათელი არ ჩაქრება მანამდე, სანამ ცხენისწყალი იხმაურებს და ხვამლის მთა ყვეს ზე იდგომება.

ლადო ასათიანის იუბილე ჩაიწერა ფირზე და გადაღებულ იქნა ტელევიზიით.

დაიბეჭდა გაზეთ „ჭუთაისში" 1967 წლის 4 მაისს, №87 (10346).

პოეტური ქარაგმა „სალაღობოდან"

(ლადო ასათიანის ხსოვნას)

24 წლის წინათ, 1943 წლის 23 ივნისს, გარდაიცვალა მგზნებარე ქართველი პოეტი ლადო ასათიანი. ლადო ასათიანის საუკეთესო პატრიოტულ ლექსებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „სალაღობო", რომელიც იმდენად პოპულარულია, რომ მას ხალხი მღერის. „სალაღობო" ქართულ სცენაზე არაჩვეულებრივი შთაგონებით პირველად წაიკითხა უნიჭიერესმა მსახიობმა სერგო ზაქარიაძემ.

5 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გამოჩენილი ენათმეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს გიორგი სარიდანის ძე ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საზეიმო სხდომა, რომელიც ნაჩვენები იქნა ტელევიზიით.

მშობლიური კუთხის – ლეჩხუმის წარმომადგენლებმა იუბილარს მიმართეს სიტყვებით და გადასცეს საჩუქრები (მათ შორის ხანჯალიც).

მაყურებელთა ხსოვნაში არ ამოიშლება ერთი დიდებული სამადლობელი ჩანართი, გ. ახვლედიანმა რომ ჩაიკეთა. მან გაიხსენა სახელოვანი თანამემამულე, მადლიერი ნამოწაფარი ლადო ასათიანი, რომელსაც, აკადემიკოს ვარლამ ციოფურიას თქმით, „ლეჩხუმის ბუნებისა და მოსახლეობის მიმზიდველობა მომხიბლავად აქვს ასახული თავის ლექსებში".

ჯ. ახვლედიანი მივიდა თავმჯდომარის მიკროფონთან და დაიწყო: შესანიშნავი პოეტი ლადო ასათიანი წერს: „...რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს"...

მან, ხანჯლით ხელში, დინჯად წარმოთქვა მთელი სტროფი „საღალობოდან":

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს,
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!"

ეს გამოთქმა – „...რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს..." ზოგიერთს სუსტი ჰგონია, მაგრამ ეს არის ერთ–ერთი უძლიერესი ადგილი ლექსში, – განაცხადა გ. ახვლედიანმა და ორიგინალურად განმარტა იგი.

საამაყო მასწავლებელს გ. ახვლედიანს ვთხოვე წერილობით მოეწოდებინა თავისი გონებამახვილური ნააზრევი ჩემს ნაშრომში შესატანად. გ. ახვლედიანმა ასათიანური პოეტური ქარაგმა ამგვარად ამოხსნა: „...რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს..." მეტაფორული ტროპია, რომელშიც „ძველი" ნიშნავს მოქმედებაში საბჭოფს წინათ; „ელდა ეცეს" – დაიორთქლოს (ქარქაშში დიდხანს ამოუღებლივ მყოფობის გამო), „ელდა" – ორთქლი; „ხანჯალს ელდა ეცეს" – ხანჯალი გაშიშვლდეს.

ჭკვიდი ენათმეცნიერის გ. ახვლედიანის თვალსაზრისი ფრიად საყურადღებოა ლადო ასათიანის პოეზიის შესწავლისათვის.

დაბეჭდდა გაზეთ „ქუთაისში" 1967 წლის 23 თებერვალს, № 122 (10381).

უკვდავი მესიტყვე

23 წლის წინათ, 1943 წლის 23 ივნისს, 27 წლის ასაკში გარდაიცვალა მგზნებარე საბჭოთა პოეტი ლადო ასათიანი. შევეხებით ზოგიერთ ძნიშვნელოვან საკითხს და იმ ღონისძიებებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში განხორციელდა პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

დღემდე ცამეტჯერ გამოიცა ლადოს ლექსთა კრებული, რაც მგოსნის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს. ლადოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ საუკეთესო ნაშრომები შექმნეს მ. ჩიქოვანმა, ნ. აგიაშვილმა, შ. აფხაიძემ, ს. რადიანმა, ნ. ქურიძემ, გ. კანკავამ, გრ. ხერხეულიძემ, მიხ. ჩიქოვანმა.

მოკლე ნეკროლოგი (იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1943 წ., № 15) გადაუჭარბებლად აფასებს ლადოს ღვაწლს. მასში ნათქვამია: ლადო ასათიანს აქვს თავისებური ხმა, ის არის ორიგინალური პოეტი. ნეკროლოგს ხელს ანერენ ქართული ეხატვრული სიტყვის დიდოსტატები. მათ შორის: საქართველოს სახალხო პოეტები: გ. ტაბიძე და გ. ლეონიძე, მწერალი-აკადემიკოსი კ. გამსახურდია, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ს. ჩიქოვანი, ლ. ქიაჩელი, გრ. აბაშიძე.

ლადო ასათიანის პოეზიის შესახებ ბრწყინვალედ აკადემიკოსების: გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავას, ე. თოფურიას, გ. ჯიბლაძის, ა. ბოჭორიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებებიც.

ცაგერსა და ბარდნალაში ორჯერ ჩატარდა რესპუბლიკური მნიშვნელობის შეკრებები, ცაგერის ერთ ქუჩას მიეკუთვნა ლა-

დოს სახელი. აღძრულია შუამდგომლობა ზემდგომ ორგანოთა წინაშე, რომ ბარდნალის რვაწლიან სკოლას დაერქვას ლადოს სახელი და ცაგერის პარკში დაიდგას ლადოს ბიუსტი.

ასეთივე ღონისძიებები განხორციელდა ქალაქ ქუთაისშიც. კარგართა ააიუბილეო საღამოები სახელმწიფო თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში. ქუთაისში არსებობს ლადო ასათიანის ქუჩა და გაშვრახულია პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში დაიდგას ლადოს ბიუსტი.

1967 წლის 25 იანვარს თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრში მოეწყო ლადო ასათიანის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე, რაც ნაჩვენები იქნა ტელევიზიით.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს ლადოს უახლოესმა მეგობრებმა – მწერლებმა და მეცნიერებმა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა პოეტ-აკადემიკოსმა ირ. აბაშიძემ. სიტყვებით და მოკრძალებით გამოვიდნენ: გ. ჯიბლაძე, ნ. აგიაშვილი, მ. ალავიძე, ლ. ავალიანი, გ. შალამბერიძე. ლადოსადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს: მ. ლებანიძემ, ლ. სულაბერიძემ, გ. კალანდაძემ. აუდიტორიამ მოისმინა ფირზე ჩაწერილი სიმონ ჩიქოვანის სიტყვა. ლადოს ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა: ბ. ზაქარიაძემ, გ. კობახიძემ, გ. საღარაძემ, თ. ხაინდრავამ, ნ. ჭავჭავაძემ, თ. თეთრაძემ, ტ. საყვარელიძემ.

ლადო ასათიანის შემოსვლა ქართულ პოეზიაში განუყრელად დაკავშირებულია აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის სახელთან. გ. ჯიბლაძემ გაასწორა და დაბეჭდა ლადოს პირველი ლექსი, პრესაში გზა გაუხსნა ლადოს ნაწერებს.

გ. ჯიბლაძე ამზადებს ნაშრომს დასაბეჭდად. 1967 წლის 16 იანვრით დათარიღებულ მის კერძო ბარათში ვკითხულობთ: „შენმა უკანასკნელმა ორმა წერილმა – პირადად ჩემდამი და ოფიციალურმა – გაზეთში ახლახან დაბეჭდილმა – სტიმუ-

ლი მომცა დაეწერო მოგონება-სტატია ჩვენი უსაყვარლესი, უდროოდ დაღუპული მეგობრის, ლადო ასათიანის შესახებ".

იუბილეზე გ. ჯიბლაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ლადო ასათიანის პოეზიის ღრმა მეცნიერულ ანალიზს შეიცავს. ორატორმა გაიხსენა ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციასა და პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობაც. მისი და ლადოს შეხვედრები და საუბრები.

თავის გამოსვლაში ორატორმა განავითარა შემდეგი დებულებები: 1. იშვიათია ქართველი პოეტი, რომელსაც ყველა ლექსი კარგი ჰქონდეს, სუსტი ლექსები ლადოსთან არ გვხვდება. იგი ამ მხრივაც ენათესავება დიდ წინაპარს ნიკოლოზ ბარათაშვილს. 2. ლადო პოპულარულია, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული პოეტი, იშვიათი პატრიოტი, სიცოცხლისა და სიყვარულის მეხოტბე. მართებულია ცნობილი თალსაზრისი, რომ ლადოს პოეზია გამსჭვალულია თანამედროვეობის სულისკვეთებით მაშინაც კი, როცა ლადო გმირ წინაპრებს ადიდებს. იგი კვლავ რჩება უაღრესად თანამედროვე პოეტად. 3. „ჩემი სამშობლო" დაწერილია ცხრამეტი წლის ლადო ასათიანის მიერ. როდესაც წავიკითხე და ჩავასწორე ლექსის ხელნაწერი, მე ვიგრძენი ავტორის უტყუარი პოეტური ტალანტი. 4. ხშირად ამბობენ ლადოს სახით ნიჭიერი შემოქმედი ეზრდებოდაო ქართულ საბჭოთა პოეზიას. ეს მოსაზრება მიღებულია, რადგან ლადო რომ გარდაიცვალა, ის უკვე ჩამოყალიბებული იყო როგორც პოეტი, თუმცა მას სიცოცხლე არ დასცალდა და მცირედი ნაწილი თქვა იმისა, რისი თქმაც შეეძლო. 5. ლადოს თავისებური ენა და სტილი, მისი ლექსის რიტმი, ორიგინალური რითმები და საერთოდ, პოეტური ოსტატობა ცალკე დასამუშავებელი თემებია. ენათმეცნიერები და ლიტერატურათმცოდნეები ამ საკითხს სპეციალურ გამოკვლევებს მიუძღვნიან. 6. ოპტიმისტური ნაკადის მხრივ არის სიახლოვე და შეიძლება პარალელის გავლება გალაკტიო-

ხის „მესაფლავესა“ და ლადოს „სასაფლაოს“ შორის. ლადო ასათიანი აქაც, მღუმარე საფლავებთან, ნაკადულის, ყვავილთა და ბებერლართა სახით სიცოცხლის ზეიმს ხედავს. 7. პოპულარობის კანონ „სალაღობოს“ შეუძლებელია შეეცვალოს სათაური. ისე კი ამ ლექსსაც და მის მეტრსაც უმჯობესია ერქვას „ასათიანური“. ლადო ასათიანი ეტრფოდა საქართველოს და ნატრობდა, შეერთებოდა მხოლოდ მის მიწას. იგი წერს: „და მე თუნდ მიწა ვიყო როს სადმე თბილისის ახლოს“.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ლადო ასათიანის ნეშტი გადატანილ იქნა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ქართველმა ერმა მგზნებარე პოეტს საკუთარი ადგილი მიუჩინა რჩეულ მამულიშვილთა შორის.

ლეჩხუმის სოფელი „ბარდნალა“ ახლა უკვე ფართოდაა ცნობილი. ტოპონიმიკური ტერმინი „ბარდნალი“ სხვა კუთხეებშიც იხვდება. ნაწარმოებია ნარ (დისიმილაციით ნალ) სუფიქსით „ბარ“ ძირისაგან და „ბარდნარს“ ანუ ბარდნარევ ადგილს ეწოდება (შდრ. „ეკლარი“ – ეკლნარი).

პოეტის მშობლიური სოფელი „ბარდნალა“ კი ეტიმოლოგიურად ასევე ვერ აიხსნება. საისტორიო წერილობითი დოკუმენტებით დასტურდება და ამჟამადაც ხალხურ მეტყველებაში ცოცხალია ფორმა „ბარნალა“. ამ სახელწოდებას კი „ბარ“ ძირი და იგივე ნარ სუფიქსი აქვს. არსებობს „ბარ“ ძირის შემცველი სოფლის სახელწოდებები: „ბარი“, „ბარეული“ (რაჭაში) და „ბარისახო“ (ხევსურეთში).

პროფესორი მიხ. ჩიქოვანი, როცა ლადოს „ბარდნალას“ იხილავს, ეხება ამ ლექსის სათაურსაც. მიხ. ჩიქოვანის დღემდე უცნობი ეტიმოლოგიური თვალსაზრისიც ასეთივეა: „ყველაფრით შემკობილია ლექსი. იგი მადლიანი შთაგონების შედეგია და მცირერიცხოვან შედევრთა შორის შეიძლება მოვათავსოთ.

მხოლოდ თვითონ სოფლის სახელწოდებაა შეჩვეულება ხელოვნურად". ბარ-დ-ნალა – ადგილობრიც მას „ბარნალას" უწოდებენ და სამართლიანადაც. ტოპონიმი ნაწარმოები უნდა იყოს არა „ბარდიდან", არამედ „ბარიდან", რაც დაბლობ „დავაკებულ" ადგილს ნიშნავს მაღალი – მთაგორიანი მიდამოს საპირისპიროდ. მართლაც პოეტის სოფელი ცხენისწყლის მარცხენა ნაპირს ეკვრის, დაბლობ მიფენებაზეა გაშენებული. აქაურების ბორანიც კი ჰქონიათ.

ამრიგად, „ბარნალა" „ბარს" უკავშირდება და დისიმილაციით მიღებულია ფორმისაგან „ბარნარი". არსებობს ასეთიცე ნიმუშები: ვაკნარი, დაბლ(ნ)არი, მაღლ(ნ)არი, ქვაბნარი... „თერნალი" (სოფელს ეწოდება წყალტუბოსთან), იგივეა, რაც თირნარი.

ახლა, ცხადია, სოფლის პირვანდელ სახელწოდებას ვერ აღვადგენთ, რადგან ფორმა „ბარდნალა" უკვე დამკვიდრებულია ხმარებაში. დავასახელებთ სხვა მაგალითსაც. ფორმა „ფიჩხი" ლიტერატურულია. „ფურჩხი" კი – დიალექტური, მაგრამ წარმოქმნილი ფორმის ვარიანტთაგან სალიტერატურო ენაში გაცრცელდა დიალექტური „ოფურჩხეთი" (სოფელს ჰქვია ქუთაისთან) და განიდევნა ლიტერატურული „ოფიჩხეთი".

სოფელ ბარდნალას ლადო ასათიანის პოეზიის შუქი ანათებს. ეს ნათელი არ ჩაქრება მანამ, სანამ ცხენისწყალი იხმაურებს და ხვამლის მთა ფეხზე იდგომება. უკანასკნელად აქ კოხტა კარმიდამოში მექი გუჯუს ძე ასათიანი მასპინძლობდა. ამიერიდან კი გაიხსნება სახლ-მუზეუმი და განუწყვეტლივ მოვლენ სტუმრები – ლადო ასათიანის სულიერი ნათესავები.

პოეზია ადამიანის სულის თრთოლაა. პოეტის სული ლექსში ბობოქრობს. ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად იცოცხლებს. „ვისაც მღვარველად მუზა ჰყოლია, უკვდავი იყოს სახელი მისი".

დაბეჭდდა გაზეთ „ქუთაისში" 1968 წლის 22. ივნისს, № 120 (10636).

სიცოცხლის მეხოტბე

(ლადო ასათიანის საღამოს გამო)

ქუთაისში პირველად ეწყობა ლადო ასათიანის ხსოვნის საღამო.

ლადო ასათიანის იუბილეები ხშირად ჩატარდება საქართველოში, მაგრამ დღევანდელი საღამო იმითი იქნება დაუვიწყარი, რომ ამ ზეიმს დაესწრებიან პოეტის ოჯახის წევრები, ნათესავები, მასწავლებლები და ტოლ-მეგობრები.

ქუთაისში გამართული პირველი საღამო ლადო ასათიანის პირად ნაცნობთა საღამოა და, ამდენად, გასაგებია, თუ როგორი სითბო და გულწრფელობა დაამშვენებს ამ შეხვედრას.

ლადო ასათიანის ნაჭირნახულევს რომ თვალს ვადევნებთ, ცხადი ხდება, რა დიდი მიზანი ამოქმედებს თავისი ხალხისა და ქვეყნის სიყვარულით შთაგონებულ პოეტს.

ლადო ასათიანი სამართლიანად აღიარებულია, როგორც სიცოცხლისა და სიხარულის მომღერალი ქართველი საბჭოთა მგოსანი. და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, რომცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე", – წერს იგი. პოეტის შემოქმედების ძირითადი თემა არის სამშობლო. იგი უმღერის ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიულ წარსულსა და დიადს დღევანდელობას, ხალხთა მეგობრობასა და თავისუფლებას.

ლადო ასათიანის ცნობილი ნაწარმოებებია: „სამშობლო", „ჩემი ქვეყნის ოქროყანა", „ლენინის ტომი", „კალმახები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე", „სალაღობო", „კრწანისის ყაყაჩოები",

„ცხრა ძმა ხერხეულიძე", „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი", „ასპინძა", „ბასიანის ბრძოლა"; ღეჩხუმზე დაწერილი ლექსების ციკლიდან: „ბარდნალა", „ნამკაშურის წისქვილები" „სარწყული", „ცაგერის ბაზრობა", ლექსები პუშკინზე, ნ. ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, ნიკო ფიროსმანიშვილზე, ივანე ჯავახიშვილზე, ვერიკო ანჯაფარიძეზე, ლექსები „სიმჭლის სენზე" და სხვანი. ლადოს კალამს ეკუთვნის ასამდე ლექსი.

ზოგიერთ მოწინავე პოეტს ბევრი სუსტი ლექსიც აქვს, მაგრამ ლადოზე ეს არ ითქმის. ლადოს ყველა ლექსი კარგია, შესრულებულია მაღალი ოსტატობით. ლადოს პოეზიაში ვერ შეხვდებით ისეთ ლექსს, რომელმაც არ დაგვაინტერესოს. პოეტი გაურბის შაბლონს, ნაცნობ, გაცვეთილ სახეს, რითმას თუ სამკაულს. მის ყოველ გამოთქმას დიდი გამომსახველობითი ძალა შესწევს და ყოველთვის გვიტაცებს. შესანიშნავია ლადო, როგორც მხატვარი. შინაარსისა და ფორმის მთლიანობა მისი ნაწარმოების მთავარი ღირსებაა.

ყოველ ლექსს ლადოს ნათელი ფანტაზიის სამყაროში გადავყავართ, ყოველი სტრიქონი მუსიკალურია და ნარნარ ხმას გამოსცემს. სიტყვა გულიდან ამოდის. გაგვიცდით იმასვე, რასაც პოეტი აუღელვებია. წავიკითხავთ ლექსს და არ გვასვენებს. კვლავ ვუბრუნდებით დაბეჭდილს და ზეპირად გვამახსოვრდება.

ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ათჯერ გამოიცა ლადო ასათიანის ლექსების წიგნი, რაც ავტორის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს.

სპეციალურად ლადო ასათიანის შესახებ დღემდე დაბეჭდილია წერილები, მოგონებები და ლექსები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ს. ჩიქოვანის წერილი „ლადო ასათიანი", შ. აფხაიძის წერილი „პოეტის ლაშაზი ცხოვრება", შ. ქურიძის „ლადო ასათიანის პოეზია", მ. ლებანიძის „45 წლის

ლადო ასათიანი", გრ. ხერხეულიძის „ლადო ასათიანის ლირიკა" და ნიკა აგიაშვილია ბიოგრაფიული რომანი „ჭაბუკები დარჩნენ მარად".

მწერალ ნიკა აგიაშვილის დახასიათებით, „რაც უნდა მოწყენილი იყოს ადამიანი, როცა ხელში აიღებს და გადაიკითხავს მის ვაჟკაცურ „ასათიანურ" ბნკარებს, მაშინვე სიხარულითა და აღტაცებით გაუბრწყინდება სახე და ასე დარჩება დიდხანს".

ნიჭიერმა ბელეტრისტმა ლადო ავალიანმა თქვა: „ქართული პოეზიის დიდ ტაძარში ლადო ასათიანის პოეზია ანთია, როგორც ერთი ნათელი სანთელი და, სანამ ქართული პოეზიის ტაძარი იქნება, ამ ტაძარში მუდამ ენთება ლადო ასათიანის პოეზიის ნამინდა სანთელიც".

აკადემიკოსმა ანგია ბოჭორიშვილმა აღნიშნა: „მე მძულს ჭლექი, რომელმაც იმსხვერპლა ჩვენი შესანიშნავი პოეტი. სხვას ჭლექი ეგოისტად აქცევდა. ლადო ასათიანმა კი სძლია მას სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში და ამით უკვდავება დაიმკვიდრა".

ლადო ასათიანს ბობოქარი სული და უნაზესი გრძნობა ჰქონდა. ბედმა მას ყველა სიკეთე როდი უწყალობა. ბუნებამ მისივეს უბადლო ნიჭი არ დაიშურა და ხანგრძლივი სიცოცხლე არ გაიმეტა.

კაცსავაც ცხადად წარმომიდგება ტანმაღალი და კამხდარი ძმაკაცნაფიცი ნათელი შუბლით და მეტყველი თვალებით, გულფიცხიც და გულთბილიც, ენაბრგვილიც და ენამახვილიც.

ვიგონებ მახლობელს: პოეზიაზე შეყვარებულს, დედაენაზე ამღერებულს, სანთელივით ანთებულსა და გამქრალს.

ვაჟკაცობაში შესული ლადო ბავშვივით სათუთი და მოსაფერებელი იყო.

ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ოცდაათი წლის განმავლობაში სხვადასხვა დარგის მრავალათასი სპეციალისტი

მოამზადა და გამოუშვა. ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა ფართოდ გაითქვა სახელი. მაგრამ მათ შორის ლადო ასათიანს ვერავინ შეედრება. იგი ხომ ნამდვილ სტიქიად მოევლინა ქართულ საბჭოთა პოეზიას. **პედაგოგიური ინსტიტუტი ყოველთვის იამაყებს იმით, რომ მის კედლებში სწავლობდა და უმაღლესი განათლება მიიღო ლადო ასათიანმა.**

№ 33 ჯგუფში ლადო ასათიანთან ერთად სწავლობდნენ ახლა დოცენტები: ნელი დუმბაძე, ლ. კიკნაძე, ვ. შალამბერიძე, ა. მიშველაძე, ჟურნალისტები: რ. გაბეჭავა, დ. ჭიჭილეიშვილი; პედაგოგები: მ. ტრაპაიძე, ზ. ხონელიძე, ღ. ბინიაშვილი, ელ. ჯანელიძე, ბ. ზონენაშვილი, დ. მეგრელიშვილი, ა. იმედაძე, დ. კაკიაშვილი, რ. შკუბულიანი, ნ. ნადირაძე, ღ. ძნელაძე...

ინსტიტუტის ლექტორთაგან ლადოს, რიგორც შემოქმედს, ახლო იცნობდნენ და პატივისცემით ეპყრობოდნენ აკადემიკოსები: გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, ვ. თოფურია, ა. ბოჭორიშვილი, ა. ბარამიძე, ს. ყაუხჩიშვილი; პროფესორები: მ. ზანდუკელი, მ. გოგიბერიძე, ვ. კოტეტიშვილი, გ. როგავა, ვ. ხავთასი, კ. მეძველია, შ. ძიძიგური...

დიდი სამამულო ომის დროს ლადო გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში.

სტუდენტობის პერიოდში ლადო დაახლოებული იყო ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციასთან. რედაქციის წამყვანი მუშაკები გ. ჯიბლაძე, ნ. აგიაშვილი, პ. ჭელეგია, პ. ბახტურიძე, ე. ხუციშვილი, პ. გულუა მასზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ.

ლადო ჩაება მწერალთა კავშირის მასობრივ საქმიანობაში. იგი ხშირად გამოდიოდა ლიტერატურულ საღამოებზე ლექსებით კითხვით და ფოლკლორის სექციაშიც მუშაობდა.

ლადო ასათიანთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ განყოფილებაში გაერთიანებული მწერლები: დ. ჩიანელი, დ. თომაშ-

ვილი, ვ. დარასელი, ბ. კეშელავა, მ. ასათიანი, გ. საქხარაძე, ს. ფხაკაძე, ა. თევზაძე, ს. ისიანი, გ. ნაფეტვარიძე, ვ. ლორთქიფანიძე, შ. ტოგონიძე, ა. სინაური, ი. ხოშტარია, ვ. შავგულიძე, პ. ხმალაძე, შ. ჩარკვიანი, ა. გურჯიძე, ვ. გვეტაძე, გრ. იმედაძე, მ. კაკიტელაშვილი, დ. კვირკველია.

ქუთაისში ლადო ასათიანი თავდაპირველად ცხოვრობდა ყაზბეგის ქუჩაზე. ეს ქუჩა ბაგრატის ტაძრის მახლობლადაა. იქვეა ვაჟა-ფშაველას ქუჩაც. ლადოს უთქვამს: გორაზე აქოველი და ძველ ქუთაისშიც ვადმოვსახლდი. თეთრამიწაზე ქვის ხანაშიც უცხოვრია ადამიანს. ბაგრატის ტაძართან ვბინადრობ და გელათსა და ხვამლს ვხედავ. ბაგრატის ტაძრის ახლომახლო მიუსამოებს – ქუჩებს, ე.წ. „არქიელის გორას“ საქართველოს მთავრების ბუმბერაზ შვილთა ვაჟა-ფშაველასა და აღექსანდრე ყაზბეგის სახელებიც ამშვენებენო.

ეს აზრი შემდეგ ოსტატურად გამოიყენა ნიჭიერმა პოეტმა ზ. ლორთქიფანიძემ. მან დაწერა მშვენიერი ლექსი „ვაჟას ქუჩა ქუთაისში“, რომელიც თავდება სტრიქონებით: „სახლ-კარი მთაზე, საფლავი ბთაზე, სახელიც მთაზე აუტანიათ“.

ლადო ასათიანი ბეორედაც დაიბადა. მისი პოეტური აკვანიც ქუთაისში დაირწა. „ორჯერ დაბადებულს კი ერთი სიკვდილი ვერას უზამს“.

ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად მარად იცოცხლებს. „ვისაც მფარველად მუზა ჰყოლია, უკვდავი იყოს სახელი მისი!“

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1970 წლის 2 ოქტომბერს, № 36 (9527).

ლადო ასათიანმა აღმოაჩინა

(კომენტარის კომენტარი)

ლადო ასათიანმა 1938 წელს იპოვა ნინო ორბელიანის უცნობი ლექსი და ის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (№287) კომენტარით გამოაქვეყნა.

მაშინ ლადო ასათიანი 22 წლის იყო, ახლადდამთავრებული ჰქონდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი და თბილისში გადავიდა სამუშაოდ. ლადო მსახურობდა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში და სტამბავდა პუბლიცისტურ წერილებსაც.

ახლა, როცა ლადო ასათიანი ძალზე პოპულარული პოეტი გახდა, ბევრს აღარ ახსოვს და მივიწყებულია მისი ეს ადრინდელი პუბლიკაცია.

კარგად იგრძნობა, რომ ჭაბუკ მგოსანს ფილოლოგიური კვლევა-ძიებაც შეეძლო. გავეცნოთ კომენტარს:

„ნინო ორბელიანი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მგოსანი ქალია. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ დროს, როდესაც ქართული პოეზიის საჭე ეპყრათ მის თანამოგვარე ისეთ დიდ მგოსნებს, როგორებიც იყვნენ გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები. ნინო ორბელიანი მონაწილეობდა პირველ ქართულ ჟურნალ „ცისკარში“, სადაც მოთავსებულია მისი რამდენიმე საგულისხმო ლექსი.

ჩვენ მიერ აღმოჩენილ უსათაურო ლექსს, რომელსაც აქ ვაქვეყნებთ, მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს. როგორც ამ ლექსიდან ჩანს, ნინო ორბელიანი უაღრესად ნიჭიერი პოეტი და ქართული ენის საუკეთესო მცოდნე ყოფილა. ლექსი დაწერილია რომანტიკოსებისათვის ჩვეული

პესიმისტური განწყობილებით. ავტოგრაფი აღმოჩნდა ლეჩხუმში, სოფელ ბარდნალაში, პელაგია ჩიქვანი – ასათიანის ბინაზე. პელაგია ჩიქვანის სახლს ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე ცნობილი ქართველი პოეტები და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის აკაკიც ყოფილა სტუმრად. აქ, გარდა ნინო ორბელიანის ლექსისა, აღმოჩნდა აკაკის დაუბეჭდავი ლექსიც.

აღნიშნული ლექსის ავტოგრაფი დაწერილია მცირე ზომის ქაღალდის ცალ გვერდზე ლამაზი, გარკვეული ხელით. მისი დაწერის თარიღია 1886 წელი".

აქვე მოთავსებულია ნინო ორბელიანის ექვსსტროფიანი უსათაურო ლექსი.

ეს მასალა, რასაც ჯერჯერობით არავინ ჩესებია, მნიშვნელოვანია ლადო ასათიანის ლიტერატურული ნემკვიდრეობის შესწავლისათვის.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში" 1971 წლის 6 მარტს, № 47 (11331).

ზეიმი ბარდნალაში

(გაიხსნა ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი)

7 მაისს სოფელ ბარდნალაში საბჭოთა საქართველოს იუბილეესთან დაკავშირებით გაიხსნა ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი. ამიერიდან კულტურის ეს ახალი კერა ხელს შეუწყობს ლადო ასათიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლასა და პოპულარიზაციას. აქ განუწყვეტლივ მოვლენ ლადოს სულიერი მეგობრები.

გაზაფხულის არაჩვეულებრივი მზიანი დღე იყო. წყალტუბო-ცაგერის გზატკეცილსა და სარეწკელას ხეობას დილიდანვე დაეტყო გამოცოცხლება, ცხენისწყლის ლანქერის ხმას ავტოკოლონათა გუგუნიც უერთდებოდა.

ადგილობრივ ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ცაგერში შეიკრიბნენ უმეტესად ცხენისწყლის ხეობაში გაშენებული სოფლების მკვიდრნი, თბილისიდან, მეზობელი ქალაქებიდან და რაიონებიდან მოწვეული სტუმრები.

ცაგერიდან გავსწიეთ ბარდნალისაკენ. ჭალისთავი განვვლეთ და წიფერჩის აღმართს შევუდექით.

კეთილმოწყობილ და ამწვანებულ კარ-მიდამოში შემოგვეგებნენ ლადო ასათიანის ოჯახის წევრები: პოეტის და – მედეა, მეუღლე ანიკო ვაჩნაძე, ქალიშვილი მანანა და მისი მეუღლე გრეი ჯანიკაშვილი, ლადოს შვილიშვილები: ეკა და მაკა. აქვე დაგვხვდნენ მათი ნათესავები და მეზობლები.

ორსართულიანი მამაპაპური ოდა კოხტად მოერთოთ. მუზეუმზე გადასაცემად ქუთაისიდან ავიტანეთ ლადოს საუკე-

თესო დიდი პორტრეტი, რომელიც 1964 წელს ტილოზე შეასრულა ნიჭიერმა მხატვარმა, აწ გარდაცვლილმა ნიკოლოზ ნაჭყეპიამ. ლადოს სურათი აივნის სვეტზე დაკიდეს.

პირველ საათზე შედგა მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა მიხეილ გვიშიანმა.

სიტყვებით გამოვიდნენ: გაზეთ „კომუნიზმის სხივის" რედაქტორი აკაკი ჩიქოვანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი, ენათმეცნიერი და მწერალი მიხეილ ალავიძე, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე, ბარდნალის სკოლის მასწავლებელი თინათინ კოპალიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯანსულ ჩარკვიანი, ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლე თამარ ონიანი, მხატვარი ვახტანგ ონიანი, მწერალი ნიკა აგიაშვილი, ფილოლოგი სოლომონ ხუციშვილი, ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებელი ეკა ზია კანაჩაძე, ენათმეცნიერი და მწერალი ზურაბ ჭუმბურიძე, თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიული მუზეუმის დირექტორი გიორგი კობიაშვილი.

ლადოსადმი მიძღვნილი ლექსები წარმოთქვეს პოეტებმა: გიორგი კალანდაძემ, ლადო სულაბერიძემ, გიორგი ქავთარაძემ და ზურაბ კუხიანიძემ.

წაიკითხეს მისალოცი დეპეშები: ბარდნალის საორგანიზაციო კომისიას. მივესალმები ქართული პოეზიის შესანიშნავი პოეტის, ლეჩხუმის სიამაყის, ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის გახსნას მის მშობლიურ სოფელში, რომელსაც მან სახელი გაუთქვა. ლეჩხუმს წარმოეშვას ლადოს ღირსეული გაგრძელობები, ხოლო მის ძვირფას ოჯახს ისეთი ბრწყინვალე, როგორიც შეეფერება მის უკვდავ სახელს. გიორგი ახვლედიანი.

ცაგერი, პარტრაიკომი, მიხეილ გვიშიანს. „მიეცსალმები თქვენს შესანიშნავ საქმეს – ჩვენი სასიქადულო პოეტის, ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის გახსნას. გისურვებთ წარმატებებს. ჩემი მისალმება გადაეცით პოეტის ოჯახს. მარად თქვენი ირაკლი აბაშიძე."

მისალოცი დეპეშა გამოაგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგემ პროკლე კეკელიძემ.

ლენტი გაჭრეს, დარბაზის კარი გააღეს და დაიწყო დათვალიერება. სტუმრები ნაწილ-ნაწილ ინტერესით ეცნობოდნენ ექსპონატებს. აქ არის ლადოს ხელნაწერები, მის ლექსთა კრებულის გამოცემები, პრესაში დაბეჭდილი მასალები ლადოზე, პოეტისეული ბიბლიოთეკა. კედლებზე განლაგებულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამები ლადოზე. ლადოს ოჯახის წევრთა, ცაგერში მისი ბავშვობის, ქუთაისში სტუდენტობის პერიოდის, თბილისში ყოფნის, ლადოს მასწავლებლებისა და მეგობრების ამსახველი ფოტოდოკუმენტები, ლადო გუდიაშვილისეული ჩანახატი, ვახტანგ ონიანისეული სკულპტურული პორტრეტი. მაგიდაზე ცალკე დევს ფოტოალბომი.

ლეჩხუმური ოდის ქვედა სართული – „პალატი" მარნად გამოიყენეს. გაშლილ სავსე სუფრასთან ცოლიკაურის ღვინით აკსებდნენ „სარწყულებს" და სარწყულებიდან კი – ყანწებს, ლოცავდნენ ოჯახის ფუძეს, მშობლიურ ერს და მის მომავალს.

ეზოში მეღვინეებდექ ასათიანის საფლავზე, ყვავილნართან, პურ-ღვინო მიიტანეს, წარმოითქვა მოსაგონარი და თბილი სიტყვები.

სახლ-მუზეუმის გახსნაში მონაწილეობდნენ ქართველი ინტელიგენციის სახელოვანი წარმომადგენლები: მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანი, ფოლკლორისტი მიხეილ ჩიქოვანი, ისტო-

რიკოსი და დრამატურგი ლევან სანიკიძე, ლიტერატურის ისტორიკოსები: გურამ ასათიანი, სარგის ცაიშვილი, გიორგი ციციშვილი, ნელი დუმბაძე, ლამარა კინწურაშვილი, არქეოლოგი გერმანე გობეჯიშვილი, მთამსველელი გივი ყალაბეგიშვილი, პოეტი ტარიელ ჭანტურია.

ნაშუადღევს ბარდნალასა და ცაგერში გაჩაღდა სამახსოვრო ლხინიც.

მიტინგზე ჩემს სიტყვაში მოკლედ ჩამოვთვალე ის ღონისძიებანი, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანებში განხორციელდა ლადო ასათიანის სახელის უკვდავსაყოფად.

1940 წლიდან დღემდე, 30 წლის განმავლობაში, თორნეტჯერ გამოიცა ლადოს ლექსთა კრებული, რაც პოეტის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს, ოთხჯერ დაიბეჭდა ლადო ასათიანის ცხოვრების მატიანე – ნიკა აგიაშვილის წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად".

1962 წელს პირველად ცაგერსა და ბარდნალაში აღინიშნა ლადოს დაბადების 45 წლისთავი.

1964 წელს ლადოს გარდაცვალების 20 წლისთავზე ქუთაისის სახელმწიფო თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამოები. ქალაქ ქუთაისის ერთ–ერთ ქუჩას მიეკუთვნა ლადოს სახელი.

1967 წლის 15 იანვარს თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრში ჩატარდა ლადოს დაბადების 50 წლის იუბილე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა – აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. იუბილეზე ლადოს მეგობარ მწერლებსა და მეცნიერებთან ერთად სიტყვით გამოვიდა ლადოს მასწავლებელი და ქუთაისში მისი პოეტური აკვნის დამრწევი აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე.

ამავე წლის 28 აპრილს სპეციალურად ლადოს იუბილეზე საქართველოს კუთხეებიდან ცაგერში შეიკრიბნენ რაიონის ინ-

ჭელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები. ამ დღეს აღსრულდა ჩვენი ახალგაზრდობის ნატვრა: ლადოს ნეშტი ვაკის სასაფლაოდან გადატანილ იქნა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

ერთი თვის შემდეგ, 83 წლის ასაკში, გარდაიცვალა ლადოს ქალბატონი, ღვაწლმოსილი პედაგოგი მელქისედექ გუჯუს ძე ასათიანი, რომელიც ამ ეზოში განისვენებს.

დღევანდელი ზეიმი ღირსშესანიშნავი მოვლენაა საბჭოთა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

დიდად სასიხარულოა, რომ სახლ-მუზეუმის გახსნას ესწრებიან შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მუშაკები. ინსტიტუტი გამსვლელ სამეცნიერო სესიას ხვალ გამართავს რუსთაველის ნაკვალევზე – ცაგერში, სადაც, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერს, „მაქსიმე აღმსარებელი არს დაფლული".

აღვადგენ მნიშვნელოვან მოსაზრებებს, რომლებიც აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ ზეპირად გამოთქვა მიტინგზეც და კერძო საუბრებშიც.

უნდა გამოვტყდე, რომ ლეჩხუმში პირველად ვარ. ბევრი რამეა მომისმენია ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. თუმცა დღემდე არ ვყოფილვარ, მაგრამ მაინც ვიცნობდი ლეჩხუმს აკაკი წერეთლის დახასიათებით და ლადო ასათიანის ნაწერებით. ნაბულით მოვიხიბლე.

გუშინ ხელახლა მთლიანად გადავიკითხე ლადოს ლექსთა კრებული გატაცებით, სულმოუთქმელად.

იშვიათად ჩაიძირებნება პოეტი, რომელსაც ისე შთაბეჭდილებად ემღეროს მამულისთვის, როგორც ლადომ უმღერა. უებრო ოპტიმისტი – სიცოცხლის მეხოტბე შეხაროდა საქართველოს მზეს და ზეცას, ქის ძლიერებას, განახლებულ თბილისს, უკვდავ გმირებს. ისტორიულ თემაზე შექმნილი მისი ნაწარმოებებიც

განმსჭვალულია თანამედროვეობის სულიაკვეთებით. ლადოს ლექსები ზეპირად იციან. საკუთარი ხმის პოეტმა ღირსეული ადგილიც დაიმკვიდრა საბჭოთა პოეზიაში.

სულმნათი წინაპრები: შოთა, საბა, დ. გურამიშვილი, ბესიკი, ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა გაცოცხლდნენ და მუდამ იცოცხლებენ ლადოს ნაწარმოებებშიც.

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ლექსმა, რომელიც მიძღვნილია ქართველი ხალხის სინდისის ივანე ჯავახიშვილისადმი. ასე გამოკვეთილად არავის დაუხატავს სამაგალითო მეცნიერის სახე. ლადომ პოეტურ სიმბოლოდ წარმოადგინა წარსულის მესაიდუმლე, რომელიც უნდა ყოფილიყო ტახტზე დაბრძანებული ვახტანგ მეექვსესავით. ივანე ჯავახიშვილს ლადომ „საქართველოს ისტორიის რჯულმდებელი" უწოდა.

ალ. ბარამიძეს ფურცლებზე ჰქონდა ლადოს კრებულიდან ამოკრეფილი რამდენიმე სტროფი და ისინი წაიკითხა. ისაუბრა ლექსზე, რომელიც ანიკო ვაჩნაძეს შეეხება და პარალელი გაავლო ლადოსავე „გურამიშვილის ჩივილთან".

ლადოს სტუდენტობა გაიხსენა. ის ხომ კუთაისში 1938 წელს რუსთველოლოგიაში უკითხავდა ლექციებს ლადოსა და მის თანაკურსელებს და სახელმწიფო-საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედაც მუშაობდა. სახლ-მუზეუმში ცალკეულ თუ ჯგუფურ ფოტოებზე წარწერები ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ. ალ. ბარამიძემ უთხრა ბესო ჟღენტსა და მიხეილ ჩიქოვანს: ყოველთვის თვალწინ წარმომიდგება სტუდენტი ლადო ამ სახით – ჰალსტუხიან თეთრ პერანგში. მეოთხე კურსის სტუდენტები: ლადო, შ. ქურიძე და მ. ალავიძე, როგორც მეგობრები, ერთად მხვდებოდნენ. ეს სურათი პირველად ნიკა აგიაშვილმა გამოაქვეყნა თავის წიგნში. ისიც კარგად მახსოვს, რომ სევერიან ისიანიც მის კურსზე სწავლობდა, გიორგი ნაფეტვარიძე კი –

ძომდევნო კურსზე.

ალ. ბარამიძემ კერძო საუბარში მადლიერებით აღნიშნა, რომ 1919-1920 სასწავლო წელს მას ხაშურის სკოლაში ასწავლიდა პეტრე ჭაბუკიანი. რომელიც იმჟამად ლექსებსაც წერდა. პეტრემ შეაყვარა მას ქშობლიური ენა და ლიტერატურა, ჩაუნერგა პოეზიისადმი მიმართება. ეს ამაგი მას კიდევ უფრო უზრდის პეტრესადმი პატივისცემას.

ზეიმი ბარდნალაში გადაღებულ იქნა ტელევიზიით.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1971 წლის 12 მაისს, № 95 (11379).

ლექსები „თებერვლის დილა"

ცალ-ცალკე განვიხილავ ორი პოეტის ლექსებს, რომლებსაც ერთნაირი სახელწოდება აქვს, დაწერილია სხვადასხვა დროს და მიძღვნილია საბჭოთა საქართველოსადმი.

ძველებურ ხალხურ შაირში „თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა, ჩიტმა ჩიორამა საძირკველი გასკვნა" ვაზაფხულის მოსვლა იგულისხმება.

„თებერვალი დადგაო!" ახლა საბჭოთა საქართველოს გაზაფხულზეც აჰბობენ. 1936 წლის 25 თებერვალს ქუთაისის საქალაქო გაზეთში (№45) პირველად დაიბეჭდა ლადო ასათიანის ლექსი „თებერვლის დილა". მასში ვკითხულობთ: „იმღერებს ყველა გამარჯვებული ქვეყნის მშრომელი", „დღეს შეუსრულდა თხუთმეტი წელი მზის ამოსვლიდან და მეორედ დაბადებიდან". ლადო ასათიანმა ამავე წლის ხუთ მაისს (პრესის დღეს) თავისი გულისთქმაც გამოხატა მოკლე წერილში: „ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო!" „პირველად გაზეთ „ქუთაისის" ფურცლებზე ვიგრძენი დაბეჭდილი სტრიქონების ეშხი", – წერს ლადო.

ახალგაზრდა პოეტმა ქალმა მზია ჩხეტიანმა ახლახან დაბეჭდა კარგი ლექსები – სამი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (№ 11) და ორი კი – ჟურნალ „დროშაში" (№ 1).

შევეხები ჟურნალ „დროშაში" დასტამბულ ლექსს „თებერვლის დილა". მასში აღწერილია რაჭა–ლეჩხუმის ბუნება და ადგილები. განვმარტავ ზოგიერთ სიტყვას და მათს პირვანდელ უცნობ მნიშვნელობასაც აღვადგენ. კომენტარი ლექსს უფრო მიმზიდველს გახდის.

პოეტი ქალის პირერ გამოყენებულია დიალექტური სიტყვა „ჰხივი" და გეოგრაფიული ტერმინები: ხვამლი, ნიკორწმინდა, ნიკორისძირი, აღპანა და ტაშისწყალი.

მზია ჩხეტიანი აღფრთოვანებით ამბობს: „ჩემს მამულში ირიჟრაჟა". „მთებს იმ დღეთა ნაპერწკალი ახლაც ცეცხლად შემოენთო", „ამ გზით შეხვდნენ უკვდავ ლენინს ალპანა და ნიკორწმინდა", გზა აგიყვანს ხვამლის მთაზე, სადაც „ცა მეწანულ ფერებს აშლის – დიდ ოქტომბრის ბაირაღებს".

ცნობილია ირაკლი აბაშიძისეული შთამაგონებელი დიდება: „ო, ხვამლო, ხვამლო, მე შენს ქარაფზე ვარ მიჯაჭვული ძე ამირანის".

ხვამლის, ნიკორწმინდისა და ნიკორისძირის დაკავშირება ერთმანეთთან ძალზე საყურადღებოა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც.

„ხვამლი" მომდინარეობს კოლხური (ზანური) სიტყვისაგან „ხვამა" (ღობეა). ხვამლის მწვერვალზე იდგა საყდარი, სადაც ყოველწლიურად, აღდგომის მეორე კვირას, დაწესებული იყო საკულტო დღესასწაული „ხვამლობა". ასევე კოლხური წარმოშობისაა სახელწოდებები „უქიმერიონი" და „ოხომირა" („ოხვამური" – სალოცავი).

ნიკორწმინდის ტაძარი აგებულია ბაგრატ მესამის მეფობის პერიოდში (980 – 1014) მღვდელთმოძღვრის წმინდა ნიკოლოზის სახელზე „აქედან წარმოდგება წმინდა ნიკოლოზის სახელი" (იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, 1963, გვ. 68).

პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძეც წერს: „სახელწოდება ნიკორწმინდა მიღებულია „ნიკოლოზწმინდა"-საგან, ვისი სახელობისაც არის ეს ტაძარი. ტაძრის სახელწოდება კი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ზოგჯერ მთელ სოფელზე გადადიოდა" (იხ. რა გქვია შენ? 1966, გვ. 84).

აკადემიკოს ნიკო მარის თვალსაზრისით, ადგილის აღმნიშვნელი „ნიკორწმინდა“ მომდინარეობს ტერმინისაგან „ნიკორა“. უხსოვარი დროიდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ხარის კულტი. განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა ნიშა ხარი – ნიკორა.

ამ ტერმინის („ნიკორას“) მნიშვნელობა, წარმოშობა და ეტიმოლოგიური განმარტებანი, რომელიც მოცემულია ნიკო მარის მიერ, მეტად საყურადღებოა, მაგრამ ჯერჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება, – წერს აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი (იხ. ძველი ქუთაისის სანახებში: ჯაზ. „კომუნისტი“, 1970, № 152).

ნიკო მარის თვალსაზრისის დასაცავად დავასახელებ უცნობ ტერმინებსაც. საინტერესოა სოფელ ნიკორწმინდისავე ტოპონიმი „ხარისთვალა“ (გამდინარე ტბას ჰქვია). ლეჩხუმში არის კოლხური სახელწოდება სოფლისა – „ხოჯი“ (ხარი).

ტოპონიმი „ნიკორისძირი“ რიონის ხეობაშია (ხვამლის ძირში). აქ ახლა დგას ობელისკი 1918 წელს დაღუპულ პარტიზანთა მოსაგონრად და პოეტიც ამიტომ წერს: „შენს დამხსნელთა შუქი – ხსოვნა სვეტად ადგას ნიკორისძირს“.

„ნიკორა“ კლდიან და კლდოვან გორას ჰქვია ხვამლის მთის კალთაზე (სოფელ ლახეფაში). ამ სიტყვისგან მივიღეთ კომპოზიტი ტოპონიმები: ნიკორიმთა, ნიკორიძირი, ნიკორიგვერდი, ნიკორიკტე (კლდე).

ამ ტერმინებით დასტურდება, რომ ხვამლის მთაც ხარის კულტთან დაკავშირებულ ადგილად ითვლებოდა.

სოფელი ალპანა, სადაც ამჟამად ლაჯანურჰესის სადგური არის გვირაბქვეშ აგებული, ძველ წერილობითის წყაროებში „არპანი“ ფორმით გვხვდება.

პოეტი ეკითხება მამულს: „შენს მომწვანო ლამაზ თვალებს ცრემლი რად სდის ტაშისწყალთან"? „ტაშისწყალი" აქ ნებისმიერი სახელწოდებაა და „ტაშისკარის" (ხაშურის რაიონშია) ანალოგიით არის შეცვლილი.

„ტაშტისწყალი" წყაროსთვალია რაჭა-ლეჩხუმის გზაზე, სადაც ის ხავსიან კედელზეც მოედინება. ამ სიტყვის მნიშვნელობა კი „ტაშტს" არ უკავშირდება.

ადგილს, სადაც „ტაშტისწყალი" არის, ეწოდება „ლედეშტო" ანუ სვანური „ლედეშდვ", რომლის ძირეული სახელი „დეშდვ" (ლაშხურად), „დაშტვ" (ლენტეხურად) დათვს აღნიშნავს. ამრიგად, „ლედეშტო" არის „სადათვია" – დათვისსამყოფელი ადგილი. ახლა უკვე გამორკვეულია, რომ წყაროს სახელიც სვანურ „დაშტვს" უკავშირდება.

ლექსში საჭირო აღდგენილ იქნეს ნამდვილი ფორმა – გავრცელებული ხალხური ტოპონიმი, მაგრამ სქოლიოში კი უნდა აღინიშნოს: „ტაშტისწყალი" წარმომდგარია სვანური სიტყვისაგან – დაშტვის (დათვის) წყალი.

ლექსი იწყება სტრიქონებით: „მოგუგუნებს კლდიდან შხივი, როგორც ტაში, როგორც ტაშა".

დიალექტური სიტყვა „შხივი" მიღებულია ზმნისაგან „შხივის" (შხუის) დ „შხივიღი" შემოკლებული ფორმაა (მიმღეობა). რაჭა–ლეჩხუმში „შხივი" ჰქვია ჩანჩქერს ანუ წყალვარდნილს.

ქვემო რაჭის სოფლის სახელწოდება „შხანა" „შხივ" ძირსა და ქონების გამომხატველ —ოვან სუფიქსს შეიცავს და იგივეა, რაც შხივანი – ჩანჩქეროვანი.

ლადო ასათიანის „თებერვლის დილა" და 35 წლის შემდეგ დაწერილი მზია ჩხეტიანის ამავე სახელწოდების ლექსი ჭაბუკური სიმღერებია საბჭოთა საქართველოზე.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში" 1971 წლის 21 ივლისს, № 145 (11429).

55 წლის ლადო ასათიანი

ლადო ასათიანი დაიბადა ქუთაისში 1917 წლის 14 იანვარს. ამ თარიღთან დაკავშირებით მკითხველს მოვუთხრობ ზოგიერთ უცნობ ფაქტზე.

პირველად ბარდნალაში

ლადო ასათიანის საამაყო მასწავლებელი და პოეტური აკვნის დამრწევი აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე შარშან პირველად ესტუმრა სოფელ ბარდნალას.

ქუთაისის საქალაქო გაზეთმა ლადო ასათიანს გაუხსნა გზა პოეზიაში და ეს გიორგი ჯიბლაძის მზრუნველობით მოხდა. ნიკა აგიაშვილი თავისებურად გამოთქვამს ამ აზრს – თხრობის დაწყებისას ასეთ შთამბეჭდავ შტრიხს ავლებს: ჭაბუკი ლადო ასათიანი 1935 წელს პირველად მოვიდა რედაქციაში და მორიდებით იკითხა გიორგი ჯიბლაძე. იმ კვირაში სულ გიორგი ჯიბლაძეს დაეძებდა, მაგრამ ის მაშინ ქუთაისში არ იმყოფებოდა. მე მისი ნათესავი მეგონა („ჭაბუკები დარჩნენ მარად", 1971, გვ. 20).

აქ მოკლედ აღვწერ ერთი დაუვიწყარი დღის ამბავს. წარმოდგენილი იქნება ორი წერილობითი დოკუმენტიც: ბარათი სახლ-მუზეუმისადმი და ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნში. დღიური აღადგენს გიორგი ჯიბლაძის საუბრებს.

1971 წლის 7 მაისს საბჭოთა საქართველოს საუბილეოდ სოფელ ბარდნალაში გაიხსნა ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი. ზეიმი ფართოდ გააშუქა ქართულმა პრესამ, რადიომაუწყებლობამ და ტელევიზიამ. სახლ-მუზეუმის გახსნის მონაწილეებმა

ხელი მოაწერეს შეთანხმებათა პირველ წიგნში. ბარდნალაში უკვე მიდიან და ჯანუწყვეტლივ მივლენ ლადოს სულიერი ნათესავები.

გიორგი ჯიბლაძემ 12 მაისს დაწერა ეს ბარათი: ცაგერი, ბარდნალა, ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმს. უცხოეთიდან დაბრუნებულს საკისრულო ამბავი დამხვდა: ბარდნალაში ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი გახსნესო. ორმაგად ბედნიერი ვარ, როგორც ლადოს მასწავლებელი უმაღლეს სკოლაში და როგორც მისი პოეტური გზის პირველი გამკვლევ-დამღოცველი. მაგრამ ყოველგვარ სიხარულს სევდაც თან ახლავს ხოლმე: სახლ-მუზეუმის გახსნას ვერ დავესწარი საზღვარგარეთ ყოფნის გამო. საკვირველია პირდაპირ: თუ ადრე, ლადოს პირველი გაცნობიდანვე, ბედი მქონდა მასთან ახლოს ვყოფილიყავი, პოეტის გარდაცვალების შემდეგ იგი უკვე აღარა მაქვს. სამწუალება მერიმევა დავესწრო მის იუბილეებს, საღამოებს, საერთოდ განდიდებას, გარდა ერთი შემთხვევისა – გამოსვლა მომიხდა მხოლოდ ლადოს დაბადების 50 წლისთავზე თბილისში. ალბათ, სულ ასე არ იქნება, რომელიმე საღამოზე პირველად გამოვაქვეყნებ ჩემს მოგონება-წერილს ლადო ასათიანის შესახებ. დაე ბედნიერი იყოს ლადო ასათიანი მის დიდებაზე ჩემს დაუსწრებლადაც. ჩვენ ხომ ერთმანეთს ვერაფერი დაგვაშორებს.

გიორგი ჯიბლაძის ეს ბარათი პირველად დაისტამბა ცაგერის რაიონულ გაზეთში („კომუნიზმის სხივი", № 64, 29 მაისი).

გიორგი ჯიბლაძე ლეჩხუმს ადრეც იცნობდა. იგი ცაგერში პირველად იყო 1961 წელს სამსახურებრივ საქმეზე.

გიორგი ჯიბლაძე, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, 3 ივნისს შეხვდა ქუთაისის № 205 საარჩევნო ოლქის მშრომელებს.

4 ივნისს ცხენისწყლის ხეობაში, როცა ზღაპრული ჩანჩქერის „რაჩხას“ კალაპოტს ვათვალიერებდით, შემოგვეგებნენ საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ გვიშიანი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. განვლეთ სარეწკელას, კლდეკარისა და წიფერჩის აღმართი. ხვამლის მთის კალთებს ჩრდილოეთით მოვექეცით. თვალწინ გადაიშალა წარმტაცი სედი.

მწვანეში ჩაფლული მელქისედექ ასათიანის ოდა კოხტად გამოიყურებოდა. ლადოს კარ-მიდამოში გიორგი ჯიბღაძე არაჩვეულებრივად ღელავდა, აღფრთოვანებით გამოხატავდა გულისთქმას.

სახლ-მუზეუმის დარბაზში კონსულტანტიც მსმენელი გახდა, რადგან გიორგი საუბრობდა, წარწერებს კითხულობდა, მოძეგლებს იხსენებდა, დოკუმენტებს აკვირდებოდა, ლადოს ოჯახის წევრებს ახასიათებდა. იგი აქ სტუმარიც იყო და მასპინძელიც, ნაცნობთა და მასპინძელთა წრეში ხარობდა.

აღტაცება გამოიწვია ლადოს ჩათვლის წიგნაკის (მატრიკულის) აღმოჩენამ.

ერთ ვიტრინაში, რომელშიც მოთავსებულია ლადოს ხელნაწერები და პირადობის მოწმობები, გიორგიმ შენიშნა გაცრეცილი დოკუმენტი და თქვა: ეს ნამდვილად ჩათვლის წიგნაკი იქნება, ვნახოთ, მაინტერესებს, რა ნიშნები დამიწერიაო.

გამოირკვა, რომ, რადგან ლადოს სახელმწიფო გამოცდები ჩაუბარებელი დარჩა, ჩათვლის წიგნაკიც ამიტომ დაუცავს არქივს.

გიორგის დიდად ესიამოვნა, როცა ჩათვლის წიგნაკი გადაშალა. შიგ იყო მისი ხელმოწერა და ნიშნები: 1. ლიტერატურის მეთოდოლოგია – ფრიადი, 10 მაისი, 1938 წ. 2. ახალი ქართული ლიტერატურის (მე-20 საუკუნის) ისტორია – დამაკმაყოფილებელი, 16 მაისი, 1938 წ.

გიორგიმ გაამჟღავნა სხვა სურვილიც: ლადოს ლექსი „სამშობლო" („ჭკბილია როგორც...") 1936 წელს პირველად გავასწორე და ჩავგზავნე სტამბაში. „სამშობლო" იმ ვარიანტის მიხედვით იბეჭდება შემდგომ გამოცემებში. მე ამ ლექსის დედანს ვეძებ. მინდა დავრწმუნდე, როგორ გავმართე ტექსტი, ხომ არ შევმცდარვარ.

ლადო ასათიანის პოეზიას ეროვნული, პატრიოტული სული უდგას. ნახოლოდ ამ მოტივით აიხსნება ლადოს პოპულარობა. ლადო ასათიანი მომავალში უფრო მეტად დაფასდება. რა მასშტაბით მოხდება ეს, ახლა ამას ვერ განვსაზღვრავ.

გიორგი ჯიბლაძე განმარტოვდა, ცალკე ოთახში მიუჯდა ბაგიდას და „შთაბეჭდილების წიგნში" ჩაწერა შემდეგი:

4 ივნისი, 1971 წელი.

დიდ პოეტებს ხშირად პატარა მემორიალი შერჩებათ ხოლმე. ლადო ასათიანი გამონაკლისი არ არის. მისი სახლ-მუზეუმი ბარდნალაში პატარაა, მაგრამ რაოდენ ახარებს მნახველს, რომელნიც პოეტის ჭეშმარიტად მაღალ ხელოვნებას უანგაროდ აფასებენ.

ჩვენ გვიყვარს ლადო ასათიანი, როგორც ქართული პოეტური სიტყვის მერანი, ადამიანი, ვისი ხანმოკლე სიცოცხლეც უკვდავებით დაიდაფნა, მისი მაჟორული ლექსი, თავიდან ბოლომდე აღსავსე ქართველი მამულიშვილის მგზნებარებით და ვაჟკაცური შემართებით ჩვენს ლიტერატურას დარჩება, როგორც „სიწმინდე სულისა, გაჟრჟოლება გულისა, ელვარება გრძნობისა და არწივისებური ბედვა თვალისა".

ლადო ასათიანი უკვდავია!

მადლობა ყველას, ვინც ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის მოწყობა ითავა და თაოსნობა ბოლომდე მიიყვანა.

მადლობის გრძნობით გიორგი ჯიბლაძე.

შთაბეჭდილებას გიორგი ჯიბლაძესთან ერთად ხელს აწერენ: გ. ჟორჟიკაშვილი, ო. ბოჭოიძე, გ. მეფისაშვილი, კ. მეძველია, ც. ირემაძე, ლ. სანიკიძე, გ. მჭედლიძე, მ. გაგუა, შ. ღვინიანიძე, ბ. მაღლაფერიძე, მ. ალავიძე.

გათვალისწინებული იყო ცაგერსა და ღაიღაშს ასვლაც და ლაჯანურჰესის გზით დაბრუნება, მაგრამ ამინდი შეიცვალა. წადილის შესრულება შემდეგისთვის გადაიდო.

დიდი სამამულო ომის გმირისა და უკვდავი პოეტის სეფერიან ისიანის დაბადების 60 წლისთავს 1973 წელს აღნიშნავს ლეჩხუმიც (ცაგერი, ზოგიში, ლაილაში). ამ ზეიმში მონაწილეობისათვის მომხსენებლად მოწვეულ იქნა სეფერიანეს მეგობარი და დამფასებელი გიორგი ჯიბლაძე.

საღამოს წყალტუბოსაკენ გამოვსწიეთ. 4 ივნისის ეს ამბავი „ბარდნალის დღიურად" დარჩება.

ცაგერის ბაზრობა

ლეჩხუმის ბუნება და ლეჩხუმელთა ყოფა-ცხოვრება ცალკე თემაა ლადო ასათიანის პოეზიაში. ეს წარმტაცი კუთხე მკითხველმა ლადოს ლექსებითაც გაიცნო. მგოსანმა სახელწოდებაც კი შეუცვალა მშობლიურ სოფელს, რომელსაც წინათ „ბარნალა" ერქვა, ახლა საყოველთაოდ დამკვიდრდა „ბარდნალა" და ეს ლადოს პოეზიის ძალას მიეწერება.

ცაგერსა და ბარდნალაში მიმსვლელნი სიყვარულით ეცნობიან ადგილებსა და საგნებს, რომლებიც ლადოს ცხოვრებასა და შემოქმედებას უკავშირდება. მიმზიდველია მამაპაპური ოდა, ლეჩხუმური ხორგო (საწნახელი), სარწყული (დოქი), ნამკაშურის ღელე, მურის კლდეკარი, ცაგერის ყოფილი აასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობა, ცაგერის საბაზრე ნოედანი...

ბევრისგან მსმენია, ბაზარი ვნახეთ და არ მოგვეწონა, აქ ჩვეულებრივია ყოველივე, სხვა ბაზრებისაგან არაფრით განირჩევაო.

უნდა გავხსოვდეს, რომ განახლებული ცაგერის ბაზარი აღარ ჰგავს იმ სანახაობას, რაც ამ მოედანზე წინათ იმართებოდა. ლადოს ლექსის დიდებაც ამაშია.

ლექსი „ცაგერის ბაზრობა" დაიწერა 1940 წელს. ლადომ გარდასული სინამდვილე ასახა, კარჩაკეტილი კუთხის მცხოვრებთა ყოფა დახატა ნაირ-ნაირი ფერებით.

სად იყო წინათ ისეთი სატრანსპორტო მიმოსვლა, როგორიც დღესაა! ყოველი სოფელი მარაგდება სურსათითა და სამრეწველო ნაწარმით.

წყალტუბო-ცაგერის გზატკეცილზე ავტომანქანით თვით ლადო ასათიანსაც არ გაუვლია. ცხენისწყლის ხეობის ლეჩხუმელები და ქვემო სვანეთის მკვიდრნი იკრიბებოდნენ მხოლოდ ცაგერში. ამჟამად კი ლეჩხუმელსა და სვანს შეხვდებით არა მარტო ცაგერის, ქუთაისისა და წყალტუბოს ბაზრებზე, არამედ უფრო შორსაც. მოკლედ, ცაგერის ბაზრობა გაქრა, მაგრამ ვერ წაშალა – გადარჩენილ სურათად აირეკლა ქართულ პოეზიაში.

ამ საკითხზე ჩემს წიგნში „ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა" (1951 წ.) აი, რა წერია: ყოველწლიურად დაწესებული იყო ორი ბაზრობა. ერთი, სექტემბრის თვეში, ორკვირიანი – ცაგერის ბაზრობა, რომელსაც „დიდი ეკენობა" ერქვა და მეორე ორბელში – ახალუჭალას, შვიდდღიანი. იგი მაისში იცოდნენ და „იარმეკობას" ეძახდნენ. პარასკევ-კვირაობით ვაჭრობა წარმოებდა აგრეთვე ცაგერში, ლაილაშსა და ჭრებალოში (გვ. 87).

ლადო ასათიანის შედევრი „ცაგერის ბაზრობა" მკითხველმა ისტორიულ ასპექტში უნდა გაიგოს.

ლადოს პოეზიის საღამო 1941 წელს

ლადო ასათიანის პოეზიის მოყვარულთათვის ძვირფასია ყოველი უცნობი დეტალი. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ

ერთ მივიწყებულ ქრონიკაზე, რომელიც 1941 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 6).

ვრცელი ინფორმაციიდან ჩანს, რომ ზოგიერთ ორატორს სადავო მოსაზრებებიც გამოუთქვამს. მოვიტან ქრონიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

ლადო ასათიანის შემოქმედების საღამო

31 იანვარს მწერალთა კლუბში პოეტების სექციამ მოაწყო პოეტ ლადო ასათიანის ლექსების კითხვა-განხილვის საღამო. ლადო ასათიანმა წაიკითხა 30-მდე ლექსი, რომელთაგან უმრავლესობა ახალი იყო. წაკითხული ლექსებიდან აღსანიშნავია: „სტალინის სამშობლო“, „ბელადის დედა“, „საკოლმეურნეო ლხინში“, „კალმახები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე“, „რუსთაველის პროსპექტი“, „ვაჟა–ფშაველას ნაამბობი“, „ფიროსმანის დუქანი“, „კრწანისის ყაყაჩოები“, „ნერიკო ამჯაფარიძეს“, „არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“ და სხვა.

ლექსების კითხვის დამთავრების შემდეგ სიტყვით გამოვიდა ერ. ქარელიშვილი. შესავალ ნაწილში მან მოკლედ დაახასიათა საერთოდ ლიტერატურული ახალგაზრდობის შემოქმედება, შემდეგ შეჩერდა ლ. ასათიანის ნაწარმოებებზე და თქვა, რომ ლ. ასათიანი ლიტერატურული ახალგაზრდობის ერთ–ერთი ნიჭიერი წარმომადგენელია. მას აქვს ბევრი საინტერესო ლექსი, რომლებშიც ვგრძნობთ უპირველესად ავტორის შინაგან პოეტურ წვასა და მოვლენათა მხატვრულ მსოფლშეგრძნებას. ამასთან ლ. ასათიანის ლექსებისათვის დამახასიათებელია განცდათა უშუალობა და ლირიკული სითბო.

კალე ბობოხიძე ამბობს, რომ ლ. ასათიანს საინტერესო ლექსები აქვს დაწერილი თანამედროვეობის თემატიკაზე. მისი ლექსები გაჟღენთილია პოეტური გზნებითა და ლირიკული სითბოთი.

ლადო ასათიანი, – ამბობს ალ. საჯაია, – საკუთარი ხმის პოეტია. იგი კარგად ცნობს ქართულ ენას. პოეტის მთავარი თემა არის სამშობლო, თანამედროვე საქართველოს სიდიადე და მისი წარსულის გმირული სულის განცდა. ალ. საჯაია არ ეთანხმება იმ შეფასებას, რომელიც ერ. ქარელიშვილმა მისცა ლექსს „საკოლმეურნეო ლხინს". იგი ამბობს, რომ ლადო ასათიანი ამ ლექსში ქმნის გაბედნიერებულებას, რაც თავისთავად გულგრძნობიერებს საკოლმეურნეო სოფლის სილამაზეს. ლადო ასათიანის ზოგიერთ ლექსს, ამბობს ალ. საჯაია, – ეტყობა ლირიკული კომპოზიციის სისუსტე, რაც ყველაზე უფრო „წვიმაში" ჩანს.

სიმონ ჩიქოვანი იავის სიტყვაში დაწვრილებით შეეხო ლ. ასათიანის პოეზიის დამახასიათებელ თვისებებს და აღნიშნა, რომ იგი უთუოდ ნიჭიერი პოეტია. მას ახასიათებს განცდათა სიუხვე, ხატვის მრავალფეროვნება, მძაფრი შინაგანი დრამატიზმი. ბოლოს შეეხო რა ლადო ასათიანის პოეზიის ნაკლს, სიმონ ჩიქოვანმა მრუთითა ისტორიზმით გადაჭარბებულ გატაცებაზე და ესენინურ პესიმიზმზე, რომელიც ძლიერად ისმის მის ზოგიერთ ლექსში.

ასათიანური ნაკვესები

თარიღმა გამახსენა პოეტისეული ნაკვესი, რომელსაც სათაურად შევურჩიე ეს ფრაზა: ორი ხუთი თუ ორი ორი? ნიკა აგიაშვილის წიგნში („ჭაბუკები დარჩნენ მარად", 1964, გვ. 62) მოთავსებულ ფოტოსურათს აქვს წარწერა: ლადო ასათიანი, შოთა ქურიძე, მიხეილ ალავიძე, ქუთაისი, 1938 წ.

ეს სურათი გადაგვიღო დავით მხეიძემ 1938 წლის 16 მაისს ინსტიტუტის დასრულებისას. მაშინ სამივენი 22 წლის ასაკში ვიყავით. ლადომ იხუმრა: ინსტიტუტიც დავამთავრეთ და ორიანებიც მივიღეთ, მაგრამ კარგად გავუფრთხილდეთ ამ ორიანებს. ხელიდან არ გავუშვათ. ისინი ორიანები კი არა ხუთიანები არიან.

როცა ორ ხუთს მივიღებთ (როცა 55 წლის ვაპირებით), მოგვენატრება ორი ორი და გვიან იქნება. სიჭაბუკისა და ვაჟკაცობის წლებში ორ ხუთს მაინც ორი ორი სჯობსო.

ლადო ასათიანის ეს ნაკვესი ყოველთვის მახსოვდა, მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ ვიგრძენი ახლა, როცა ორ ხუთს გამოვეთხოვე და 56 წლის ასაკში გადავდექი.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1972 წლის 15 იანვარს, № 11 (11555).

მარად ცოცხალი ლადო ასათიანი

(გარდაცვალების 30 წლისთავი)

მგზნებარე საბჭოთა პოეტი ლადო ასათიანი გარდაიცვალა 1943 წლის 23 ივნისს. ამ თარიღთან დაკავშირებით მკითხველს მოვუთხრობ სამ ახალ საკითხზე.

სახალხო პოეტია და აკადემიკოსთა შეფასებით

ნეკროლოგს ლადო ასათიანზე 1943 წელს ხელს აწერდა მხატვრული სიტყვის ოსტატთა ჯგუფი. მათ შორის იყვნენ საქართველოს სახალხო პოეტები გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, მწერალ-აკადემიკოსები კონსტანტინე გამსახურდია და დ. მნა შენგელაია.

ნიკა აგიაშვილი ითამბეჭდავად აღწერს კონსტანტინე გამსახურდიას უკანასკნელ შეხვედრას ავადმყოფ ლადოსთან ბინაზე („ჭაბუკები დარჩნენ მარად", 1971, გვ. 308).

ჩემს წინანდელ ნარკვევებში მკითხველი გაეცნო აკადემიკოსების გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ანგია ბოჭორიშვილის, ალექსანდრე ბარამიძის, გიორგი ჯიბლაძისა და ირაკლი აბაშიძის მოსაზრებებს.

1972 წელს ჟურნალ „ცისკარში" (№ 12) დაიბეჭდა გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფია „ლადო ასათიანის დღეები და ლექსები". ეს არის ლადოს პოეზიის უმაღლესი და საბოლოო შეფასება.

თავისი დაბადების დღესთან დაკავშირებით 60 წლის გიორგი ჯიბლაძემ მოიწერა შემდეგი: „10 მაისს, საღამოს, თავისი პრო-

ფესიის ორმოცდაათზე მეტი კაცი მიუჯდა ჩემს საიუბილეო მაგიდას. ამ დროს გამოაცხადეს: იუბილარის პირველი მოწაფეები გვესტუმრნენო და, მართლაც, შემოვიდნენ – ნელი დუმბაძე, შოთა ქურიძე, გიორგი შალამბერიძე და ლევან კიკნაძე. გამიხარდა, მაგრამ გულიც დამწყდა, რომ არ იყავი. – შენზე მეტად შენი მოწაფეები მოხუცებულანო, – სიცილი დაგვაყარეს."

პოეტ ალექსანდრე საჯაიას ცნობილ წერილში ეკითხულობით: ვაკეში დაკრძალვისას ლადოს ნეშტს გიორგი ლეონიძემ ჩასძახა: „შენ ბედნიერი ხარ, გულზე საქართველოს მიწა რომ გცვივა და შენს თბილ საფლავს ნათესავები და ტიფლ-მეგობრები დასტირიან. რამდენი შენი ამხანაგის ძვლები დნება ახლა უკუბოოდ და უსამაროდ ბრძოლის ველზე, განა რამდენ შინმოუსვლელს დავიტირებთ ასე შენსავითო!"

1963 წლის 30 მაისს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში გამართულ იუბილეზე გიორგი ლეონიძემ თავის სამადლობელ სიტყვაში (ხელნაწერში) ჩამოთვალა პოეტები, ვინც ქუთაისმა წარმოშვა -- აკაკი და გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, კოლაუ ნადირაძე და მათთან ერთად ლადო ასათიანიც. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1964 წელს გაზეთ „კომუნისტში" (№ 138) გამოქვეყნდა გიორგი ლეონიძის სტატია, რომლის სათაურადაც ავტორს შეურჩევია ლადო ასათიანის სტრიქონი „მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა" (სტატიას რუბრიკად აქვს „მოუარე და დაამშვენე შენი სოფელი, კარ-მიდამო"). გიორგი ლეონიძის შეფასება ლადო ასათიანის პოეზიის შთამაგონებელ ზემოქმედებაზე მეტყველებს.

აკადემიკოს ნიკო კეცხოველის საუკეთესო წიგნში „მორბის არაგვი არაგვიანი" (1971) ასეთი ადგილი მოიპოვება: ჟინვალში, ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირას, ყველა ვახტანგთან მივიდა. მინაში მოზრდილი ხვრელი ჩანდა. ჩაიჩოქეს და ჩახედეს. თვალი შეაჩვიეს. ბინდბუნდში დაინახეს განიერი აკლდამა, თეთრი

ძვლებით სავსე. აკლდამა დიდი ფიქალებით იყო გადახურული. ასეთები აქ, „საგოდებელზე", ბევრია. ტიროდნენ ომში დაღუპულებს, შინმოუსვლელებს, – ამბობდნენ იქაურნი.

„იქნებ სამას არაგველთა ძვლებიც აქ არის მოტანილი, – გაიოთქვა ვარაუდი ცახტანგმა და ლადო ასათიანის ლექსის ტაეპიც მიაყოლა: „ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო სისხლითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მრცხვინდა".

შას ძალიან უყვარდა ამ გულითადი პოეტის სიბრძნითა და ვაჟკაცური სულით სავსე ლექსები" (გვ. 213).

გადასვენება დიდუბის პანთეონში

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ლადო ასათიანის ნეშტი გადატანილ იქნა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სავანეში. ლადო ასათიანი ეტრფოდა საქართველოს და ნატრობდა, შეერებოდა მხოლოდ მის მიწას. იგი წერს: „და მე თუნდ მიწა მეყაროს სადმე თბილისის ახლოს".

მგოსნის ერთ–ერთმა მეგობარმა (სტუდენტობის პერიოდის თანაკურსელმა), თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი შალამბერიძემ, 1968 წელს წერილობით მაცნობა შემდეგი:

24 აპრილს ლადო გადაასვენეს ვაკის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში. დავესწარით ნ. აგიაშვილი, მ. ასათიანი, ღ. კიკნაძე, ა. ჩიშველაძე, ლ. სულაბერიძე და მე. ოჯახის წევრებიდან ანიკო ვაჩნაძე, მანანა და მედეა ასათიანები, ცხადია, იყვნენ. გადასვენება გაუხმაურებლად მოხდა. დილის ათ საათსა და თხუთმეტ წუთზე უკვე ბელმეორედ მიიბარა თბილისის მიწამ ლადოს ნეშტი. იმავე დღეს იქვე გადაასვენეს ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და მისი მეუღლე დუტუ მეგრელი."

ქართველმა ერმა მგზნებარე პოეტს საკუთარი ადგილი მიუჩინა რჩეულ მამულიშვილთა შორის.

ერთი თვის შემდეგ, 1968 წლის 25 მაისს, სოფელ ბარდნალაში მთელი ლეჩხუმის საზოგადოებრიობამ, თბილისიდან და ქუთაისიდან ასულ ამხანაგებთან ერთად, საკუთარ ეზოს მიაბარა 83 წლის პედაგოგი მელქისედექ გუჯეჯიანი ძე ასათიანი.

დამატებითი მასალა ბიბლიოგრაფიისათვის

ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ 1972 წელს გამოსცა მარიამ სამხარაძის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. ბროშურა შეიცავს ოც გვერდს, წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა და ხუთი თავისაგან შედგება: 1. ლადოს ლექსთა კრებულები და ლექსები, 2. ლადოს თარგმანები, 3. ლადოს სტატიები, 4. ლიტერატურა პოეტის შესახებ, 5. სახელთა ანბანური საძიებელი.

ბიბლიოგრაფია შესრულებულია გულმოდგინეობითა და გატაცებით. მოძებნილია 215 წყარო ქართულ და რუსულ ენებზე. ცნობები ლადოს ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ უმთავრესად ამოკრეფილია რესპუბლიკური პრესიდან.

ბიბლიოგრაფ მარიამ სამხარაძის ნამუშაკევი ხელს შეუწყობს ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერულ შესწავლას.

ნაშრომის შევსებისა და სრულყოფის მიზნით წარმოვადგენ დამატებითს ფაქტობრივ მასალას, რაც გამორჩა და, რაც ბროშურის გამოცემის შემდეგ შეიქმნა.

1935 წლის 15 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელში" (№212) პირველად დაიბეჭდა ლადო ასათიანის ლექსი და მისი სახელწოდებაა „ჩვენ კვლავ მოვეფიცით!"

ჩამოვთვლი ქუთაისის საქალაქო გაზეთში სტუდენტობიას ლადოს მიერ დაბეჭდილი ლექსების ციკლთა თარიღებს: 1936

წლის 25 თებერვალი, 18 მარტი, 5 და 12 მაისი, 2 და 15 სექტემბერი, 16 და 18 ოქტომბერი, 7 და 26 ნოემბერი, 22 დეკემბერი; 1937 წლის 3 და 14 იანვარი, 9 თებერვალი, 9 მარტი, 16 აპრილი, 17 მაისი...

1971 წელს დაისტამბა ლადო ასათიანის „რჩეული" დ. ივარდავას რედაქტორობითა და კრიტიკოს გურამ ასათიანის ნაკვლევით „ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა".

არსებობს ლადოზე დაწერილი შ. აფხაიძის, ი. ბოცვაძის, თ. კახიძის, გ. ხუხაშვილის სტატიები და რ. ინანიშვილის მოთხრობა. სპეციალური დამუშავება ესაჭიროება ლადოს თარგმანებსა და სტატიებს. პოეტის ფსევდონიმები და ინიციალები დადგენილია (იხ. ჟურნალი „რიონი", გვ. 92; გაზეთი „ნორჩი ლენინელი" 1938-1940 წლებისა). ლადოსადმი მიძღვნილი ლექსები უკლებლივ უნდა აღინუსხოს.

ქართული პრესიდან ცნობილია მნიშვნელოვანი კრიტიკული და მხატვრული ნაწარმოებნი: რ. ბეროძე– გულითადი მოგონების სტრიქონები. რეცენზია ნ. აგიაშვილის წიგნზე (გაზ. „ქუთაისი", 1962, № 82), ვ. კიკნაძე – „ჭაბუკები დარჩნენ მარად" – რეცენზია (გაზ. „კომუნისტი", 1962, № 118), გ. ხერხეულიძე – ლადო ასათიანის ღირიკა (ჟურნ. „მნათობი", 1962, № 12), გ. ბარნოვი – ლადო ასათიანის შემოქმედების ზოგიერთი ხალხური წყაროს შესახებ (ჟურნ. „მაცნე", 1968, № 2), დ. შენგელია – „ჩემი ქვეყნის ოქროყანა". ლადო გუდიაშვილის სურათი (გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1969, № 263), ო. მამფორია – ორბის ყიცილი. ნაწყვეტი სამმოქმედებიანი დრამიდან (გაზ. „ქუთაისი", 1970, № 160), გ. მარგველაშვილი – „ადრე წასული კაცის ფიქრები". წერილი (გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1970, № 285), ვ. მჭედლიშვილი – ეს ალუბლები. ბიოგრაფიული მოთხრობა (გაზ. „სამშობლო", 1971 № 40, მ. თომაძე – ახსოვს პოეტის სუნთქვა. წერილი (გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1971, № 102), გ. ჯიბლაძე

– ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმს. მილოცვა (გაზ. „კომუნიზმის სხივი", 1971, № 64).

სხვა უცნობი ბიბლიოგრაფიული დოკუმენტები სოფელ ბარდნალაში აღმოჩნდება. მეგზური – ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი (ისტორია და აღწერილობა) ახლო მომავალში უნდა დაიწეროს და გამოიცეს.

ლადო ასათიანის ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. მარიამ სამხარაძის ბროშურის გამოცემის (1972) შემდეგ გამოქვეყნდა ძვირფასი საარქივო და კრიტიკულ-მემუარული ნაშრომები.

1972 წლის 11 ივლისს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" (№ 83) დაიბეჭდა ლადო ასათიანის პოეტური ალმაფრენით აღსავსე უცნობი „წერილები" მწერალ საფო მგელაძისადმი და ადრესატის პასუხიც.

ეს ორი შედევრი ლადოს შეუქმნია 18 წლის ასაკში (1935 წელს), სანამ ლექსების ბეჭდვას დაიწყებდა.

შოთა ქურიძემ 1972 წელს გაზეთ „ქუთაისში" მოათავსა ორი წერილი – როდის დაიბეჭდა პირველად ლადო ასათიანის ლექსი (№108) და ფურცლები ლადო ასათიანის ცხოვრებიდან (№222).

ახლახან დაისტამბა გ. კალანდაძის გამოკვლევა „ლადო ასათიანი" (ჟურნ. „მნათობი", 1972, № 8) და ვ. ჯიბუტის სტატია „დიდი სიცოცხლის მომღერალი" (გაზ. „თბილისი", 1973, № 78).

ზემოთ – პირველ თავში (ლადოს დამფასებელნი – გიორგი ლეონიძე, ნიკო კეცხოველი, გიორგი ჯიბლაძე) მოყვანილია ბიბლიოგრაფიული ცნობებიც. ეს მასალა აქაც აღსანიშნავია და გასათვალისწინებელი.

დღემდე, 30 წლის განმავლობაში, თორმეტჯერ გამოვიდა ლადო ასათიანის რჩეულ ლექსთა კრებული. ამასთან ერთად

ნდიდარი ლიტერატურაც ლადოზე ხომ პოეტის პოპულარობას ამტკიცებს!

ახლა საზრუნავია მხოლოდ სრული ნაწერების შედგენა. „ნიჭიერი შემოქმედს ნემკვიდრეობიდან არაფერი არ უნდა დაიკარგოს", – აღნიშნავს გიორგი ჯიბლაძე. ბიბლიოგრაფიული ნაშრომი საჭირო და აუცილებელია ლადო ასათიანის თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში" 1973 წლის 23 თებერვალს, № 122 (11921).

ფიქრები ლადო ასათიანზე

1943 წელს დაბეჭდილ ნეკროლოგს ხელს აწერს ქართველ მწერალთა ჯგუფი. აქ სიაში პირველად იკითხება გალაკტიონი.

ნიკა აგიაშვილის „ჭაბუკები დარჩნენ მარად" (1971 წ.) მემუარული ჟანრის წიგნია. იგი შეეხება უდროოდ დალუპული ნიჭიერი პოეტების ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას, სევერიან ისიანისა და გიორგი ნაფეტვარიძის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ლადო ასათიანი გატაცებული იყო გალაკტიონის პოეზიით. სწორედ ამიტომ ავტორი აღწერს გალაკტიონის ყოფნას ქუთაისში და მასთან შეხვედრებს დედაქალაქში. ლადო გალაკტიონზე წერს დღიურებშიც „უბის წიგნაკიდან", რაც ამავე წიგნში მოთავსდა. გალაკტიონის ბიოგრაფი გიორგი ჩიქობავა ასეთ შთამბეჭდავ ფაქტს გვაცნობს:

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაზე საუბარში გაირკვა, რომ გალაკტიონს კარგად არ ახსოვდა ლადო ასათიანის ლექსები... და ერთ საღამოს წყნარად, ყოველგვარი პათოსის გარეშე, ჩუმი ხმით ვკითხულობდი ასათიანის ლექსებს.

გალაკტიონი სავარძელში ჩაწოლილი მისმენდა, ტუჩთან ბიტანილი მსხვილი ფანქრის ბოლო ოდნავ თრთოდა, იქ მეორდებოდა გაგონილი ლექსის რიტმი, დროდადრო შემაწყვეტინებდა და ხმამაღლა იმეორებდა:

„რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე,
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს."

ან კიდევ:

„ჰეი, თქვენ არაგველებო,
გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და
მუხლის მოდრეკა მომინდა."

მეორე დღეს გალაკტიონი დღისით მოვიდა, ჯიბიდან ხელნაწერი ამოიღო, გამომიწოდა და მითხრა: ლადოს ლექსია. იმ დალოცვილს ჩემზეც დაუწერია, მაგრამ დღემდე მის კრებულებში არ შეუტანიათ. ამ დილით ჩვენს მწერლებთან ვაქებდი ასათიანის ლექსებს. ერთმა ახალგაზრდამ იქვე დაბეჭერა და მოიპართვა. თუ ძმა ხარ, შენ რომ იცი, იმ პაპკაში ჩადე... ძალიან მომწონს.

დაკვირვებით წავიკითხე ლექსი „გალაკტიონს". ნიჭიერი პოეტი ლადო ასათიანი ამ ლექსში მოხდენილად ძერწავს გალაკტიონის ხასიათს, მის პორტრეტს:

„საქართველოში შენს გარდა მგოსანს,
დღეს ქების შაირს არ ვეტყვი, არა,
შენა ხარ ლექსის მეორედ მოსვლა
და რომ არ გითხრა, ივარგებს განა?
ხან ამაყი ხარ, გულანათრთოლი,
ხან კი პავშვივით ხარ დარცხვენილი,
ხარ მოციმციმე ვერხვის ფოთოლი
შემოდგომისას ძირს დაცვენილი.
რით გაგაკვირვო? რით გაქო? ბოლოს
ერთს გეტყვი მარტო შეგირდი შენი:
ჩვენში მგოსანი შენა ხარ მხოლოდ,
რომ სიცოცხლე და ლექსები გშვენის."

ამჟამად ეს ლექსი შეტანილია ლადო ასათიანის კრებულში „ჩემი ქვეყნის ოქროყანა", 1959 წ. (გალაკტიონის ახლო, 1966, გვ. 50-51).

ნიკა აგიაშვილი მოგვითხრობს, რომ ლექსი დაიწერა კონკრეტულ გარემოში გალაკტიონთან პირადად შესვედრის შემდეგ. ლადომ ის პირველად წაუკითხა მეგობრებს, თვითონაც გრძნობდა, რომ „არ გამოვიდა კარგი... სხვა დროს ვცდი და მეორეს დავწერ. გალაკტიონი უკეთესის ღირსია. ის დიდია, დიდი“ (გვ. 211).

1959 წელს გამოცემულ კრებულში ლექსი „გალაკტიონს“ პირველად დაიბეჭდა ლადოსეული ხელნაწერის მიხედვით.

გ. ჩიქობავას მემუარი შემოქმედის პოპულარობას ადასტურებს: ლადოს გარდაცვალების შემდეგ ბევრი ზოგიერთი ლექსი გამოქვეყნებამდეც ვრცელდებოდა ზეპირსიტყვიერი გზით. გალაკტიონის ნათქვამი „ჩვენს მწერლებთან ვაქებდი ასათიანის ლექსებს“ ძვირფასი და სამახსოვრო ცნობაა. გალაკტიონი ლადოს პოეტად კურთხევის მხარდამჭერი და მონაწილეა.

„უბის წიგნაკში“ ლადო ბუმბერაზ თანამედროვეს ახასიათებს ოთხ ადგილას. ერთგან იკითხება:

„სიკვდილს მე როდი შევუშინდები,
იგი ძმა მუდამ ჩემს მხარეზეა;
მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის,
სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია.“

გალაკტიონს შვენის ამისი თქმა (გვ. 248).

ლადო ასათიანი აქ ორიგინალურ ნააზრევს გახაზავს და კონკრეტულად პასუხობს კითხვაზე: ვინაა ქართული პოეზიის მშვენება, რა ძალა და მომხიბვლელობა აქვს გალაკტიონურ სიტყვას. ლადოს ლექსს (იხ. ზემოთ) ეს ერთი საიდუსტრაციო აფორიზმიც შეკრავს და შეავსებს. გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლადოს ლექსს მკითხველიც შეიყვარებს. გალაკტიონის შეგირდის პოეზიას გალაკტიონის კალთაც დაიცავს.

ლადოს კერძო წერილები

1972 წლის 11 ივლისს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (№ 83) გამოქვეყნდა ლადო ასათიანის პოეტური ალმაფრენით აღსაცსე უცნობი „წერილები“ პროზაიკოს საფო მგელაძისადმი და ადრესატის პასუხიც. მასალა აღმოაჩინა და რედაქციას გადასცა საფო მგელაძის შვილიშვილმა იზოლდა ჩხარტიშვილმა.

ეს ორი შედევრი ლადოს შეუქმნია თვრამეტი წლის ასაკში (1935 წელს), სანამ ლექსების ბეჭდვას დაიწყებდა.

1973 წლის 27 ნოემბერს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტშივე“ (№ 141) დაისტამბა ათი კერძო წერილი, რაც რედაქციისათვის მიუწოდებია მანანა ლადოს ასულ ასათიანს. პოეტის ადრესატები არიან: დედა, ბეჟუღლე და მეგობრები (ნიკა აგიაშვილი და აკაკი გაწერელია). ეს დოკუმენტები ლადო ასათიანის სრული ნაწერების ერთტომეულში მოექცევა.

ქრმობის მეგობარია მოგონებანი

ლადოს მეგობრებმა ახლახან გამოაქვეყნეს ძვირფასი მემუარები. ეს მასალა მრავალფეროვანია და ნათელს ჰფენს პოეტის ნაამაგარს. ლადოსეულ უცნობ ხალნაწერთა პუბლიკაცია ღირსშესანიშნავი მოვლენაა.

ჟურნალისტ-კრიტიკოსმა შოთა ქურიძემ შესანიშნავად დაახასიათა ლადო ასათიანი. მის წიგნებში ფართო ადგილი დაეთმო ლადოს ცხოვრებასა და შემოქმედებას.

შ. ქურიძის ახალი ნაშრომი „ლადო ასათიანის გახსენება“ შეიცავს ოთხ თავს: 1. მეგობრებისადმი მიძღვნილი უცნობი ლექსები 2. ოდა ვენახს (ციკლიდან „რთველი“), 3. როდის დაიბეჭდა პირველად ლადო ასათიანის ლექსი, 4. შენიშვნა უსათაურო ლექსზე ჭლექისადმი.

ნაშრომი შედის შ. ქურიძის წიგნში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (1973 წ.).

ეს მემუარი ავტორმა ორ ნაწილად პირველად დასტამბა 1972 წელს გაზეთ „ქუთაისში“ (ნომრები: 108, 222).

ლადო ასათიანის ლექსთა ვრცელი განძეულვა შ. ქურიძეს მოცემული აქვს ცალკე. მისი გამოკვლევა „სიცოცხლისა და სიხარულის პოეტი“ დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1960 წელს (ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, № 4).

1974 წელს ჟურნალ „ჭოროხის“ მეოთხე ნომერში მოთავსდა მდიდარი ფაქტობრივი სტატია – „ლადო ასათიანის ყმაბვილკაცობის ფურცლები“. აქ წამძღვარებულ ანოტაციაში რედაქცია აღნიშნავს: ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ფილოლოგი ქალი ნელი დუმბაძე წლების განმავლობაში სასიეებით ინახავდა თანაკურსელისა და უახლოესი მეგობრის ლადო ასათიანის პირადს წერილებსა და ლექსებს. ეს მასალა პოეტის პიროვნებას, მის შემოქმედებითს ბიოგრაფიას საინტერესო შტრიხებს ჰმატებს. მკითხველს ვთავაზობთ ლადო ასათიანის დღემდე უცნობ ლექსებსა და წერილებს ნელი დუმბაძის კომენტარებით.

შოთა ქურიძისა და ნელი დუმბაძის ნაშრომთა მეცნიერული ღირებულება თვალსაჩინოა. ორივე იშვიათი დოკუმენტური მასალა, როგორც სანდო პირველწყარო, მკვლევრისათვის ყოველთვის სამახსოვრო და სასარგებლო იქნება.

ფრაგმენტები ლადო ასათიანის მოკლე ბიოგრაფიიდან

ლადო თბილისში ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილას (ნაძალადევში, მთაწმინდაზე, სასტუმრო „ორიანტში“, კლარა ცეტკინისა და ვახუშტის ქუჩებზე). უკანასკნელად, ცოლ-შვილთან ერთად, იმყოფებოდა ძერჟინსკის ქუჩის მესამე ნომერში, სადაც წელს მემორიალური დაფა გაიკვრება.

ლადო დასნეულებული იყო ტუბერკულოზით. ბოლოხანს აბასთუმანშიც მკურნალობდა.

პოეტი თავის ნაწარმოებებს აქვეყნებდა რესპუბლიკურ სტუდენტურ ორგანოში. ესენი იყო: ჟურნალები – „ჩვენი თაობა“, „მნათობი“, „პიონერი“, „ოქტომბრელი“... გაზეთები – „ნორჩი ლენინელი“, „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“.

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში მუშაობისას (1938-1939 წ.) ლადოს ჰქონდა ფსევდონიმები: ლ. ასათიძე, ლ. ვარდომაშვილი, ლ. მაღალაშვილი...

ლადოს სიცოცხლეში, 1940 წელს, გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული გ. ცაგარელმა და ნ. გრებნევმა რუსულ ენაზე თარგმნეს ლადოს ლექსები, რაც ცალკე კრებულად დაისტამბა 1953 წელს. პოეტის სრული ნაწერების თავმოყრა და აკადემიური გამოცემა საზრუნავია.

ლადო ასათიანზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქმული აქვთ საქართველოს სახალხო პოეტ-აკადემიკოსებს გალაკტიონ ტაბიძესა და გიორგი ლეონიძეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს, სოციალისტური შრომის გმირს – პოეტსა და პროზაიკოს გრიგოლ აბაშიძეს, პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს, მწერალ – აკადემიკოსებს კონსტანტინე გამსახურდიასა და დემნა შენგელაიას, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პოეტ სიმონ ჩიქოვანს და აკადემიკოსებს გიორგი ახვლედიანს, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ანგია ბოჭორიშვილს, ნიკო კეცხოველს, ალექსანდრე ბარამიძეს.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1975 წლის 16 იანვარს № 11 (12321). იბეჭდება შემოკლებით.

უკვდავი მესიტყვე

(ლადო ასათიანი 60 წლისაა)

1977 წელს მთელ მსოფლიოში ზეიმით აღინიშნება საბჭოთა კავშირის 60 წლის იუბილე. ბედნიერ 1917 წელზე დაბადებულებზე გაცრცელებულია ქართული გამოთქმა „ოქტომბრის თანატოლები". ლადო ასათიანი ოქტომბრის თანატოლთა რჩეულში შედის. მას ბედმა მისცა მარადიული სიჭაბუკეც და ოქტომბრის თანატოლთა პირველი იუბილარობაც.

ლადო ასათიანი დაიბადა ქუთაისში 1917 წლის (1) 14 იანვარს.

არდავიწყება მგოსნისა

ლადო ასათიანის სახელის უკვდავსაყოფად ახლახან განხორციელდა ღირსალსაჩინო ღონისძიებანი:

თბილისში ჩატარდა ლადოს დაბადების 50 წლის იუბილე. პოეტის ნეშტი გადასვენებულ იქნა ვაკის სასაფლაოდან მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა ლადოს საიუბილეო საღამოები. უქიმერიონზე დაარსდა ლადო ასათიანის სახელობის ქუჩა. ცაგერსა და ბარდნალაში რამდენჯერმე მოეწყო ლადოს დღეები. ცაგერში არის ლადო ასათიანის სახელობის ქუჩა. ბარდნალის რვაწლიან სკოლას მიეკუთვნა ლადოს სახელი. მშობლიურ სოფელში გაიხსნა პოეტის სახლ-მუზეუმი.

დღითი დღე მატულობს ქართველი ახალგაზრდობის წყურვილი ლადო ასათიანის პოეზიის შესწავლისადმი. 1940 წლის შემდეგ თორმეტჯერ გამოიცა ლადოს ლექსთა კრებული. ლიტერატურული არქივიდან უცნობი პოეტური და ეპისტოლური ნაწერები გამოაქვეყნეს ლადოს ასულმა მანანა ასათიანმა, პროზაიკოს საფო მგელაძის შვილიშვილმა იზოლდა ჩხარტიშვილმა და ლადოს მეგობრებმა ნიკა აგიაშვილმა, შოთა ქურიძემ და ნელი დუმბაძემ. მიუხედავად წელს გამოიცემა ლადოს თხზულებათა ერთტომეული.

ლადო ასათიანის სასახელოდ მეტყველებს მრავალი ფაქტი. ლადოს „სალაღობო" ქართულ სცენაზე შთამბეჭდავად პირველად წარმოთქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ. ლადოს პორტრეტი შექმნა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლადო გუდიაშვილმა.

ლადო ასათიანის ნაწერები და დიდძალი ლიტერატურა ლადოზე აღინუსხა ქუთაისის ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ ბროშურაში.

ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტად ჩაითვლება ნეკროლოგი, რაც 1943 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოში" (№15). მასში მიუდგომლად შეფასებულია ლადოს ღვაწლი და მთავარი სიტყვა ნათქვამია: ლადო ასათიანს აქვს თავისებური ხმა და იშვიათი გემოვნება. ის არის ორიგინალური პოეტი. ნეკროლოგს ხელს აწერდნენ ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატები.

ხელთ გვაქვს აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფია „ლადო ასათიანის ღღეები და ლექსები" (დაიბეჭდა ორჯერ). ეს ნაშრომი ლადოს პოეზიის მრავალმხრივ ღრმა ანალიზს შეიცავს და მემუარული ფაქტებითაც მდიდარია.

ლადოს მრავალფეროვან ცხოვრებას ასახავს ნიკა აგიაშვილის წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად". თხზულება პირველად

დაისტამბა ჟურნალ „ცისკარში“ და შემდეგ კი ცალკე სამჯერ გამოიცა.

ნიკა აგიაშვილი გვაცნობს ლადო ასათიანის შეხვედრებსა და საუბრებს გალაკტიონ ტაბიძესა და კონსტანტინე გამსახურდიასთან, სხვა ცნობილ მწერლებთან. პოეტ ალექსანდრე საჯაიას წერილი აღადგენს ლადოს დაკრძალვისას გიორგი ლეონიძის მიერ წარმოთქმულ სიტყვას.

ჩემი ნაწერები ლადო ასათიანზე 1960 წლიდან გაფანტულია პრესაში. მათი თავმოყრა და ერთ ბიოგრაფიულ-მემუარულ ნაშრომად გამოცემა განზრახული მაქვს. ცალკე გამოვყავი „სამახსოვრო მრავალთავი“ (ყოველწლიური დღიურები). მასში მოვათავსე შთაბეჭდილებანი, რომელნიც ლადოს საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ქართველ მოღვაწეებს ჩემთვის მოუწოდებიათ. რაც აღმიდგენია და მომიპოვებია. ამავე ციკლში მოექცა ჩემ მიერ შენიშნული ცნობილი ავტორიტეტული გამონათქვამებიც.

ლადო ასათიანს ახასიათებენ ცნობილი მოღვაწენი (ანბანთ რიგზე): ირაკლი აბაშიძე, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე, ანგია ბოჭორიშვილი, ვარლამ თოფურია, ნიკო კეცხოველი, სერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ბესარიონ ჟღენტი, შოთა ქურიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩიქობავა, მიხეილ ჩიქოვანი, შოთა ძიძიგური, ქეთევან ძოწენიძე, გიორგი ჯიბლაძე. ხსოვნაში ჩამრჩა ლადო ასათიანის სტრიქონი აკაკის სიყვარულით ანთებულ კინომოღვაწე ვასილ ამაშუკელზე: „გზას გაუნათებს აკაკის ლანდი“. იგულისხმება შემოქმედებითი გზა და მთავარი ნაწარმოები. ლადომ აქ ოსტატურად გადაამუშავა ხალხური გამოთქმა აკაკის „ნათელი ადგას“ და გალაკტიონის სათაური „აკაკის ლანდი“.

ხსოვნაში ჩამრჩა ლადო ასათიანის ნაკვესი მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანზე: „სიცოცხლე მიყვარს. ძილი არ იცის სათაფლიამ. სათაფლიაში თაფლიც იყო და ფუტკარიც. პეტრე ჭაბუკიანი მოუძღვა ხალხს, გაუხსნა ბუნების კარი და მთამაც თავი ისახელა.“ სათაფლიაზე ალაპარაკდა ხალხი.

ვასილ ამაშუკელის ნაამბობი

სტუდენტი ლადო ასათიანი ერთხანს ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, მინაქირა ლორთქიფანიძესთან ნაქირავებ ბინაში, ძასთან ერთად იდგა ცაგერელი ამხანაგი რაჟდენ შკუბულიანი. მინადირასეული სახლი ახლა გრიგოლ გოლეთიანს ეკუთვნის. მისი ეზო აკრავს ჩეჩს კარ-მიდამოს.

თეთრამიწის კალთაზე მდებარეობს კორტოხი, სადაც თავდება მდინარე რიონის ნაპირიდან აღმავალი უქიმერიონის ქვის კედელი. ამ წარმტაცი გადასახედიდან ხელისგულივით გაშლილია ძველი ქუთაისის სანახები... ბაგრატის ტაძარი, ლადო ასათიანის ქუჩაზე მდებარე ე. წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ბეიკ გაბაშვილის გორა, გაღმა ქუთაისი. მოშორებით ჩანს გეღეთი, რიონის ბღობა და კოლხეთის ველი. შორეულ თვალსაწიერში აღმართულან ასხი, ხვამლი, ნაქერალას ქედი, აჭარა–ახალციხის მთები.

ქუთაისში დიდხანა მოღვაწეობდა ჩემი მეზობელი – ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი პეტრე ბახტურიძე. პეტრე საქალაქო გაზეთის რედაქციაში მუშაობდა. მის ოჯახს დროდადრო ეწვეოდნენ გამოჩენილი ქართველი და რუსი მწერლები. პეტრე ცნობილი პროზაიკოსის კონსტანტინე ლორთქიფანიძის განუყრელი მეკობარი იყო.

პეტრე ბახტურიძეს დაუახლოვდნენ არქიელის გორაზე მკვიდრი დამწყები მწერლები: ლადო ასათიანი, მიხეილ ალავიძე, ვასილ ლორთქიფანიძე. დასვენების დღეებში ამოდიოდ-

ნენ: გიორგი ჯიბლაძე, ნიკა აგიაშვილი, გიორგი სამხარაძე, ვლადიმერ შავგულიძე, სერგო ფხაკაძე, მარია ასათიანი, პაულე ხმალაძე, ბონდო კეშელავა, სევერიან ცისანი, შოთა ქურიძე, გიორგი ნაფეტვარიძე... თავშეყრას ბაგრატის ტაძრის ეზოში ვარჩევდით. იქ პეტრე ჭაბუკიანი დაგვხვდებოდა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი, მწერალი ჯაჯუ ჯორჯიკია ხშირად ჩვენთან იყო.

პეტრე ბახტურიძის დახასიათებით მიცნობდა ლადო. იცოდა, რომ მე აკაკი წერეთელს ვახლდი და მისი მოგზაურობა გაეცანი. ჩემი სიმამრის კონსტანტინე მარჯანიშვილის ძველებურ იმერულ ოდაში სხვადასხვა დროს სტუმრად ყოფილან აკაკი წერეთელი, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი... აქვე დეკანოზ ნესტორ ყუბანიშვილისეულ სახლში სწავლობდა გალაკტიონი...

სტუდენტები ლადო ასათიანი და რაჟდენ შუბულიანი ჩემს ოჯახში შინაურებად ითვლებოდნენ. მთელი კუთხე წვალსადენის გადმოყვანამდე ჩემი ჭიდან იღებდა სასმელ წყალს. ლადო და რაჟდენი ეზო-ბაღის მოვლაშიც მეხმარებოდნენ.

ნათლად მახსოვს პირველი შთამბეჭდავი ფაქტი. აკაკი წერეთლის გარდაცვალების 20 წლისთავისათვის მზადებას გაზეთი „სიტყვა და საქმე" ფართოდ აშუქებდა. 1934 წლის მიწურულს ლადომ შინ მომიტანა გაზეთ „სიტყვა და საქმის" მეშვიდე ნომერი (20 ნოემბრისა). მასში მოთავსებული იყო ჟურნალისტ ლადო ბზვანელის მიერ მიწოდებული მასალები: აკაკის უცნობი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი", ლადო ბზვანელის სტატია „აკაკის მოგზაურობა რაჭა–ლეჩხუმში" და მხატვარ კოტე ქავთარაძის მიერ გადაღებული ფოტოსურათი – აკაკი მხლებლებითურთ, რომელთა შორის მეც ვარ. ლადოს ჩემთვის ამიტომ ეყიდა ერთი ცალი გაზეთი.

რადგან გატაცება შევატყვე, ვათხოვე ლადო ბზვანელის კრებული.

ლადოს ყურადღებით წაეკითხა კრებული. სამსახურიდან დაბრუნებისას შეიჩერდი ჩემს ჭიშკართან. ახალაძის სახლის აივანზე ისხდნენ: პეტრე ბახტურიძე, ლადო ასათიანი და მიხეილ ალავიძე. ლადო ბზვანელს აქებდნენ. პეტრე საყურადღებო ადგილებს ჰპოულობდა კრებულში.

ლადო ასათიანმა თქვა: აკაკი ბედნიერი მგოსანი იყო. სიცოცხლეში მოესწრო დაფასებას. ლადო ბზვანელს სახელად ეს კრებულიც ეყოფა. ლადო ბზვანელი წერს: ფილმი აკაკიმ იხილა და მოიწონაო. „რადიუმში“ კინოსურათს ხშირად ვნახულობ. ახლა კიდევ უფრო შემიყვარდა ეს შენობა, რადგან თქვენს ბიოგრაფიას გავეცანიო.

მსატვარი კოტე ქავთარაძე გავიხსენეთ. ფოტოები მოვნახე და გამოვიტანე.

ლადომ ინატრა მივიწყებული კინოფილმის მოძებნა, მისი კადრების ფოტოსურათებად დამზადება და გამოცემა.

ლადო ასათიანის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე საყოველთაოდ შესამჩნევი იყო. საქალაქო გაზეთში 1936 წელს ერთბაშად დაიბეჭდა მისი საუკეთესო ლექსები.

1964 წელს ქუთაისის თეატრში ლადოს იუბილეზე კმინაწილეობდი. ზეიმს ესწრებოდნენ პოეტის ოჯახის წევრები, ნათესავები, ტოლ-მეგობრები. იშვიათი გულწრფელობა ათბობდა ამ შეხვედრას.

ლადო ასათიანი ქართული საბჭოთა პოეზიის მშვენებაა.

პეტრე ჭაბუკიანის ნაამბობი

ლადო ასათიანს ჩემი ფიზიკური ნაკლიც აღუნიშნავს. უბის წიგნაკში მას ასე ჩაუწერია: „პეტრე ჭაბუკიანს ყურს აკლია. არმიაში მსახურობდა. ერთხელ სასტიკ ელვა-ჭექაში მოყვა და

მასთან ასლო მყოფ ხეს მეხი დაეცა. გადარჩა, მაგრამ მას შემდეგ ყურში კარგად აღარ ესმის. დამთავრებული აქვს დორპატის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი".

ახალგაზრდები მეკითხებიან: ლადო, აღწერთ, შეცდა, თქვენ ხომ მახვილი სმენა გაქვთო.

სწორია ლადოს ცნობები: „ყურს აკლია" და „მეფის არმიაში იყო". სუსტი სმენა მარცხენა ყურში დაბადებიდანვე დამყვა. უნდა გამოვტყდე, მე რომ არ გამემხილა, ამ დეფექტს ვერავინ შეამჩნევდა.

ლადო ასათიანს ახლო ვიცნობდი. მე, ლადო და მისი თანატოლები ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით უკიმერიონზე, სათაფლიასა და გელათში. ბაგრატის ტაძართან გამოდიოდნენ კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვასილ ამაშუკელი, პეტრე ბახტურიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია... მე ვესწრებოდი შეკრებებსაც მწერალთა კავშირის განყოფილებაში, რომლის თავმჯდომარე დია ჩიანელი იყო. აქ დადიოდნენ: დომენტი თომაშვილი, ლადო ბზვანელი, დავით მესხი, ბონდო კეშელავა, ევგენი ფურცხვანიძე, გიორგი სამხარაძე, სევერიან ისიანი, ვანიონ დარასელი, ვლადიმერ შავგულიძე, პავლე ხმალაძე, სერგო ფხაკაძე... ლადო იქ მონაწილეობდა. საქალაქო გაზეთის რედაქციაში კი როცა მივსულვარ, ლადო ყოველთვის იქ მინახავს.

1937 წელს საიუბილეო ლიტერატურულ საღამოებზე მოემზადებენია ლადოს კითხვა. გამოდიოდა ლექსებით „ილიასადმი" და „პუშკინი ჩემთან".

ლადო ასათიანმა ქართულ პოეზიაში პირველად ახსენა სიტყვა „დინოზავრი". ნიკა აგიაშვილი იმორჩებს სტრიქონებს უცნობი ლექსიდან, რაც ლადოს დაუწერია სათაფლიასა და დინოზავრებზე 1937 წელს.

ეს ცნობები ძვირფასია იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ 1933 წელს აღმოჩენილს თვითონ მე ვუწოდე „დინოზავრის ნა-

კვალევი" და ტერმინი „დინოზავრიც" მე შემოვიტანე საყოველთაო ხმარებაში.

ნაკვალევის გეოლოგიური შესწავლა 1938 წლიდან დაიწყო. მე კარ დინოზავრის ნეკვლეც და ნათლიაც.

ვინც დაინტერესდება დინოზავრთა ნაკვალევის ისტორიით, მას გამოადგება ლადო ასათიანის ფრაზა „ვით ნაფეხური დინოზავრების".

დიდხანს არ მენახა ძველი მეგობარი მექი ასათიანი. მას მე უკანასკნელად შევხვდი 1964 წელს ლადოს იუბილეზე ქუთაისის თეატრში. მექი ასათიანი სოფელ ბანოჯის შვიდწლიანი სკოლის დირექტორად მუშაობდა 1930-1931 წლებში. ბანოჯელებს მე პირადად ვიცნობ. ინჟამად ბანოჯაში მასწავლებლობდა მწერალი სერგო ფხაკაძეც.

ჩამაჩემი ივანე ლეჩხუმის სოფელ დეხვირიდან ჩამოსახლდა ქუთაისში. მე ქუთაისში დავიბადე. პირველად წავედი ცაგერსა და ბარდნალაში 1971 წელს და დავესწარი ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის გახსნას.

ლადო ასათიანი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საპატიო კურსდამთავრებულად ითვლება. ჩემი სურვილია, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში დაიდგას ლადო ასათიანის ბიუსტი.

ანიკო ვაჩნაძის წერილი

ჩინდა ლადოს შესახებ ზოგი რამ გაცნობოთ. გალაკტიონს მე 1957 წელს გადავეცი მისადმი მიძღვნილი ლადოს ლექსი. ბავშვივით გაუხარდა. გაიღიმა. შემდეგ ყველას ეუბნებოდა – ლადოს ჩემზე ლექსი დაუწერიაო.

გალაკტიონი ყოველი შეხვედრისას მთხოვდა, მოკითხვა შემოვალა ლადოსათვის აბასთუმანში. რასაკვირველია, ვას-

რულებდი თხოვნას. ლადოს ძალიან სიამოვნებდა და თვითონაც გულითად მადლობას უთვლიდა.

ლადოს ლექსები წაუკითხავთ: შალვა ღამბაშიძეს (არსებობს ჩანაწერი), ნატო ვაჩნაძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს.

მის ლექსებზე მუსიკა დაწერეს: ოთარ თაქთაქიშვილმა, შალვა მშველიძემ, რევაზ ლაღიძემ, გიორგი ცაბაძემ, გიგაურმა. სიმღერას ასრულებენ: თამარ იშხნელი, ირაკლი შუშანია. ორკესტრში „ივერია“ წიკლაური მღერის „არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“. მისი პორტრეტი დახატეს: ზურაბ სამხარაძემ, რენო თურქიამ (ერთი ლადოს სახლ-მუზეუმშია, ხოლო მეორე – სამხატვრო გალერეაში), რობერტ სტურუამ, ძმებმა ვართაგაევებმა, შოთა ნიორაძემ (მისი პორტრეტები სახლ-მუზეუმშია). 1953 წლის გამოცემას ახლავს ლადოს პატარა პორტრეტი, შესრულებული მხატვარ ყუბანეიშვილის მიერ. ლადო გუდიაშვილმა კიდევ დაამზადა პატარა პორტრეტი. ლადოს პორტრეტი ქუთაისში შექმნა ნიკოლოზ ნაჭყებიამ. ვახტანგ ონიანის მიერ შესრულებული ბიუსტი ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია. გოგი ოჩიაურის მიერ თიხაში გამოძერწილია ლადოს ბიუსტი.

1940 წელს ლადო და მე ვცხოვრობდით ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოში (ამჟამად რიწის შესასვევის № 2-ში). სახლამდე პატარა აღმართი უნდა აგვევლო. აღმართს ლადო რომ არ შეეწუხებინა, აბასთუმნიდან დაბრუნების შემდეგ ჩემი მეგობრის ლელა გიორგობიანის დახმარებით დავბინავდით სასტუმრო „ინტურისტში“. პატივცემული ლელა ამჟამადაც იქ მუშაობს მთავარ ბუღალტრად. ვცხოვრობდით მეორე სართულზე 23-ე ოთახში, რომელსაც ფანჯარა ეზოსკენ ჰქონდა და პირდაპირ დავსცქეროდით ლადო გუდიაშვილის სახლს. ღამით შუქზე მხატვრის სურათებიც ჩანდა. ლადო ნატრობდა – თუ მეორე ნიგნის გამოსვლას მოესწრებოდა, ლადო გუდიაშვილს გაეფორმებინა, რაც მხოლოდ ლადოს გარდაცვალების შემდეგ აღსრულდა (1943 წ.).

მხატვარ ნიკოლოზ ნაჭყებიას გახსენება

ჯერჯერობით მხოლოდ გაზეთ „ქუთაისში“ იბეჭდება ეს პორტრეტი. მკითხველი საჭიროა იცნობდეს მის ავტორს.

ქუთაისში მოღვაწეობდა ნიჭიერი მხატვარი ნიკოლოზ ნაჭყებია (გარდაიცვალა 1968 წელს). ქუთაისის სამხატვრო გალერეასა და პედაგოგიურ ინსტიტუტში დაცულია მისი ნახელავი – ქართველ კლასიკოსთა პორტრეტები: შოთა, საბა, დავით გურამიშვილი, ბესიკი, ილია, აკაკი, ვაჟა, გაღაკტიონი, ტიციანი... აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი... ნიკოლოზ ნაჭყებიამ ლადო ასათიანი დახატა ტილოზე ჩემი თხოვნით. მე გადავეცი ლადოს ფოტოები. ლადო მას ბევრჯერ უნახავს, მაგრამ პირადად ვერ იცნობდა.

ნახატი ზედმიწევნით რეალისტურია და ინდივიდუალური ოსტატობით გამოირჩევა. გაცოცხლებულია და შემოგვცქერის ნაძდვილი ლადო – მგზნებარე, ანთებული შემოქმედი. ჩარჩოში ჩასმული სურათი პირველად დავკიდეთ იუბილეზე ქუთაისის თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში 1964 წელს. ის შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზს აშშვენებდა. სურათმა იპოვა სამუდამო ბინა. მასზე აწერია: ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმს. მხატვარი ნიკოლოზ ნაჭყებია. 1964. ქუთაისი.

1971 წელს ბარდნალაში, სახლ-მუზეუმის გასხნისას, თვალსაჩინო ადგილზე (აივნის სვეტზე) დაკიდეს ლადოს პორტრეტი, რამაც მიიპყრო ყველას ყურადღება. მხატვრის ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცეს: ალექსანდრე ბარამიძემ, მიხეილ ჩიქოვანმა, ბესარიონ ჟღენტმა, ნიკა აგიაშვილმა, გიორგი ჯიბლაძემ. ლადოს მასწავლებლებმა და მეგობრებმა ორიგინალური ნაშრომი ერთსულოვნად მოიწონეს. გამოითქვა სურვილი: ეს პორტრეტი ფართოდ უნდა გავრცელდესო (პრესაში, ცალკეულ გამოცემებში).

ეს ფაქტი მხატვარ ნიკოლოზ ნაჭყებიას ნიჭის საქებრად დარჩება.

თბილისში, გორგასალის ქუჩაზე აღმართულ ობელისკს სამასი არაკველის სადიდებლად აქვს წარწერა: „მამულისათვის დაიღუპნენ ვაჟკაცობის მსხვერპლნი, საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“. ეს სტრიქონები ლადო ასათიანმა შექმნა. ლადოს „სალაღობოს“ ხალხი მღერის.

ლადო პოპულარულია, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული პოეტი, სამაგალითო პატრიოტი, სიცოცხლისა და სიხარულის მეხოტბე. ლადოს პოეზია გამსჭვალულია თანამედროვეობის სულისკვეთებით.

ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად მარად იცოცხლებს. „ვისაც მფარველად მუზა ჰყოლია, უკვდავი იყოს სახელი მისი!“

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1977 წლის 19 იანვარს, № 13 (12139).

ფიქრები ლადო ასათიანზე

(სახალხო ზეიმი „ლადოობა“)

ლადო ასათიანი ოქტომბრელთა რჩეულში შედის და პირველი იუბილარი პოეტია. დიდმნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტად ჩაითვლება ნეკროლოგი ლადოზე (1943 წ.), რასაც ხელს აწერდნენ: გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალიო ბაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთათელი, ვალერი ინგოროყვა, შალვა აფხაიძე, ლეო ქიაჩელი, აკაკი ბაქრაძე, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია, ლევან ასათიანი, გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი, ალექსანდრე საჯაია, ილო მოსაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, სარიტონ ვარდოშვილი, მიქელ პატარიძე.

1977 წლის 16 მაისს თბილისში რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ჩანხორციელდა ფართო მასშტაბის ღონისძიება – გაიმართა ლადო ასათიანის დაბადების 60 წლის იუბილე, რაც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ. მან თქვა: რაც დრო გადის, ლადო ასათიანის პოეზია ზემოქმედების ძალა სულ უფრო იზრდება. გვწამს, რომ ქართველ მწერალთა ახალი თაობები, ჭადლიერი შთამომავალნი კიდევ უფრო მეტად დააფასებენ ამ შესანიშნავ პოეტს (გაზ. „კომუნისტი“, 1977, 18 მაისი, № 116). აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ ლადო ასათიანის პოეზიის ღრმა მეცნიერული ანალიზი მოგვცა. მისი ახალი მონოგრაფია ორჯერ გამოქვეყნდა (1972, 1974).

საიუბილეო ზეიმში მთავარი როლი შეასრულა გ. ჯიბლაძემ. ეს ამაგი სამახსოვროდ დარჩება. გ. ჯიბლაძე ლადო ასათიანის მასწავლებელი, პოეტური აკვნის დამრწევი და მისი პოეზიის უმაღლესი შემფასებელია.

გ. ჯიბლაძემ შესანიშნავად დაახასიათა იუბილარი – თავისი სიტყვა ასე დაიწყო და დაასრულა: ქართული პოეზიის ცას და მიწას ლადო ასათიანი მართლაც ელვასავით მოეცლინა – უეცრად გამოჩნდა, უეცრადვე გაქრა, როგორც მეტეორი, მაგრამ დარჩა მისი მშვენიერი ლექსები, დარჩა კეთილი გრძნობებითა და სიყვარულით აღსავსე მოგონებათა ნაკადი. ბედნიერი ვარ, რომ ლადო ასათიანის პირველი ლექსებია რედაქტორობა და გამოქვეყნება წილად მხვდა, ხოლო მისი სტუდენტური მატრიკული 1938 წლისა ჩემ მიერ დაწერილ ორ საგამოცდო ნიშანს ინახავს – ლიტერატურის მეთოდოლოგიასა და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში...

საქართველოს სახალხო პოეტ-აკადემიკოსის, გიორგი ლეონიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამშობლო ლადოს გულის ფეთქვაა, სამშობლო – ლადოს ლექსის სახელი“... უებრო პოეტად დაბადებულნი, რაც დრო გადის, უფრო ხმამაღლა იწყებენ დიალოგს შთამომავლობასთან. ამ შემოქმედთა მოდგმას მიეკუთვნება ლადო ასათიანი, ვინც სიცოცხლეში პოეზიის მწვერვალზე იმიტომ ადიოდა, რომ გარდაცვალების შენდეგ ძირს არასოდეს ჩამოსულიყო (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1977, 20 მაისი, № 21). წლევანდელმა თბილისობამ იუბილემ ლადო ასათიანის პოეზიის საყოველთაო აღიარება დაადასტურა.

ამ ფაქტის გამოძახილად წელსვე სათავეს იღებს დიადი სახალხო ზეიმი „ლადოობა“. თუმცა მგოსანი ქუთაისში დაიბადა, მაგრამ ამ დღეობის დაარსება ლეჩხუმში მაინც გამართლებულია, რადგან მშობლიური კუთხე ტრადიციულად იჩენდა განსაკუთრებულ პატივისცემას და ყოველთვის იამაყებს ლადო ასა-

თიანით, ვინც შეეხმნა მომხიბლავი ლექსები სამშობლოზე და, კერძოდ, ლეჩხუმზეც.

ლეჩხუმი ზეიმობს ლადო ასათიანის დაბადებას. „ლადოობა“ დანიშნულია 15 იულისს ცაგერში, დღის 4 საათზე.

უცნობი მეგობრები

1977 წლის 20 მაისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 21) დაისტამბა სამი საინტერესო მოგონება: რევაზ მარგიანი ახასიათებს „პოეტად დაბადებულ“ ლადო ასათიანს და იხსენებს მასთან დამეგობრებას თბილისში; მურმან ლებანიძე ეხება მტკივნეულ საკითხს ახალგაზრდა მწერალთა ურთიერთობაში „კრნანისის ყაჩაღობის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით; ლადო ავალიანის ნეშუარს სათაურად აქვს ლადო ასათიანის სტრიქონი – „მე კარგად ვიცი – ვინა ვარ, რა ვარ...“

1977 წლის 14 მაისს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (№ 58) დაბეჭდილი ვახტანგ ჭელიძის წერილი „პოეტის ხატი“ გულთბილი მოგონებაა.

ქუთათელი მეცნიერი კოლეგები შემეკითხნენ: რევაზ მარგიანი აღნიშნავს – ლადოს ქუთაისში ბევრი უსიამოვნება გადახდომოდა თავს. პირველი გაცნობისთანავე განერვიულებული და აღელვებული გვეჩვენაო.

ვახტანგ ჭელიძე პირველ შებვედრას და გაცნობას ასე აგვიწერს: სახეზე თითქოს უკვე აღარ აჩნდა ის ლაღი უზრუნველყოფა, რაც წესით 21-22 წლის ახალგაზრდას უნდა ჰქონოდა. დაღვრემილი იყო, გაღიზიანებული, დაღლილი. აშკარად ეტყობოდა, ამ კაცს უკვე მოესწრო ბევრი სიმწრის მიღება ცხოვრებიდან...

რა უსიამოვნებები შეხვდა ლადოს?

ნიკა აგიაშვილი, ვახტანგ ჭელიძე და ლადო ავალიანი მოგვითხრობენ, რომ ლადო თბილისში პირველად ნათესავებსა

და ამხანაგებთან იმყოფებოდა, დაოჯახებამდე საკუთარი თავშესაფარი არ ჰქონდაო.

ლადო რატომ არ დარჩა ქუთაისში, რატომ გადავიდა თბილისში?

ამ კითხვებზე მე ასე ვუპასუხებ: ქუთათურ უსიამოვნებებში იგულისხმება ცხოვრების ქარტეხილში გაჩქარალი მშობელი დედის გლოვა და პედაგოგიური ინსტიტუტიდან გაუგებრობით გარიცხვის ფაქტი, როცა ლადო მეოთხე კურსზე იყო. 1938 წლის 31 მარტს ის კვლავ აღდგენილ იქნა სტუდენტად. ამ მოკლე დროში (აპრილსა და მაისში) ლადომ მხოლოდ „დახურა კურსი" – ყველა სავალდებულო საგანი ჩააბარა, სახელმწიფო გამოცდები კი დატოვა.

მწვავე ბრალდებათა შემცველ გარიცხვის ბრძანებას (1938 წლის 10 იანვარი) ჩვენებასთან „ჩავიბარე" ხელს ანერს მოლაყბედ მონათლული ლადო ასათიანი (ლად ხელმოწერაში იგრძნობა მისი ამაყი სული).

ცხადად მახსოვს და უცნობი საარქივო დოკუმენტებიც მეტყველებენ, რომ ლადო ინსტიტუტიდან გარიცხული იყო თითქმის სამი თვის განმავლობაში.

გარიცხვა-აღდგენის დოკუმენტები დაცულია ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ არქივში (ფონდი № 97, სტუდენტ ვლადიმერ ასათიანის პირადი საქმე № 917).

1960 წელს, როცა ლადო ასათიანის დაბადების თარიღი დავადგინე, გავეცანი ამ დოკუმენტებსაც, მაგრამ საკითხს დღემდე არ შევხებივარ. დროა გამჟღავნდეს დაფარული სათქმელი.

პედაგოგიური ინსტიტუტის ახლადდანიშნულ დირექტორს ლუკა ჭელიძეს პასუხისმგებლობას თითქმის უსსნის ამ საკითხზე ლადო ასათიანის მიერ მეგობრისადმი 1938 წლის 31 მარტს გაგზავნილი კერძო ბარათი. მასში მხილებულია ციცისმწამებელი – დასახელებულია მარტო გვარი თანამდებობის პირისა

(უნივერსიტეტში) და მიხვდება მხოლოდ ის, ვისაც ახსოვს 1937 წლის ვიოლარება პედაგოგიურ ინსტიტუტში. ლადოსეულ ხელნაწერს დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (1973 წ., 27 ნოემბერი, № 141). ამ დოკუმენტის ციტირებასა და გაშიფვრას მე აქ მოვერიდე. ლადოსეული დოკუმენტი კი კომენტარს მაინც მოითხოვს, რადგან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ცოდვა ერთადერთ ვინმეს ნუ დაბრალდება. იყვნენ უფრო მავნე მოშურნენიც. სხვა მეგობრებიც ნელი დუმბაძე და შოთა ქურიძე ხომ შენიშნავენ: „ლადო ინსტიტუტიდან გარიცხეს პირადი მტრების მიერ შეთითხნილი ბრალდებებით“ (ლადოს საყმაწვილო ფურცლები, 1977, გვ. 86).

ცნობილია, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის დასრულებისთანავე ქუთაისიდან ლადოს წასვლაზე გულისტკივილი წერილობით გამოხატეს პოეტმა გიორგი ნაფეტვარიძემ და ჟურნალისტმა შალვა კობიძემ.

„უთათელი დამწყები მწერლები დედაქალაქისაკენ ყოველთვის მიისწრაფოდნენ. ამას აქ ლიტერატურული ბეჭდვითი ორგანოს უქონლობა იწვევდა. ნიჭიერ ახალგაზრდათა შემოქმედებითი ზრდა დედაქალაქში ახლაც თვალსაჩინოა.

გარეშეებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ლადოს პირველი იმედი და მზრუნველი ნიკა აგიაშვილი 1938 წლის გაზაფხულზე ქუთაისიდან თბილისში გადაიყვანეს ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციის მდივნად.

ლადო ასათიანმა 1938 წლის ივნისიდან მუშაობა დაიწყო გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში და ჟურნალ „ჩვენი თაობის“ პოეტთა კრებულს შეუერთდა.

ამასთანავე საჭიროა ერთი შესწორება.

ცნობილი პროზაიკოსი ლადო ავალიანი შთამბეჭდავად ასახავს სიძნელეებს ლადოს პირადს ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

სარწმუნოა, რომ „ლადო ასათიანს ძვირად დაუჯდა თავისი ნიჭიც და თავისი სითამამეც. მან პოეზიაში ჯეხის შემოდგმისთანავე გაიჩინა როგორც მეგობრები, ისე მტრებიც. მეგობრებს აოცებდა და ხიბლავდა ამ, სულ რაღაც ოცდაოდე წლის ჭაბუკის, ლექსის პათოსი და ლაღი მდინარება. მტრებს კი აღიზიანებდა არა მარტო ასე ერთბაშად და ძლიერად ფრთაგაშლილი მისი ნიჭი და, ვინ იცის, იქნებ ამაზე უფრო მეტადაც, მისი გამომწვევი სითამამე"...

ვფიქრობ, მთლად მართალი არ უნდა იყოს ლადო ავალიანის საყვედური: კრიტიკოსებს „ლადო ასათიანისათვის არასოდეს გაუმეტებიათ თუნდაც ერთი, გაზვიადებული ქების სიტყვა"

1941 წლის 31 იანვარს მწერალთა სასახლის კლუბში პოეტების სექციამ მოაწყო ლადო ასათიანის ლექსების კითხვა-განხილვის საღამო. ლადომ წაიკითხა ოცდაათამდე ლექსი, რომელთა უმრავლესობა ახალი იყო.

განხილვაში მონაწილეობდნენ: ერემია ქარელიშვილი, კოლე ბობოხიძე, ალექსანდრე საჯაია, სიმონ ჩიქოვანი, რომელნიც ლადოს პოეტურ ნიჭსა და საკუთარ ხმას ადიდებდნენ. ლადოს შემოქმედებითი საღამოს შესახებ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (№ 6) დაიბეჭდა ვრცელი ინფორმაცია და ორატორთა სიტყვებიც.

ეს ფაქტი ლადო ასათიანის სიცოცხლეში მისი პოეზიისადმი პატივისცემას გამოხატავს.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში" 1977 წლის 14 ივლისს, № 137 (12963).

ლადო ასათიანი ქუთაისში

(პოეტის ბიოგრაფიის ახალი ფურცელი)

გასაკვლევნებელი გულისთქმა

საჭიროა გავამქღავნოთ მემუარული ლიტერატურის არასწორი ცნობები. მწერალ ნიკა აგიაშვილის პოპულარულ წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ ჭარად" (1980 წ.) შესაცვლელია ორი აბზაცი: 1. პოეტის ბიოგრაფიიდან ცარიელ ადგილად იყო დარჩენილი არასრული საშუალო სკოლის ხანა, რომელიც ლადომ ლეჩხუმში გაატარა (გვ. 51). ამ აბზაცში ამოსაღებია გამოთქმა – „არასრული". 2. პედაგოგ რაჟდენ შკუბულიანის მემუარში წერია: ლადო ასათიანს ვიცნობდი 1931 წლიდან, როცა ვსწავლობდი ცაგერის პედაგოგიური ტექნიკუმის პირველ კურსზე. ამავე წელს ცაგერში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სადაც სტუდენტად ჩაირიცხა ბარდნალის შვიდწლიანი სკოლის კურსდამთავრებული 14 წლის ლადო ჰექის ძე ასათიანი (გვ. 59).

მე შევადგინე ლადო ასათიანის მოკლე ბიოგრაფია, სადაც რაჟდენ შკუბულიანის ამ მემუარზე დამყარებით აღნიშნული იყო, რომ ლადომ საშუალო განათლება მიიღო მშობლიურ ლეჩხუმში. 1931 წელს დაამთავრა სოფელ ბარდნალის შვიდწლიანი სკოლა, ხოლო 1934 წელს – ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი (გაზ. „ქუთაისი", 1975 წლის 16 იანვარი, № 11).

პოეტის მეუღლემ ანიკო ვაჩნაძემ შენიშნა წერილობით: სოფელ ბარდნალაში ლადოს, მგონი, არ უსწავლიაო.

მართლაც, გამოირკვა, რომ სოფელ ბარდნალიაში სკოლაში ლადოს ყოფნა ნამდვილი არაა (ბარდნალაში მაშინ შვიდწლიანი სკოლა არც არსებობდა).

სრული კომენტარი

1981 წლის 12 თებერვალს გაზეთ „ქუთაისში“ (№ 31) დაისტამბა უცნობი ჯგუფური ფოტოსურათი და რ. ბოდბელის ინფორმაცია მსახიობ ალექსანდრა (შურა) ბარქაიას საოჯახო ალბომის შესახებ. ეს უცნობი ფოტოდოკუმენტი პოეტ ლადო ასათიანის ბიოგრაფიას ახალი ცნობებით ავსებს. რ. ბოდბელის (რ. ბეროძის) საგაზეთო წერილში უკლებლივ ამოხსნილია ფოტოსურათის შემადგენლობა. აქ 13 წლის ბაკშვი ლადო ასათიანი (საზაფხულო ხალათში ჩაცმული და უქუდოდ) ზის მარჯვნივ, მეორე რიგში სანდომიანი იერით. ფოტოზე ლადოსთან ერთად აღბეჭდილნი არიან: (მარცხიდან) ამჟამად ქუთაისის თოჯინების თეატრის მსახიობი შურა ბარქაია, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი ნადია ჯვარშეიშვილი, ღვაწლმოსილი მხატვარ-კარიკატურისტი (ჟურნალ „ნიანგის“ ძველი თანამშრომელი) გივი ლომიძე, ქუთაისის საკოოპერაციო მომსახურებია სამმართველოს უფროსი ეკონომისტი ნუცა თოდუა, ან განსვენებული ანეტა ასათიანი და ჭ. ფხაკაძე. შესამჩნევია და შესწორდა ინფორმატორის წვრილმანი შეცდომები: „ფოტოზე გამოსახულია მეექვსე კლასის მოსწავლეთა ჯგუფი 1929 წელს“, „საცდელ-საჩვენებელი სკოლიდან ლადო სხვაგან გადავიდა“. სპეციალურად ამ საკითხთან დაკავშირებით ქუთაისში შევხვდი შურა ბარქაიასა და ნადია ჯვარშეიშვილს. საჭირო ცნობებისათვის მივმართე პოეტის ბიძაშვილს ნარგიზა შაღვას ასულ ასათიანს. თბილისში წერილობით შევეკითხე პოეტის დას მედეა ასათიანს და მეუღლეს ანიკო ვაჩნაძეს. შედეგად მოვიპოვე და დავამუშავე ძვირფასი ფაქტობრივი მასალა.

საკვლევ ფოტოდოკუმენტზე ნახევარი საუკუნის წინათ ნადია ჯვარშეიშვილის ხელით ნაწერი ასე იკითხება: 1930 წელი. ქუთაისის საცდელ-საჩვენებელი სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეთა ჯგუფი.

შურა ბარქაიასა და ნადია ჯვარშეიშვილს ახსოვთ, „რომ ისინი სხვადასხვა სკოლიდან გადმოვიდნენ და ლადო ასათიანთან ერთად სწავლობდნენ მეექვსე და მეშვიდე კლასებში (1929-1931 წლებში), როცა სკოლას განაგებდა ნიკო მისაბიშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა ლონგინოზ კიკვიძე.“ პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა მოთავსებული იყო მაშინდელი პედაგოგიური ტექნიკუმის (ახლანდელი პედაგოგიური ინსტიტუტის) შენობაში.

ლადოს ოჯახური წრე

ლადო ასათიანია დაბადების ზუსტი თარიღი ახლახან გაირკვა. ქუთაისის ცენტრალურ არქივსა და მმაჩის ბიუროს არქივში დაცული მასალისა და პოეტის მამის ნათქვამის მიხედვით დადგენილ იქნა, რომ ლადო ასათიანი დაიბადა ქუთაისში 1917 წელს. მშობლები პედაგოგები იყვნენ და ლადოს დაბადებამდეც და შემდეგაც (1931 წლამდე) ქუთაისში მოღვაწეობდნენ. მელქისედექ გუჯუს ძე ასათიანს (მამას) დაქმთავრებული ჰქონდა ქუთაისის ქართული გიმნაზია და სოფელ ბანოჯის შვიდწლიანი სკოლის დირექტორად მუშაობდა. ლიდა ბათლომეს ასულ ცქიტიშვილს (დედას) დამთავრებული ჰქონდა მარიამ ყაუხჩიშვილის მიერ დაარსებული პროგიმნაზია და ასწავლიდა ორ საგანს (რუსულ ენასა და ბუნებისმეტყველებას) იმავე საშუალო სკოლაში, რომლის დირექტორი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც მარიამ ყაუხჩიშვილი იყო.

ქუთაისში დაიბადნენ ლადოს ძმა გოგიტა (1923 წელს), ლადოს და მედეა (1928 წელს). ქალაქში ოჯახი საცხოვრებლად მისამართს იცვლიდა.

საზრუნავი პოეტის სადიდებლად

ქუთაისში დაიბადა ლადო ასათიანი, ქუთაისის პირველ საცდელ-სანიმუშო სკოლაში სწავლობდა შვიდ წელიწადს, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა ოთხ წელიწადს, ქუთაისში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ყოველივე ეს ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ ქუთაისი პოეტისათვის მშობლიური ქალაქი იყო.

მართალია, ქუთაისში არსებობს ლადო ასათიანის სახელობის ქუჩა, პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა მისი სსოვნის დღეები, გაზეთ „ქუთაისის" ყურადღება თვალსაჩინოა, მაგრამ ეს ღონისძიებები საკმარისი არაა. ქალაქმა პოეტი ღირსეულად უნდა დააფასოს.

საზრუნავია, რათა პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში დადგას ლადო ასათიანის ბიუსტი. საჭიროა, რომ ლადო ასათიანის საიუბილეო თარიღი აღინიშნოს ფართო მასშტაბით, დამკვიდრდეს ქუთაისში დღესასწაული „ლადობა".

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში" 1981 წლის 21 ივლისს, № 146 (13979).
იბეჭდება შემოკლებით.

ლეჩხუმის ტოპონიმია

(ლადო ასათიანის ერთტომეულიდან, 1979 წ.)

ლადო ასათიანის პოეტური ენა და სტილი თავისებურია. სპეციალურ შესწავლას მოითხოვს გრამატიკული მოვლენები და ლექსიკა. დიალექტურ ლექსიკას განეკუთვნება ტოპონიმიკური მასალაც.

ეტიმოლოგიურად ამოვხსენი და ანბანზე გავაწყვე რამდენიმე ტერმინი ლეჩხუმის ტოპონიმიკიდან. ეს ტოპონიმები ლადო ასათიანს მოსწონდა და მასალად აღუნუსხავს უბის წიგნაკში და ლეჩხუმზე დაწერილ ლექსებშიც გამოყენებული აქვს. სვანიზმები და ზანიზმები უხვადაა ლეჩხუმურ დიალექტში (ამ ტერიტორიაზე ბინათ სვანები და ზანები ანუ კოლხები ცხოვრობდნენ).

გავეცნოთ, რას მეტყველებენ ლადოს მშობლიური კუთხის ტოპონიმები.

ბარდნალა ბარდნარი (სოფელი). „ბარდნალა" ფორმის გავრცელება ქართულ სალიტერატურო ენაში ლადოს ლექსის პოპულარობით აიხსნება. სოფელს წინათ ეწოდებოდა „ბარნალა", რომლის მნიშვნელობა ორგვარია: 1. ბარნარი - ვაკე ადგილი, 2. ბალნარი - ბლიანი ადგილი. „ბარნარა" სხვაგანაც არსებობს (ი. სიხარულიძე, გურიის ტოპონიმიკა: საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის კრებული, IV, 1971, გვ. 99).

გვესო სოფელი. ცნობილია ყანის ნიორის რაჭული სახელწოდება „გვესიო" (ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი. 1961).

გუმარეში სახნავი მიწა (ყანა). ამ ტოპონიმს შენარჩუნებული აქვს სვანური ენის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი და მისი მნიშ-

ვნელობაა - გვიმრანარევი ადგილი (გვიმრნარი). საყურადღებოა ფონეტიკური მოვლენა: ვი კომპლექსს შეენაცვლა უ ხმოვანი, რასაც ამტკიცებს ქვემო იმერეთის სოფლის ანალოგიური სახელწოდებაც „გუმბრა“. სამეგრელოს ტოპონიმიკას კი დაუცავს პირვანდელი ქართულ-სვანური ფორმა „გვიმარეში“ – ღელე სოფელ თეკლათში (ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი. ლექსიკონი. 1971). აღდგება შესატყვისი ქართული სავარაუდებელი ფორმა „გვიმრისა“.

დეხვირი სოფელი. სახელწოდება იგივეა, რაც სვანური „ლუხვირ“ - ჩაღრმავებული ანუ ვაკე ადგილი (ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, 1925, გვ. 30).

მიხეილ ჩიქოვანი წერს: „ლეჩხუმის ტოპონიმების (დეხვირი, ბოყერვანი, ნიკორიძირი) წარმოდგენილი ახანა წინასწარი ხასიათისაა და კვლავაც სპეციალურ დაკვირვებას მოითხოვს“. მართლაც, ვერ მივიღებთ მიხ. ჩიქოვანისეულ ახსნას დეხვირის ეტიმოლოგია „ხვირს“ შეიძლება დავუკავშიროთ. „ხვირი“ დიდ მრგვალ წნულს (გოდორს) აღნიშნავს. რაკი ამ ადგილს ორი და მეტი ცილინდრისებური ციხე იდგა ძნელად მისადგომი გალავნით, ერთ მათგანს, ყველაზე დიდს, „დედა ციხე“ ანუ „დეხვირი“ ეწოდებოდა. ციხემ „ხვირთან“ შეჭოლება იმით დაიმსახურა, რომ იგი მრგვალი იყო და არა კუთხოვანი (ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 88, 91). ქართულში უცნობია ამ არა მარტო დიალექტური, არამედ მრავალმნიშვნელოვანი „ხვირ“ ფუძისაგან წარმოქმნილი ტოპონიმი. ამასთან ერთობ ხელოვნურია სავარაუდებელი გამოთქმა „დედა ხვირი“.

ვარდიგორა - ვარდებიანი გორაკი - ვარდნარი.

კენჭნარი - ღელე ცაგერთან.

ლაბეჭინა ნასოფლარი. მიღებულია სვანური „ლაბეჩ“ სახელისაგან - ქვიანი ადგილი.

ლაილაში დაბა იყო. ივ. ნიჟარაძის ცნობით, „ლაილა" ცხვარს აღნიშნავს (რუსულ-სვანური ლექსიკონი. 1910). ამ ფუძის მიხედვით, „ლაილაში" იგულება, რაც „ცხვრისა" - საძოვარი ან საკულტო ადგილი.

ზ. ჭუმბურიძის აზრით წარმოიქმნა „ილვ" (შვილი) ფუძისაგან - საშვლე (რა გქვია შენ? 1971. გვ. 174); მაქსიმე ქალდანიაეული გრამატიკული დაშლა ასეთია: ლა-ილ- ა-შ-ი, სადაც ლა-ა მომაკლის მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსია. ზ. ჭუმბურიძისეული გაგება ზუსტი მაშინ იქნებოდა, რომ არსებობდეს ტოპონიმი ლაილა და ეს ახსნა მას შეეხებოდეს. აქ კი ხელოვნური ორმაგი წარპოება (საშვლისა) გამოვიდა. ლადოს ხუმრობა – ვიყავით ლაილაშში და დრო გავატარეთ ლაილაიში.

ლარჩვალი სოფელი. „ჩვალ" სვანურად მეწყერს ჰქვია. „ლანცვალი" ზემო სვანეთისა და „ლარჩვა" სამეგრელოს სოფლებსაც ეწოდება – მეწყრიანი ადგილი.

ლასურიაში სვანურ ლა-შ აფიქსებიანი სახელწოდება სოფლისა. ანალოგიურია ღეჩხუმის ტოპონიმი „ლაცორია". სვანური „ლაცვერიაშ" დასარჩენ (ღამისგასათევ) ადგილს ანუ სადგურს აღნიშნავს.

ლასხანა სოფელი. (მ)სხალ ფუძისაგან ნაწარმოები სვანური ლა-აფიქსებით – მსხალნარი.

ლალუმეულა ადგილი ლაშხეთში – სოფელ ჩიხარეშის უბანს ეწოდება.

ლალუმეულაში სოფელ საირმეში ყანას ჰქვია.

ლაძგვერია ცხენისწყლის ტყიან ხეობაშია ღვედის უღელტეხილთან. ძირად აქვა სვანური „ძგვერ" – მოფერდო, ჩამოფხეკილი ადგილი. ლაძგვერიული ალიტერაცია – გულის ძგერა ლაძგვერიაში (მგზავრობა სამგლეთში).

ლაჭუპიტა სოფელი. სვანურია; ლაჭუპიდა – ჩიხი, მისამწყვდევი.

ლახვერა სოფელი. სვანური ლახეკა – ფერდობი, ციცაბო ადგილი.

ლაჯანა სოფელი. ზურაბ ჭუმბურიძის ამოხსნით, ზანური ტერმინია. მის ფუძეს შეადგენს ძირეული სახელი „ლანჯი" (კოპიტი-იფანი) და ქონების –ოვან სუფიქსის ნაშთი ან. „ლაჯანა" კოპიტოვანს, იფნოვანს უდრის (რა გქვია შენ? ლექსიკონი, 1971).

ლეჩხუმში „იფნა" იხმარება, მაგრამ „ლანჯი" დაცულია ტოპონიმში „ლანჯეიში" (მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, 1939). ასევე არსებობს სამეგრელოს ტოპონიმი „ლანჯიში". ამასთან ერთად ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისის დასასაბუთებლად გამოდგება გურული ზანიზმი ტოპონიმში „ჯაპანა" (თუთოვანი, ბუოლოვანი).

სამეგრელოს ტოპონიმიკიდან ცნობილია „ლანჯონი"–კოპიტოვანი. არ დასტურდება ფორმა „ლანჯანა", მაგრამ სავარაუდოდ მისი დაშვება შესაძლებელია, რადგან მოიპოვება „ჯაპონაც" და „ჯაპანაც" (ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი. ლექსიკონი, 1971).

მაქსიმე ქალდანს მოცემული აქვს სვანური ტერმინის მხოლოდ დაწლა – ლა-ჯან-ა. მასში მე გამოვყავი და მ. ქალდანმა დაადასტურა (პირადი წერილით) ადამიანის საკუთარი სახელი „ჯანა" (შდრ. ქართველური გვარები – ჯანაძე, ჯანაშვილი, ჯანაშია). ლა-პრეფიქსიან სახელწოდებაში „ლაჯანა" „საჯანაო" ანუ „ჯანასეული" ადგილი იგულისხმება. ქვემო სვანეთის კუთხეში (ლაშხეთში) არის ასეთი აღნაგობის ტოპონიმი „ლაბადა"–„ბადასეული" ადგილი.

ლაჯანური სოფელ ლაჯანის (იხ.) მდინარე.

ლეშკაში ნასოფლარი. სვანურია შქერნაღი.

ლეჩხუმი, იოსებ ყიფშიძის ეტიმოლოგიით, ზანურ-სვანური ეთნიკური ტერმინია. მას ძირეულ სახელად აქვს ზანური „ჩხომი" (თევზი). სვანური ლე პრეფიქსიანი ლეჩხუმი „სათევზეს" ნიშნავსო (მეგრული ენის გრამატიკა, რუსულად, ლექსიკონი, 1914).

ეა ამოხსნა სარწმუნო მაშინ იქნებოდა, „ლეჩხუმი" მდინარის საკუთარი სახელიც რომ იყოს (შდრ. „ოჩხომური" და „ოჩხამურ ი" – მდინარისა და სოფლის სახელწოდებანი სამეგრელოსა და გურიაში).

ჩემი დაკვირვებით, „ლეჩხუმი" სვანური სიტყვაა. სვანური „ცხუმ" რცხილას ეწოდება. ლე პრეფიქსიანი „ლეცხუმ" კი რცხილნარს გულისხმობს (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. მე-18, 1958). ამ აზრს ნიკო ბერძენიშვილი ემხრობა (საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII, 1975, გვ. 431).

ლეხიდარი მდინარეა. რიონს ერთვის, ლე სვანური თავსართია.

მური მურისებური (წოშავო ფერის) კლდეკარი ცხენისწყლისა ცაგერთან.

ბერძნული წყაროებიდან ცნობილ ფორმაში „სქიმარი" კორნელი კეკელიძის ამოხსნით, უეჭველად იგულისხმება მურის ციხე, სადაც ეწამა და გარდაიცალა მეშვიდე საუკუნის ფილოსოფოსი მაქსიმე აღმსარებელი. იგი აქვე, მურის მოედანზე, დაუკრძალავთ (იხ. შოთა რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ 29-ე, 1966, გვ. 120-128).

მიხეილ ჩიქოვანის თვალსაზრისითაც ბერძნული „სქიმარი" ადგილობრივი სახელწოდების ტრანსლიტერაციას (შესატყვისს) წარმოადგენს და არა თარგმანს, მაგრამ საამისოდ მან მოძებნა სვანური სიტყვა „სგიმ", რაც მჟავე ანუ მლაშე წყალს გამოხატავს. ასეთი მინერალური უსახელო წყალი ახლაც მოედინება დეხვირ-ლასხანის საზღვარზე. „საქიმარს" ის დეხვირის ციხედ თვლის. „სგიმ"-„სქიმარის" შემცველი სვანური ტოპონიმის არსებობა ადვილი წარმოსადგენია, რადგან აქ სვანიზმები უხვადაა (ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. 1971. გვ. 86. 88).

ეს ვარაუდი ნაკლებსარწმუნოა ორი მიზეზით: 1. მაქსიმეს თავგადასავლის დასადგენად უნდა დაეყრდნოთ ბერძნულ თხზულებას და არა მისგან განსხვავებულ ღეჩხუმურ ლეგენდას. 2. ტოპონიმი ან ჰიდრონიმი „სგიმი“ სოფელ დეხვირის მიდამოებში არ მოიპოვება.

ნამკაშური ღელე – ცხენისწყლის შენაკადი. ლეჩხუმური „ნამკაშო“ – ნირჩი ყლორტები კოპიტისა (იფნისა).

ოკრიბა ტყიბულის რაიონის ეთნიკური ზანური სახელწოდებაა. ამოხსნა იოსებ ყიფშიძემ. მასში გამოყოფა „კირიბ“ (კრავი) ფუძე და ო თავსართი. ზანურ „ოკრიბას“ შეესატყვისება იმერეთის ტოპონიმ-ჰიდრონიმი „საკრაულა“ – (კრავის სახტომი). „ოკრიბა“ საკრავე ანუ საკულტო ადგილს გულისხმობს.

ორბელი სოფელი. გიორგი ახვლედიანმა დაუკავშირა ასურეთის ქალაქის სახელს „არბელა“ (გაზ. „ქუთაისი“, 1972, № 73).

ალ. ღლონტი ფიქრობს, რომ ორბელ ტოპონიმი შეთვისებულია ძველბერძნული სამყაროდან (ცხადია, თუ პირველად კოლხეთიდან არა აქვთ ნასესხები ბერძნებს). ჰერიდოტეს ისტორიის წიგნში მოიპოვება ცნობა, რომ რაკიაში „ორბელ“ ერქვა მთასო.

ზურაბ ჭუმბურიძის თვალსაზრისით, ორბელში გამოიყოფა ქართული „ორბ“ ძირი და სვანური –ერ სუფიქსი. სვანური „ორბერ“ ფუძისაგან დისიმილაციით მივიღეთ „ორბელი.“ სარწმუნოა, რომ „ორბელი“ „ორბეთს“ გულისხმობს, რასაც ამტკიცებს სვანურ-ზანური ასეთივე ტოპონიმები (სოფლის სახელწოდებები): მურყვლელი – კოშკეთი, მურშკელი – ჭიანჭველეთი, კორცხელი – კონცხეთი... ქართლის ტოპონიმი ქარელი სხვა ტიპისაა და გვარსახელის ალნაგობა აქვს.

ორპირი პირისპირ აღმართული სალი კლდეკარი ღაჯანურის ხეობაში. ორპირს ოთხი კილომეტრი სიგრძე აქვს.

ოყურეში სოფელი. ო-შ აფიქსებიანი ზანურ-სვანური სახელწოდება. საყურეოდ გამოყოფილი ადგილი. სოფელ ოყურეშში

ყანას ეწოდება „ყურიშა“ (ქართული ფორმაა ყურისა). ხალხური გააზრიანება – ორყურეში – მცდარია. ამ გაგებით სწორი აღნაგობის ქართული კომპოზიტი იქნებოდა ორყურე (შდრ. ორპირი). იმერული გვარსახელი ოყრეშიძე იგივეა, რაც ოყურეშელიძე. მეჩვიდმეტე საუკუნეში სოფელ ოყურეშიდან სამი ძმა მანდარია გადმოსულა იმერეთში (ჭოლევი, მოწამეთა, ილემი) და გვარი შეუცვლიათ. რაჭაში გავრცელებული უსახელოურის ვაზის (მანდარიას) ღვინოს ოყურეშული ეწოდება.

ზოშხა სოფელი. სარგის კაკაბაძის საცაგერლოს გამოსავლის დავთარში (1914 წ., გვ. 5) წერია „ზოშხა“. მას უკავშირდება მეზობლად მდებარე სოფელი ჭყვიშის გორაკის სახელწოდება „ზოსხეთი“.

„რაჩხა“ ცხენისწყლის შენაკადი აქაფებული (ჩანჩქერი) მდინარე. იგივეა, რაც ზანიზმი „რჩხუალა“ და „რეცხვას“ გულისხმობს. ასეთივე ზანური ძირი გამოიყოფა ქვემოიმერულ სიტყვაში „ორჩხუში“ – ქვევრის სარეცხი ხელსაწყო (ვ. ბერიძე, სიტყვის კონა, 1912).

რიონი მდინარე. მასში გიორგი მელიქიშვილმა გამოყო „რუ“ ძირი. ჩემი ფიქრით, -იონ სუფიქსს ქონების –ოვან სუფიქსის ფუნქცია აქვს. რიონი „რუოვანს“ აღნიშნავს (იხ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 30-ე, 1967).

სარეწკელა ცხენისწყლის ხეობაში კლდეკარი, სადაც რაწკუნი (წკარუნი) ისმის – სარაწკუნო.

სპათაგორი სოფელი – ლაშქრის გორა.

სოფელი **ნასპერი** – ნალაშქრევი (სპა – ჯარი, ლაშქარი).

ტაშტის წყალი წყარო გზატკეცილზე რიონის ხეობაში (ღვირიშ ღელესთან). „დაშდვ“ – სვანურად დათვი. ამ ადგილს ჰქვია „ლედეშტო“ (სვანური ლედეშდვა) – სადათვია. ტაშტის წყალი დათვის წყალს გულისხმობს.

ცაგერი ქალაქი. ეგნატე გაბლიანის ამოხსნით, ტერმინის სვანური აღნაგობა მოკლედ ასეთია: „ცაგ"– ეკალი, „ცაგარ"– ეკლნარი (ძველი და ახალი სვანეთი. 1925. გვ. 29). მოშორებით მდებარეობს სოფელი „ცაგერა". „ცაგარ" ფუძისაგან წარმოიქმნა გვარსახელი „ცაგარელი". სავარაუდებელია, რომ „ცაგერი" ფონეტიკური ცელილებებით შეიძლება მომდინარეობდეს ძველქართული ეთნიკური ტერმინისაგან „თაკვერი".

ცხენისწყალი მდინარე. ვახუშტი ბატონიშვილი ემყარება ლეგენდას, რომლის მიხედვით აქ ცხენები დაეხრჩო შემოსეულ მტრის ლაშქარს და მდინარეს ცხენისწყალი უწოდესო (ქართლის ცხოვრება. I. 1955, გვ. 238; აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941. გვ. 148).

ეგნატე გაბლიანი წერს: ნიკო მარი შემცდარი უნდა იყოს „ცხენისწყლის" სახელწოდების ახსნაში, რასაც ის ბერძნულ სახელად თვლის. ეს მდინარე იწყება სოფელ „ცენაში" და „ცენისწყალიც" მისთვის ამიტომ დაურქმევიათ სვანებს (ძველი და ახალი სვანეთი. 1925. გვ. 24). გიგი ხორნაულიც აღნიშნავს: სვანეთში არის სოფელი „ცენა", ამ სახელისგან წარმოიქმნა პირვანდელი ფორმა „ცხენისწყალი" (გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1970, № 104). მირონ ხერგიანის აზრითაც, ოდესღაც ამ მდინარეს „ცანას წყალი" ერქვა, მაგრამ „ცანა" ბევრისათვის გაუგებარი იყო და ამიტომ დროთა განმავლობაში იგი „ცხენად" გადაკეთდა (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1971, № 2). ბანოვანის (დესპინე გელოვანის) რომანშიც „შორეული ლანდები" (1959) იკითხება: „ცენის დაღმართს ჩამოუდგნენ" (გვ. 464).

ზემოთ დასახელებული ავტორები სვანეთის ტოპონიმის („ცენა"– „ცანა") მნიშვნელობას არ ეხებიან. სარწმუნოა მოსაზრება, რომ პირვანდელი ფორმა იყო „ცენისწყალი", რაც შემდეგ „ცხენისწყლად" შეიცვალაო.

ეგნატე გაბლიანი (1925 წ.) და ბანოვანი (გარდაიცვალა 1934 წელს) „ცენას" წერენ, მირონ ხერგიანი (1971წ.) „ცანას" და ამჟამად სწორედ ეს ფორმა „ცანა" არის მიღებული (საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფა. 1966). ჩანს, ფორმა „ცენა" ნახევარი საუკუნის შემდეგ „ცანა" ფორმად შეიცვალა.

საისტორიო წყაროებით მტკიცდება, რომ ამ მდინარეს შორეულ წარსულშიც „ცხენისწყალი" ერქვა. ბერძნები მას თარგმნიდნენ და უწოდებდნენ „ჰიპოს", რაც „ცხენს" აღნიშნავს (სიმონ ყაუხჩიშვილი. პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. VII. გვ. 132; ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტოპონიმიკა. I. 1958, გვ. 178; გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, 1965, გვ. 146).

ზანურშიც ქართული ფორმა „ცხენი" დასტურდება და მდინარესაც „ცხენი წყარი" ჰქვია (ნ. მარი, 1910; ი. ყიფშიძე, 1914). იმერულში შემონახულია ზანიზმი, რაც ზანურ ენას არ შემორჩა: სოფელს სამტრედიასთან ჰქვია „ჩხენიში"– „ცხენისა". იმერეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ზანურ ფორმათა შორის „ჩხენიშსაც" ასახელებენ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I. 1951. გვ. 421; არნ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. 1936, გვ. 5; ზ. ჭუმბურიძე. რა გქვია შენ?, 1971, გვ. 223).

არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ „ცხენ" უნდა იყოს „სხენ" (სხედ ფუძის ვარიანტი სხენან) – სხედან ზმნაში რომ გვაქვს (ჭანურ-მეგრულ ქართული შედარებითი ლექსიკონი. 1938. გვ. 79). მისივე აზრით, ცხენში ცხ ძირი და ე დეტერმინანტი სუფიქსი გამოიყოფაო (სახელთა ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. 1942. გვ. 96).

თუმცა სვანურ ენაში ამჟამად იხმარება ცხენის ზანური შესატყვისი შიშინა ფორმა (ც-ჩ) „ჩაჟ" (ანალოგიურია უჩაშ – ხუცე-

სი), მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ სვანეთის ტოპონიმი „ცენაც“ „ცხენას“ უნდა ნიშნავდეს. ამ აზრის დასასაბუთებლად გამოდგება იმერეთის ტოპონიმი „ჩხენიში“.

ივანე ქავთარაძე ცხენ სახელის ანალიზისას „ცენ“ ძირს გამოყოფს და ხ ბგერას განვითარებულად მიიჩნევს (რამდენიმე საერთო ხმარების სიტყვა იბერიულ-კავკასიურ ენებში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1972, ბ, (142), ჰუმანიტარული მეცნიერებანი, გვ. 181). ამ თვალსაზრისს ამტკიცებს სვანეთის ტოპონიმი „ცენა“, როგორც უძველესი ფორმა.

ხ მყარი ბგერა არაა. „ცენა“ პირვანდელი ფორმაა. „ცხენში“ ხ ჩამატებულია ისევე, როგორც სხვა ქართულ სიტყვებში (ფხრენწა, თავსხლაფი, ჩახლენწვა). ხ თანხმოვანი დაკარგულია დიალექტიზმებში: ოშიორი (ოხშივარი), რთმელნარი (რთხმელნარი)... ტოპონიმში ჯორული (ჩხომეული).

კოლხეთსა და სვანეთში ოდითგანვე ცხენის მოვლა-მოშენებას მისდევდნენ და ამიტომ ბუნებრივია, რომ მდინარისა და მისი სანაპიროსათვის სათავესთანაც და შესართავთანაც დაერქმიათ „ცხენის“ გამომხატველი სახელი.

ლევან გოთუა ლაჯანურჰესზე გონებამახვილურად ამბობს: მდინარე ცხენისწყალი ცხენის ძალაში გადავიდა – ელექტროენერგიად გადაიქცაო. ამრიგად, იგულისხმება, რომ სიტყვა ცხენი ნიშანდობლივია მდინარის სახელწოდებად.

ლევან გოთუა წერს: მე ვყოფილვარ ცხენისწყლის სათავეში. მე ვნახე ცხენისწყლის ხელახალი დაბადება ლაჯანურთან. მისი ცხენკეთრლობაც ვნახე. მან ახლებურად გაამართლა თავისი სახელი – ცხენის წყალი ცხენის ძალაში გადავიდა (მატიანური, გვ. 97).

ქართულში ცხენ ფუძისაგან ნაწარმოებია აგრეთვ მარტივი და თხზული გეოგრაფიული სახელები: საცხენისი, საცხენეთი, ცხენისზურგა, ცხენთარო...

„ცხენა“ ფორმა ქართულია. სვანეთში ზოგიერთ სოფელს ასეთივე ქართული სახელი აქვს (რცხმელური, გვიმბრალა, ნალომარი, კაცხი, ზეგანი). ონომასტიკაში ქართული გვარი კვიციანი არის შემონახული.

ამრიგად, ზანურსა და სვანურ ენებში დაცულია ქართული სიტყვებიც. ესა თუ ის ფორმა (ზანიზმი თუ სვანიზმი) ზოგჯერ მხოლოდ ქართული ენის დიალექტში გვხვდება. ზანურ ენაში იხმარება ქართული ცხენი და იმერეთის ტოპონიმიკაში შენახულია მისი ზანური შესატყვისი ფორმა „ჩხენიში“. ასეთივე (მაგრამ პირუკუ) მოვლენა დასტურდება სვანურ ენაში. სვანურში მოიპოვება ქართული ცხენის ზანური შესატყვისი ფორმა (ც – ჩ) „ჩაჟ“ და სვანეთის ტოპონიმიკაში დაცულია ქართული ცხენის ფორმაც „ცენა“.

ჰიდრონიმი ცხენისწყალი, ტოპონიმები „ჩხენიში“ და „ცენა“ (ცანა) საერთო ცხენ ფუძეს შეიცავენ ისე, როგორც არსებობს რიონი – სახელწოდება მდინარისა და სოფლისა.

ჭყეპი სოფელი. ლადო ასათიანი ფიქრობდა, რომ ტოპონიმი ჭყეპი უკავშირდება წყალ ფუძის ზანურ შესატყვისს. როგორც, მაგალითად, ჭენჭყო, ჭყაპი (თოვლ-ჭყაპი), საჭყეპელა (საშხეფელა), მიჭყეპა (მიშხეფება) და ა. შ.

შევნიშნავ, რომ ოკრიბაში მდებარე ჭყეპი გორაკებზე გაშენებული სოფელია და არა ჭაობიანი. ტოპონიმი „ჭყეპი“ არის ქართული წყება სახელზმნის ზანური ეკვივალენტი. მასში სერთა (გორაკთა) წყება იგულისხმება. ოკრიბის ტოპონიმი „ჭყეპი“ იგივეა, რაც ლეჩხუმის მაღალმთიანი სოფელ ოყურეშის ერთი უბნის სახელწოდება „ლაჭყეპა“ (მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი. 1939) და სამეგრელოს მაღალმთიანი დაბა ჯვარის ერთი უბნის სახელწოდება „ჭყებიში“ (აღ. ღლონტი. ტოპონიმიკური ძიებანი. ლექსიკონი. 1971) ანუ „წყებისი“.

ხქამლი კლდოვანი მთაა რიონსა და ცხენისწყალს შუა. ვახუშტი პატონიშვილის განმარტება (ხომლი ანუ ვარსკვლავთ კრებული) შეცდომაა. ზანიზმია „ხვამა" (ლოცვა). მთაზე წინათ, 20 ივლისს, ხვამლობა (ხატობა) იმართებოდა.

ხქლიშური ღელე, ლაჯანურის შენაკადი – ხელისებური (გიჟი) მდინარე. ანალოგიური ფორმაა იმერეთის ჰიდრონიმი ჭიშურა (ღეღე) –ჭისებური.

ჯონოული მდინარე – ცხენისწყლის შენაკადი. რადგან მასში კალმახი ხარობს და აქვეა სოფელი ჩქუმი, ამიტომ ეს ჰიდრონიმიც და ტოპონიმიც დაკავშირებულია ზანურ სიტყვასთან „ჩხომი" (თევზი). –ოულ ქართული –ეულ სუფიქსის ვარიანტია. აქ ქართული –ეულ სუფიქსი ზანურ ფუძეს ისევე დაერთვის, როგორც ქართული –ურ სუფიქსი (შდრ. ოჩხომური და ოჩხამური -- მდინარისა და სოფლის სახელწოდებანი სამეგრელოსა და გურიაში). არსებობს რაჭის –ეულ სუფიქსიანი ქართული ჰიდრონიმებიც – რიცეული, შარეულა. ამრიგად, ჰიდრონიმ ჯონოულის სავარაუდებელი პირვანდელი ფორმაა „ჩხომეული" და ტოპონიმი „ჩქუმისა" კი – „ჩხომი".

ლეჩხუმის ბუნებისა და მოსახლეობის მიმზიდველობა მომხიბვლელად აქვს ასახული თავის ლექსებში ნიჭიერ პოეტს ლადო ასათიანს, – წერს ლადოს მასწავლებელი აკადემიკოსი ვარლამ თოფურია.

თანამემამულე მიხეილ ჩიქოვანმა თქვა: სოფელ ბარდნალას ლადო ასათიანის შუქი დაჰნათის. ეს ნათელი არ ჩაქრება მანამ, სანამ ცხენისწყალი იხმაურებს და ხვამლის მთა ფეხზე იდგომება.

ასეთია მოკლედ ლეჩხუმის ტოპონიმთა მნიშვნელობები. ეს მასალა საჭირო და ფასეულია ქართველურ ენათა ისტორიულ – შედარებითი შესწავლისათვის.

დაიბეჭდა ჟურნალ „განთიადში" 1982 წელს (№ 1, გვ. 179-183).

ლადო ასათიანი მასწავლებელთა შეფასებით

ლადო ასათიანის პოეზია ორგანულად დაკავშირებულია ხალხური მეტყველების სისადავესა და ქართული კლასიკური ლირიკის ტრადიციებთან. მისი არსებითი თვისებაა მაჟორული ხმოვანება და ეროვნულ-პატრიოტული განწყობილება. მას განსაკუთრებულ ელფერს სძენს ფრაზის სიცხადე, სიტყვის მუსიკალობა, აზრის აფორისტული სიზუსტე და ტევადობა, წრფელი არტისტიზმი.

დღითი დღე მატულობს ქართველი ახალგაზრდობის წყურვილი მგზნებარე პოეტის ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისადმი. შეიქმნა დიდძალი ლიტერატურა (ლექსები, გამოკვლევები, მემუარები, მოთხრობები, პიესა-სცენარები). საამაყოა და სამახსოვრო, რომ თავიანთი ავტორიტეტული შეხედულებები გამოთქვეს დიდმა მოღვაწეებმა, რომელნიც ლადო ასათიანს ცალკეულ საგნებს ასწავლიდნენ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

დაფუძნებიდანვე ამ ინსტიტუტში მუშაობდნენ თბილისის უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორები და პედაგოგები. სინამდვილეს თვალნათლივ ასახავს შთამბეჭდავი ადგილი შინმოუსვლელი მეომარი პოეტის სევერიან ისიანის წერილიდან. სევერიან ისიანი 1942 წელს ფრონტზეც აღფრთოვანებით იგონებდა მშობლიური ქალაქის ინსტიტუტს და უსაყვარლეს მასწავლებლებს:

„ბრძოლის ველს ცეცხლის ენები ყოველთვის როდი ფარავენ. ხანდახან ჩამოვარდება სიჩუმე სამარისებური და ამ დროს სულში შემოიჭრება უცნაური გრიგალი, რომელსაც მე მოგონებას ვუწოდებ. თვალნათლივ ვხედავ კორნელი კეკელიძის, გიორგი ახვლედიანის, აკაკი შანიძისა და დიმიტრი უზნაძის მეტყველ სახეებს, ბობოქარ ოქროპირებს შალვა ნუცუბიძესა და ვახტანგ კოტეტიშვილს, ვარლამ თოფურიას თმის ვერცხლს, ვაჟაზე შეყვარებულ მიხეილ ზანდუკელს, ტკბილად ჩამქსმის სიმონ ყაუხჩიშვილის „მოქალაქენო“, მოსე გოგიბერიძის „მეცობრებო“, ანგია ბოჭორიშვილის უცნაურად მოჭრილი მსჯელობა, ალექსანდრე ბარამიძისეული შთაგონებით წაკითხული შოთას ლექსი“...

კორნელი კეკელიძე 1936 წელს წერდა: „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მეორე უნივერსიტეტად“.

1971 წელს დაიწერა გიორგი ჯიბლაძის ბარათი: „უცხოეთიდან დაბრუნებულს სასიხარულო ამბავი დამხვდა: ბარდნალაში ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი გახსნესო. ორმაგად ბედნიერი ვარ – როგორც ლადოს მასწავლებელი უმაღლეს სკოლაში და როგორც მისი პოეტური გზის პირველი გამკვლევ-დამლოცველი... დაე, ბედნიერი იყოს ლადო ასათიანი მის დიდებაზე ჩემს დაუსწრებლადაც. ჩვენ ხომ ერთმანეთს მაინც ვერაფერი დაგვაშორებს!“

გიორგი ჯიბლაძე ესტუმრა სოფელ ბარდნალას და სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა:

დიდ პოეტებს ხშირად პატარა მემორიალი შერჩებათ. ლადო ასათიანი გამონაკლისი არაა. მისი სახლ-მუზეუმი ბარდნალაში პატარაა, მაგრამ რაოდენ ახარებს მნახველებს, რომელნიც პოეტის ჭეშმარიტად მაღალ ხელოვნებას უანგაროდ აფასებენ.

ლადო ასათიანი მოხიბლული იყო უებრო ოქროპირისა და შემოქმედის ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციებით. ვახტანგ კოტეტიშვილი ქართული ფოლკლორის კურსს კითხულობდა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიასთან მიმართებაში. წიგნიდან „ხალხური პოეზია", რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილმა ქუთაისში გამოსცა, ბევრი მარგალიტი ლადომ ზეპირად იცოდა. მას მოსმენილი ჰქონდა ვახტანგ კოტეტიშვილის საჯარო ლექციებიც – „პუშკინის პოეტიკა" და „ხალხური „ვეფხისტყაოსნის" გენეზისი".

1937 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლის იუბილეზე ქუთაისის სახელმწიფო თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში მოხსენებით გამოვიდა ვახტანგ კოტეტიშვილი. ლადო მონაწილეობდა ამ საღამოებში. ვახტანგ კოტეტიშვილს შეუმჩნეველი არ დარჩენია ხალასი ნიჭი. მან ლადოს მოსთხოვა ლექსი. ლადომ ვახტანგ კოტეტიშვილს უსახსოვრა გაზეთიდან ამოჭრილი „საგურამოში ხე არის ერთი"...

მეორე დღეს ინსტიტუტში ლექციის დასასრულს ვახტანგ კოტეტიშვილმა საგანგებოდ განიხილა ლექსი ილიასადმი. აღნიშნა მისი იდეური და მხატვრული ღირსებანი და ჩვეული მკაზნებარებით წარმოთქვა ბოლო სტრიქონები: „რომ იგი, ქართლის მტრების მოკლული, დღეს გააცოცხლეს ქართლის შვილებმა". ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი პოეტ ლადო ასათიანის პირველი მეხოტბე იყო.

უკვდავი ენათმეცნიერი და პედაგოგი ვარლამ თოფურია თვალ-ყურს ადევნებდა ლადოს ნაწერებს. გაზეთში დაბეჭდილ ყოველ ახალ ლექსზე ავტორს ესაუბრებოდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა.

„ქართული დიალექტოლოგიის" სახელმძღვანელოში ვარლამ თოფურია წერს: ლეჩხუმის ბუნებისა და მოსახლეობის მიმზიდ-

ველობა მომხიბლავად აქვს ასახული თავის ლექსებში ნიჭიერ პოეტს ლადო ასათიანს.

1961 წელს დაიწერა ვარლამ თოფურიას პირადი ბარათი: გულისყურითა და მოგონებათა მორევში წავიკითხე თქვენი ნაშრომი „ლადო ასათიანი". კარგი, ძალიან კარგი გიქნიათ, რომ ლადოს ყმაწვილკაცობისა და სიჭაბუკის პერიოდი აღგიდგენიათ. იგიც მომეწონა, რომ ტრიფონ ჯაფარიძის, ქუთაისის მუზეუმის დამაარსებლისა და ვახტანგ კოტეტიშვილის, ამ მღელვარე შემოქმედის, ცხოვრების მცირე, მაგრამ ღირსშესანიშნავი მომენტები მოგგონებიათ და შიგ ჩაგირთავთ. ვისურვებდი, სევერიან ისიანის შესახებაც დაგეწერათ ამხანაგებს.

სიამოვნებითა და სიყვარულით ვკითხულობ ლადოს ლექსებს და ყოველთვის მჭმუნვარება მომიცავს და ოხვრა აღმომხდება: რა უდროოდ დაიღუპა!

ლეჩხუმში გახლდით 1958 წელს. გულმა ვერ მომითმინა და საგანგებოდ წავედი წიფერჩში, მოვინახულე ბარდნალა და ლადოს მამა, კეთილშობილი მოხუცი მექი და მისი კარ-მიდამო. ო, რამდენი მოგონება აღმეძრა და რაოდენ მცირე ვთქვი, რომ მამის გულის დაწყვეტილ სიმებს არ შევხებოდი.

შესახედავად წარმოსადეგსა და თვალად ვარლამ თოფურიას სიჭაბუკიდან თეთრი თმა ამშვენებდა. ლადო ასათიანი ამბობდა: ქართული ენა მე შემასწავლა ვარლამ თოფურიამ. ოთხი წლის განმავლობაში ვისმენდი მის ლექციებს და, თუ რამე სწორად დამიწერია, ამაში ვარლამ თოფურიას უნდა ვუმადლოდე. ვარლამი ყოველთვის გვანათებდა (თმით) და გვანათლებდაო (ცოდნით).

ცნობილი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ანგია ბოჭორიშვილი წერს: მე მძულს ჭლექი, რომელმაც იმსხვერპლა ჩვენი შესანიშნავი მგოსანი ლადო ასათიანი. სხვას ჭლექი ეგოისტად აქცევდა, ლადო ასათიანმა კი სძლია მას სამკვდრო-სასიცოცხ-

ლო ჭიდილში და უკვდავება დაიმკვიდრა; ლადო ასათიანი არის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი საუკეთესო კურსდამთავრებული.

უკვდავი ენათმეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ახვლედიანის მიერ ლეჩხუმში გაგზავნილი დეპეშების ტექსტი ასეთია:

ცაგერი. საიუბილეო კომისიას. გმადლობთ მოწვევისათვის, მაგრამ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნებას არ მაძლევს დავესწრო ლეჩხუმის სიამაყის და ქართული პოეზიის მნათობის ლადო ასათიანის დაბადების 50 წლის იუბილეს. ულმობელმა სენმა ადრე შეაწყვეტინა შემოქმედება ბრწყინვალე ნიჭის მქონე ჭაბუკ ლადოს. მას არ დასცალდა გამოევლინა თავისი დიდი შესაძლებლობის მცირედი ნაწილის მეტი, მაგრამ რაც დატოვა, იგი ამშვენებს ჩვენს პოეზიას;

ბარდნალა. საორგანიზაციო კომისიას. მივესალმები შესანიშნავი ქართველი პოეტის, ლეჩხუმის სიამაყის ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის გახსნას მის მშობლიურ სოფელში, რომელსაც მან სახელი გაუთქვა. ლეჩხუმს წარმოეშვას ლადოს ღირსეული განმგრძობი, ხოლო მის ძვირფას ოჯახს ისეთი ბრწყინვალე, როგორიც შეეფერება მის უკვდავ სახელს.

1967 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავ სხდომაზე მშობლიური კუთხის (ლეჩხუმის) წარმომადგენლებმა იუბილარს მიმართეს სიტყვით და გადასცეს საჩუქრები (მათ შორის ხანჯალიც). მაყურებელთა ხსოვნაში არ ამოიშლება ერთი დიდებული სამადლობელი ჩანართი, გიორგი ახვლედიანმა რომ გააკეთა. მან გაიხსენა სახელოვანი თანამემამულე, მადლიერი ნამოწაფარი, მივიდა მიკროფონთან და დაიწყო: მგზნებარე პოეტი ლადო ასათიანი წერს: „...რომ ძველ ხანჯალს

ელდა ეცეს"... მან, ხანჯლით ხელში, დინჯად და განცდით წარმოთქვა მთელი სტროფი „სალაღობოდან".

ეს გამოთქმა ზოგიერთს სუსტი ჰგონია, მაგრამ ეს არის ერთერთი უძლიერესი ადგილი ლექსში...

დიდი მეცნიერის გიორგი ახვლედიანის თვალსაზრისი ფრიად მნიშვნელოვანია ლადო ასათიანის პოეზიის შესწავლისათვის.

ცნობილმა ფილოლოგმა და რუსთველოლოგმა ალექსანდრე ბარამიძემ 1971 წელს სოფელ ბარდნალაში სახლ-მუზეუმის გახსნისას წარმოთქვა შემდეგი:

ლეჩხუმში პირველად ვარ, მაგრამ მაინც ვიცნობდი მას აკაკი წერეთლის დახასიათებითა და ლადო ასათიანის ნაწერებით.

გუშინ მთლიანად გადავიკითხე ლადოს ლექსთა კრებული გატაცებით, სულმოუთქმელად. ლადო შთამბეჭდავად უმღერის მამულს. უებრო ოპტიმისტი, სიცოცხლის მეხოტბე შეჰხაროდა „საქართველოს მზეს და ზეცას", მის ძლიერებას, განახლებულ თბილისს, უკვდავ გმირებს. ისტორიულ თემაზე შექმნილი მისი ნაწარმოებებიც გამსჭვალულია თანამედროვეობის სულისკვეთებით. ლადოს ლექსები ზეპირად იციან. საკუთარი ხმის პოეტმა საკუთარი ადგილიც დაიმკვიდრა საბჭოთა პოეზიაში.

სულმნათი წინაპრები შოთა, საბა, დავით გურამიშვილი, ბესიკი, ნიკ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა გაცოცხლდნენ და მუდამ იცოცხლებენ ლადოს ნაწარმოებებშიც.

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ლექსმა „ივანე ჯავახიშვილისადმი". ასე გამოკვეთილად არავის დაუხატავს ჩვენი წარსულის მესაიდუმლე. დიდ ივანეს ლადომ „საქართველოს ისტორიის რჯულმდებელი" უწოდა.

პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ლადო ასათიანის ცნობილ № 33 ჯგუფს საგნებს ასწავლიდნენ ყველაზე ახალგაზრდა ლექტორები – გიორგი ჯიბლაძე და შოთა ძიძიგური.

ენათმეცნიერი შოთა ძიძიგური მეგობრობდა კიდეც 1938 წლიდან თბილისის მოქალაქე ლადოს. იგი ლადოს ერთგული დამფასებელია და საინტერესო მოგონებითაც გამოვიდა პირველად ცაგერში.

ლადო ასათიანის სახელის უკვდავსაყოფად ახლახან (1963 წლიდან) გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი: ლადოს ნაშტი თბილისის ვაკის სასაფლაოდან გადასვენებულ იქნა საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. რუსთაველის სახელობის თეატრში რესპუბლიკური მასშტაბით აღინიშნა საიუბილეო თარიღები (პოეტის დაბადების 50 და 60 წლისთავი). 1979 წელს გამოიცა ლადოს თხზულებათა სრული ერთტომეული; ლეჩხუმის სოფელ ბარდნალაში არასრულ საშუალო სკოლას მიეკუთვნა ლადოს სახელი და გაიხსნა სახლ-მუზეუმი. პოეზიის დღედ ცაგერში დაწესდა „ლადოობა“. ქუთაისის სახელმწიფო თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტშიც ჩატარდა საიუბილეო სხდომები, უქიმერიონზე მდებარე ქუჩას ეწოდა ლადოს სახელი და გადაწყვეტილია, რომ 50 წლის იუბილარის – პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში დაიდგას ლადოს ბიუსტი.

ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად მარად იცოცხლებს.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1983 წლის 16 ნოემბერს, № 219 (14552).
იბეჭდება შემოკლებით.

ლადო ასათიანი ქუთაისში

ბარდნალა მგზნებარე პოეტის ლადო ასათიანის მშობლიური სოფელია ცაგერის რაიონში, მაგრამ თვით ლადო აქ არ დაბადებულა; ძალზე პოპულარულია ლადოს ლექსთა ციკლიც ლეჩხუმზე.

ამ გარემოებათა გამო 1971 წელს, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავზე, სოფელ ბარდნალაში გაიხსნა სახლ-მუზეუმი, რამაც გაამართლა თავისი დანიშნულება. აქ ყოველწლიურად იმართება სახალხო ზეიმი „ლადოობა“.

ლადო ასათიანის დაბადების ზუსტი თარიღი ახლახან გაირკვა. ქუთაისის ცენტრალურ არქივსა და მმაჩის ბიუროს არქივში დაცული მასალისა და პოეტის მამის ნათქვამის მიხედვით დადგენილ იქნა, რომ ლადო ასათიანი დაიბადა ქუთაისში, 1917 წლის (1) 14 იანვარს.

ახლახან მოვიპოვეთ უნიკალური ფოტოდოკუმენტი წარწერით: 1930 წელი. ქუთაისის საცდელ-საჩვენებელი სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეთა ჯგუფი (ლადო ასათიანთან ერთად). პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა მოთავსებული იყო მაშინდელი პედაგოგიური ინსტიტუტის შენობაში.

ლადოს ბიძაშვილი ნარგიზა შალვას ასული ასათიან-ყალაბეგიშვილი მოგვითხრობს, რომ ლადო პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში სწავლობდა თავიდანვე (და შვიდ წელიწადს).

ოჯახი ბოლო ხანს იმყოფებოდა რკინიგზის სკოლასთან მდებარე ალექსანდრე დგებუაძის საკუთარ სახლში. ეს ნასახლარი შემდეგ სტადიონს შეუერთდა.

ლადოს მეუღლემ ანიკო ვაჩნაძემ თბილისიდან წერილობით მაცნობა შემდეგი: ჩემი მანანა სულ პატარა (რამდენიმე თვის) იყო და ავად გახდა. მოვიყვანე ექიმი. როცა ის მანანას სინჯავდა, ოთახში ლადო შემოვიდა. ექიმმა შეხედა მას და წასვლისას მითხრა: ეს ყმაწვილი ქუთაისში ჩვენს სახლში ცხოვრობდაო. ექიმ თამარ ანთაძისაგან შევიტყვე, რომ ქუთაისში ბარათაშვილის ქუჩის მეორე ჩიხში (№2), რომელსაც პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანი საზღვრავს, საკუთარი სახლი ჰქონდა მის ბაბას სამუელ ტარიელის ძე ანთაძეს. იგი მღვდელი ყოფილა. შემდეგ მასწავლებლობა დაუწყია. რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. ამის შემდეგ სახლი გაიყიდა. მშობლებთან ერთად სახლში უცხოვრიათ ლადოს და გოგიტას 1927-1929 წლებში (მედიკოც იქ დაბადებულა).

პოეტის მშობლები 1931 წელს საბოლოოდ დამკვიდრდნენ და მასწავლებლობდნენ ლეჩხუმში (სოფლები – ბარდნალა, ღასურიაში). ლიდა ცხოვრების ქარტეხილში გაქრა 1937 წელს, ექიმი კი 1968 წლამდის იცოცხლა.

ლადო ასათიანი სწავლობდა ქუთაისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში – შევიდა 1924 წელს და დაამთავრა 1931 წელს. 1931 წელსვე გადავიდა ლეჩხუმში და სწავლობდა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1934 წელს. ლადო ასათიანი 1934 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1934 წელსვე გადავიდა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართულ სექციაზე, რომელიც დაასრულა 1938 წელს. სტუდენტი ლადო ასათიანი ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელის" თანამშრომელი (გამომშვები) იყო. 1938 წელს საცხოვრებლად გადავიდა თბილისში (გარდაიცვალა 1943 წლის 23 ივნისს).

ლადო თავდაპირველად იმყოფებოდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში (მაიაკოვსკის ქუჩა №38), შემდეგ უქმერიონზე

მინადორა ლორთქიფანიძის სახლში (ახლანდელი ჩანჩიბაძის ქუჩის მეორე ჩიხი № 4), იურისტ იაკობ კირკიტაძის სახლში (ურიცკის ქუჩა № 65), ბოლოს კი იდგა ძერჟინსკის ქუჩაზე (№ 35).

პოეტის ბიძამ შალვა გუჯუს ძე ასათიანმა (გარდაიცვალა 1969 წელს) 1960 წელს მითხრა: ლადო დაიბადა ახლანდელ წულუკიძის ქუჩაზე (№ 58). ოჯახი ვის სახლში და რახანს იყო აქ, – არ მიკითხავს და საკითხი აქამდე მიმრჩა შეუსწავლელი.

ეს ცნობა შემოწმდა და გამოირკვა შემდეგი:

ახლანდელ წულუკიძის ქუჩაზე (№ 68) მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე დამკვიდრდა ჭელიძის ოჯახი. პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა, ფროსტელმა მარიამ ნოეს ასულმა ჭელიძემ (დაიბადა 1926 წელს) მომითხრო მამისა და მამიდისეული ზეპირგადმონაცემი:

პედაგოგები – ცოლ-ქმარი მექი გუჯუს ძე ასათიანი და ლიდა ბართლომეს ასული ცქიტიშვილი – ცხოვრობდნენ პედაგოგ გედეონ მაქსიმეს ძე ხელაძის სახლში. მაქსიმე ცნობილი მესტამბის ექვთიმე ხელაძის ძმისშვილი იყო. ყოფილ გეგუთის ქუჩაზე მდებარე ხის სახლში დაიბადა პოეტი ლადო ასათიანი. ეს ფიცრული შემდეგ დაიწვა. იმავე ადგილზე აიგო ორსართულიანი აგურის სახლი (ახლანდელ წულუკიძის ქუჩაზე № 34), რაც ამჟამადაც შთამომავალ ხელაძეს ეკუთვნის.

ინფორმატორი მარიამ ჭელიძე პირადად იცნობდა მეზობელ გედეონ ხელაძეს, დედამის ნატას და მათთან სტუმრადმოსული ლიდა ცქიტიშვილიც ახსოვს. გედეონ ხელაძის მეუღლე პედაგოგი შუშანა ზვიადაძე ცოცხალია (90 წლისაა) და მარიამ ჭელიძის ნათქვამს ადასტურებს.

ორი ცოცხალი ინფორმატორის (62 წლის მარიამ ჭელიძისა და 90 წლის შუშანა ზვიადაძის) თქმით, დადგენილ იქნა პოეტის დაბადების ადგილი.

ამრიგად, ლადო ასათიანი დაიბადა ქუთაისში, 1917 წლის 14 იანვარს ყოფილ გეგუთის ქუჩაზე (ახლანდელ წულუკიძის ქუჩაზე № 54), პედაგოგ გედეონ ხელაძის საკუთარ სახლში; ქუთაისში ლადომ დაასრულა შვიდწლედი და ინსტიტუტი. აქ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე.

ქუთაისი ლადო ასათიანის მშობლიური ქალაქია.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში" 1985 წლის 13 აგვისტოს, № 156 (14989).

„მეც ქართველი ვარ...“

(ლადო ასათიანის დაბადების 70 წლისთავისათვის)

შეარულდა 70 წელი მგზნებარე პოეტის ლადო ასათიანის დაბადებიდან. ლადო ასათიანი პოპულარულია, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული მგოსანი, იშვიათი პატრიოტი, სიცოცხლისა და სიხარულის მეხოტბე. ამ შემოქმედის ძირითადი თემა არის სამშობლო. იგი უმღერის ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიულ წარსულსა და დიად დღევანდელობას, ხალხთა მეგობრობასა და თავისუფლებას.

შთამბეჭდავია აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის ნათქვამი: „ჩვენ გვიყვარს ლადო ასათიანი, როგორც ქართული სიტყვის მერანი, ვისი ხანმოკლე სიცოცხლეც უკვდავებით დაიდაფნა. მისი მაჟორული ლექსი საუკუნეებს დარჩება, როგორც სიწმინდე სულისა, გაჟრჟოლება გულისა და არწივისებური ხედვა თვალისა. ლადო ასათიანი უკვდავია!“

ჟურნალისტისა და მწერლის ნიკა აგიაშვილის დახასიათებით, „რაც უნდა მოწყენილი იყოს ადამიანი, როცა ხელში აიღებს და გადაიკითხავს მის ვაჟკაცურ „ასათიანურ“ ბწკარებს, მაშინვე სიხარულით და აღტაცებით გაუბრწყინდება სახე და ასე დარჩება დიდხანს“.

ლადო ასათიანის სახელის უკვდავსაყოფად ახლახან გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი: ლადოს ნეშტი თბილისის ვაკის სამოქალაქო სასაფლაოდან გადასვენებულ იქნა საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში; რუსთაველის სახელობის

სახელმწიფო თეატრში რესპუბლიკური მასშტაბით აღინიშნა საიუბილეო თარიღები (პოეტის დაბადების 50 და 60 წლისთავი); 1979 წელს გამოიცა ლადოს თხზულებათა სრული კრებული, 1986 წელს კი – „რჩეული"; ლეჩხუმის სოფელ ბარდნალაში არასრულ საშუალო სკოლას მიეკუთვნა ლადოს სახელი და გაიხსნა სახლ-მუზეუმი. პოეზიის დღედ ცაგერში დაწესდა „ლადოობა"; ქუთაისში უქიმერიონზე მდებარე ქუჩას ეწოდა ლადოს სახელი.

ვლადიმერ მელქისედექის ძე ასათიანი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1917 წლის 14 იანვარს, ყოფილ გეგუთის ქუჩაზე (ახლანდელი წულუკიძის ქუჩა № 54). მშობლები (მელქისედექ გუჯუს ძე ასათიანი და ლიდა ბათლომეს ასული ცქიტიშვილი) პედაგოგები იყვნენ და ლადოს დაბადებამდეც და შემდეგაც (1931 წლამდე) ქუთაისში მსახურობდნენ. ლადო ასათიანი სწავლობდა ქუთაისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (შვიდწლედში – შევიდა 1924 წელს და დაამთავრა 1931 წელს. 1931 წელსვე გადავიდა ლეჩხუმში და სწავლობდა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც დაასრულა 1934 წელს.

ლადო ასათიანი 1934 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1934 წელსვე გადავიდა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართულ სექციაზე, რომელიც დაასრულა 1938 წელს. სტუდენტი ლადო ასათიანი ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელის" რედაქციის თანამშრომელიც (გამომშვები) იყო.

1938 წელს ლადო საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და ერთ წელიწადზე მეტხანს იმუშავა გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში. 1939 წლის შემოდგომაზე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ გაათავისუფლეს ავადმყოფობის გამო.

ლადო ასათიანი გარდაიცვალა თბილისში 1943 წლის 23 ივნისს.

ლადო ასათიანი ქუთაისში დაიბადა, ქუთაისში დაასრულა შვიდწლედი და ინსტიტუტი, ქუთაისში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ლადო ასათიანმა იცოცხლა 26 წელიწადს და ხუთ თვეს... ბარდნალა ლადო ასათიანის მშობლიური სოფელია, ქუთაისი კი – მშობლიური ქალაქი.

პოეზია ადამიანის სულის თრთოლვაა. პოეტის სული ლექსში ბობოქრობს. ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად მარად იცოცხლებს. შემოქმედი თვით ლადომ დალოცა: „ვისაც მფარველად მუზა ჰყოლია, უკვდავი იყოს სახელი მისი!..“

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1987 წლის 16 იანვარს, № 11 (15344).

მაღლაჯის შვიდწლედში სწავლობდა...

მგზნებარე მგოსნის ლადო ასათიანის ცხოვრების აღწერაში დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა, რაც გასწორებას მოითხოვს. ბუნდოვანი იყო და გასარკვევია სინამდვილე დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლის პერიოდისა.

ძირითადი მემუარული ლიტერატურიდან ამოვკრეფ დასაზუსტებელ ცნობებს. ჟურნალისტისა და მწერლის ნიკა აგიაშვილის პოპულარული წიგნის „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ ავტორისეული ბოლო (1980 წლის) გამოცემაში სხვადასხვა ადგილას წერია შემდეგი: ა) „ლადო ასათიანი დაიბადა ქუთაისში. მისი მშობლები (მასწავლებლები) იყვნენ ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალის მკვიდრნი“... (გვ. 12), ბ) „არასრული და სრული საშუალო სკოლის ხანა ლადომ ლეჩხუმში გაატარა“ (გვ. 51), გ) პედაგოგ რაჟდენ შკუბულიანის მოგონებაში (პირველად გამოქვეყნდა 1971 წ.) ვკითხულობთ: „სოფელ ბარდნალის შვიდწლიანი სკოლის დამთავრებისთანავე, 1931 წელს, ლადო ასათიანი ჩარიცხეს ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში“ (გვ. 59).

მე შევადგინე ლადო ასათიანის მოკლე ბიოგრაფია, სადაც რაჟდენ შკუბულიანის ამ მემუარს მივენდე და ჩავწერე, რომ ლადომ საშუალო განათლება მიიღო ლეჩხუმში – 1931 წელს დაამთავრა სოფელ ბარდნალის შვიდწლიანი სკოლა, ხოლო 1934 წელს კი – ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი (იხ. გაზ. „ქუთაისი“, 1975, № 11).

პოეტის მეუღლემ ანიკო ვაჩნაძემ შენიშნა წერილობით: სოფელ ბარდნალაში, მგონი, ლადოს არ უსწავლიაო.

გამოირკვა, რომ ცაგერის ტექნიკუმში შესვლამდის ლეჩხუმში ლადოს ყოფნა ნამდვილი არაა (ბარდნალაში მაშინ შვიდწლიანი სკოლა არც არსებობდა).

განსაკუთრებით სამახსოვროა ერთი რამ: თუმცა ლადო ასათიანი ქუთაისში დაიბადა, ყველაზე დიდხანს აქ ცხოვრობდა და მისი მშობლები 1931 წლამდის ლეჩხუმში არ მსახურობდნენ, მაგრამ 1971 წელს ბარდნალაში სახლ-მუზეუმი გაიხსნა და აქაურ რვაწლიან სკოლას ლადოს სახელი მიეკუთვნა იმიტომ, რომ ბარდნალა ლადოს მშობლიური სოფელია და იმიტომაც, რომ პოეტმა შექმნა შესანიშნავი ლექსების ციკლი ლეჩხუმზე. ლადოს სახლ-მუზეუმმა თავისი დანიშნულება გაამართლა და დამთვალიერებლებს უფრო და უფრო იზიდავს.

ჩემს ბოლოდროინდელ ნაშრომში ახლადაღმოჩენილ ფოტოდოკუმენტზე (იხ. ქვემოთ) დამყარებით მე გავამჟღავნე რაჟდენ შკუბულიანის მემუარის არასწორი ცნობა და შევცალე ჩვენება, დასაზუსტებლად აგრეთვე გამოვიყენე ერთ-ერთი ქუთაისელი ინფორმატორის ნათქვამი, რაც, თურმე, სარწმუნო არ ყოფილა. ტექსტის ახალი რედაქცია ასეთი გამოვიდა: ლადო ასათიანი ქუთაისის საცდელ-საჩვენებელ სკოლაში სწავლობდა თავიდანვე (და შვიდ წელიწადს) – შევიდა 1924 წელს და დაასრულა 1931 წელს (იხ. გაზ. „ქუთაისი", 1985, № 156). ამ ადგილის ნაწილობრივ გასასწორებლად და შესავსებად მე მივიღე ქალაქ ქუთაისის მკვიდრის პედაგოგ რევაზ ღაჭავასაგან ჩამოგზავნილი ასეთი ბარათი: გამოვთქვამ გულისტკივილს იმის გამო, რომ თქვენს სტატიებში არ მოგვითხრობთ ლადო ასათიანის ბავშვობის წლებზე, რაც მან გაატარა სოფელ მაღლაკში, სადაც მისი მშობლები ერთხანს ცხოვრობდნენ და მასწავლებლობდნენ (ამჟამად არსებობს მაღლაკის მეორე რვაწლიანი სკოლა). ამავე სკოლაში სწავლობდა ლადოც. მას დაუმთავრებია ოთხი კლასი და სწავლა განუგრძია მაღლაკის შვიდწლიან

სკოლაში (ამჟამად არსებობს მაღლაკის სრული საშუალო სკოლა). ამის მომსწრენი და მცოდნენი არიან მაღლაკში მცხოვრები პენსიონერი პედაგოგები: ნინო (მაცია) ხაზარაძე, ლადოს თანაკლასელია (დაიბადა 1917 წელს); ქეთევან ხაზარაძემ (დაიბადა 1907 წელს) სკოლის გამგედ შეცვალა ლადოს მამა, ვინც სამუშაოდ გადასულა სოფელ ბანოჯაში; ბუნებისმეტყველი ვენედიქტე ხაზარაძე (დაიბადა 1916 წელს) სწავლობდა ლადოს მომდევნო კლასში. ისინი პირადად იცნობდნენ ერთმანეთს და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტიც ერთდროულად დაასრულეს. ლადოს დედა უფრო გვიან წასულა მაღლაკიდან ლადოსთან ერთად.

ყველასათვის საინტერესო იქნება ამ სასახელო მგოსნის ცხოვრების ზუსტი ასახვა. მოკლედ, მაღლაკში სახლობენ ხანშიშესული ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ ლადო და ბავშვობა ერთად გაუტარებიათ. ის პირები, რომლებიც მე ზემოთ ჩამოვთვალე, ცხოვრობენ მაღლაკის მეორე რვაწლიანი სკოლის მახლობლად და მათგან შეიძლება უფრო ზუსტი ცნობების მიღება (1987 წ., 1 თებერვალი).

ფაქტი შემოწმდა. კრიტიკული შენიშვნა სასარგებლოა. ზეპირგადმოცემა დადასტურდა. 15 ივლისს მე შევხვდი პენსიონერ პედაგოგებს – ნინო, ქეთევან და ვენედიქტე ხაზარაძეებს. მათი საუბრები ჩემთან ერთად მოისმინეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგემ, დოცენტმა იაკობ კუჭუხიძემ და მაღლაკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მარჯანიშვილმა.

წინათ და ახლა მოპოვებული ცნობების მიხედვით, ლადო ასათიანის ბიოგრაფიაში ქუთათური პერიოდი ასე აისახება:

ვლადიმერ მელქისედექის ძე ასათიანი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1917 წლის 14 იანვარს, ყოფილ გეგუთის ქუჩაზე (ახლანდელი წულუკიძის ქუჩაზე, № 54), პედაგოგ გედეონ ხელაძის საკუთარ სახლში.

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში შესვლამდე (1934 წლამდე) ლადო იმყოფებოდა მშობლებთან (დედ-მამასთან), რომლებიც პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ სხვადასხვა დროს იმერეთ–ლეჩხუმში.

ქუთაისშივე დაიბადნენ ლადოს ძმა გოგიტა (1923 წელს), ლადოს და მედეა (1928 წელს). ქალაქში ოჯახი საცხოვრებლად მისამართს იცვლიდა.

ლადოს ბიძაშვილის ნარგიზა ასათიანის ცნობით, ოჯახი ბოლო ხანს (1930 – 1931 წლებში) იმყოფებოდა რკინიგზის სკოლასთან მდებარე ალექსანდრე დგებუაძის საკუთარ სახლში. ეს ნასახლარი შემდეგ სტადიონს შეუერთდა.

პოეტის მშობლები 1931 წელს საბოლოოდ დამკვიდრდნენ და მასწავლებლობდნენ ლეჩხუმში (სოფლები – ბარდნალა, ლასურიაში). ლიდა ცხოვრების ქარტეხილში გაქრა 1937 წელს, მექიმ კი 1968 წლამდის იცოცხლა.

ამრიგად, ლადო ასათიანი 1924 წელს შევიდა სოფელ მაღლაკის დაწყებითს სკოლაში, სოფელ მაღლაკის შვიდწლედიდან გადავიდა ქუთაისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (შვიდწლედში), რაც დაამთავრა 1931 წელს. 1931 წელსვე გადავიდა ლეჩხუმში. 1934 წელს დაასრულა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, 1934 წელს შევიდა და 1938 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი.

ახლა უკვე დადგენილია, რომ ლადო ასათიანმა დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო და უმაღლესი განათლება მიიღო სხვადასხვა ადგილას (მაღლაკი, ცაგერი, ქუთაისი).

ლადო დაიბადა ქუთაისში. აქ დაამთავრა შვიდწლედი და ინსტიტუტი, აქ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ბარდნალა ლადო ასათიანის მშობლიური სოფელია, ქუთაისი კი მშობლიური ქალაქი.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1987 წლის 24 ივლისს, №143 (15476).

„სალაღობოს" ფილოლოგიური განხილვა

ლადო ასათიანის საუკეთესო პატრიოტულ ლექსებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „სალაღობო", რომელიც იმდენად პოპულარულია, რომ მას ხალხი მღერის. ლექსის ექსპრესიულობა ორიგინალურ მხატვრულ სახეებსა და ოსტატურ განჭეორებებშია. ლადო ასათიანის უახლოესი მეგობრის, ფილოლოგ გიორგი კალანდაძის გამოკვლევა კონკრეტულ საკითხს შეეხება – „სალაღობოს" მხატვრულ ანალიზს შეიცავს (იხ. ჟურნ. „სახალხო განათლება", 1977, № 40).

ლადო ასათიანმა თავისი პოეტური მრწამსი „სალაღობოში" გამოხატა. გ. კალანდაძე ცდილობს გასსნას ამ ლექსის ნარმატების საიდუმლო. შთამბეჭდავია გ. კალანდაძის დაკვირვებანი ლექსის ორ ადგილზე – მკითხველს ესაჭიროება ორივე განმარტება.

1.ლადოს სტრიქონი „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ეცნდა ეცეს" გენიალურ ხალხურ ჩანაფიქრს მოჰგავს, მის დონეზეა და შეიძლება, ასე გავიაზროთ:

დაუკარით, რომ ბეთლემის კარზე დაკიდებული ვოჟა ჯურხაის ფარი შეაჟღარუნოს (ფარს მოუვლის ომის წადილი, რაცა მას ქარივით შესძრავს ეს ჰანგი).

2. „დაუკარით და იმღერეთ შადიანი, ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი". ამ ორ სიტყვას („შადიანი", „მაჩაბელი") ლადო ასათიანამდე ისტორიკოსთა და ლიტერატორთა ვიწრო

წრე თუ იცნობდა. ლადო ასათიანმა გააცოცხლა ეს სახელები და მათი ისტორიული ქვეტექსტები ფართო საზოგადოებრიობას ამოუხსნა.

თეიმურაზ ბაგრატიონს შემოუნახავს ცნობები ქიზიყელ ქაღზე, ვინც 1797 წელს გმირულად დაიღუპა. „მაჩაბელა საზანდარი" სახალხო შემსრულებელი – ერეკლე მეორის კარზე არსებული თეატრის გამოჩენილი მსახიობი ყოფილა. აღამაჰმად-ხანის შემოსევისას თბილისელთა საგანგებო რაზმს წინამძღვრობდა. „ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი" ანუ დაირა და ასრულებდა „მას ზედა შადიანსა, რომელსაცა ლხინსა შინა დაუკრავენ".

გ. კალანდაძის გამოკვლევის დამატება – შესავსებად აქ წარმოვადგენ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შემდეგ შენიშვნებს:

1. გ. კალანდაძისეულ მიგნებას დაადასტურებს თვით ლადოს სტრიქონიც სხვა ლექსიდან – „ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ვოჟა ჯურხაის ფარისა!"

გ. კალანდაძეს ყურადღებიდან გაჰპარვია ჩემი ნაშრომი – პოეტური ქარაგმა „სალაღობოდან", სადაც მოყვანილია აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ორიგინალური ნააზრევი: „რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს" – მეტაფორული ტროპია, რომელშიც „ძველი" ნიშნავს მოქმედებაში ნამყოფს წინათ; „ელდა ეცეს"– დაიორთქლოს (ქარქაშში დიდხანს ამოუღებლივ მყოფობის გამო). „ელდა" – ორთქლი. „ხანჯალს ელდა ეცეს" – ხანჯალი გაშიშვლდეს.

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ამოხსნა პრესაში ორჯერ დაიბეჭდა (იხ. გაზ. „ქუთაისი", 1967, № 122; გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1971, №59).

2. სპარსული სიტყვა „შადი" „ვეფხისტყაოსანშიც" მოლხენას გამოხატავს (იხ. აკაკი შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი).

თეიმურაზ ბაგრატიონისეული ფორმა „შადიანი", რაც „მოსალხენის" მნიშვნელობით პოეზიაში პირველად გამოიყენა ლადო ასათიანმა, ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონს შეემატება.

3. საკითხი ლექსის სათაურის შესახებ. ნიკა აგიაშვილი წერს: ამ ლექსს – „სალაღობოს" (დაიწერა 1940 წელს) – თავდაპირველად დედანში „ასათიანური" ერქვა (ალექსანდრე საჯაიამ უწოდა). აქ სალაღობო და თავშესაქცევი მართლაც არაფერია. ეს არის ახალგაზრდა მგოსნის ერთი კარგი, ვაჟკაცური, სწორედ „არწივების ასაფრენი" სიმღერა („ჭაბუკები დარჩნენ მარად". 1980. გვ. 17).

4. საჭიროა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვუჩვენოთ პირველწყაროები – ყველა მნიშვნელოვანი აზრი, რაც გამოთქმულა (ს. ჩიქოვანი, ო. ჭუმბურიძე, შ. აფხაიძე, შ. ქურიძე, გ. კანკავა, გ. ხერხეულიძე, შ. რადიანი, მ. ლებანიძე, გ. ბარნოვი, გ. ასათიანი, გ. ჯიბლაძე, მ. ჩიქოვანი, ტ. კვანჭილაშვილი...).

5. გ. ბარნოვი თავის გამოკვლევაში „ლადო ასათიანის პოეზიის ზოგიერთი ხალხური წყაროს შესახებ" (ჟურნ. „მაცნე" – ენისა და ლიტერატურის სერია. 1968, № 2) იხილავს „სალაღობოსაც". მკვლევარი წერს: ლადო ასათიანი ცნობილ ხალხურ სტროფს იყენებს („კაცის გული ისეთია")... ლადოს სტრიქონს „და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება" მანვე მოუძებნა სახივე ფოლკლორში: „წამოგეწევა სიბერე, მგელივით წამოგვარდება"...

კლასიკურ ხალხურ ლექსს „ბინდისფერია სოფელი" ვახტანგ კოტეტიშვილი ლექციებზე ხშირად გატაცებით წარმოთქვამდა. ეს ლექსი ლადომაც ზეპირად იცოდა და აშკარად ჩანს ვახტანგ კოტეტიშვილის გავლენა. ლადოსეული სტრიქონიც „გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი"... ხალხურ ნაკადად მოედინება და მისი პირველწყაროა – „რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება".

6. „ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ". ამასთანავე ლადომ ლექსი მიუძღვნა „ცხრა ძმა" ხერხეულიძეს, სადაც წერია: „ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?"

ჩვენს წინაპრებს „ცხრა" მიაჩნდათ საიდუმლო ძალის მქონე, ღვიაებრივ, წმინდა რიცხვად. ლადო ასათიანის მიერ გადამუშავებულია „ცხრა" კომპონენტიანი ხალხური იდიომი. ხალხში გავრცელებული ანდაზები: ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო, დეღაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო...

საჭიროა გავიხსენოთ ზეპირსიტყვიერებიდან ნასესხები პოეტური „სულიერ ქურაში გარდაქმნილი" სტრიქონებიც: „ცხრას მთისა, ცხრას ზღვას იქითა ცხოვრობდა ერთი ბებერი" (ვაჟა–ფშაველა), „ცხრა კუბოში რომ იძინო, გაძლებ ლექსის მჟავბადიცია" (გიორგი ლეონიძე)...

ქართულში გვაქვს კომპოზიტები: ცხრათვალა, ცხრაკლიტული, ცხრაწიგნა... ქართველურ ენებში არსებობს ტოპონიმები: ცხრაწყარო (იმერეთი) ანუ ჩხოროწყუ (სამეგრელო), ცხრამუხა (ქართლი), ცხრაჯვარი (ოკრიბა), ცხრათავა (ლეჩხუმი)...

იდიომებსა და კომპოზიტებში „ცხრა" კომპონენტი საზოგადოდ იხმარება „ბევრის" (მრავლის) გაგებით. რეალურია და ზუსტი მხოლოდ კონკრეტული შესატყვისები: ცხრა თვე ("ცხრა თვეს მუცლით გატარებდი" – აკაკი წერეთელი), ცხრა ძმა (ხერხეულიძენი – ლადო ასათიანი).

პავლე ინგოროყვას თვალსაზრისით, „ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვილობა" დაწერილია მეოთხე ან მეხუთე საუკუნეში; საბჭოთა პოეტს გიორგი წერეთელს ეკუთვნის ლექსი „ცხრა" კომპონენტზე.

7. ლადო ასათიანის დაბადების 50 წლის იუბილე 1967 წელს რუსთაველის სახელმწიფო თეატრში შესავალი სიტყვით გახ-

სნა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა, პოეტ-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. მან სიტყვა ზეპირად წარმოქვა და შეეხო ლადოს მხატვრულ სახეებსაც, რომელთაგან ორს აღვადგენ: ა) „კრწანისის ყაყაჩოებიდან“ – „ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია!“... ყაყაჩო – სისხლის სიმბოლო – ეს იშვიათი მხატვრული სახე ლადო ასათიანს ეკუთვნის; ბ) „სალაღობოდან“ – „ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოველის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენია“. ორიგინალურ მხატვრულ სახეში „საქართველოს ცხელი გული“ იგულისხმება მეფე ერეკლე მეორე.

8. ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში შედის რჩეული ნიმუშები ლადო ასათიანის სიტყვობრივი საუნჯიდან, მაგრამ გამორჩენიათ ზმნური ლექსიკური ერთეული „გასცვინდება“ (გასცვინდა, გასცვენია). დინამიკური ვნებითი გვარის ზმნის ეს ფორმა ხალხური ნეოლოგიზმია. მგოსანი დაესესხა ცოცხალ მეტყველებას, სადაც გავრცელებულია ფრაზა ფოთლები გასცვენია (საროს), თმა გასცვენია (ადამიანს)... განმარტებით ლექსიკონში მოექცა მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმა „გააცვენს“ (გააცვინა, გაუცვენია). ეს ერთეული აკაკი შანიძის მიერ აღნუსხულ ხმოვანმონაცვლე ზმნათა სიაში არ მოიპოვება. ლადო ასათიანისებური „ცვენ-ცვინ“ ძირიც დონიანი ვნებითი გვარის ზმნათა განხილვაშიც არ ჩანს (იხ. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. 1973, გვ. 393, 412). ლადოს რითმაში გვაქვს ვნებითი გვარის ზმნები: სტატიკური ცნობილი ფორმა „ასვენია“ და დინამიკური დიალექტური ფორმა „გასცვენია“.

9. ლადო ასათიანი ჩინებულად იცნობს ქართული ენის სგეროთს სისტემას. პოეტიკა – ფონეტიკის სპეციალისტი გამიკვლევას დაწერს ორიგინალურ რითმებზე. ამ მხრივ „სალაღობოდან“ საყურადღებოა ზმნური რითმები: გაისარჯოს – დაიხარჯოს, დაგვებეროს – დაგვაბეროს, მოგვიხტება – მოგ-

ვიხდება, გასივდება – გაცივდება, გავიცინებ – დავიძინებ... რითმა– ასონანსები: ლამაზი მინდა – გავაზივითა, მაჩაბელი – ასაფრენი, შაითანთან – დაიშანთა... გენიოს პოეტს შეშურდებოდა მისი უბადლო რითმა სხვა ლექსიდან: შავი ნაბადი – გამინაბავდეს.

10. „სალაღობო" ქართულ სცენაზე შთამბეჭდავად პირველად წარმოთქვა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ.

11. ნიკა აგიაშვილის ცნობილი წიგნის სათაური „ჭაბუკები დარჩნენ მარად" შთაგონებულია ლადო ასათიანის სტრიქონით; არსებობს დოკუმენტური პინოფილმიც „რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად" (რეჟისორი რამაზ მიხეილის ძე ჭიაურელი).

ლადო ასათიანის მიბაძვით რატი ზურაბიშვილმა ქართველ ფეხბურთელებზე მთლიანად გადაამუშავა ლექსი „სალაღობო" (იხ. გაზ. „ლელო", 1964, № 226).

12. საქართველოს სახალხო პოეტ-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ 1963 წლის 30 მაისს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში გამართულ იუბილეზე წაიკითხა სამადლობელი სიტყვა და ექსპრომტი „ქუთაისს". გოგლამ მაშინ ჩამოთვალა პოეტები, რომლებიც ქუთაისმა წარმოშვა. აკაკით და გალაკტიონით დაიწყო და ლადო ასათიანით დაასრულა. გოგლას არქივში დაცულია ის ხელნაწერი.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1964 წელს გაზეთ „კომუნისტში" (№ 138) რუბრიკით „მოუარე და დაამშვენე შენი სოფელი, კარ-მიდამო", დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის სტატია, რასაც სათაურად აქვს ლადო ასათიანის სტრიქონი – „მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა".

გიორგი ლეონიძისეულ შერჩევაში ლადო ასათიანის პოეზიის შთამაგონებელი ზემოქმედება იგრძნობა.

„სალაღობოს" თითოეულ სტრიქონს ყოველი გენიოსი პოეტი უყოყმანოდ ხელს მოაწერდაო, – ამბობს აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე.

დაბეჭდილია ჟურნალ „განთიადში" 1987 წელს, № 2, გვ. 164 – 166.

რას მეტყველებენ დოკუმენტები

1939 წელს თბილისში საცხვრებლად გადასულ ლადო ასათიანზე მეგობარი მწერლები მოგვითხრობენ:

„ქუთაისში ლადოს ბევრი უსიამოვნება გადახდომოდა თავს. პირველი გაცნობისთანვე განერვიულებული და აღელვებული მეჩვენა" (რევაზ მარგიანი).

„დაღვრემილი იყო, დაღლილი. აშკარად ეტყობოდა, ამ ჭაბუკს უკვე მოესწრო ბევრი სიმწრის მიღება ცხოვრებიდან" (ვახტანგ ჭელიძე).

ქუთათურ უსიამოვნებებში იგულისხმება ცხოვრების ქარტეხილში გამქრალი მშობელი დედის გლოვა და პედაგოგიური ინსტიტუტიდან გაუგებრობით გარიცხის ფაქტი, როცა ლადო მეოთხე კურსზე იყო.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის გრიგოლ ნარსიას განკარგულებით, 1938 წლის 31 მარტს ის კვლავ აღდგენილ იქნა სტუდენტად. ამ მოკლე დროში (აპრილსა და მაისში) ლადომ მხოლოდ „დახურა კურსი" (ყველა სავალდებულო საგანი ჩააბარა), მაგრამ სახელმწიფო გამოცდებზე ვასვლა ვერ შეძლო შემდეგი მიზეზებით: ეკონომიურად უჭირდა, ავადმყოფობდა და უფრო კი სულიერად ღელავდა დედის მდგომარეობით.

ეს ფაქტი ჩვენს თანაკურსელებს ნელი დუმბაძესა და შოთა ქურიძეს ზერელედ ჰგონიათ: ლადომ ინსტიტუტი დაამთავრა, თუმცა სახელმწიფო გამოცდები არ ჩაუბარებია და დიპლომი არ მიუღია, ალბათ, იმიტომ, რომ პედაგოგობას არ აპირებდა (იხ.

„ლადო ასათიანი, ყმაწვილკაცობის ფურცლები“, 1977 წ., № 87)

გავეცნოთ მწვავე ბრალდებათა შემცველ გარიცხვის ბრძანებას (1938 წლის 10 იანვარი): „კონტრრევოლუციური ლაჩრობისათვის, ლექტორების დისკრეტიზაციისთვის, სასწავლო დისციპლინის დარღვევისათვის მეოთხე კურსის სტუდენტი ვლადიმერ მელქისედექის ძე ასათიანი გაირიცხოს ინსტიტუტიდან, დირექტორი (...), საქმეთა მმართველი (...).“

ამ ბრძანებას ჩვენებასთან – „ჩავიბარე“ ხელს აწერს ლადო ასათიანი (ლაღ ხელმოწერაში იგრძნობა მისი ამაყი სული).

ცხადად მახსოვს და უცნობი საარქივო დოკუმენტებიც მეტყველებენ, რომ ლადო ინსტიტუტიდან გარიცხული იყო თითქმის სამი თვის განმავლობაში და არა ერთ წელიწადს, რასაც შეუმოწმებლად წერენ ნელი დუმბაძე და შოთა ქურიძე (იხ. იგივე კრებული, 1977 წ., გვ. 87, 90).

გარიცხვა-აღდგენის დოკუმენტები დაცულია ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ არქივში (იხ. ფონდი № 97, სტუდენტ ვლადიმერ ასათიანის პირადი საქმე, № 917). ამ ცნობებს დაადასტურებს ლადოს ბედში მყოფი და თანაკურსელი გიორგი შალამბერიძე, ვინც სახელმწიფო გამოცდებიც 1938 წელსვე ჩააბარა პირველი ხარისხის დიპლომზე.

1960 წელს, როცა ლადო ასათიანის დაბადების თარიღი დაკადგინე, გავეცანი ამ საარქივო დოკუმენტებსაც, მაგრამ საკითხს დღემდე არ შევხებივარ.

დროა გამჟღავნდეს დაფარული სათქმელი!

არსებობს ლადო ასათიანის მიერ ქალაქ თბილისის მკვიდრი მეგობრისადმი (ნიკა აგიაშვილისადმი) 1938 წლის 31 მარტს ქუთაისიდან გაგზავნილი კერძო ბარათი სტუდენტად აღდგენის შესახებ. მასში მხილებულია ცილისმწამებელი... დასახელებულია მარტო გვარი თანამდებობის პირისა (უტიტულოდ) და მიხ-

ვდება მხოლოდ ის, ვისაც ახსოვს 1937 წლის ვითარება პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ლადოსეულ ხელნაწერს დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" (1973 წლის 27 ნოემბერი, № 141).

შევნიშნავ, რომ ლადოს თხზულებათა ერთტომეულში (1979 წ.) ამ ბარათის შეტანა გამორჩენიათ.

ამ ცნობილი დოკუმენტის ციტირებასა და გაშიფვრას მე აქ მოვერიდე. ლადოსეული დოკუმენტი კი კომენტარს მაინც მოითხოვს, რადგან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ცოდვა ერთადერთ ვინმეს ნუ დაბრალდება.

შოთა ქურიძე ეხება მტკივნეულ საკითხს – რა დამართეს განაწყენებულმა პირებმა ლადო ასათიანს, როგორ აურიეს ცხოვრება.

„მე ისიც ვიცი, ვინ ითავა ლადოს „გაფუჭება", მაგრამ რატომ უნდა უკვდავვყოთ მისი სახელი, რატომ უნდა შერჩეს ის ისტორიას? მე არ მსურს, ლადოს მტრები დავასახელო. ისინი მალულად აკეთებდნენ უკეთურ საქმეს და მათი ვინაობა დაე, არქივში დარჩეს" (იხ. „ჭაბუკი იყო, ქარბუქი იყო", 1985, გვ. 142).

მეც ვიზიარებ შოთა ქურიძის ამ მახვილ ნათქვამს, რომ ლადოს მტრის სახელი ტაბუდადებულად დარჩეს და წაიშალოს, მაგრამ საკითხავია, ვერწმუნოთ თუ არა ლადოსეულ დოკუმენტს, რასაც შოთა ქურიძე არ შეხებია. შეიძლება მას ყურადღებიდან გამორჩა ეს წერილობითი პირველწყარო და არ წაუკითხავს, რომ ლადომ ამხილა დამნაშავე პიროვნება, ვისაც მაღალი თანამდებობა ეჭირა და აქტიურობდა ლადოს გარიცხვისათვის, მაგრამ გარიცხვის ბრძანებას ხელს არ აწერდა.

აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ თვით ლადოსაც არ სცოდნია, ვინ იყო მისი ნამდვილი მტერი. იყვნენ უფრო მავნე მოშურნენიც – ინსტიტუტის ორგანიზაციათა კომკავშირისა და

პრიფკავშირის) ხელმძღვანელი მუშაკებიც (სტუდენტები) და მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში გაერთიანებული ცრუკალმოსნებიც („მოსე მწერლები" – ლადოს გამოთქმით). მე არ ვიცი, ვინ უმტრო და გასწირა ლადო: ლადოს აბრალებდნენ სიამაყეს, თავშეუკავებლობას, დაცინვებს, ეპიგრამების წერას ლექტორებსა და ამხანაგებზე. ლადოს მეგობრებიც ნელი დუმბაძე და შოთა ქურიძე ხომ შენიშნავენ: „ლადო ინსტიტუტიდან გარიცხეს პირადი მტრების მიერ შეთითხნილი ბრალდებებით" (იხ. იგივე კრებული, 1977, გვ. 86).

ჩვენს თანაკურსელს, პროფესორ გიორგი შალამბერიძეს შარშან გავუგზავნე ასეთი შინაარსის ბარათი: „გთხოვ, მომაწოდო მემუარი კონკრეტულ თემაზე: აღწერე ლადოსა და შენი მდგომარეობა 1937-1938 წლებში – ინსტიტუტიდან გარიცხვა და სტუდენტებად აღდგენა, ერთ ბედქვეშ ყოფნა სამ თვეს. მოკლედ, გაიხსენე და დაწერე ის სიტყვა, რაც შენ ზეპირად და შთამბეჭდავად წარმოთქვი ლადო ასათიანის დაბადების 50 წლის იუბილეზე თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში 1967 წლის 25 იანვარს".

გიორგი შალამბერიძემ ასე მიპასუხა: „ლადო და მე ინსტიტუტიდან გაგვრიცხეს სხვადასხვა დროს. მე გამრიცხეს 1937 წლის 28 ივნისს, ლადო – 1938 წლის გაზაფხულზე. რაც შეეხება იმას, თუ ვინ გვიმტრო, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. მე მგონია, რომ ყველაზე დიდი მტერი იყო შური, რაც მეტ-ნაკლებად იჩენს თავს ადამიანებში. ამ თემაზე კერძოდ ვისაუბროთ.

ლადოს შესახებ მოსაგონარი მეც მაქვს. უთუოდ წერილობით გამოვხატავ გულისთქმას და ვნახოთ, რა გამოვა. ვიმედოვნებ, რომ საინტერესო ფაქტებს გავაცნობ საზოგადოებრიობას".

ლადო ასათიანის დაბადების 70 წლისთავზე (1987 წლის ოქტომბერში) გიორგი შალამბერიძემ უკვე გამოაქვეყნა სამი სხვადასხვა სტატია (იხ. გაზეთები „თბილისი", „სახალხო განათლება" და ქუთათური კრებული).

„მოგონებათა კრებულში“ (ქუთაისი, 1987, გვ. 125-142) გიორგი შალამბერიძე იმოწმებს, გაშიფრავს და ემყარება ზემოთ განხილულ დოკუმენტს – ლადოს ცნობილ კერძო ბარათს (იხ. გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1973 წ., № 141), აღწერს გასაჭირში ყოფნას პოეტთან ერთად, აღადგენს სინამდვილეს (უმსგავსო გამოძიებასა და უსამართლობას), გამოყოფს და მკაცრად აფასებს ინსტიტუტის ორი ხელმძღვანელის (დირექტორისა და პარტიული კომიტეტის მდივნის) საქმიანობას.

მკითხველს ვურჩევ, გაეცნოს და კრიტიკულად მიუდგეს ამ მემუარს. მე ვფიქრობ, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა (ორმა პიროვნებამ, რომლებსაც ავტორი კონკრეტულად ეხება – ლუკა ჭელიძემ და აბესალომ ხურციძემ) გულისხმიერება ვერ გამოიჩინეს და ამ მხრივ დანაშაულიც მიუძღვით, მაგრამ იმისი ლადო ასათიანის პირადი მტრები არ ყოფილან... დაე არქივის მტვერში წაიშალოს სახელები ამ პირშავი ადამიანებისა, რომლებმაც გაწირეს ლადო და შეთითხნეს მტრული ბრალდებები.

გულშემატკივარნი (რევაზ მიშველაძე და ჯანსულ ჩარკვიანი) ცალ-ცალკე სინანულით წერენ: – მეტი მზრუნველობა რომ ჰქონოდა, მძიმე სენისაგან ლადოს დახსნა და გადარჩენა შეიძლებოდაო. ვინ იცის ის კიდევ რამდენ შედევრს შესძენდაო პოეზიას.

ამასთან ერთად აღსანიშნავია შემდეგიც. კიდევ კარგი, რომ 1938 წლის დამდეგს ლადო ასათიანს მარტო ინსტიტუტიდან გარიცხვა აკმარეს და უფრო სასტიკად არ დასჯეს. ამ წელს მიაყრობის გადაწყვეტილებითვე უკვე შეწყდა რეპრესიები. ლადო მაშინ ცხოვრების ქარტეხილს გადაურჩა. 20 წლის ლადოც დედასთან ერთად რომ დაღუპულიყო, მაშინ ქართულ პოეზიაშიც ხომ სულ გაქრებოდა მისი სახელი!

ლადო ასათიანი, თურმე, მანც ბედნიერი ყოფილა!

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1988 წლის 13 იანვარს, № 8 (13591).

ლადოს ძმადნაფიცი და მოამაგე

1989 წლის გაზაფხულზე დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა მოწინავე ენათმეცნიერსა და პედაგოგს, პროფესორ გიორგი შალამბერიძეს. 24 მაისს კი გაზეთ „თბილისში" უკანასკნელად დაიბეჭდა მისი სტატია ციკლიდან „დედაენის სიწმინდისათვის".

გიორგი შალამბერაძემ 1938 წელს წარჩინებით (პირველი ხარისხის დიპლომზე) დაასრულა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. იგი სტუდენტობისას (1937 წელს) მუშაობდა კორექტორად ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციაშიც. ბეჭდავდა საინტერესო ლიტერატურულ წერილებსა და საკუთარ ლექსებსაც. ერთხანს მასწავლებლობდა სოფლად (მშობლიურ ნაქალაქევში); მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში; ომისშემდგომ მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. პროფესორი გიორგი შალამბერიძე ქართული ენის გრამატიკის კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბოლოხანს კი – მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში; სხვადასხვა დროს იყო გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციის მდივანი, ჟურნალ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" რედაქტორი.

ჭეშმარიტ ფილოლოგს გიორგი შალამბერიძეს აქვს გამოკვლევები და სტატიები ქართული სალიტერატურო ენის შესწავლის ისტორიიდან და ქართული დიალექტოლოგიიდან; მისი პოპულარული წიგნი „ქართული მართლწერა" რამდენჯერმე გამოი-

ცა და მომავალშიც შევსებული სახით დაისტამბება უმაღლესი სკოლის დამხმარე სახელმძღვანელოდ. 1966 წელს გამოქვეყნდა მისი კაპიტალური მონოგრაფია (სადოქტორო დისერტაცია „ილია ჭავჭავაძის ენა"); 1987 წელს გამოიცა „პედაგოგიკის ტერმინოლოგია" (რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული), რომელიც შეადგინეს მ. დარჩიამ, ა. მიშველაძემ და გ. შალამბერიძემ.

აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ ახლახან, ჩემი დაბადების 70 წლისთავზე, მოსალოც ბარათში მომწერა შემდეგი: „რა მალე გაიქროლა დრომ! უკვე მიჭირს დავიჯერო, რომ ლადო ასათიანს, მიხეილ ალავიძეს, გიორგი შალამბერიძეს, ლევან კიკნაძეს, შოთა ქურიძეს, ნელი დუმბაძეს და აქვაენტი მიშველაძეს მთელ ჯგუფთან ერთად ლექციებს პირველად გიკითხავდით ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. რა ახალგაზრდები ვიყავით მაშინ და რა ხნიერები ვართ ახლა! მგზნებარე პოეტი ლადო და მისი ეს მოწინავე თანაკურსელები სტუდენტობის პერიოდიდან დამიმეგობრდნენ მე. ლადო ადრე გამოგვაკლდა, მაგრამ მაინც ჭაბუკად ცოცხლობს. ბედნიერი ხართ ყველა და ბარაქალა თქვენ, რომ კვლავაც დაუღალავად იღვწით და მსუბუქად ატარებთ შემოქმედისა და პედაგოგის მძიმე ტვირთს".

დიდი ენათმეცნიერისა და უებრო პედაგოგის, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას მიერ აღზრდილ სახელოვან თაობას გიორგი შალამბერიძეც ეკუთვნის. მან წარუშლელი კვალი გააჩნია ქართველოლოგიაში.

ამ სტატიაში მოგითხრობთ გიორგი შალამბერიძის თვალსაჩინო წვლილზე ჩვენი საერთო მეგობარი პოეტის – ლადო ასათიანისადმი.

ჩვენს თანაკურსელს, პროფესორ გიორგი შალამბერიძეს 1987 წელს გავუგზავნე ასეთი შინაარსის ბარათი: „გთხოვ მომაწოდო მემუარი კონკრეტულ თემაზე: აღწერე ლადო ასათიანისა და

შენი მდგომარეობა 1937-1938 წლებში – ინსტიტუტიდან გარიცხვა და სტუდენტებად აღდგენა, ერთ ბედქვეშ ყოფნა სამ თვეს. მოკლედ, გაიხსენე და დაწერე ის სიტყვა, რაც შენ ზეპირად და შთამბეჭდავად წარმოთქვი თბილისში ლადოს იუბილეზე 1987 წელს".

გიორგი შალამბერიძემ ასე მიპასუხა: „ლადო და მე ინსტიტუტიდან გაგვრიცხეს სხვადასხვა დროს. მე გამრიცხეს 1937 წლის 28 ივნისს, ლადო კი – 1938 წლის იანვარში. ერთად აღვადგინეს 1938 წლის გაზაფხულზე. რაც შეეხება იმას, თუ ვინ გვიმტრო, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. მე მგონია, რომ ყველაზე დიდი მტერი იყო შური, რაც მეტ-ნაკლებად იჩენს თავს ადამიანებში. ამ თემაზე კერძოდ ვისაუბროთ.

ლადო ასათიანის შესახებ მოსაგონარი მეც მაქვს. უთუოდ წერილობით გამოვხატავ გულისნადებს და ვნახოთ, რა გამოვა. ვიმედოვნებ, რომ საინტერესო ფაქტებს გავაცნობ საზოგადოებრიობას".

ლადო ასათიანის დაბადების 70 წლისთავზე (1987 წლის ოქტომბერში) გიორგი შალამბერიძემ უკვე გამოაქვეყნა სამი სხვადასხვა სტატია (იხ. გაზეთები – „თბილისი", №231; „სახალხო განათლება", № 82 და ქუთათური კრებული).

ნდიდარ და უცნობ ფაქტობრივ მასალას შეიცავს ვრცელი მემუარი „ლადო ასათიანის სტუდენტურ დღეთა გახსენება", რაც დაიბეჭდა 1988 წელს ჟურნალ „ცისკარში" (№ 1, გვ. 135-144).

გიორგი შალამბერიძის ნაშრომი „ლადო ასათიანის ოცდამეორე გაზაფხული" (ერთი წერილის კვალდაკვალ) შევიდა „მოგონებათა კრებულში" (ქუთაისი. 1987. გვ. 125-142). აქ გიორგი შალამბერიძე იმოწმებს, გაშიფრავს და ემყარება ლადო ასათიანის ცნობილ კერძო ბარათს (იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1973, № 141), აღწერს გასაჭირში ყოფნას პოეტთან ერთად, აღადგენს სინამდვილეს (უმსგავსო გამოძიებასა და

უსამართლობას). გამოყოფს და მკაცრად აფასებს პედაგოგიური ინსტიტუტის მაშინდელი ორი ხელმძღვანელის (დირექტორისა და პარტიული კომიტეტის მდივნის) საქმიანობას. მკითხველს ვურჩევ, გაეცნოს და კრიტიკულად მიუდგეს ამ მემუარს. მე ვფიქრობ, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა (ორმა პიროვნებამ, რომლებსაც ავტორი კონკრეტულად ეხება – ლუკა ჭელიძემ და აბესალომ ხურციძემ) გულისხმიერება ვერ გამოიჩინეს და ამ მხრივ დანაშაულიც მიუძღვით, მაგრამ ისინი ლადო ასათიანის პირადი მტრები არ ყოფილან. დაე, არქივის მტვერში წაიშალოს სახელები ამ პირშავი ადამიანებისა, რომლებმაც გასწირეს ლადო და შეთხზეს მტრული ბრალდებები.

საჭიროდ მიმაჩნია შევავსო და ნათელი მოვფინო ამ მემუარის ერთ საჭირო, მაგრამ ბუნდოვან ადგილს. გიორგი შალამბერიძე წერს – (შემოკლებით და ჩემი რედაქციით): 1938 წელს ლადო ასათიანი და მე მივედით კომკავშირის ქალაქკომის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგესთან. იგი ცოტა ხნის წინ გადმოეყვანათ ამ თანამდებობაზე. მანამდე კი ლიტფონის ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნად მუშაობდა.

– დაბრძანდით! რა გნებავთ? – მოგვმართა.

– ქალაქკომის ახალმა მდივანმა თქვენთან გამოგვგზავნა... და ავუხსენით ჩვენი მდგომარეობა.

გამგე დაფიქრდა, მერე თანაგრძნობით გვითხრა: აბა, მე რა შემიძლია, ბიჭებო, როგორ დაგეხმაროთ? სამუშაოდ თუ წახვალთ აბრეშუმკომბინატში? – ღიმილი გადაეფინა სახეზე ბიძინას.

ჩვენ დავეთანხმეთ. მან დაწერა მიმართვა – „ქუთაისის აბრეშუმკომბინატის დირექტორს, გთხოვთ მიიღოთ და ფეიქრებად ამუშაოთ ამხანაგები გ. შალამბერიძე და ლ. ასათიანი". ბარათი კონვერტში ჩადო და გადმოგვცა.

რამდენჯერმე მივედით აბრეშუმკომბინატში, მაგრამ დირექტორს ვერ შევხვდით – ადგილზე არ იყო. თანაც ვითარება შე-

იცვალა. პრესაში დაიბეჭდა დადგენილება შეცდომებზე პარტიიდან გარიცხვის შესახებ. სამსახურზე ფიქრს თავი დავანებეთ და მივმართეთ პარტიის საქალაქო კომიტეტს. გრიგოლ ნარსიაია და ლევან გაბრიაძის მზრუნველობით ლადო ასათიანი და მე აღგვადგინეს პედაგოგიური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტებად (იხ. გვ. 127, 132).

ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩემს ქუთათელ მეგობარს, სამამულო ომის ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბიძინა ყანჩაველს 1988 წელს მე წერილობით გავუგზავნე ასეთი საახალწლო მილოცვა:

ჩემი ეს ბარათი შენ მოგიტანს სასიხარულო ამბავს. თურმე, შენ დახმარებიხარ და სამსახურის ადგილი გამოგინახავს ჩემი ამხანაგებისათვის. პოეტი ლადო ასათიანი და გიორგი შალამბერიძე 1938 წელს გარიცხული იყვნენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტიდან.

პროფესორი გიორგი შალამბერიძე ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში. მისი მოგონება გამოქვეყნდა შარშან ქუთათურ კრებულში, რასაც მე მოგიძღვნი სახსოვრად.

1967 წლის 25 იანვარს, ლადო ასათიანის დაბადების 50 წლის იუბილეზე, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, პროფესორი გიორგი შალამბერიძე გამოვიდა იმავე სიტყვით, რაც ამ კრებულში მოთავსდა.

იმ იუბილეზე თბილისში მეც მივიღე მონაწილეობა. გიორგი შალამბერიძემ მაშინ წარმოთქვა, რომ კომკავშირის ქუთაისის ქალაქკომიდან ჩვენ დაგვეხმარაო ბიძინა ყანჩაველი. შემდეგ უკვე ოცი წელიწადი გავიდა და, ჩანს, მას დავიწყებია შენი გვარი და აქ მხოლოდ „ბიძინა" აღუნიშნავს.

ნოგილოცავ, რომ შენი სახელი ღირსეულად ჩაიწერა ჩვენი საამაყო მგოსნის ლადო ასათიანის ცხოვრების ისტორიაშიც.

გთხოვ, გამიმჟღავნო შენი გულისთქმა. საინტერესოა, როგორ გახსოვს თვით შენ და რამდენად სწორად არის ასახული ეს ფაქტი.

ბიძინა ყანჩაველმა 1988 წლის 19 თებერვალს წერილობით ასე მიპასუხა: „გულითადად გმადლობთ ძვირფასი ბარათისათვის, შარშან გამოქვეყნებული გიორგი შალამბერიძის მემუარი ლადო ასათიანზე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება მთელ სიცოცხლეში. ლადო ასათიანი და გიორგი შალამბერიძე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტები, უსამართლობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. 1988 წელს კომკავშირის ქალაქკომში ჩვენ ყველანი ამას ღრმად განვიცდიდით და გვსურდა ჩვენი წვლილი შეგვეტანა მათ მიმართ სიმართლის აღდგენაში.

მე, პირადად, ვწუხვარ, თუ მეტი ვერაფერი შევძელი და უღრმეს მადლობას ვუცხადებ ბატონ პროფესორ გიორგი შალამბერიძეს ჩემი გახსენებისთვის.

ბატონო მიხეილ! პირადად თქვენ ბრძანდებით ქუთათელი უკვდავი მესიტყვის ლადო ასათიანის მეგობარი და დამფასებელი. ამიტომ თქვენდამი მადლიერების გრძნობით არის ჩანმსჭვალული საზოგადოებრიობის ნაწილი, კერძოდ, ჩემი თაობა – ლადოს პირადი ნაცნობები.

ბატონ პროფესორ გიორგი შალამბერიძის მიერ ჩემთან შეხვედრაზე დაწერილი ყველა ცნობა აღვადგინე მეხსიერებაში და სწორია."

განსვენებული გიორგი შალამბერიძის ნააზრევში ზოგიერთი სხვა ფაქტიც ასევე მოითხოვს დაზუსტებას. მათს შესწორებადამატებებსაც მალე დავწერ და შევიტან ჩემს მონოგრაფიაში „ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია".

გიორგი შალამბერიძემ მხატვრული ენით და ოსტატურად ასახა ქუთათური კულტურული ცხოვრების სინამდვილე, ლადო ასათიანის სიჭაბუკის პერიოდი, მისი თავისებური მოქალაქე-

ობრივი და პოეტური ბუნება. ამოხსნა და გააცოცხლა არაერთი მხატვრული სახე, ლექსიკური ერთეული და გრამატიკული მოვლენა, წარმოადგინა ბიოგრაფიული მდიდარი ფაქტობრივი მასალა. შეიძლება ითქვას, რომ ძმადნაფიცმა სიცოცხლის დასასრულს მოიხადა მეგობრული ვალი – ერთბაშად და თითქმის მთლიანად გულიდან ამოიღო თავისი სათქმელი.

ამრიგად, პროფესორმა გიორგი შალამბერიძემ მეგობარ პოეტ ლადო ასათიანზე 1987-1988 წლებში შექმნა ძვირფასი მემუარული ნაშრომი (ორი საგაზეთო წერილი და ორი საჟურნალო სტატია), რაც საზრუნავია, რომ ცალკე კრებულად (ბროშურად) გაიოცეს.

დაიბეჭდა 1989 წლის 3 ივნისს გაზეთ „ქუთაისში“, № 104 (15937).
განმეორებით ეს სტატია დაიბეჭდა 1996 წლის 13 იანვარს
გაზეთ „ქუთაისში“, № 5 (17980).

ლადო ასათიანის ქუჩა

მგზნებარე პოეტი ლადო ასათიანი ქუთაისში დაიბადა. აქ დაასრულა პირველი შვიდწლედი და პედაგოგიური ინსტიტუტი. აქ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ბარდნალა ლადო ასათიანის მშობლიური სოფელია, ქუთაისი კი – მშობლიური ქალაქი.

ლადო ასათიანი გარდაიცვალა 1943 წლის 23 ივნისს. იცოცხლა 26 წელიწადს, ხუთ თვეს და ათ დღეს. მუდმივად იცხოვრა ქუთაისში 13 წელიწადზე მეტხანს, სოფელ მაღლაკში – 5 წელიწადს, ცაგერ-ბარდნალაში – 3 წელიწადს, თბილისში – 5 წელიწადს.

1964 წელს ქუთაისის სახელმწიფო თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში პირველად გაიმართა ლადო ასათიანის ხსოვნის საღამოები. ამავე წელს უქიმერიონზე მდებარე ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩის შესახვევს ეწოდა ლადოს სახელი (მაშინ ლადოს დაბადების ადგილი უცნობი იყო).

1985 წელს დადგინდა, რომ ლადო ასათიანი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1917 წლის (1) 14 იანვარს ყოფილ გეგუთის ქუჩაზე მდებარე პედაგოგ გედეონ ხელაძის საკუთარ სახლში. ამ სახლში ახლაც ხელაძისავე ოჯახი ცხოვრობს სასტუმრო „თბილისის“ მახლობლად (წულუკიძის ქუჩა № 54). შენობას 1987 წელს, ლადოს დაბადების 70 წლის საიუბილეოდ, გაუკეთდა მემორიალური დაფა.

შარშან დაისვა საკითხი წულუკიძის ქუჩის შესახებაც და იმსჯელეს, რათა ამ ქუჩას, სადაც ლადო დაიბადა, მისივე სახელი მიჰკუთვნებოდა. მოთხოვნა აღძრეს საზოგადოება „ქუთაისელის“ დარბაზის შემადგენლობამ, პედაგოგიური ინსტიტუტის

რექტორატმა, გაზეთ „ქუთაისის" რედაქციამ და მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ.

1990 წლის შემოდგომაზე ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება: წულუკიძის ქუჩის მონაკვეთს სასტუმრო „თბილისიდან" მინის ქარხნამდე ეწოდოს ლადო ასათიანის სახელი. უქიმერიონზე შეიცვალოს ლადოს ქუჩა და აღდგეს თავდაპირველი ყაზბეგის ქუჩის შესახვევი.

ამრიგად, წითელი ხიდიდან სასტუმრო „თბილისამდე" ახლა არსებობს გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა. მის გაგრძელებაზე ილია ჭავჭავაძის პროსპექტის გადაკვეთამდე მდებარეობს ლადო ასათიანის ქუჩა.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში" 1991 წლის 20 ივლისს, №138 (17371).

მგზნებარე პოეტის სასახელოდ

(სამახსოვრო ქრონიკები)

პოეტი ლადო ასათიანი დაიბადა1917 წლის (1) 14 იანვარს ქალაქ ქუთაისში. მან აქ დაამთავრა პირველი შვიდწლედი და პედაგოგიური ინსტიტუტი.

ჩვეულებრივ დამწყები მგოსანი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდა და გამოდის თითო ლექსით, მაგრამ 1936-1937 წლებში მოხდა არაჩვეულებრივი ფაქტი: ქუთაისის საქალაქო გაზეთმა გამოაქვეყნა სტუდენტ ლადო ასათიანის 24 ლექსი. ლადოს ქასწავლებელმა და მოამაგემ – აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ ამ იშვიათ მოვლენას „პოეტური აფეთქება" უწოდა.

ამჟამად არსებობს ლადო ასათიანის პოეტურ ნაწარმოებთა სრული ერთტომეული (1979 წ.). მას შემდეგ ზედიზედ გამოიცა მისი რჩეული ლექსებისა და წერილების კრებული (ტირაჟი 100000).

მკითხველს მივაწვდი საჭირო ცნობებს ჩემი ხელნაწერი მონოგრაფიისა და ახლახან სხვათა მიერ შედგენილი ორი წიგნის შესახებ.

მონოგრაფია – „ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია"

გამოსაცემად მოვამზადე ხელნაწერი მონოგრაფია ამ სათაურით. მასში მოთავსდა ყველაფერი, რაც მე დამიწერია და ქართულ პრესაში გამოვაქვეყნე 1960 წლის შემდეგ და რაც

მოსსენების ან სიტყვის სახით წარმოვთქვი ლადოს იუბილეებზე (თბილისში, ქუთაისსა და ლეჩხუმში).

ჩთელი ეს დიდძალი მასალა გადამუშავდა, დაიხვეწა, გაჩთლიანდა და შეივსო კიდეც.

წიგნი ასახავს ლადო ასათიანსა და ჩემს მეგობრობას და სიახლოვეს მისი სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ხსოვნაში აღვადგინე შთამბეჭდავი ფაქტები და მომენტები ლადოს მონაწილეობით ქუთაისის კულტურული წარსულიდან. მოკიპოვე უცნობი საარქივო დოკუმენტები, ლადოს ნათესავთა და პირად ნაცნობთაგან მოწოდებული გადმოცემები. შევისწავლე ლადოს პედაგოგ მშობელთა საცხოვრებელი მასამართები ქაღაქ ქუთაისსა და სოფელ მაღლაკში. დავადგინე ქუთაისში ლადო ასათიანის დაბადების თარიღი და ადგილი, სადაც უკვე გაკეთდა მემორიალი და პირვანდელ გეგუთის (შემდეგ წულუკიძის) ქუჩას ეწოდა მისი სახელი. ამოვხსენი კითხვა – სტუდენტი ლადო ასათიანი როგორ გადაურჩა 1937 წლის ცხოვრების ქარტეხილს. შევადგინე მისი მოკლე ბიოგრაფია. განვიხილე სიტყვაკაზმულობის ნამდვილი შედევრები, ლადო ასათიანის ხაღხური ლექსიკის თავისებური ენის, სტილისა და პოეტიკის საკითხები. სპეციალური ლიტერატურიდან ამოვკრიფე და საკუთრივ მე ჩავწერე სამახსოვრო მოსაზრებები და გამონათქვაჩები კონკრეტული თემისათვის – „ლადო ასათიანი ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შეფასებით";

„ლადო ასათიანის მოამაგენი" ორი სტატიაა და გადმოაცემს გაზეთ „ქუთაისის" რედაქციის ყოფილი მდივნების აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძისა და მწერალ ნიკა აგიაშვილის მზრუნველობას ლადიზე. ჩემი დასკვნით, მათი მონოგრაფიები უმთავრესი პირველწყაროებია პოეტის შესახებ; შეფასდა ჩვენს თანაკურსელ „სტუდენტ-თანატოლთა გულისთქმა" (შოთა ქურიძის, ნელი დუმბაძის, გიორგი შალამბერიძის, აქვსენტი

მიშველაძის, ლევან კიკნაძის, რაჟდენ შკუბულიანის წერილობითი მასალა), საიდანაც გამოიყო ზოგიერთი ფაქტი, რაც დაზუსტდა და შეივსო დამატებითი ახალი ცნობებით; შევადგინე გამოსაცემი უცნობი კრებული – „ლადო ასათიანის პუბლიცისტური წერილები", რასაც დაერთვის ჩემი ნაკვლევიც.

მონოგრაფიაში შედის აგრეთვე თავები „ლადოს ოჯახი" (მამა-პაპა, დედ-მამა, ბიძა, და-ძმა, ცოლ-შვილი), ინფორმაცია მოგონებათა კრებულის შესახებ და ფოტოალბომის აღწერილობა – ზეიმის (ლადოს იუბილეთა) მონაწილენი.

ხელნაწერი მონოგრაფია რვა სასტამბო თაბახს შეიცავს.

წიგნი „მთვარიანი ღამეები" – ლადო ასათიანის პოეტურ ავტოგრაფთა კრებული

გამომცემლობა „განათლებამ" 1991 წელს გამოაქვეყნა ლადო ასათიანის ხელნაწერ ლექსთა კრებული. წიგნი შადგინა პოეტის დამ – მედეა ასათიანმა, ვინც ბოლო თქმაში ლადოს მოახსენებს შემდეგს:

„ხელნაწერების ეს პატარა კრებულიც შენი სიცოცხლის გაჯრძელებაა. ზოგი რამ ამ ლექსებში თვითონვე შეასწორე, მე კერ შევბედე ხელის შევლება, იქნებ ასე უფრო იგრძნოს მკითხველმა შენი ლამაზი სულისა და გულის მადლი.

დასათაურებაც – „მთვარიანი ღამეები" იმ საერთო რვეულიდანაა, სადაც შენი ხელით არის ჩაწერილი ამ კრებულში შეტანილი ლექსების უმრავლესობა და რაც კარგად დაუცავს ბენს მეუღლეს ანიკო ვაჩნაძეს.

ხუთი ლექსი კი ამოვიღე განადგურებული წიგნის „წინაპრების" ორიგინალიდან, რაც 1942 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „ფედერაციამ". ამ გამომცემლობის თანამშრომელს მარიკა ჯაფარიძეს „წინაპრების" ორიგინალი შეუნახავს და შენი დაბადე-

ბის 60 წლისთავზე საჩუქრად გადმომცა სოფელ ბარდნალაში სახლ-მუზეუმისათვის.

კრებულს წამძღვარებული აქვს უდიდესი სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნახელავი – ლადოს პორტრეტი. მასში შედის 20 ხელნაწერი ლექსი. წიგნი შეიცავს 48 გვერდს, ტირაჟია 30000.

წიგნი ბიბლიოგრაფია „ლადო ასათიანი“

საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 1990 წელს გამოსცა ზურაბ კალანდაძისა და ვლადიმერ აზარიაშვილის მიერ შედგენილი ბიობიბლიოგრაფიული ნაშრომი, რაც შეიცავს 104 გვერდს. ტირაჟია 1000. მისი შინაარსი (სარჩევი) ასეთია:

ლადო ასათიანის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, გამოცემული წიგნები, კრებულებსა და პრესაში დაბეჭდილი ლექსები, თარგმანები, წერილები, სიტყვები, დღიურები, ლიტერატურა პოეტის შესახებ, პირთა საძიებელი. ბროშურა აღნუსხავს ლადო ასათიანის მრავალფეროვან ნააზრევს და ქება-დიდებას მისადმი. ნაშრომი პოეტის სახელის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს.

ქანდაკება „სტუდენტი ლადო ასათიანი“

საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა გიორგი ნიკოლაძემ შექმნა საუკეთესო სკულპტურული ნახელავი (ქანდაკება) – „სტუდენტი ლადო ასათიანი“ (ფეხზე მდგარი მთელი ტანით), რაც დაიდგმება ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.

გიორგი ნიკოლაძეს ეკუთვნის ქართული თეატრის კორიფეთა ლადო მესხიშვილისა და კოტე მარჯანიშვილის ბიუსტები. ორივე ბიუსტი ამშვენებს ქუთაისის სახელმწიფო თეატრის ფასადს ცენტრალურ მოედანთან.

გიორგი ნიკოლაძე ავტორია ბარელიეფისა „პირველი ქართველი კინომოღვაწე ვასილ ამაშუკელი", რაც აისახა კინო „რადიუმის" შენობის კედელზე.

საზრუნავია, რათა ასეთი ბარელიეფი შეემატოს პოეტის მემორიალს პედაგოგ გედეონ ხელაძისეულ კარ-მიდამოში – სასტუმრო „თბილისის" მახლობლად. აქ პირვანდელ გეგუთის (ძემდეგ წულუკიძის) ქუჩას შარშან მიეკუთვნა ლადო ასათიანის სახელი (სახლის ნომერია 14).

ლადო ასათიანის გული ქართულ სიტყვაში ფეთქავს და მასთან ერთად მარად იცოცხლებს.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში" 1992 წლის 15 თებერვალს, № 18 (17467).

ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია

(დაბადების დღე)

მინაწერი: „...ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ შეიქმნა დიდძალი ლიტერატურა. მასში შედის და იგულისხმება ჩემი ბეჭდური სტატიებიც, რაც სრულ ხელნაწერ მონოგრაფიად გამზადებული მაქვს და ახლო ხანში გამოიცემა.

არსებული მდიდარი ლიტერატურიდან საჭიროა, ცალკე გამოიყოს და ამოიკრიფოს შემცირებული სახის ფაქტობრივი მასალა ანუ უმთავრესი ცნობები. მე შევადგინე ასეთი ცნობარიც (მოკლე ბიოგრაფია) ფართო საზოგადოებრიობის სასარგებლოდ. აქ წარმოვადგენ ამ ბიოგრაფიას. მას დაერთვის ლადოს შემფასებელ მწერალთა და მეცნიერთა სიაც (მიხეილ ალავიძე).

მოკლე ბიოგრაფია

უმაღლეს სასწავლებელში შესვლამდის (1934 წლამდის) ლადო ასათიანი იმყოფებოდა დედ-მამასთან, რომელნიც პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ სხვადასხვა დროს იმერეთ–ლეჩხუმში.

მშობლები ლადოს დაბადებისას და შემდეგაც (1931 წლამდის) ქუთაისში და ერთხანს მის მახლობლადაც ცხოვრობდნენ.

ვლადიმერ მელქისედექის ძე ასათიანი დაიბადა 1917 წლის (1) 14 იანვარს ყოფილ გეგუთის ქუჩაზე (ახლანდელ სასტუმრო „იბილისის" გვერდით). აქ ლადო იზრდებოდა 1923 წლის 1 სექტემბრამდის.

მელქისედექ გუჯუს ძე ასათიანს (შამას) დასრულებული ჰქონდა ქუთაისის ქართული გიმნაზია და ჯერ სოფელ მაღლაკის ოთხწლიანი სკოლისა და შემდეგ სოფელ ბანოჯის შვიდწლედის დირექტორად მუშაობდა; ლიდა ბართლომეს ასულ ცქიტიშვილს (დედას) დამთავრებული ჰქონდა მარიამ ყაუხჩიშვილის მიერ დაარსებული პროგიმნაზია და აქვე ასწავლიდა ორ საგანს (რუსულ ენას და ბუნებისმეტყველებას). იგი მასწავლებლობდა სოფელ მაღლაკშიც. ლადო და მისი მშობლები აქ ცხოვრობდნენ 1923 წლის 1 სექტემბრიდან 1928 წლის 1 სექტემბრამდის.

ლადომ მაღლაკის დაწყებითი სკოლა დაამთავრა. შემდეგ ისევ ქუთაისს დაუბრუნდნენ.

ქუთაისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა (შვიდწლედი) ლადომ დაასრულა 1931 წელს. ეს სკოლა იმყოფებოდა ქალაქის ცენტრალური ბაღის „ბულვარის" სამხრეთით – ახლანდელ წმინდა ნინოს ქუჩაზე, № 2.

ოჯახი იდგა მღვდელ სამუელ ანთაძის სახლში (ბარათაშვილის ქუჩის მეორე ჩიხი № 2 და შემდეგ რკინიგზის სკოლასთან (პედაგოგიური ინსტიტუტის ჩრდილოეთით მდებარე ალექსანდრე დგებუაძის სახლში. ეს ნასახლარი შემდეგ სტადიონს შეუერთდა).

პოეტის მშობლები 1931 წელს საბოლოოდ დამკვიდრდნენ ლეჩხუმში (სოფლები: ბარდნალა, ლასურიაში). ლიდა ცხოვრების ქარტეხილში გაქრა 1937 წელს, მექიმ კი 1968 წლამდის იცოცხლა.

ლადო ასათიანი 1931 წლიდან სწავლობდა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რაც დაასრულა 1934 წელს.

პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ყოფნისას ლადო ასათიანი ქუთაისში ცხოვრობდა 1934 წლის 1 სექტემბრიდან 1938 წლის 1 ივნისამდე.

ამასთანავე ერთხანს საქალაქო გაზეთის რედაქციაში გამომშვებად (ტექნიკურ რედაქტორად) მუშაობდა.

ლადოს ახლანდელი საცხოვრებელი მისამართები ასეთი იყო:

ლადო თავდაპირველად იმყოფებოდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში (ყოფილი საოლქო სასამართლოს შენობაში რიონის პირას – მაიაკოვსკის ქუჩა № 38), შემდეგ უქიმერიონზე მოქალაქე მინადორა ღორთქიფანიძის სახლში (ჩანჩიბაძის ქუჩა, № 63), ვიქტორ კუპრაძის ქუჩაზე (№ 35), ბოლოს კი – ბიძა შალვა გუჯუს ძე ასათიანთან (26 მაისის სახელობის ქუჩა, № 65).

1938 წელს ლადო საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და ერთ წელიწადზე მეტხანს იმუშავა გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში; 1939 წლის შემოდგომაზე გაიწვიეს საბჭოთა არმიაში (რუსეთში ქალაქ ვორონეჟის მახლობლად), საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ გაათავისუფლეს ავადმყოფობის გამო.

ლადო გარდაიცვალა თბილისში 1943 წლის 23 ივნისს. დაკრძალეს ვაკის სამოქალაქო სასაფლაოზე, საიდანაც 1968 წელს გადაასვენეს მწერალთა დიდუბის პანთეონში.

სოფელ ბარდნალაში 1971 წელს გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი. თუმცა ლადო ქუთაისში დაიბადა, მაგრამ, რადგან ბარდნალა ლადოს მშობლიური სოფელია და ლადომ ლეჩხუმზე დაწერა საუკეთესო ლექსები, ამიტომ ამ სახლ-მუზეუმმა მაინც გაამართლა თავისი დანიშნულება. ის კვლავაც მრავალ მნახველს იზიდავს.

ლადო ასათიანის ძმა გოგიტა დაიბადა ქუთაისში 1923 წელს (გარდაიცვალა 1944-ში). და, მედეა, დაიბადა ქუთაისში 1928 წელს (ცხოვრობს თბილისში).

თბილისში ცხოვრობენ ლადოს ქალიშვილი მანანა, შვილიშვილები: ეკა და მაკა. ლადოს სიძე გივი ჯანიკაშვილი გარდა-

იცვალა 1994 წელს, ლადოს მეუღლე ანიკო ვაჩნაძე კი – 1995 წელს.

1935 წელს ქუთაისის საქალაქო გაზეთში პირველად დაიბეჭდა ლადო ასათიანის ლექსი „ჩვენ კვლავ მოვედით". აკადემიური სახით გამოიცა ლადოს „ერთტომეული" 1979 წელს და „რჩეული" 1984-1986 წლებში (თითოეული 100000 ტირაჟით).

ლადო ასათიანის ასაკი და დღეები დათვლილია – მან იცოცხლა 26 წელიწადს, ხუთ თვეს და ათ დღეს. მუდმივ იცხოვრა ქუთაისში 13 წელიწადზე მეტხანს, მაღლაკში – 5 წელიწადს, ცაგერ-ბარდნალაში – 3 წელიწადს და თბილისში – 5 წელიწადს.

ლადო ასათიანი დაიბადა ქუთაისში. აქ დაასრულა შვიდწლედი და ინსტიტუტი, აქ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ლადომ დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

ბარდნალა ლადო ასათიანის მშობლიური სოფელია, ქუთაისი კი – მშობლიური ქალაქი.

მწერალთა და მეცნიერთა შეფასებით

ჩემს წიგნში განხილულია ლადოს პოეზიაც (რამდენიმე ლექსი) და შედის ეს ცნობები:

ილია ჭავჭავაძემ აღმოაჩინა და დააფასა ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა. მისაბაძია ასეთი მზრუნველობა და მეც ასე ვიტყვი: აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ აღმოაჩინა და დააფასა ლადო ასათიანი.

ჩვეულებრივ მგოსანი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ყოველწლიურად თითო-თითო ლექსით. 1936-1937 წლებში ქუთაისის საქალაქო გაზეთში გიორგი ჯიბლაძის დახმარებით დაიბეჭდა ლადოს 24 ლექსი. ასეთი პოეტური აფეთქება მოხდა 10 წლის შემდეგაც, როცა მოწინავე შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის სიმონ ჩიქოვანის თაოსნობით ჟურნალ „მნათობში"

ერთბაშად გამოქვეყნდა პოეტ-აკადემიკოსის ანა კალანდაძის პირველი მარგალიტები.

გარდაცვალებისთანავე (1943 წელს) ლადო ასათიანი აღიარებულ იქნა „ორიგინალურ პოეტად". ამ აზრს ამტკიცებს ნეკროლოგი, რასაც ხელს აწერდნენ ქართული მწერლობის ცოცხალი კლასიკოსები. (იხ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1943, № 15).

ყოველთვის პირველად უნდა წავიკითხოთ აკადემიკოს გიორგი ჭიბლაძის მონოგრაფია „ლადო ასათიანის დღეები და ლექსები", მწერალ ნიკა აგიაშვილის ბიოგრაფიული წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად", ჟურნალისტ შოთა ქურიძის, პროფესორთა ნელი დუმბაძის, გიორგი შალამბერიძისა და აქვსენტი მიშველაძის ნაშრომები.

ძვირფასია მემუარული ფაქტობრივი მასალა (წერილები, სიტყვები, ბრძნული გაბონათქვამები), რომლის ავტორნი არიან მწერალ-აკადემიკოსები: კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძენი, აკადემიკოსები: გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, სიმონ ყაუხჩიშვილი, ანგია ბოჭორიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, ნიკო კეცხოველი, შოთა ძიძიგური, ოქროპირი ვახტანგ კოტეტიშვილი.

ლადოს შედევრი „სალაღობო" ქართულ სცენაზე პირველად წარმოთქვა სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ. ლადოს პორტრეტი მოხაზა სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა. ნიჭიერმა მხატვარმა ნიკოლოზ ნაჭყებიამ 1964 წელს შექმნა ლადოს პორტრეტი, რაც დაცულია ბარდნალის სახლ-მუზეუმში, საყოველთაოდ მოწონებულ იქნა და ცნობილია პრესიდან. ის ახლა გაზეთ „იმერეთის მოამბეში" ქვეყნდება.

ქართველი ერი ლადო ასათიანს დალოცავს მისივე აფორიზმით: „ვისაც მფარველად მუზა ჰყოლია, უკვდავი იყოს სახელი მისი!"

შენიშვნა:

ამ სტატიას ბოლოს დართული აქვს „კრიტიკული ეტიუდების" მეხუთე ტომიდან (1974, გვ. 48) გადმობეჭდილი აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის „სამახსოვრო გულისთქმის" მცირე მონაკვეთი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ:

სამახსოვრო გულისთქმა

უშუალო, გულწრფელი მეგობრების უანგაროდ მოყვარული ლადო ასათიანი ადვილად იჩენდა თაყვანისმცემლების წრეს. თვითონვე სხვისი ერთგული, მეგობრების მხრივაც ერთგულებით ტკბებოდა. საკმარისია მიხეილ ალავიძის მაგალითი. ისინი ერთად სწავლობდნენ, განუყრელი მეგობრები იყვნენ და არავის გაუკეთებია ლადო ასათიანის ხსოვნისათვის იმდენი, არც ადამიანობის, არც დაფასების მხრივ, რამდენიც დღეს უკვე ცნობილმა მეცნიერმა მიხეილ ალავიძემ გააკეთა თავისი საყვარელი მეგობრის შესახებ. მისი ყველა სტატია ერთად რომ შეკრა, საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია გამოვა. უნდა ვეცადოთ, რომ ეს მონოგრაფია რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს ცალკე წიგნად. სხვა ავტორი, უფრო ძლიერი, არ მეგულება. მიხეილ ალავიძის სახით ლადოს ჰყავს მისი შემოქმედებისა და ცხოვრების ზუსტად მცოდნე, ენერგიული მკვლევარ-მეცნიერი, ღიან ცოცხალი მემატიანე.

დაიბეჭდა გაზეთ „ომერეთის ზოამბე"ში 1996 წლის 15 იანვარს, № 56 (9.94).

შენიშვნა:

ეს სტატია ოდნავ შემცირებული სახით სათაურით „ლადო ასათიანი" პროფესორ მიხეილ ალავიძის ნეკროლოგთან ერთად დაიბეჭდა გაზეთ „ახალ ქუთაისში" 1996 წლის 4 ოქტომბერს, №90-91 (302-303).

როგორც ჩანს, ავტორს მისსავე სიცოცხლეში აქაც ჰქონდა მიჩვანილი გამოსაქვეყნებლად ლადოს ბიოგრაფია და ლადო ასათიანი მეცნიერთა და მწერალთა შეფასებით.

ეს იყო პროფესორ მიხეილ ალავიძის ბოლო პუბლიკაცია ჟურნალ „ახალ ქუთაისში".

აქვე მოთავსებულია ფოტო - თანატოლები: ლადო ასათიანი, შოთა ქურიძე და მიხეილ ალავიძე.

„მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა"

(როგორ დაიბეჭდა რედაქტორთა პარმენ შელეგიასა და გიორგი ჯიბლაძის სასახელოდ ლადო ასათიანის „სამშობლო" 1937 წელს).

ღირსსახსოვარია პარმენ შელეგიასა და ჟურნალისტ-ფილოლოგის გიორგი ჯიბლაძის ამაგი ლადო ასათიანისადმი.

ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციაში პარმენ შელეგია განუწყვეტლივ მუშაობდა ოთხ წელიწადსა და სამ თვეს (1933 წლის 31 აგვისტოდან 1937 წლის 6 დეკემბრამდე). ჯერ რედაქტორის მოადგილე იყო და შემდეგ – რედაქტორი.

გიორგი ჯიბლაძე ქუთაისის საქალაქო გაზეთში განუწყვეტლივ მოღვაწეობდა შვიდ წელიწადსა და ორ თვეს (1934 წლის 1 თებერვლიდან 1941 წლის 1 აპრილამდე). ის სხვადასხვა დროს ასრულებდა რედაქციის მდივნის, რედაქტორის მოადგილისა და რედაქტორის თანამდებობებს.

პარმენ შელეგიას სასახელოდ ისიც ეყოფა, რომ ის ლადო ასათიანის „მფარველ ანგელოზად" შეიცნონ და შეიყვარონ მისი პოეზიის თაყვანისმცემლებმა.

ჩვეულებრივ, მგოსანი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ყოველწლიურად თითო – ოროლა ლექსით. ორი წლის შანძილზე ქუთაისის საქალაქო გაზეთის ჩვიდმეტ ნომერში გიორგი ჯიბლაძის მონდომებით დაიბეჭდა ლადო ასათიანის 24 ლექსი. გაზეთს ხელს აწერდა რედაქტორის მოადგილე (1936 წელს) და რედაქტორი (1937 წელს) პარმენ შელეგია. ასეთი „პოეტური აფეთქება" (გიორგი ჯიბლაძის გამოთქმაა) მოხდა მხოლოდ ათი

წლის შემდეგ, როცა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, განათლებული და კეთილი შემოქმედის სიმონ ჩიქოვანის დახმარებით ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნდა ანა კალანდაძის პირველი მარგალიტები.

ნადლიერმა ლადო ასათიანმა აღფრთოვანება პრესის დღეს გამოთქვა. 1936 წლის 5 მაისს გაზეთში (№ 100, რედაქტორის მოადგილე პარმენ შელეგია) მოთავსდა მისი მისალმება სათაურით – „ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო!"

ლადო მოგვითხრობს: „პირველად გაზეთ „სტალინელის" ფურცლებზე ვიგრძენი დაბეჭდილი სტრიქონების ეშხი. განა უამესი ჟრუანტელის მომგვრელი არაა, როცა შენი ლექსები შენზე უფრო ადრე გამოვლენ და მერე სად? – ყვავილებით შემორკალულ ინდუსტრიულ ქალაქში. მე ეს სიხარული განვიცადე. ეს აღტაცება შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო, და ამიტომ ეს სიტყვაც შენი დღეგრძელობისა და შენი გამარჯვებისა იყოს!" ლადო ასათიანის შედევრი „სამშობლო" ქუთაისის საქალაქო გაზეთში დაისტამბა 1937 წლის 9 მარტს. ნომერს ხელს აწერს რედაქტორი პარმენ შელეგია. ლექსს ქვეშ უზის თარიღი (დაწერის დრო და ადგილი) – 1936 წლის ივლისი. ლეჩხუმის სოფელი ბარდნაღია. ლექსთა ციკლიდან „სამშობლო".

„სამშობლო" პატრიოტული ლექსია და ეროვნული სული უდგას. ამ ლექსის დაბეჭდვა იმ პერიოდში დიდ გამბედაობას მოითხოვდა, რაც გამოიჩინეს კიდეც პარმენ შელეგიამ და გიორგი ჯიბლაძემ.

მაშინ პოეტები საქართველოს ქება-დიდებას ერიდებოდნენ. ბნელი ძალები არათუ ჩვენი სამშობლოს ხოტბას, არამედ პატრიოტულ გამოთქმათა „ქართველი ერისა" და „ქართული სულის" გამოყენებასაც კი ნაციონალისტობას (პოლიტიკური ბრალდება!) არქმევდნენ. ამ თემაზე ცხარედ მსჯელობდნენ.

ეს ის დრო იყო, როცა რესპუბლიკურ პრესაში მკაცრად აკრი-

ტიკებდნენ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის წიგნს „ქართველი ერის ისტორია", პროფესორ სერგი დანელიას წიგნს „ვაჟა – ფშაველა და ქართველი ერი", პროფესორ კონსტანტინე კაპანელის ნაშრომს „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში".

გავამჟღავნებ ერთ უცნობ ფაქტს. 1937 წლის გაზაფხულზე თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი. მასწავლებელთა სახლში გაიმართა მწერალთა და ჟურნალისტთა კრება. სხდომას თავმჯდომარეობდა დია ჩიანელი.

მოხსენებაში ბესარიონ ჟღენტმა გამოყო სხვადასხვა აქტუალური საკითხი – მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, მისი ხელმძღვანელობის შეცდომები, ადრინდელ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და ახლანდელი მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მუშაობა. მან ყურადღება გაამახვილა პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნების საშიშროებაზე, ჩამოაყალიბა შემოქმედებითი და საორგანიზაციო საქმიანობის გარდაქმნის პროგრამა. განიხილა ქუთათელ მწერალთა მიერ ბოლოხანს დაბეჭდილი ნაწარმოებებიც.

ბესარიონ ჟღენტმა ლადო ასათიანის „სამშობლო" ნაციონალისტურ ლექსად შეაფასა. ჯიჯგნა და ჯიჯგნა ყოველი სტრიქონი. მან ლექსი თავიდან ბოლომდე წაიკითხა ზერელედ, დუნედ, ხელოვნური ტონით და დამცირებით.

ახლაც ყურში ჩამესმის ლალი და ენამოჩლექილი ახალგაზრდა ორატორის ბგერები, მწარე ქირქილი იდილიურ მხატვრულ სურათად (სახედ) მიჩნეულ სტრიქონზე – „ტკბილია როგორც წისქვილში მთვარიან ღამის გათევა".

ქალაქგარეთ იყვნენ და კრებას აკლდნენ – ვანიონ დარასელი, მამია ასათიანი, გიორგი სამხარაძე, კონსტანტინე მეძველია, სერგო ფხაკაძე... საღამოს ესწრებოდნენ – დომენტი თომაშვილი, პეტრე ბახტურიძე, ნიკა აგიაშვილი, ევგენი ფურცხვანიძე, ლადო ბზვანელი, ბონდო კეშელავა, ვალერიან ლალიაშვილი,

ელიონ ხუციშვილი, ვლადიმერ გუგუშვილი, ლევან გაბრიაძე, პლატონ გულუა, დავით მესხი, დიმიტრი კვირკველია, ვლადიმერ ხობისპირელი ანუ ორბელი (ქვარცხავა), ილია ხოშტარია, შაირუხ ჩარკვიანი, შალვა ტოგონიძე, პავლე ხმალაძე... კარებთან ახლოს ცალკე ვისხედით მეგობრები – ლადო ასათიანი, სეკერიან ისიანი, შოთა ქურიძე, გიორგი შალამბერიძე, გიორგი ნაცვლიშვილი და მე. ლადომ შეურაცხყოფას ვერ გაუძლო, წელმოწყვეტილი წამოდგა და ბუტბუტით წავიდა, სხდომა დატოვა.

პესო ყლენტს დარბაზში ავტორი აღარ ჰყავდა და უფრო აენთო: ენით, ხელების ქნევით და წიხლებით სცემდა ლექსს.

ჟაზეთის რედაქციის პასუხისმგებლობის მხრივ მისადმი საყვედურს გულისხმობდა მოხსენების ქვეტექსტი, მაგრამ ის აშკარად არ გამჟღავნდა, თორემ ცხარე დავას გამოიწვევდა.

კრებაზე მყოფი პარმენ შელეგია და გიორგი ჯიბლაძე შეწუხდნენ, მაგრამ არ დაიბნენ და სიფრთხილე გამოიჩინეს: თავდაცვას (პოეტისა და რედაქტორის გამართლებას) თავშეკავება ამჯობინეს, უთანხმოება დაფარეს. განცვიფრებული აუდიტორიაც საკამათოდ არ განეწყო. უთუოდ ფაქტის წასაშლელად დაისახა, რომ ამ კრების ქრონიკა (ინფორმაცია) უცნობია – არ დაიწერა და საქალაქო გაზეთშიც არ აღინიშნა.

ვწუხვარ, რომ გავიხსენე და ავსახე წაშლილი მოვლენა. მომსწრეთა უმეტესობა აღარ არის, მაგრამ ეს ამბავი კარგად ახსოვთ ჟურნალისტსა და ისტორიკოს ბატონ გრიგოლ რუხაძეს, ჩემს თანატოლ ფილოლოგებს, რომლებიც მაშინ სტუდენტები იყვნენ – ელიზბარ უბილავას, ვასილ ლორთქიფანიძეს, ივანე ვარლამიშვილს, აქვსენტი მიშველაძეს. გავიდა 34 წელიწადი. 1971 წლის 7 მაისს ლეჩხუმის რაიონის სოფელ ბარდნალაში გაიხსნა ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი. ზეიმში თბილისიდან მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის დელეგაცია. ცაგერ-ბარდნალაში ავიდნენ აკადემიკოსები: ალექსანდრე ბარამიძე, შოთა ძიძიგური, გიორგი ციციშვილი,

პროფესორები: მიხეილ ჩიქოვანი, ბესარიონ ჟღენტი, გერმანე გობეჯიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, გიორგი კალანდაძე... იქ ვე შევხვდი მათ. ფოტოები აქვს მუზეუმს და ჩემი ინფორმაციაც მაშინვე მოთავსდა ქუთაისურ პრესაში.

მიტინგზე სიტყვა ამჯერადაც ბესო ჟღენტმა წარმოთქვა. მან ლადო ასათიანს ქართული პოეზიის მნათობი უწოდა და შეაქო სიტყვაკაზმული ენით.

ბესო ჟღენტმა განიხილა (განადიდა) სოფელ ბარდნალაში დაწერილი პატრიოტული ლექსებიც სამშობლოზე, რაც პირველად დაიბეჭდა ქუთაისის საქალაქო გაზეთში 1937 წელს და ლადო სამშობლოს (საქართველოს) მეხოტბედ მონათლა.

მოკლედ – ბესო ჟღენტმა ბარდნალაში დაწერილი ლექსები სამშობლოზე ქუთაისში დაიწუნა და ბარდნალაში კი მოიწონა სხვადასხვა დროს.

ლადო ასათიანზეც აღსრულდა ლადოსავე ნათქვამი მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილისადმი: „მოკვდა თუ არა, ყველამ აცხოსა, ცოცხალი არვინ არ გაიკარა“.

გიორგი ჯიბლაძემ გაზეთ „ქუთაისის“ იუბილეებზე (1972 წლის 8 ივლისს და 1981 წლის 12 დეკემბერს) საჯაროდ განაცხადა შემდეგი: ლექსი „სამშობლო“ მე წავიკითხე ლადოს თანდასწრებით. ტექსტში ცლილებები შევიტანე ავტორთან შეთანხმებით და ძალდატანებითაც. მე ამ ლექსის დედანს დავეძებ – ვშიშობ, იქნებ რამე შევცოდეო. გაიხსენა ბესო ჟღენტის კრიტიკაც და დასძინა: გონიერი რედაქტორი პარმენ შელეგია რომ არ დახმარებოდა, მარტო მე ჩემი პასუხისმგებლობით ამ ლექსს ვერ დავბეჭდავდიო.

ქუთაისის საქალაქო გაზეთის საუკეთესო რედაქტორები პარმენ შელეგია და გიორგი ჯიბლაძე მგზნებარე მგოსნის ლადო ასათიანის მოამაგენი არიან.

დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ 1996 წლის 11 აპრილს, № 39 (18014).

სარჩევი

პროფესორი მიხეილ ალავიძე –
ლადო ასათიანის ბიოგრაფი და შემოქმედების მკვლევარი.....3
„ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა".....12
ლადო ასათიანი (ბიოგრაფიულ-მემუარული ნარკვევი) 43
ლადო ასათიანის ხსოვნას 69
ლადო ასათიანის სამშობლოში 73
ლადო ასათიანის ბავშვობა.....77
ჩვენი ლადო ასათიანი 83
ლადო ასათიანის მოსაგონრად 91
„უკვდავი იყოს სახელი მისი!".....94
უკვდავი მესიტყვე.....100
ლადო ასათიანის იუბილე 111
პოეტური ქარაგმა „სალუაღობოდან".....113
უკვდავი მესიტყვე 115
სიცოცხლის მეხოტბე.....120
ლადო ასათიანმა აღმოაჩინა.....125
ზეიმი ბარდნალაში 127
ლექსები „თებერვლის დილა".....134
55 წლის ლადო ასათიანი 138
მარად ცოცხალი ლადო ასათიანი.....147

ფიქრები ლადო ასათიანზე 154
უკვდავი მესიტყვე 160
ფიქრები ლადო ასათიანზე.....171
ლადო ასათიანი ქუთაისში 177
ლეჩხუმის ტოპონიმია 181
ლადო ასათიანი მასწავლებლთა შეფასებით 193
ლადო ასათიანი ქუთაისში 200
„მეც ქართველი ვარ...“.....204
მალხაზის შვიდწლედში სწავლობდა... 207
„სალალობოს“ ფილოლოგიური განხილვა.....211
რას მეტყველებენ დოკუმენტები.....217
ლადოს ძმადნაფიცი და მოამაგე 222
ლადო ასათიანის ქება 229
მგზნებარე პოეტის სასახელოდ 231
ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია.....236
„მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა“.....243

წიგნი კომპიუტერულად უზრუნველყო იზოლდა რუსაძემ

წიგნი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის
სახელმწიფო. უნივერსიტეტის სტამბაში

ნაბეჭდი ფორმა 16

ტირაჟი 100